# ივერია

## 1879

№ 5—6, მაისი და ივნისი.

ტფილისი
ვთ. ენფიანჯიანცის სტამბა
1879

ქვით ავათ-მყოფი, კომედია მოლიერისა, . . . . . 5

II. ვარინკას ვეჩერი, სომხურით ნათარგმნი პ. უ. . . . . 14

III. ჩემს მეგობარს, (ლექსი) აკაკისა. . . . . . . . . . . 117

IV. გ...ს, (ლექსი) მისივე. . . . . . . . . . . . . . . . 119

V. ტყე და იმისი მნიშვნელობა მ-სა. . . . . . . . . . 121

VI. ოსმალეთის თათრები და აღმოსავლეთის საქმე, გ. იოსელიანის. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 133

VII. ფსალმუნი, (ლექსი) თ. გრ. ორბელიანისა . . . . . . 151

VIII. რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, (პოემა) ილ. ჭავჭავაძისა. . . . . . . . . . 152

IX. ტაძარსა შინა თემიდისასა, რუსულიდამ ნათარგმნი. . 174

X. რა ჰქნას გულმა (ლექსი) დავ. მაჩაბლისა. . . . . . . 194

XI სხვა და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 195

ნაური მიმოხილვა

ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები — რატომ არა ვსწავლობთ — რა წამალი უნდა დავსდოთ — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — ჩვენებური სოფლის შკოლები — რა ხარჯს იხდის გლეხობა შკოლებისათვის — სად რამდენი შკოლაა — რამდენი მოსწავლეა — ასზედ რამდენი გლეხი სწავლობს — რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება განათლების საქმეში. 261

XIII. სხვა და სხვა ამბავი და ცნობა. . . . . . . . . . . 224

XIV. დამატება: იზა, რომანი ბუვი სი.

XV. განცხადება.

5 977

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

---

წელიწადი მესამე.

№ 5—6

ტფილისი
ამბარცუმ ენფიაჯიანცის სტამბა.
1879

Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Мая 1879 г.



# ეჭვით ავათ-მყოფი

(Le malade imaginaire)

მოლიერის კომედია, სამს მოქმედებათ.

# მომქმედნი პირნი:

არგანი, ეჭვით ავათმყოფი.
ბელინა, არგანის მეორე ცოლი.
ანჯელიკა, არგანის ქალი და კლეანტის საყვარელი.
ლუიზინა, არგანის უმცროსი ქალი და ანჟელიკას და.
ბერალდი, არგანის ძმა.
კლეანტი, ანჟელიკას საყვარელი.
დიაფუარიუსი, ექიმი.
თომა დიაფუარიუსი, იმისი შვილი და ანჟელიკას საქმრო.
პიურგონი, არგანის ექიმი.
ფლერანი, აფთიაქარი.
დებონფუა, ნოტარიუსი.
ტუანეტა, გოგო.

მოქმედება პარიჟშია.

# მოქმედება პირველი.

არგანი. (ზის სტოლის წინ და თავის აფთიექარის ანგარიშსა შინჯავს)

სამი და ორი, ხუთი; ხუთიც, ათი; ათიც, ოცი; სამი და ორი, ხუთი. „კიდევ ოც-და-ოთხს ამ თვეს პატარა თუნა ნელა გასაკეთებელი? მომზადებული და გამარბილებელი, რათა გაარბილოს, დაასველოს და გააგრილოს გულ-გვამი ბატონის არგანისა.“ ეს მომწონს ამ ჩემის აფთიექარისა, რომ იმის ანგარიში ყოველთვის ზდილობიანათ არის დაწერილი. „გულ-გვამი ბატონის არგანისა — მანათ ნახევარი“. ახლა, ბატონო ფლერან, მარტო ზდილობა არა კმარა, უნდა წესიერათ მოიქცე და ავათმყოფებს ტყავი არ გააძრო. ერთი თუნა — მანათ ნახევარი! ბატონს ჩემს გაუმარჯოს! სხვაგან ყოველთვის მანეთათ მიანგარიშებდი და მანათი აფთიექარის ენით ათი შაურია. აი, შენი ათი შაური. „კიდევ იმავე დღესვე, ერთი კარგი გამწმენდი თუნა, შედგენილი ყოვლად ძლიერი სამკურნალოსგან, რევანდისა, უცეცხლო თაფლისა და სხვათაგან, როგორც ექიმისაგან ნაბძანებია, რათა გაჰქვავოს, განბანოს და გასწმინდოს უკან ტანი ბატონის არგანისა მანათ ნახევარი.“ თუ თქვენი საწყენი არ იქნება, ათი შაური ჩავაგდოთ. „კიდევ, იმავე დღესვე, საღამოზედ, ღვიძლის გასაგრილებელი სასმელი, მომასვენებელი და დამაძინებელი, რათა მოასვენოს და დააძინოს ბატონი არგანი — მანათი და თხუთმეტი შაური.“ აი, ამ წამლისა კარ მადლიერი ვარ: ძალიან კარგათ დამაძინა. ესეც ნახევრათ ვიანგარიშოთ — ჩვიდმეტ შაურ ნახევარი. „კიდევ, ოც-და-ოთხს ამ თვეს, ერთი კარგი მუცელში გამხსნელი სასაქმებელი, შედგენილი კასიისა, ხიარშამბარი-

სა და სხვათაგან, როგორც ბატონი პიურგონისაგან არის ნაბძანები, რათა გარეთ გაიყვანოს ბატონი არგანი და მოაშოროს უვარგისნი-ნივთიერებანი გვამსა მისსა — ოთხი მანათი." ხუმრობ, ბატონო ფლე-რან, თუ რა არის? როდი უნდა შემოიმწყრალო ავათმყოფები. პი-ურგონმა როდი გითხრა, ოთხი მანათი ჩასწერეო. დასწერე სამი მანათი და ჩვენ მანათ ნახევარს ჩავაგდებთ. „კიდევ, იმავე დღესვე, წვლარტის გემოს სასმელი, ტკივილების დამაყუჩებელი, რათა მოასვენოს ბატონი არგა-ნი — მანათ ნახევარი." თხუთმეტი შაური. „კიდევ, ოცდა ექვსს, ერთი შემავიწროებელი ოყნა, რათა განაგდოს ქარები ბატონის არგანის უკან ტანიდან — მანათ ნახევარი." ათი შაური ბატონო ფლერან, ათი შაური! „კიდევ ზემოხსენებული ოყნა, განმეორებული საღამოს ჟამს — მანათ ნახევარი." ესეც ათი შაური. „კიდევ ოც-და-შვიდს, ერთი კარ-გი წამალი, რათა ხშირათ გაიყვანოს გარეთ ბატონი არგანი საჭი-როებისათვის — სამი მანათი." ესეც მანათ ნახევარი. მადლობა ღმერთს, მლივს პატარა ქრისტიანულად არ ანგარიშობს. „კიდევ, ოც-და-რვას, ერთი სტაქანი გაწმენდილი და დაშაქრული რძე, რათა დაატკბილოს, გაანოყიეროს, დაამშვიდოს და გაარბილოს სისხლი ბატონის არგა-ნისა — ერთი მანათი." ესეც ათი შაური. „კიდევ, ერთი მინა სასმე-ლი სისაღისა და ჯანმრთელობის მიმცემი, შედგენილი თორმეტის გრანის ღვაზარისა, ლიმონისა და ბროწეულის წვენისა და სხვათაგან, როგორც ექიმისაგან ნაბძანებია — ხუთი მანათი." ახლა, ბატონო ფლე-რან, პატარა სინიდისიც იქონიე. ესე რომ იანგარიშო, ვინ იქნება გიჟი, ავათ გახდეს. ოთხი მანათი დასწერე და ორი ვიანგარიშოთ. სამი და ორი, ხუთი; ხუთიც, ათი; ათიც, ოცი და ექვსი თუმანი, სამი მანათი, ერთი აბაზი და ნახევარ შაური. ამ თვეში მე დამილევია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი და რვა მინა წამალი; მე გამიკეთებია ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი და თორმეტი ოყნა. იმ თვეში იყო თორ-მეტი მინა წამალი და ოცი ოყნა. რა გასაკვირველია, რომ ამ თვეში უფრო ავათ ვარ, სანამ იმ თვეში ვიყავ. მე ვეტყვი პიურგონს, რომ

ამაში წესიერება დაადგინოს. შემომაცალეთ ეს რაღაებიც მახვევის გარსა, (რომ ვერავის დაინახავს, დაიყვირებს) რამდენიც უნდა ვიყვირო, არავინ არ მომხედავს; სულ მარტო ვგდივარ; აქ რომ ვერავინ დავაყენე! (დაუწყებს რეკას პაწარა ზარს) დაყრუვდენ თუ ჩემი ზარი კარგათ ვერა რეკავს! (რეკავს) არავინა სჩანს. (რეკავს) სწორეთ დაყრუებულან, ტუანეტა! (რეკავს) გინდა დამირეკნია, გინდა ნუ! ტუანეტა, შე საძაგელო, შე უნამუსო! (რეკავს კიდევ) სწორედ გამაცოფიანებენ! (რეკას თავს დაანებებს და ყვირილს დაიწყებს) ძინ, ძინ, ძინ! შე ნამუსზედ ხელ აღებულო! გაგონილა, ავათმყოფის ესე მარტო დაგდება! ძინ, ძინ, ძინ! ასეთი თავს გასვლა იქნება! ძინ, ძინ, ძინ! ღმერთო შემიწყალე! აქ მე მარტოს სული ამომივა! ძინ, ძინ, ძინ!

## გამოსვლა მეორე

იგივე და ტუანეტა.

ტუან. (შემოდის) მოვდივარ.

არგ. აი შე ღორო, შე უნამუსო!

ტუან. (თავზედ ხელს იდებს, თითქო კედელზედ მიერტყას) ღმერთმა დასწყევლოს თქვენი ხასიათი. ისე აჩქარებთ ადამიანს, რომ კინაღამ კარებს ტვინი ზედ შევასხი.

არგ. (გაჯავრებული) შე მუხანათო...

ტუან. ვაიმე!

არგ. მთელი ერთი...

ტუან. ვაიმე!

არგ. საათის.

ტუან. ვაიმე!

არგ. რაც მარტოკა ვგდივარ.

ტუან. ვაიმე!

არგ. ხმა ჩაიწყვიტე, შე ურცხვო, თორემ არ ვიცი, რას გიზამ!

ტუან. მერე, ამ ამბის შემდეგ, მე კი ვალში დაგრჩებით?

არგ. ყვირილით ხმა წამივიდა.

ტუან. მე რომ გინაღამ თავი გავიტეხო, ეგ არაფერი? მოდით, თუ გინდათ ქვითნი ვიყოთ: მგონი ხმის წასვლა სჯობდეს თავის გატეხას.

არგ. რაოდ რას მიედებ-მოედები?

ტუან. თუ გამაჯავრებთ, ვიტირებ აი.

არგ. შე ორგულო მარტო გამიშვი...

ტუან. ვაიმე!

არგ. შე ძაღლო შენა, შენ გინდა...

ტუან. ვაიმე!

არგ. განა, შე უსამუსო, გაჯავრებასაც არ დამაცლი?

ტუან. იჯავრეთ, რამდენიც გინდათ, მე რას გიშლით.

არგ. შენ იმას მიშლი, რომ ყოველს სიტყვაზედ მაჩერებ.

ტუან. თუ თქვენ გინდათ იჯავროთ, მე მინდა ვიტირო. ყველა თავის ქეიფზედ მოიქცეს. ვაიმე დედავ!

არგ. (წამოდგება) ჯანი გაგვარდეს, რაც გინდა ჰქენი! გამაცალე ეს რაღაც არი. ჩემმა ოყნამ დღეს გასჭრა?

ტუან. თქვენმა ოყნამ?

არგ. ჰო, კარში კარგათ გავედი?

ტუან. ეგ რა ჩემი საქმეა; თქვენს აფთიექარს უნდა ჰკითხოთ: ის გეტყვით პასუხს. ფულს ის იღებს და სუნიც იმან უნდა აიღოს.

არგ. ჩქარა წყალი გამითბე; საცაა მეორე ოყნა უნდა გავიკეთო.

ტუან. ძალიან კარგი საწყალი თავს ჩაუგდეს ხელში თქვენმა აფთიექარმა ფლერანმა და თქვენმა ექიმმა პიურგონმა; უხარიდეთ; ნეტავი ერთი მითხრან, რა გჭირთ, რომ მაგდენი წამლებით დაგალპეს.

არგ. გაჩუმდი, უმეცარო; შენც უნდა ექიმების ბძანება სასაცილოდ აიგდო! წადი ჩემს ქალს ანჟელიკას დამიძახე, მინდა, ვუთხრა რამე.

ტუან. აგერ თითონვე მოდის, ალბათ თქვენს აზრს მიხვედრილა.

## გამოსვლა მესამე.

იგინივე და ანჯელიკა.

არგ. აქ მოდი, ანჟელიკა; კაი დროს გასჩნდი, მე შენთან სა-ლაპარაკო მაქვს.

ანჯ. მიბძანეთ, ბატონო.

არგ. პატარა მომიცადე. (ტუანეტას). ერთი ჯოხი მომეცი; ეხ-ლავ დავბრუნდები.

ტუან. მიბძანდით, ბატონო, მიბძანდით. კაი საქმე კი გაგვი-ჩინა, ის ვიღაც ოხერი ფლერანია.

## გამოსვლა მეოთხე.

ანჯელიკა და ტუანეტა.

ანჯ. ტუანეტა.

ტუან. რაო?

ანჯ. აბა შემომხედე.

ტუან. მერე რაო, რომ შემოგხედო.

ანჯ. ტუანეტა.

ტუან. ტუანეტა და ტუანეტა; სთქვი, რისაც თქმა გინდა.

ანჯ. ვერ მიხვდი, რის თქმაც მინდა?

ტუან. უეჭველია, შენს ახალ-გაზდა საყვარელზედ გინდა ილა-პარაკო; მთელი ექვსი დღეა, რაც ის შენ ენაზედ გადგას და გული ვერ მოგითმენს, რომ ყოველს წუთს არ ახსენო.

ანჯ. თუ ეგეც იცი, რატომ შენვე პირველი არ ჩამომიგდებ ლაპარაკსა? რათა მტანჯავ? რათ ელი, რომ მე პირველი გამოველა-პარაკო იმაზედ.

ტუან. მაცლი მერე! შენ თითონ პირველი კისრულობ იმაზედ სიტყვის ჩამოგდებას; დასწრობა ძნელია.

ანჟ. უნდა გაგიტყდე, იმაზედ ლაპარაკით არ დავიღალები და-როცა კი დროს ვპოულობ, მე მეჭირვება ჩემი გრძნობა გავიმხილო. მაგრამ, ერთი მითხარ, ტუანეტა, განა გამკიცხავ ამ სიყვარულისთვის?

ტუან. სრულებითაც არა.

ანჟ. განა დამნაშავე ვარ, რომ ამ ტრფობის ტკბილს ძალას ვემორჩილები?

ტუან. ვინ გეუბნება?

ანჟ. დავიჯერო, გულ-გაქვავებული უნდა დავუხვდე იმის ნაზს ხვეწნას, იმის მხურვალე სიყვარულს.

ტუან. ღმერთმა ნუ ჰქნას.

ანჟ. ერთი ეს მითხარ, ნუ თუ შენც განგებისაგან მოვლენილი არა გგონია ის შემთხვევა, რომელმაც ჩვენ ერთმანეთთან შეგვყარა?

ტუან. უეჭველია.

ანჟ. ახლა ისა სთქვი, როგორ პატიოსნურათ მოიქცა, ჯერ არ მიცნობდა და ჩემთვის ისეთ ნაირათ თავი გამოიდო.

ტუან. ოღონდაც.

ანჟ. სხვა უმაგისო ვინ იზამდა იმას?

ტუან. მართალს ამბობ.

ანჟ. წარბი არც კი შეუჭმუხვნია, საქმეს ისე გულიანათ მოე-კიდა.

ტუან. ნამდვილია.

ანჟ. მშვენიერი ბჯალ-ტანადი რამ არის, განა ტუანეტა?

ტუან. მშვენიერი რამ არის.

ანჟ. სახეზედ წუნი არა აქვს.

ტუან. არასფერი.

ანჟ. საქმეშიაც, სიტყვაშიაც დიდ-კაცობა ეტყობა.

ტუან. სწორეთ.

ანჟ. მაგისთანა მხურვალე სიტყვები გაგიგონია სადმე, რო-მელსაც ის მეუბნება.

ტუან. არ გამიგონია.

ანჯ. ამაზედ მეტი უბედურება იქნება, რომ დაკეტილში ვუზივართ და ღონისძიებას არ გვაძლევენ, მე და იმან ეს გულის გრძნობა ერთმანეთს გავუზიაროთ.

ტუან. სწორედ ძნელია.

ანჯ. ახლა, ტუანეტა, როგორა გგონია, გულშიაც ის უდევს, რასაც სიტყვით მეუბნება.

ტუან. მაგისი კი რა მოგახსენო. ეგეთი საქმე ხშირათ საეჭვოა. ცრუ სიყვარული ნამდვილს სიყვარულს ძალიან ჩამოჰგავს და მე კაი თვალთმაქცები მინახავს მაგ საქმეში.

ანჯ. რას ამბობ, ტუანეტა? განა ის პირიდან სიცრუეს ამოუშვებს. რაში ეტყობა, ერთი მითხარი.

ტუან. მაგას მალე გაიგებ. გუშინ ხომ მოგწერა, შენს თავს ცოლათა ვთხოვო; ვნახოთ, შეასრულებს თუ არა; მაშინ შეიტყობ, თუ ცრუა.

ანჯ. ოჰ, ტუანეტა, თუ მე მაგან მომატყუვა, აღარავის არას დავუჯერებ.

ტუან. აგერ მამა-თქვენი მოდის.

## გამოსვლა მეხუთე.

### იგინივე და არგანი.

არგ. იმას ვამბობდი; მე მინდა, შვილო, შენ ერთი ამბავი შეგატყობინო, რომელიც შენთვის მოულოდნელია. მე შენს თავსა მთხოვენ. რა მოგდის, რას იცინი? გიამა განა გათხოვება? უმაწვილი ქალებისთვის სწორედ უკვდავების წყაროა ეს კითხვა. ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი. როგორც ვატყობ, ქალ-ბატონო, იმის კითხვა საჭირო აღარ არის. ინებებთ გათხოვებას თუ არა?

ანჯ. რასაც მიბძანებთ, ბატონო, მე ის უნდა შევასრულო.

არგ. მე მესიამოვნება, რომ ეგეთი მორჩილი ქალი მყევხარ. მაშ საქმე გათავებულია. საქმრო მე კიდეც არჩეული მყავს.

ანჟ. მე ბრმათ უნდა მივდიო ყოველს თქვენს ბძანებას.

არგ. ჩემი ცოლი, შენი დედინაცვალი, ატეხილი იყო, მოლოზ-ნათ უნდა მივცეთო და შენი პატარა და ლუიზონაც იმას იძახდა.

ტუან. არ ეწყინებოდა, ეგრე რომ მომხდარიყო.

არგ. იმას არ უნდოდა დათანხმებულიყო ამ ქორწინებაზედ, მაგრამ მე მაინც ჩემი ვქენი და სიტყვაც მივეცი ერთს კაცს.

ანჟ. ოჰ, მამა, თქვენის გულ-კეთილობით როგორი დავალე-ბული ვარ.

ტუან. მეც მადლიერი ვარ თქვენი მაგ საქმისათვის; მაგისთა-ნა ჭკვიანური თქვენს დღეში არა ჩაგიდენიათ რა.

არგ. თითონ საქმრო მე ჯერ არ მინახავს, მაგრამ მეუბნებიან კარგი რამ არისო; მამასაცა და შვილსაც მოგეწონებათო.

ანჟ. უეჭველათ მოგეწონებათ, მამა.

არგ. შენ გინახავს მერე?

ანჟ. რადგან თქვენც თანხმა ხართ, მე ვალდებული ვარ ჩემი საი-დუმლო შეგატყობინოთ. მე გაგიტყდებით და გეტყვით, რომ ჩვენ იმ დღეს შემთხვევით ერთმანეთს შევხვდით და ერთმანეთი შეგვიყვარ-და. ამის გამო იმას ჩემი ცოლათ თხოვნა გაუბედნია.

არგ. იმათ მაგაზედ ჩემთვის არაფერი უთქვამთ; მაგრამ ეგ უკეთესი; საქმე საქმეზედ მოდის. როგორც იმათ მითხრეს, ზორბა ყმაწვილი-კაცი უნდა იყოს.

ანჟ. დიახ, ბატონო.

არგ. ლამაზთიანის ტანისა.

ანჟ. სწორეთ.

არგ. სასიამოვნო სანახავი.

ანჟ. ძალიან სასიამოვნო.

არგ. კაი თვალ-ტანადი.

ანჟ. მშვენიერი.

არგ. ჭკვიანი და კარგის გვარისა.

ანჯ. ნამდვილია,

არგ. ძალიან პატიოსანი.

ანჯ. ვიღა იქნება იმაზედ პატიოსანი.

არგ. ლათინურსა და ბერძნულს თურმე კარგათ ლაპარაკობს.

ანჯ. მაგისი კი რა მოგახსენო!

არგ. ამ სამს დღეში ექიმობას მისცემენ.

ანჯ. იმას მისცემენ ექიმობასა?!

არგ. ჰო, იმას. განა მაგაზედ კი არა გითხრა რა?

ანჯ. არა უთქვამს რა; თქვენ ვიღამ მოგახსენათ?

არგ. პიურგონმა.

ანჯ. განა პიურგონი იმას იცნობს?

არგ. მაშ ვიღას უნდა იცნობდეს, თუ თავის დისწულსაც არ იცნობს.

ანჯ. როგორ თუ დისწულს? განა კლეანტი პიურგონის დისწულია?

არგ. რომელ კლეანტზედ ლაპარაკობ? მე იმაზედ გელაპარაკები, რომელმაც შენი თავი მთხოვა.

ანჯ. მეც იმაზედ არ გელაპარაკებით.

არგ. ჰო და ის არის პიურგონის დისწული; იმის სიძის, ექიმის დიაფუარიუსის შვილი; იმას ჰქვიან სახელათ თომა დიაფუარიუსი და არა კლეანტი. დღეს დილით მე, პიურგონმა და ფლერანმა გადავწყვიტეთ ეგ საქმე. ხვალ ჩემს სასიძოს თავის მამა აქ მოიყვანს. რაამბავია, თვალებს რას აჭყეტ?

ანჯ. მე ასე მეგონა, მამა, თქვენ სხვაზედ ლაპარაკობდით.

ტუან. როგორ არა გრცხვენიათ, ბატონო? თქვენის შეძლების პატრონი ქალს ექიმს უნდა აძლევდეს?!

არგ. შენ ვინა გკითხავს. ბარი ათ შაურათ არისო, შე ურცხვო, შე უნამუსო?

ႲႳႠႬ. რას იგისებით? გაუცხარებლათ საქმეზედ ლაპარაკი არ იქნება განა: დავწყნარდეთ და ისე გავშინჯოთ საქმე. ახლა რათ გინდათ თქვენი ქალი ექიმს მიათხოვოთ?

ႠႰႢ. იმათა რომ მე ავათ-მყოფი და უძლური კაცი ვარ და მინდა ექიმებს დავემოყვრო. მე მინდა, იმათ შემწეობა გამიწიონ და ჩემს სახლშივე იყოს იმისთანა კაცი, რომელსაც ჩემი მორჩენა შეეძლოს; მე მინდა რომ ექიმების რჩევა და რეცეპტები არ მაკლდეს.

ႲႳႠႬ. აი ეგ კაი საბუთია. სასიამოვნოა ეგრე მშვილობიანო ბასი ერთმანეთთან, მაგრამ ერთი ეს მიბძანეთ, მართლა, ხუმრობა გაშვებით, თქვენი თავი ავათ-მყოფი გგონიათ?

ႠႰႢ. როგორ თუ ავათ-მყოფი არა მგონია, მე ა ჩაწმინდავ, შე უნამუსო!

ႲႳႠႬ. კარგი, ბატონო, კარგი, ნუ ჯავრობთ. ავათ-მყოფი ხართ, ავათ-მყოფი, მაგაზედ რა გვაჩხუბებს. დიახ, ძლიერ ავათა ხართ; ბატონი ბძანდებით, უკანასკნელს დღეში ხართ; მაგრამ თქვენმა ქალმა თავისთვის უნდა შეირთოს ქმარი, თუ თქვენთვის? ის რომ ავათ არ არის, რაში ეჭირვება ექიმი!

ႠႰႢ. იმას რომ არ ეჭირვება, მე მეჭირვება და მორჩილმა შვილმა ის უნდა შეირთოს, ვინც იმის მამის ჯან-მრთელობისათვის საჭიროა.

ႲႳႠႬ. შეიძლება, ბატონო, ერთი რჩევა გაგიბედოთ?

ႠႰႢ. რა რჩევა?

ႲႳႠႬ. ეგ გათხოვება გულიდამ ამოირეცხეთ.

ႠႰႢ. მითომ რათაო?

ႲႳႠႬ. მათაო, რომ თქვენი ქალი არ დათანხმდება.

ႠႰႢ. ჩემი ქალი არ დათანხმდება?!

ႲႳႠႬ. არა.

ႠႰႢ. ჩემი ქალი?

ႲႳႠႬ. ჰო, თქვენი ქალი. იმას არაფრათ ეპრიანება არც ის თქვენი ექიმი დიაფუარიუსი, არც იმისი შვილი თომა დიაფუარიუსი, არც სხვა ვიღაც ეშმაკი დიაფუარიუსები არიან.

არგ. მე მეპრიანება, თუ მაგას არ ეპრიანება. საქმროც დასაწუნი არ არის. ექიმს დიაფუარიუსს მაგის მეტი შვილი არა ჰყავს; პიურგონსაც არც ცოლი ჰყავს, არც შვილი და მთელს თავის ქონებას ამ ქორწილის შემდეგ იმას დაუმტკიცებს. ეს ხუმრობა ნუ გგონიათ: მარტო პიურგონს სამასი თუმანი აქვს წელიწადში შემოსავალი.

ტუან. მაშ ეტყობა ბევრი ხალხი დაუხოცავს, რომ ეგრე გამდიდრებულა.

არგ. სამასი თუმანი შემოსავალი წელიწადში, მამის ქონების გარდა, ხუმრობა არ არის

ტუან. ეგ ყველა კარგი, მაგრამ მე მაინც ჩემათ გირჩევთ, რომ სხვა ქმარი ამოურჩიოთ; მაგას არაფრათ მოუხდება, ვიღაც დიაფუარიუსი გდია, იმის ცოლობა.

არგ მე ჩემს სიტყვას არ გადავალ.

ტუან. მაგას ნუ იტყვით, ბატონო.

არგ. როგორ თუ ნუ ვიტყვი!

ტუან. ისე, ნუ იტყვით.

არგ. ვითომ რა დამიშლის?

ტუან. ასე იფიქრებენ, რას ამბობს და რას არა, არ ესმისო.

არგ. ვის რაც უნდა, ისა სთქვას. მე კი ეს მინდა, რომ მაგან ჩემგან მიცემული სიტყვა შეასრულოს.

ტუან. არ შეასრულებს.

არგ. ძალათი შევასრულებინებ.

ტუან. გეუბნებით, ვერ შეასრულებინებთ.

არგ. აბა ნუ შეასრულებს და მაშინვე მონასტერში უკრავ თავსა.

ტუან. თქვენა?

არგ. სწორეთ მე.

ტუან. ვნახოთ.

არგ. რა ნახოთ?

ტუან. თქვენ მაგას მონასტერში თავს ვერ უკრავთ.

არგ. მე ვერ ვუკრავ თავს მონასტერში!

ტუან. ვერა.

არგ. ვერა?

ტუან. ვერა.

არგ. პატრონს ჩემს გაუმარჯოს! მე ვერ მივცემ ჩემს ქალს მონასტერში, თუ მინდა!

ტუან. ვერა მეთქი გეუბნებით!

არგ. მერე ვინ დამიშლის?

ტუან. თქვენ თითონ.

არგ. მე?

ტუან. დიახ, თქვენ. თქვენი გული მაგას ვერ იზამს.

არგ. ვიზამ მეთქი მაგას.

ტუან. ხუმრობთ.

არგ. მე სულაც არ მეხუმრება.

ტუან. მამობრივი სიყვარული დაგძლევთ.

არგ. მე ვერაფერი ვერ დამძლევს.

ტუან. კმარა, ორი ცრემლი ჩამოგვარდეს, ხელები კისერზედ მოგხვიოთ, თავისებურათ ნაზათ, ჩემო მამილო, გითხრათ და მაშინვე გული მოგირბილდებათ.

არგ. ტყუილი იმედებია.

ტუან. ძრიელ მართალია.

არგ. მე შენ გეუბნები, ჩემს სიტყვას არ გადავალ მეთქი.

ტუან. ეგ სულ მასხარაობაა.

არგ. რას მიედ-მოედები, შენ თითონ მასხარავ!

ტუან. პატრონო, მე თქვენ გიცნობთ, მე ვიცი თქვენი კეთილი გული.

არგ. მე კეთილი კი არა ვარ, ავი ვარ, თუ მოვინდომებ.

ტუან. ახლა ნუ ცხარობთ, ნუ გავიწყდებათ, რომ ავათა ხართ.

არგ. მე მაგას ვუბძანებ, რომ ჩემგან ამორჩეულზედ ჯვარის დასაწერათ მოემზადოს.

ტუან. მე მაგას ვუბძანებ, რომ ეგ ფიქრათაც არ გაიტაროს.

არგ. ხედავთ ამ თავხედობას! ვის გაუგონია, რომ ვიღაც გომბიო თავის ბატონს ასე უკადნიერდებოდეს!

ტუან. როცა ბატონი ლობე-უორეს ედება, ერთგულმა მოახლემ უნდა კარგს გზას დააყენოს.

არგ. (წამოხტება და ტუანეტას გამოუდგება) გამიშვით, მოვკლა, სული ამოვართვა.

ტუან. (გაიქცევა და სკამს დასდგამს თავისსა და არგანს შუა) ჩემი ვალია, დაგიშალოთ იმისთანა საქმე, რომელიც თქვენ გაგაუპატიურებთ.

არგ. (ჯოხით დასდევს ტუანეტას. ორივენი ამ ლაპარაკის დროს სკამს გარშემო უვლიან) აქ მოდი, აქ მოდი, რომ ეგ ენა მუცელში ჩაგიძვრინო!

ტუან. მე თქვენ სულელური საქმე არ უნდა ჩაგადენინოთ.

არგ. აი შე ურცხვო, შე ძაღლო!

ტუან. მე მაგ ქორწინებაზედ თავის დღეში ვერ დამათანხმებთ.

არგ. შე ჩამოსახრჩობო!

ტუან. მე არ მინდა რომ თქვენმა ქალმა თქვენი თომა დიაფუარიუსი შეირთოს.

არგ. ურცხო, უნამუსო!

ტუან. ეგ ჩემს სიტყვას უფრო დაიჯერებს, სანამ თქვენსას.

არგ. (გაჩერდება) ანჟელიკა, რატომ არ მიშველი და არ დამაჭერინებ ამ არას წმინდას.

ანჯ. მამა ჩემო, გულს ნუ იშფოთებთ, თორემ უფრო ავათ გახდებით.

არგ. (ანჟელიკას) თუ არ დამიჭერ, დაგწყევლი, შეგაჩვენებ.

ტუან. (გაიქცევა) მე კი, თუ ეგ თქვენს სიტყვას გაიგონებს, მემკვიდრეობას წავართმევ.

არგ. (თავის სკამზედ დაეცემა) ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან; ლამის სული ამომივიდეს.

## გამოსვლა მეექვსე

არგანი და ბელინა.

არგ. ოჰ, ჩემო საყვარელო, აქ მოდი ერთი.

ბელ. ხომ არა გტკივა რა, ჩემო სიცოცხლევ.

არგ. მოდი, მომხედე.

ბელ. რა გტკივა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი?

არგ. ოჰ, ჩემო ერთგულო.

ბელ. რა იყო, ჩემო სიცოცხლევ.

არგ. გამაჯავრეს, გული მომაყვაინეს.

ბელ. როგორ, რაზედა, ჩემო სულის დგმავ?

არგ. იმ ურცხვმა ტუტუნეტამ ნამუსზედ სულ ხელი აიღო.

ბელ. ნუ ჯავრობ, გეთაყვანე, დამშვიდდი.

არგ. ყელში სისხლი მომდგვარა.

ბელ. ნუ იბრუნებ გულსა, ჩემო კუკო, ჩემო ღვიძლო.

არგ. მთელი ერთი საათი რასაც ვამბობდი, ყველაფერზედ უარ მეუბნებოდა.

ბელ. დაწყნარდი, შენი ჭირიმე, დაწყნარდი.

არგ. ენა ისე წაიჭამა, რომ მიბედავს და მეუბნება, ავათ არ ხარო.

ბელ. სიბრიყვე მოსვლია.

არგ. შენც ხომ იცნობ, რაც არის, ჩემო სულის კოლოთვო.

ბელ. ვიცი, შენს თავს შემოვევლე, ვიცი, რომ დამნაშავეა.

არგ. მე ეგ სულს ამომართმევს.

ბელ. სუ, გეთაყვა, სუ.

არგ. იმის ბრალია, რომ ასე მუცელში ავათა ვარ, სულ ნაღვე-ლაზედ გავდივარ

ბელ. გული დაიმშვიდე ჩემო სიცოცხლევ.

არგ. რა ხანია, გეუბნები, დაითხოვე მეთქი.

ბელ. ეხლანდელს დროში ვის იშოვნი, გენაცვალე, იმისთანა მოსამსახურეს, რომ წუნი არ ედვას. ზოგიერთი ცუდი ხასიათი უნდა იმათს კარგს ხასიათს მიუტევო. მეტი გზა არ არის. ტუანეტა მარდია, გულის შემატკივარი, გამრჯე და ერთგული. ხომ იცი, ეხლა დიდი სიფთხილე გვმართებს მოსამსახურის დაჭერაში. ტუანეტა!

## გამოსვლა მეშვიდე

იგინივე და ტუანეტა.

ტუან. რას მიბძანებთ, ქალბატონო?

ბელ. რათ გააჯავრე შენი ბატონი?

ტუან. (თავს მოიკატუნებს) მე, ქალბატონო? მაგას რას მიბძანებთ? მე სულ იმასა ვფიქრობ, ჩემი ბატონი რითიმე ვასიამოვნო.

არგ. შეხედეთ ამ ურცხვსა!

ტუან. მაგანა ბძანა, ჩემი ქალი დიაფუარიუსს უნდა მივათხოვოო. მე მოვახსენე, რომ თუმცა საქმრო კარგი ამოგირჩევიათ, მაგრამ ისა სჯობს, თქვენი ქალი მონასტერში მისცეთ მეთქი.

ბელ. ურიგოთ არ ამბობს.

არგ. ოჰ, ჩემო გუჭო, განა მაგას სიტყვას უჯერებ? მაგ ავმა სულმა რაები არ მაკადრა.

ბელ. მჯერა, მჯერა, ჩემო სიხარულო, ოღონდ დამშვიდდი. ტუანეტა, ყური მომიგდე: თუ კიდევ შენი ბატონი გაგიშფოთებია, სახლში აღარ დაგაყენებ. მოიტა, მომეც ამისი ტყავი და ბალიშები, რომ სკამზედ კარგათ დავსვა. ასე ჯდომა იქნება. ქუდი ყურებამდინ ჩამოიცვი, ხომ იცი კაცს ყურებიდამ უფრო გაცივდება.

არგ. ოჰ, ჩემო ერთგულო, როგორ გადაგიხადო, რაც შეწუხებასაც მე შენ გაყენებ.

ბელ. (გარეშემო ბალიშებს შემოუწყობს) პატარა ზეზე წამოიწიე, რომ ეს ქვეშ ამოგიდო; ამაზედ დაეყუდები; ეს მეორე გვერდზედ დავდოთ; ეს ზურგს უკან ჩავდოთ; ესეც თავ-ქვეშ დასადებლათ იყოს.

ტუან. (ერთს ბალიშს თავზედ ჩამოაფარებს) ესეც იმისთვის, რომ მაღლიდამ ნამძა არ დაჰკრას.

არგ. (წამოხტება და ტუანეტას ბალიშების სროლას დაუწყებს. ტუანეტა გაიქცევა) გინდა, დამახრჩო მე უნამუსო!

## გამოსვლა მერვე

არგანი და ბელინა.

ბელ. ეს რა არის, რა ამბავია?

არგ. (თავის სკამზედ დაეცემა) ოჰ, ოჰ, ოჰ! მეტი აღარ შემიძლიან.

ბელ. რა არის ეგეთი ჭაცეცხლებას. განგებ ხომ არ უქნია.

არგ. შენ ჯერ მაგას არ იცნობ, რა ეშმაკობა გამოუყვა ხელიდან. სული ამომართვა, რვა მინა წამალი და თორმეტი ოყნა მაინც დამჭირდება რომ პატარა სული მოვიბრუნო.

ბელ. დამშვიდდი, ჩემო გვრიტო, ნუღარა ჯავრობ.

არგ. შენა ხარ ჩემი ნუგეში, ჩემო მტრედო.

ბელ. უი შენი გულისა!

არგ. ჩემო სულიკო, მე მინდა შენის სიყვარულის მაგიერი გარდაგიხადო და ანდერძი დაგიმტკიცო.

ბელ. ეგ პირიდან როგორ ამოუშვი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, როგორ გააგონე ეგ ჩემს ყურებს? მარტო ანდერძის ხსენებამ შიშით კანკალს მომაყოლა.

არგ. შენს ნოტარიუსს მაგაზედ მოელაპარაკე?

ბელ. მოველაპარაკე და თანაც მოვიყვანე.

არგ. მაშ შემოაყვანინე.

ბელ. ოჰ, ჩემო სიცოცხლევ, ვისაც კი ქმარი უყვარს, მაგაებზედ როდიღა ფიქრობს.

## გამოსვლა მეცხრე.

იგინივე და დებონფუა.

არგ. აქეთ მობძანდით, ბატონო დებონფუა; სკამი მოიდგით. ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ თქვენ ძალიან პატიოსანი კაცი ბძანდებით და ჩემი ცოლის კაი მეგობარიც. მე მას უკან ამას დავაბარე, რომ თქვენთან ანდერძზედ მოელაპარაკნა.

ბელ. ოჰ, მე მაგაზედ ლაპარაკის ღონე არა მაქვს.

დებონ. თქვენმა მეუღლემ მიამბო თქვენი განზრახვა და სურვილი; მაგრამ მე უნდა მოგახსენოთ, რომ ანდერძით თქვენს მეუღლეს ვერას გადასცემთ.

არგ. რატომ ვითომ?

დებონ. ეგ ჩვეულების წინააღმდეგია. ამ ქვეყანაში წერილი კანონები რომ იყოს, მაშინ სხვაა, მაგრამ პარიჟში და ზოგს იმისთანა ქვეყნებშიაც, სადაც ჩვეულებაა კანონის მაგიერი, ეგ არ შეიძლება და ანდერძი უქმი იქნება. მეუღლეთ თუ ერთმანეთის სიკეთე უნდათ, სიცოცხლითვე უნდა გადასცენ ერთმანეთს ქონება და ესეც მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, თუ ორივენი უშვილონი არიან.

არგ. შეარცხვინოს ღმერთმა მაგისთანა ჩვეულება, რომლითაც ქმარს უშლის თავისი ქონება თავის საყვარელს და მოამაგე ცოლს გადასცეს, მე ჩემს ვექილს დავეკითხები, როგორ უნდა მოვიქცე მაგ შემთხვევაში.

დებონ. ეგ ვექილების საქმე არ არის. ისინი ძალიან მკაცრათ იქცევიან და ასე ჰგონიათ დიდი ბოროტ-მოქმედებაა კანონის გატყურებაო. იმათ ყველაფერი უძნელდებათ და თავიანთ სინიდისს ბრმათ მისდევენ. თქვენ სხვა პირთ უნდა დაეკითხოთ; იმათ, რომელთათვისაც საქმის დაჭერა უფრო ადვილია, რომელთაც მრავალ-გვარი საშუალება აქვსთ კანონის გადასვლისა და აკრძალულის გამართლებისა; იმათ, რომელთაც შეუძლიანთ სიძნელის დამარცხება და ჩვეულების გადაბი-

ჯება. უიმათოთ ვინ იცის, რა დაგვემართებოდა! უნდა კაცმა ყოვე-ლისფერი გაიადვილოს, თუ არა და ჩვენი ხელობა რა ხელობაა.

არგ. ჩემმა ცოლმა მართალი მითხრა თქვენზედ, მოხერხებული და პატიოსანი კაციაო. ახლა, არ შეიძლება, ბატონო, როგორ მო-გახერხოთ, რომ ჩემი ქონება მაგას გადავცე და ჩემს შვილებს გამოვ-წირო.

დემონ. როგორ მოახერხოთ? თქვენ უნდა ამოირჩიოთ თქვე-ნის ცოლის ერთი კარგი მეგობარი, რომელსაც წესიერათ დაუმტკი-ცებთ ანდერძით, რისაც მიცემა გინდათ: ის მეგობარი მასუკან ყო-ველისფერს დაუბრუნებს თქვენს ცოლს. შეგიძლიანთ კიდევ თქვენი-ფული გასესხოთ და თამასუქები თქვენს ცოლს მისცეთ. შეგიძლიანთ აგრეთვე, სიცოცხლითვე ჩააბაროთ ნაღდი ფული.

ბელ. რაზედ იწუხებ თავსა, ჩემო სიცოცხლევ. თუ ღმერთი გამიწყრება და შენ აღარ მეყოლები, რიღასთვის ვიცოცხლო ქვეყანა-ზედ!

არგ. ჩემო სიცოცხლევ!

ბელ. შენი დამკარგავი......

არგ. ჩემო გვრიტო!

ბელ. რაღათ გამოვიყენებ ამ ფუჭს სიცოცხლეს.

არგ. ჩემო მტრედო!

ბელ. მე საფლავში თან ჩამოგყვები; მე უშენოთ როგორღა გავძლებ!

არგ. გულს ნუ მიხეთქავ, შენ გეთაყვანე.

დემონ. ტყუილათ იწუხებთ თავს ტირილით; ჯერ სატირალი არა გაქვსთ რა.

ბელ. ოჰ, ბატონო, თქვენ არ იცით, რა არის საყვარელი ქმარი ქალისთვის.

არგ. თუ მოვკვდები, დარდათ მხოლოთ ეს ჩამყვება, რომ შენ-გან შვილი არა მყავს; მაგრამ პიურგონმა კი მითხრა, რომ ერთს მაინც უეჭველათ გაყოლებთო.

**დებონ.** ჯერ კიდევ არ დავგვიანებულა.

**არგ.** მაშ ჩემო გვრიტო, როგორც ეს ბატონი ბძანებს ისე შევადგინოთ ანდერძი. ეხლავე ხელში შვიდასი თუმნის ოქროს მოგცემ, ჩემს მუთაქაში მაქვს ჩადებული და ორს თამასუქს, ერთს დამონზედ და მეორეს ჯერანტზედ.

**ბელ.** არა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მე არაფერი არა მინდა რა... რამდენი ოქროა შენს მუთაქაში?

**არგ.** შვიდასის თუმნისა, ჩემო გვრიტო.

**ბელ.** რა დროს ფულზედ ლაპარაკია, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... რამდენისაა ის ორი თამასუქი.

**არგანი.** ერთი ორასის თუმნისა და მეორე ას-ოც-და-ათისა.

**ბელ.** რა არის ჩემთვის მთელი ქვეყნის ქონება, თუ შენ არ მეყოლები.

**დებონ.** გნებავთ, ანდერძი შევადგინოთ.

**არგ.** დიახ, ბატონო; მაგრამ ისა სჯობს ჩემს პატარა ოთახში შევიდეთ; ჩემო კუწო, ხელი მომეცი:

**ბელ.** წავიდეთ, შენი ჭირიმე.

## გამოსვლა მეათე.

ანჯელიკა და ტუანეტა.

**ტუან.** ნოტარიუსიც მოუყვანიათ და ანდერძზედ ლაპარაკსაც ყური მოვკარ. შენს დედინაცვალს ჭკუას ვერავინ ასწავლის. რაღაც შეთქმულება გაუმართავს შენს წინააღმდეგ და მამა-შენიც ჩაუთრევია.

**ანჯ.** ქონებას რაც უნდა უყონ, ოღონდ ჩემს გულს დაეხსნან. ხომ ხედავ, ტუანეტა, ჩემს სურვილს როგორ ძალდას ატანენ. ნუ დამანებებ თავს ამ უკიდურესს მდგომარეობაში.

**ტუან.** მე შენ უნდა თავი დაგანებო! ეი, უწინამც დღე დამელიოს. შენი დედინაცვალი კი ცდილობს თავისკენ მიმიმხროს, მაგრამ

მე იმისკენ გული ვერ მიმივა და ვერც შენ გიღალატებ. მე მომანდე ეგ საქმე: მე ვიცი რა სამსახურსაც გაგიწევ. მაგრამ, თუ გვინდა, რომ საქმე კარგათ მოგვიხდეს, უნდა სხვაფრივ მოვიქცე; ჩემგან შენი სიყუვარული დავფარო და ისე ვაჩვენო თავი, ვითომც შენი დედინაცვლის მხარე მეჭიროს.

ანჯ. ეცადე, გეთაყვა, რომ კლეანტს ამ საქმის ამორჩევის ამბავი შეატყობინო.

ტუან. არ ვიცი ვინ გაგვგზავნო; ისევ ჩემს ბებრუცანა საყვარელს თუ გავგზავნი. ამაღამ გვიან იქნება; ხვალ კი სისხამ დილაზედ...

## გამოსვლა მეთერთმეტე.

იგინივე და ბელინა (სცენის უკან).

ბელ. ტუანეტა!

ტუან. აგერ ის მიძახის. ღამე მშვიდობისა. შენ ფიქრი ნუ გაქვს.

# მოქმედება მეორე

## გამოსვლა პირველი.

კლეანტი და ტუანეტა.

ტუან. რა გნებავთ, ყმაწვილო?

კლეან. რა მნებავს?!

ტუან. ოჰ, თქვენა ბძანებულხართ; აქ რამ მოგიყვანათ?

კლეან. მე იმან მომიყვანა, რომ მინდა ჩემი ბედი შევიტყო, ჩემს საყვარელს ანჟელიკას ველაპარაკო, დავეკითხო იმის გულს და ვათქმევინო, რას ფიქრობს ამ გათხოვებაზედ. ეს არის ეხლა შევიტყე მე ეგ საშინელი ამბავი.

ტუან. დიახ, კარგი, მაგრამ ანჟელიკასთან ლაპარაკი აგრე ადვილი არ გახლავთ; უნდა სხვა გზა მონახოს კაცმა; ხომ იცით, მწარეთ გამომწყვდეული ჰყავთ; არც კარში უშვებენ და არც არავისთან ალაპარაკებენ. ერთს ამის ბებერს მამიდას რომ არ მოენდომა თეატრში წასვლა და ანჟელიკას თან წაყვანა; თქვენ ერთმანეთს ვერ შეხვდებოდით და არც ეგ ცეცხლი გაგიჩნდებოდათ გულში. რაღა თქმა უნდა, რომ იმ ამბავზედ კრინტიც არ დაგვიძრავს.

კლეან. მე ხომ ჩემს მაგივრათ არ მოვდივარ, რომ სიყვარული გამოვუცხადო. მე ანჟელიკას მუზიკის მასწავლებლის მეგობარი ვარ და იმან ნება დამრთო, იმის მაგივრათ მოვსულვიყავ.

ტუან. აგერ იმისი მამა; პატარა უკან დადექით; მე ვეტყვი მუზიკის ოსტატია მეთქი.

## გამოსვლა მეორე.

არგანი და ტუანეტა.

არგ. (თავის-თავი მარტო ჰგონია.) პიურგონმა მიბძანა ყოველ დილით შენს ოთახში ისეირნეო; თორმეტჯერ გაიარე და თორმეტჯერ გამოიარეო; მაგრამ ის რომ ვერა ვკითხე, სიგძეზედ უნდა გავიარო, თუ სიგანეზედ.

ტუან. ბატონო, აგერ ერთი......

არგ. ხმა-დაბლა ილაპარაკე, შე ბრიყვო! ლამის თავი გამომილაყო. ეგ როგორ არ იცი, რომ ავათ-მყოფს აგრე არ უნდა დაუღრიალო!

ტუან. მე უნდა მომეხსენებინა, ბატონო, რომ....

არგ. ხმა-დაბლა მეთქი, მე შენ გეუბნები.

ტუან. ბატონო. (ვითომ ყურში უჩურჩულებს.)

არგ. როგორა?

ტუან. მე მოგახსენეთ, რომ; (კიდევ ყურთან ტუჩებს მიიტანს და აცმაცურებს.)

არგ. რაო, რას ამბობ?

ტუან. (მაღლა.) მე ვამბობ, რომ ერთს კაცს თქვენთან ლაპარაკი უნდა.

არგ. მოვიდეს. (ტუანეტა კლეანტს შემოსვლას ანიშნებს.)

## გამოსვლა მესამე.

იგინივე და კლეანტი.

კლეან. ბატონო......

ტუან. ეგრე მაღლა ნუ ლაპარაკობთ, — პატრონს თავს ნუ გამოუღაყებთ.

კლეან. მადლობა ღმერთს, ბატონო, რომ ფეხზედ გხედავთ და ეგრე კარგათ ბძანდებით.

ტუან. (ვითომ ჯავრობს.) როგორ თუ კარგათა ბძანდებს! სრულებითაც არა ბძანდება კარგათ; სულ ავათ-მყოფობს.

კლეან. მე კი გავიგონე, რომ ძალიან კარგათა ბძანდებაო; ფერიც ძალიან კარგი აქვს.

ტუან. ვინ გითხრათ კარგი ფერი აქვსო? ძალიან ცუდი ფერი აქვს; ეგ ვიღაცა მეტიჩარაებს მიუქარავთ და უთქვამთ, კარგათ არისო; ეს თავის დღეში ესე ავათ არა ყოფილა.

არგ. მართალს ამბობს.

ტუან. მართალია, სხვასავით დადის, სძინავს, სჭამს და სვამს, მაგრამ მაინც ძალიან ავათ არის.

არგ. სწორეთ მართალია.

კლეან. ძალიანა ვწუხვარ მაგისთვის, ბატონო. მე თქვენის ქალის სიმღერის მასწავლებელმა გამომგზავნა; თითონ იმას რამდენიმე დღით სოფელში წასვლა მოუხდა და, რადგან იმისი გულითადი მეგობარი ვარ, თავის მაგიერათ დამნიშნა, რომ სწავლება არ შეჩერდესო და რაც იცის თქვენმა ქალმა, არ დაივიწყოსო.

არგ. ძალიან კარგი. (ტუანეტას). ანჟელიკას დაუძახე.

ტუან. მე მგონია, ის ეჯობინება, ეს ბატონი იმის ოთახში წავიყვანო.

არგ. არა, აქ მოიყვანე.

ტუან. თუ ცალკე არ იქნებიან, კარგათ ვერ ასწავლის.

არგ. ვითომ რატომაო?

ტუან. თქვენ სიმღერა ტკუილათ თავს გაგიბრუებთ; თქვენს მდგომარეობაში მყოფს კაცს სიფრთხილე მართებს, არამ აღელვოს, ტვინი არამ შეურყიოს.

არგ. მაგის ფიქრი ნუ გაქვს. მე მუზიკა მიყვარს და უფრო მესიამოვნება... აგერ თითონვე მოდის. (ტუანეტას). წადი, ნახე, ჩემი ცოლი ჩაცმულია, თუ არა.

## გამოსვლა მეოთხე.

არგანი, ანჯელიკა და კლეანტი.

არგ. აქ მოდი, შვილო; შენი მუზიკის ოსტატი სოფელში წასულა და ეს ყმაწვილი გამოუგზავნია თავის მაგიერათ.

ანჯ. (კლეანტს იცნობს). ღმერთო!

არგ. რა იყო, რამ გაგაკვირვა?

ანჯ. მე……

არგ. რა მოგივიდა, რომ ეგრე აღელდი.

ანჯ. ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ამაღელვა.

არგ. როგორაო?

ანჯ. მე წუხელის სიზმარში ვნახე, რომ საშინელს გაჭირვებულს მდგომარეობაში ვიყავ; ერთი ყმაწვილი-კაცი მოვიდა, რომელიც სრულებით ამათა ჰგავდა. მე ვთხოვე იმას შეწევნა და იმან დამიხსნა იმ მწუხარებიდამ. აქ რომ შემოველ, მე გამაკვირვა იმისმა მოულოდნელმა დანახვამ, რომელიც მთელი ღამე თვალ-წინ მიდგა.

კლეან. დიდი ბედნიერებაა კაცისათვის, რომ თქვენ იმაზედ ფიქრობდეთ, თუნდა ძილში, თუნდა ცხადათ და ჩემს ბედს ქვეყანას შევანატრულებდი, რომ რომელსამე მწუხარებაში გნახოთ და თქვენის დახსნის ნება მომეცეს; არაფერს არას დავზოგავდი თქვენს…

## გამოსვლა მეხუთე.

იგინივე და ტუანეტა.

ტუან. ეხლა, ბატონო, მეც თქვენი მხარე მიჭირავს; რაც გუშინ გითხარით, ყველაფერი გადამითქვამს. თქვენს სანახავათ მობძანდენ ბატონი დიაფუარიუსი — მამა და მეორე ბატონი დიაფუარიუსი — შვილი. ოჰ, რა სიძე გეყოლებათ! თქვენ ნახავთ უმშვენიერესს და უგონიერესს ყმაწვილ-კაცს; მართალია, ორის სიტყვის მეტი კი არ

უთქვამს, მაგრამ მაინც აღტაცებაში მომიყვანა; თქვენს ქალსაც მა-ლიან მოეწონება.

ᲐᲠᲒ. (კლეანტს, რომელიც წასვლას დააპირებს). აქ დარჩით, უმა-წვილო. მე ჩემს ქალს ვათხოვებ და ეხლა მაგის საქმრო მოუყვანიათ, რომელიც მაგას ჯერ არ უნახავს.

ᲙᲚᲔᲐᲜ. დიდათ მავალებთ, ბატონო, რომ ნებას მაძლევთ, და-ვესწრა მაგათ ერთმანეთთან შეყრას.

ᲐᲠᲒ. ის არის შვილი ერთი სანაქებო ექიმისა; ქორწილიც ამ ოთხს დღეზედ მოხდება.

ᲙᲚᲔᲐᲜ. დიახ, კარგი.

ᲐᲠᲒ. მაგის მუზიკის მასწავლებელსაც შეატყობინეთ ეს ამბავი, რომ ქორწილში აქ დაესწროს.

ᲙᲚᲔᲐᲜ. ბატონი ბძანდებით.

ᲐᲠᲒ. აგრეთვე თქვენცა გთხოვთ, მობძანდეთ.

ᲙᲚᲔᲐᲜ. ღირსი არ გახლავართ მაგ პატივისცემისა.

ᲢᲣᲐᲜ. ჩამოდექით, მობძანდებიან.

## ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

დიაფუარიუსი, თომა დიაფუარიუსი, არგანი, ანჟე-ლიკა, კლეანტი, ტუანეტა და ერთი მოსამსახურე.

ᲐᲠᲒ. (ქუდზედ ხელს დაიდებს, მაგრამ კი არ მოიხდის.) პიურგონ-მა ამიკრძალა ქუდის მოხდა და თქვენც მოგეხსენებათ, როგორც ექიმს, რა შედეგი მოსდევს თავის გაშიშვლებას.

ᲓᲘᲐᲤ. ჩვენ იმიტომ დავდივართ, ავათ-მყოფებს შევეწიოთ და არა იმიტომ, რომ უსიამოვნობა მივაყენოთ.

(არგანი და დიაფუარიუსი, ორივენი ერთსა და იმავე დროს ლაპარა-კობენ).

ᲐᲠᲒ. მე, ბატონო, დიდათ,

ᲓᲘᲐᲤ. ჩვენ მოვედით აქ, ბატონო,

ႠႰႢ. მოხარული ვარ.

ႣႨႠႴ. მე და ჩემი შვილი თომა,

ႠႰႢ. თქვენის ნახვისა;

ႣႨႠႴ. რათა აღვიაროთ

ႠႰႢ. და უფრო მოხარული ვიქნებოდი,

ႣႨႠႴ. ჩვენი უზომო სიხარული

ႠႰႢ. შემძლებოდა თქვენთან ხლება,

ႣႨႠႴ. იმ წყალობისთვის,

ႠႰႢ. რომ გადამეხადა თქვენი პატივისცემა;

ႣႨႠႴ. რომელიც თქვენ ჩვენ მოგვანიჭეთ

ႠႰႢ. მაგრამ თქვენ თითონ იცით, ბატონო,

ႣႨႠႴ. და ინებეთ

ႠႰႢ. რა არის უძლური ადამიანი,

ႣႨႠႴ. ჩვენთან კავშირი,

ႠႰႢ. რომელსაც იმის მეტი არა შეუძლიან რა,

ႣႨႠႴ. და რათა გაცნობოთ,

ႠႰႢ. რომ სიტყვით მოგახსენოთ,

ႣႨႠႴ. რომ რაც ჩვენს ხელობას შეეფერება

ႠႰႢ. როგორც ეცდება ყოველს შემთხვევაში,

ႣႨႠႴ. და აგრეთვე სხვა ყოველს საქმეს

ႠႰႢ. გაცნობოთ

ႣႨႠႴ. ჩვენ მზათ ვიქნებით

ႠႰႢ. მისი თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა.

ႣႨႠႴ. თქვენის სამსახურისა. (თავის შვილს) აბა, თომა, რაღას უყურებ, სალამი მიართვი.

ႧႭႫႠ. (თავის მამას) ჯერ მამას ვუთხრა?

ႣႨႠႴ. დიახ.

ႧႭႫႠ. (არგანს) მე მოვედი, რათა გიწამოთ, აღვიაროთ, შეგიყვაროთ და თაყვანს გცეთ, ვითარცა მეორესა მამასა-ჩემსა, მეორესა მამასა, რომლისადმი მაწევს მე ვალი მომეტებული, ვიდრე პირ-

ვქლისად მე, რადგან პირველმა მე ჩამსახა და თქვენ ამომირჩიეთ. მან მე მიმიღო შვილათ ძალითა საჭიროებისათა და თქვენ მიმიღეთ ძალითა წყალობისა თქვენისათა; რაიცა მომანიჭა მე პირველმან, მომანიჭა, ვითარცა ნამყოფსა სხეულისა მისისასა; რაიცა მომანიჭეთ მე თქვენ, მომანიჭეთ, ვითარცა ნამყოფსა ნებისა თქვენისასა და ვითარცა ნიჭიერებანი სულიერნი აღემატებიან ნიჭიერებათა ხორციელთა, ეგრეცა ვარ მე ვალდებულ თქვენდა და ვრაცხ უძვირფასესათ მომავალსა კავშირსა ჩვენსა, რომლისათვისაც მოველ წინაშე თქვენსა, რათა განვიცხადოთ მადლობა უმდაბლესი და პატივისცემა უაღრესი.

ტუან. გაუმარჯოს იმ შკოლას, საიდანაც ამისთანა სწავლულები გამოდიან.

თომა. (თავის მამას) კარგათა ვსთქვი, მამა?

დიაფუარ. ძალიან კარგათ.

არგ. (ანჟელიკას) მიდი მიესალმე.

თომა. (თავის მამას) მამილო, ვაკოცო?

დიაფუარ. დიახ, დიახ.

თომა. (ანჟელიკას) სრულის სიმართლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახელი დედი-ნაცვლისა; რადგან...

არგ. (თომას) ეგ ჩემი ცოლი არ გახლავთ, ჩემი ქალია.

თომა. ის სადღაა?

არგ. ეხლავ მოვა.

თომა. მოვუცადო, მამილო?

დიაფუარ. ჯერ მაგ ქალს მიესალმე.

თომა. ვითარცა ძეგლი მემნონისა გამოსცემდა ხმათა, სმენათა დამატკბობელთა, ოდეს სხივნი მზისანი განანათლებდენ მას ეგრეცა აღვტყინდი მე აღტაცებითა ტკბილითა, რა ვიხილე მზე მშვენიერებათა თქვენცა და ვითართა მეცნიერნი ბუნებისანი ამტკიცებენ, რომ ყვავილი, სახელწოდებული მზეო-შვრიტათ, მიქცეულ არს დღისა მნათობისადმე, ეგრეცა გული ჩემი აწინდელის ჟამით მიქცეულ იქმნეს ბრწყინვალე მნათობთადმი თვალთა თქვენთა განსაცვიფრალთა, ვი-

თარცა მიზიდულნი ძალითა ანდამატისათა. მომეცით დართვა ნებისა, რათა შემოგწიროთ მსხვერპლათ საკურთხეველსა ზედა თქვენის მშვენიერებისასა გული ესე, რომელ არა სუნთქავს და არ ეძიებს. არა რაიმე დიდებასა სხვასა, თვინიერ მისა, რათა იყოს დღედმდე სიკვდილისა თქვენი უმორჩილესი, უმდაბლესი და ერთგულესი მონა, მოსამსახურე და ქმარი თომა.

ტუან. აი სწავლა ამან დაიკვეხოს; აი დალოცვილი სიტყვები!

არგ. (კლეანტს) რას იტყვით ამაზედ?

კლეან. საოცრათ ლაპარაკობს და თუ ეგ უმაწვილი ისეთივე კარგი ექიმია, როგორც ორატორი, ნეტავი მაგის ავათმყოფებს.

ტუან. თუ ისე კარგათ არჩენს, როგორც ლაპარაკობს, გასაკვირველი რამ უნდა იყოს.

არგ. მომეცით ჩემი სკამი და სხვებსაც სკამები მოართვით. (მოსამსახურეები სკამებს მოიტანენ. აჯელიკას) მანდ დაჯექ, შვილო, (დიაფუარიუსს) ხედავთ ბატონო, როგორ მთელი ქვეყანა აღტაცებაში მოჰყავს თქვენს შვილს; ბედნიერი ხართ, რომ ეგეთი შვილი გყავთ.

დიაფუარ. მე მამობით კი არ ვიტყვი. მაგრამ ძალიან კმაყოფილი ვარ მაგისი. ვინცა ნახავს ყველა ამბობს, ავი არ უნდა იყოსო. მართალია, ცოცხალი გონება არა აქვს, მაგრამ ეგ უფრო ამტკიცებს, რომ გამჭრიახობა არ აკლია, რომელიც ჩვენის ხელობისათვის საჭიროა. პატარაობისას ეგ ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი არ იყო; იყო თავისთვის ჩუმათ და მშვიდობიანათ, ხმას არ იღებდა და არც ბავშვების თამაშობაში ერეოდა; კითხვა ძლივს ასწავლეს; ცხრა წლისას ძლივს შეეძლო ასოების ცნობა. მე ვფიქრობდი ეს ურიგო არ არის; ნაგვიანევი ხე ნაყოფს უფრო ბევრს მოიტანს მეთქი; მარმარილოზედ უფრო ძნელია ამოჭრა, ვიდრე ქვიშაზედ დაწერა, მაგრამ ნაწერი იქ უფრო დიდხანს დარჩება მეთქი; მძიმე ხასიათი და გონების სისუსტე იმის ნიშანია, რომ შემდეგში სჯას კარგათ შეიძლებს. შკოლაში რომ მივეც ჯერ გაუძნელდა სწავლა, მაგრამ სიძნელეს შეებრძო და ზედამხედველები ყოველთვის მიქებდენ მაგის გულის ყურს და

შრომის მოყვარეობას. იოლოს ბევრის ტანჯვითა და წვალებით კურსის გათავების მოწმობა მიიღო და უკვეხრათ მოგახსენებთ, რაც ეს ორი წელიწადია ექიმობასა სწავლობს, მაგას ლაპარაკში ვერავინ აჯობებს. მეცნიერებაზედ ბაასის დროს ჩვენს შკოლაში ყველას მაგისი ეშინიანთ და ისეთი ბაასი არ გამართულა, რომ ეგ ძალდაძალ წინააღმდეგს არ ამტკიცებდეს. ეგ მტკიცეა სჯაში; რასაც ჩააცივდება, აღარ მოეშვება და ყოველს სჯას ლოღიკის უკანასკნელს კუთხემდე მიიყვანს. მაგრამ მე ეს მომწონს მაგაში და იმითი მგავს მე, რომ ყოვლისფერში ბრმათ მისდევს ჩვენთა წინაპართ სწავლას; ყურში არ შეუშვებს ხოლმე სიტყვას, როდესაც ჩვენის დროის რაღაც ახალს აღმოჩინებაზედ ლაპარაკობენ, მაგალითად, სისხლის ბრუნვაზედ და სხვა ოცნობილო ამბებზედ.

**თომა.** (ამოიღებს ერთს დიდს სიგრძელივით გძელს ქაღალდს და ანჯელიკას აძლევს) მე შევებრძვე სისხლის ბრუნვის მომხრეთ ამ ქაღალდის ძალით და თუ სურვილი გექნებათ, (არგანს თავს დაუკრავს) მე წარვუდგენ ამას თქვენს ასულს, როგორც ჩემის გონების პირველს ნაყოფს ნიშნათ ღრმა პატივისცემისა.

**ანჯელ.** ბატონო, ეგ რათ გამოვიყენო, რა საჭიროა ჩემთვის?

**ტუან.** (ქაღალდს გამოართმევს) მომეცით, მომეცით, მე მაგას გამოვაყენებ.

**თომა.** (არგანს თავს დაუკრავს და მერე ანჯელიკას ეუბნება) თუ დაგრთავთ ნებას მამა თქვენი, გთხოვთ, მობძანდეთ ამ დღეებში დროს გასატარებლათ, როდესაც გავჭრი გვამსა ერთის ქალისასა და ვიწყებ სჯასა მაზედ

**ტუან.** კაი შესაქცევს ალაგს გპატიჟობს; ზოგს თავის საყვარელი თეატრში მიჰყავს, მაგრამ ეგ უფრო დიდკაცურია, მკვდარის ადამიანის გაჭრაზედ წაიყვანოს.

**დიაფ.** რაც შეეხება ცოლქმრობისათვის და გვარის გასამრავლებლათ საჭირო თვისებას, მე გარწმუნებთ, რომ უკეთესი არ უნდა.

მაგას აქვს საკმაო ძალა შვილთა გაჩენისა და ისეთი ხასიათისაა, რომ სწორეთ კარგათ შეიძლებს საღის შვილების გამრავლებას.

ႠႰႢ. თქვენ ფიქრობთ, მგონი, თქვენს შვილს სასახლის ექიმის ალაგი უშოვნოთ.

ႣႨႠႴ. უნდა გაგიტყდეთ, მე არ მომწონს დიდებული ხალხის ექიმობა; მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავ, რომ ისევ დაბალ ხალხში დარჩენა სჯობს. დაბალი ხალხი ჩუმია; თქვენს მოქმედებას ვერავის გაჰკიცხავს; ოღონდ მეცნიერების წესს მისდიოს კაცმა და რაც უნდა მოხდეს, ის არ არის პასუხის მგები. დიდებულებთან კი ეს არის ძნელი, რომ როცა ავათ გახდებიან, გინდა თუ არა, უნდა მოარჩინო.

ႲႳႠႬ. კაი პატრონები ბძანებულან; დიდი თავხედობაა, გინდა თუ არა, მომარჩინეო; განა მაგისთვისა ხართ დანიშნული თქვენი საქმე ჯამაგირის აღება და რეცეპტების წერაა: მასუკან თუ უნდათ, მორჩნენ.

ႣႨႠႴ. სწორეთ ამბობს. ჩვენი მოვალეობა ავათ-მყოფის მოვლაში ის არის, რომ წესი და რიგი არ დავარღვიოთ.

ႠႰႢ. (კლეანტს) ასლა ჩემს ქალს სტუმრების წინ არ ამღერებ?

ႩႪႤႠႬ. მე თქვენს ბძანებას ველოდი. მე აზრათ მომივიდა, რომ თქვენს შესაქცევათ ერთი პატარა ოპერიდამ ვიმღეროთ მე და თქვენმა ქალმა. (ანჯელიკას ქაღალდს მისცემს) აი თქვენი სათქმელი.

ႠႬႿႤႪ. ჩემი?

ႩႪႤႠႬ. (დაბლა ხმით ანჯელიკას) უარს ნუ იტყვი, თუ ღმერთი გწამს; ახლავ გეტყვი, რაც უნდა იმღერო. (ხმა მაღლა) მე სიმღერისთვის თუმცა ხმა არა მაქვს, მაგრამ კმარა სიტყვაში წარმოვსთქვა და ქალი ისე მიპასუხებს.

ႠႰႢ. ლექსი კარგია?

ႩႪႤႠႬ. ეს გახლავთ პატარა, საჩქაროთ შედგენილი ოპერა; ლექსები ლექსებს არა ჰგვანან, რადგანაც ისინი არიან უცბათ სიყვა-რულისაგან ჩაგონებულნი.

ႠႰႢ. ძალიან კარგი; აბა ვნახოთ.

ᲙᲚᲔᲐᲜ. აი ოპერის შინაარსი: ერთი ღრმათ ჩაფიქრებული მწყემსი უცქერის ერთს წარმოდგენას; უცებ რაღაც ხმაურობა აფხიზლებს; ის მიიხედავს, დაინახავს ერთს ბრიყვს კაცს, რომელიც ერთს მწყემსს ქალს უკადრისი სიტყვებით უპატიურებას აყენებს. ის მიეშველება ქალსა, რადგან ყველანი ვალდებულნი ვართ ქალს პატივი ვცეთ; ჯეროვანათ სჯავს იმ ბრიყვის უგვანობას და შემდეგ მიუახლოვდება ქალსა; ხედავს ერთს ახალგაზრდა ქმნილებას, რომელიც მშვენიერის თვალებით აფრქვევს მარგალიტის მსგავსს ცრემლებს; განა ამისთანა მშვენიერების შეურაცხება იქნებათ: ვინ იქნება ისეთი ბარბაროსი, რომ ამისმა ცრემლმა გული არ აღუძრასო, ფიქრობს ისა; ცდილობს შეუშროს ეს ცრემლები. მშვენიერი ქალი უმადლის იმ გარჯისთვის ისე ნაზათ, ისეთის აღელვებით და ისეთის გულკეთილობით რომ მწყემსს გულში იმისი სიყვარული ეგზნება; ქალის ყოველი სიტყვა, ყოველი შეხედვა არის სიყვარულის ალის მომდები ისარი, მწყემსის გულის გამგმირი. რა შეედრებათ ქალის მადლობის სიტყვებს; რას არ მოითმენს კაცი, რა შიშსა და სასჯელს არ აიტანს სიხარულით, თუ ერთს წუთსაც არის ამ მშვენიერის ქალისაგან მადლობის სიტყვებს გაიგონებსო? წარმოდგენა თავდება, მაგრამ მწყემსი იმას ყურს აღარ უგდებდა; ის ნანობს მხოლოთ, რომ ასე მალე გათავდა და უნდა გაშორდეს იმ საგანგებო ქალს. ამ პირველმა ნახვამ ისეთი ცეცხლი აუნთო გულში, რომ რამდენიმე წელიწადის ცხარე სიყვარული ვერ აღუნთებდა. აგერ იგრძნო მწყემსმა განშორების მწუხარება; იტანჯება რომ ვეღარა ნახავს იმას, რომლის ნახვაც ისე ცოტას ხნით ეღირსა; ცდილობს, რითაც შეუძლიან, მეორეთ ნახვის ღონე მოიპოვოს; დღე და ღამე იმისი სახე თვალწინ უდგას. მაგრამ იმ ქალზედ ისეთი თვალყური უჭირავთ, რომ ნახვა შეუძლებელია. სიყვარულის ძლიერება აბედვინებს იმის ცოლათ თხოვნას, რადგან უიმისოთ სიცოცხლე აღარ შეუძლიან, ქალი ბარათით ატყობინებს, რომ ის თანხმაა, მაგრამ იმავე დროს სხვა მხრით ეუბნებიან, რომ იმ მშვენიერების მამას გადაწყვეტილი აქვს თავისი ქალი სხვას მიათხოვოს და ყოველისფერი მზათ არის საქორწილოთ. რა საზარელი ხვედრი ელის მწყემსსა?! სევდა და

მწუხარება მიწასთან ასწორებს; იმას ვერ წარმოუდგენია ეს საშინელი აზრი, რომ იმისი ქვეყნიერი საუნჯე სხვის ხელში უნდა ჩავარდეს. განწირულებით შეპყრობილი ის ჰპოულობს ღონეს თავის საყვარლის სახლში შესვლისას, რომ შეიტყოს იმისი გრძნობა და თავისი ბედი; ის ხედავს, რომ ყოველისფერი მზათ არის იმ საშინელი ქორწინებისთვის; ის ხედავს იქ იმ უღირსს მოცილეს, რომელსაც ქალის ჭირვეული მამა მწყემსის სიყვარულს წინ უყენებს; ის ხედავს თავის სასაცილო მოცილეს ძლევა მოსილს თავის საყვარლის გვერდით, ხედავს, რომ გამარჯვება იმისია და ეს ისე აბრაზებს, რომ თავი ძლივსღა შეუმაგრებია; ის მწუხარებით შესცქერის თავის საყვარელს; იმისი პატივისცემა და იმის მამის რიდი უშლის სიტყვით გამოთქმას, მხოლოთ თვალებით ლაპარაკობს. ბოლოს თავის შემაგრებას თავს ანებებს და სიყვარულით აღტაცებული ამას ამბობს.

(მღერის)

ნუღარ მტანჯავ, მშვენიერო ფილისა,
გადმიშალე მე შენი ტკბილი გული;
მითხარ რამე ჩემის ბედის-წერისა,
რა მომელის, სიცოცხლე, თუ სიკვდილი?

ანჯ. (მღერის). შენ მე მხედავ, ტირსის, მოცულს სევდითა,
ამ ბედ-კრულის ქორწინების მაცქერალს;
ცას შევყურებ ცრემლიანის თვალითა;
შენ არა გრძნობ ჩემის მწველის ცეცხლის ალს?

არგ. ოჰო, არ მეგონა, ჩემი ქალი ესეთი მარჯვე იყო; საცა არ გადუმღერი, მღერის.

კლეან. ოჰ, ვინ მისცემს მაგ ბედს მიჯნურს ტირსისსა,
რომ შენს გულში ჰქონდეს მცირე ადგილი!

ანჯ. არ ვუმალავ ამას აღარავისა;
შენ მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი წადილი.

კლეან. ეს რა სიტყვა გავიგონე მე დღესა?!
ჩემს ყურებსა ნუ თუ დაეჯერება!
ერთხელ კიდევ გამაგონე, ფილისა,
ამაცილე ეჭვისა მწუხარება.

ანჯ. დიახ, ტირსის, დიახ მე შენ მიყვარხარ!

კლეან. ერთხელ კიდევ, თუ ღმერთი გწამს! კიდევ სთქვი.

ანჯ. დიახ, ტირსის, დიახ მე შენ მიყვარხარ.

კლეან. ჩემს ბედს ეხლა არარა შეედრება;
ქვეყნის მეფე და ღმერთი რას მიქვია!
მაგრამ ესე ალტაცება მიქრება,
რადგან გვერდზედ მოცილე მომდგომია,

ანჯ. ეგ მოცილე ჟამსავით მეჯავრება;
მაგის ხედვა ჩემთვის დიდი ჭირია.

კლეან. მამა-შენს სურს მაგისი მითხოვება.

ანჯ. მაგის ქმრობას სიკვდილი მირჩევნია,
მაგის ქმრობას სიკვდილი მირჩევნია.

არგ. მერე მამა მაგაზედ რაღას ამბობს?

კლეან. არაფერს.

არგ. ჭკვიანი მამა კი ყოფილა, თუ მაგ სულელური ლაპარაკის ნებას აძლევს.

კლეან. ეჰა, ჩემო საყვარელო......

არგ. კმარა, კმარა! ეგ ამბავი დიდი სიმხეცე და სისულელეა. მწყემსი ტირსისი დიდი ბრიყვი ყოფილა და ფილისა ურცხვი და უნამუსო, რომ თავის მამის წინ მაგაებს ბედავს. (ანჯელიკას). მაჩვენე ეგ ქაღალდი. სად არის ეგ სიტყვები დაწერილი, ეხლა რომ ამბობდი; აქ ნოტების მეტი არა არის რა.

კლეან. ეგ არ იცოდით, ბატონო, რომ ამ უკანასკნელს დროს ნოტების წერასაც ახერხებენ.

არგ. კარგი, კარგი, ბატონო. მშვიდობით ბძანდებოდეთ. ნახვამ-

დის. ჩვენ ისეც არა გვიჭირდა რა, თქვენი ახირებული ოპერა რომ არ გაგვეგონა.

კლეან. მე თქვენს შესაქცევათ მოგახსენეთ.

არგ. სისულელე არაფერი შექცევაა. აგერა ჩემი ცოლიც.

## გამოსვლა მეშვიდე.

იგინივე და ბელინა.

არგ. აი, ჩემო საყვარელო, ბატონი დიაფუარიუსის შვილი.

თომა. სრულის სიმართლით მოუნიჭებია თქვენთვის ზეცას სახელი დედინაცვლისა, რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა...

ბელ. მე დიდათ მოხარული ვარ, ბატონო, რომ თქვენი გაცნობა მეღირსა.

თომა. რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა... რადგან დახატულ არს სახესა ზედა თქვენსა... სიტყვა შუაზედ გამაწყვეტინეთ და დამავიწყეთ, რისაც თქმა მინდოდა.

დიაფ. თომა, ეგ სხვა დროსთვის დარჩეს.

არგ. ნეტავი, ჩემო სიცოცხლევ, პატარა ადრე მოსულიყავი.

ტუან. დიდათ დააშავეთ, ქალ-ბატონო, რომ აქ არ იყავით და არ გაიგონეთ ლაპარაკი მეორე მამაზედ, მემნონის ძეგლზედ და ყვავილზედ, სახელწოდებულს მზეუჭვრიტათ.

არგ. აბა, შვილო, მიეცი ხელი ამ ყმაწვილს, როგორც შენს ქმარს და შეჰფიცე ერთ-გულობა.

ანჯ. მამა-ჩემო......

არგ. რა მამა-ჩემო, რა გინდა სთქვა?

ანჯ. გთხოვთ, ეგრე ნუ ჩქარობთ; მოგვეცით დრო ერთმანეთის გაცნობისა, რომ ჩვენს გულში დანერგდეს ის სიყვარული, რომელიც საჭირო არის თანხმობის დასამყარებლათ.

თომა. ჩემს გულში ეგ სიყვარული უკვე დანერგილა არის და მოცდა საჭირო აღარ არის.

ანჟ. თუ თქვენ გეჩქარებათ, მე სრულებით არ მეჩქარება და უნდა გაგიტყდეთ, თქვენს ღირსებას ჯერ ეგრეთი შთაბეჭდილება არ მოუხდენია ჩემზედ.

არგ. ეგ ჯერ საჭირო არ არის; როცა ჯვარს დაიწერთ, მაშინ მორიგდებით ერთმანეთში.

ანჟ. მამა-ჩემო, ამასა გთხოვთ, პატარა ვადა მომეცით. ქორწინება ისეთი კავშირია, რომ ამ კავშირით ძალათ შეკვრა არ ვარგა და თუ ეს ყმაწვილი პატიოსანი ბძანდება, არ მოინდომებს ძალათ ვისმეს შერთვას.

თომა. ეგ ლოღიკის წინააღმდეგია. შეიძლება, პატიოსანი ვიყო და მაინც კიდევ თქვენ შეგირთოთ მამი-თქვენის ნებადართვით.

ანჟ. ძალათ თავის შეყვარება კარგი საშუალება არ არის.

თომა. ძველნი მწერალნი მოგვითხრობენ, რომ ძველათ ჩვეულებათ ჰქონდათ სატრფოს ძალით წაყვანა მშობელთ სახლიდამ. იმას იმიტომ ჩადიოდნენ, რომ არავის ჰგონებოდა, ვითომ ის ქალნი ნებით მისდევდნენ საქმროს.

ანჟ. ძველნი თავისთვინ იყვნენ; ჩვენ ახლანდელი ხალხი ვართ; ჩვენს დროში ეშმაკობა და თვალთმაქცობა საჭირო არ არის და როცა მოგვწონს ვინმე, ძალით წაგვრა არ გვეჭირვება. მოითმინეთ, თუ თქვენ მართლა გიყვარვართ, თქვენც ის უნდა გინდოდეთ, რაც მე მინდა.

თომა დიახ, მაგრამ სიყვარული ჩემი არ არის ჩასათვლელი მაგ ანგარიშში.

ანჟ. მაგაზედ იატყობენ სიყვარულს, თუ კაცი საყვარლის ნებას ემორჩილება.

თომა. რაც შეეხება საყვარლის მფლობელობას თანხმა ვარ, რაიცა შეეხება ქალს, უარ მეყვია.

ტუან (ანჟელიკას). ტყუილა ლაპარაკობთ თავს; რათა ატყდენ? ეგ ყმაწვილი ლატინს დაუჩქვევიათ და ლაპარაკში არ ჩამოგივარდებათ

რას ეწინააღმდეგებით და რათ არა გსურთ ეგ დიდება, რომ თქვენც სწავლულებში გარიოთ.

ბელ. იქნება მაგას უყვარს ვინმე.

ანჯ. თუ მე მეყვარება ვინმე, ეს სიყვარული ჭკუისა და პა-ტიოსნების წინააღმდეგი არ იქნება.

არგ. მაშ აქ მე რის მაჩანჩალა ვყოფილვარ!

ბელ. მე რომ შენი ვიყო, ჩემო სიცოცხლე, მაგას ძალით ქმარს არ შევრთავდი. მე ვიცოდი, რასაც ვიზამდი.

ანჯ. მე ვიცი რის თქმაც გინდათ და თქვენს კეთილს გულ-საც ვიცნობ, მაგრამ იქნება თქვენი რჩევის ასრულება საჭირო არ იყოს.

ბელ. დიახ, თქვენისთანა ბრძენი და პატიოსანი ქალი თავის მშობლებს რაღათ დაემორჩილება. (ამოხვრით) ოჰ, უწინ სხვა იყო!

ანჯ. ქალის მოვალეობასაც თავის საზღვარი უძევს; გონებასა და კანონს განა ყველაფერი მორჩილებაზედ დაუფუძნებია.

ბელ. როგორც გატყობ, თქვენ გათხოვება გნებავთ, მაგრამ ამორჩევა კი თქვენზედ უნდა იყოს მოგდებული.

ანჯ. თუ მამა-ჩემი იმას არ შემრთავს, ვინც მე მინდა, ამასა ვთხოვ მხოლოთ, რომ იმას მაინც ნუ შემრთავს, რომელსაც მე ვერ შევიყვარებ.

არგ. მე ბოდიშს ვიხდი თქვენთან, ბატონებო.

ანჯ. ქმრის შერთვის დროს ყველას თავისი სურვილი აქვს. მე ამ საქმეში სიფრთხილე მმართებს, რადგან გაგიტყდებით, თუ მე ქმარს შევირთავ, მხოლოთ იმისთანას, რომ სულითა და გულით შე-ვიყვარო და ჩემი სიცოცხლე იმას შევსწირო. ზოგიერთი ქმარს იმი-ტომ ირთავს, რომ თავის მშობლებისაგან თვალ-ყურის დაჭერას მო-შორდეს და მასუკან, როგორც უნდა, ისე მოიქცეს. არიან კიდევ იმისთანანი, რომელნიც ფულისთვის ირთვენ ქმრებსა, მხოლოთ საქ-ვრივოს ემებენ. ერთი ქმარი მოუკვდებათ, მეორეს ირთვენ, მეორე მოუკვდებათ, მესამეს და ცდილობენ ყველას სარჩოს დაეპატრონონ.

ამისთანა ქალები, უნდა გაგიტყდეთ გარჩევით არავის არჩევენ და ვინც უნდა იყოს, სულ ერთია, ოღონდ ფული კი ჰქონდეს.

ბელ. დღეს თქვენ ენას ძალას ატანთ და კარგი იქნებოდა რომ თქვენი აზრი ბარემ უკლებლათ წარმოგეთქვათ.

ანჯ. მე მარტო იმისი თქმა მინდოდა, რაცა ვთქვი.

ბელ. შენ, ქალ-ბატონო, ისე თავს გახვედი, რომ შენი გაძლება აღარავის შეუძლიან.

ანჯ. გინდათ, მგონი, უკადრისი რამ გაკადროთ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ეგ ცდა ტყუილათ ჩაგივლით.

ბელ. შენმა ურცხვობამ ზომას გადააცილა.

ანჯ. უბრალოთ სცდილობთ.

ბელ. შენს სულელურს ამპარტავნებას, შენს გოროზობას, შენს აშრობას ვეღარავინ ვეღარ მოითმენს.

ანჯ. რაც უნდა სთქვათ, მაინც თქვენს ჯიბრზედ არას გაკადრებთ და თქვენის იმედის გასცრუვებლათ ეხლავ თვალიდამ მოგშორდებით.

## გამოსვლა მერვე.

იგინივე, ანჯელიკას გარდა.

არგ. (ანჯელიკას მიჰყვირებს.) გამიგონე, მეტი აღარ შემიძლიან; ან ეს უმაწვილი უნდა შეირთო ამ ოთხს დღეში, ან მონასტერში გიკრავ თავსა. (ბელინას). შენ ნუ იშფოთებ გულსა, ჩემო სულის დგმავ, მე ვიცი და მაგან.

ბელ. მე დიდათა ვწუხვარ, რომ შენ თავი უნდა დაგანებო, ჩემო სიცოცხლევ, მაგრამ ქალაქში ერთი ძალიან საჭირო საქმე მაქვს; მალე დავბრუნდები.

არგ. წადი, გეთაყვა და ნოტარიუსთანაც შეიარე, უთხარი ის საქმე დააშუროს.

ბელ. მშვიდობით, ჩემო კარგო.

არგ. მშვიდობით ჩემო სიცოცხლევ.

## გამოსვლა მეცხრე

იგინივე, ზელინას გარდა

არგ. აი, ცოლისაგან სიყვარული ქსეთი უნდა! ძნელი წარმოსადგენია, როგორ ვუყვარვარ.

დიაფ. ახლა კი, ბატონო, ჩვენ შინ უნდა გიახლოთ.

არგ. ჯერ ერთი მნახეთ, როგორა ვარ.

დიაფ. (მაჯას უსინჯავს). აბა, თომა, მეორე ხელი შენ გამოართვი და ვნახოთ, რას გვეტყვი ამ მაჯაზედ.

თომა. მე მოგახსენებთ, რომ მაჯა ესე არ არის მაჯა კარგათ-მყოფისა.

დიაფ. კარგი.

თომა. რომ ეს არის უმაგრესი, რათა არა ვთქვათ მაგარი.

დიაფ. ძალიან კარგი.

თომა. მხტომი.

დიაფ. კარგი.

თომა. და ცოტა მოჰნჩხლო.

დიაფ. ძალიან კარგი.

თომა. ესე არს ნიშანი აკათ-მყოფობისა პარენქიმასა შინა სპლენიქურსა, ანუ ელენთასა შინა.

დიაფ. ძალიან კარგი.

არგ. პიურგონმა კი მითხრა ღვიძლი გტკივაო.

დიაფ. დიახ, ვინც ამბობს პარენქიმა, ასახელებს ღვიძლსაცა და ელენთასაცა, რადგან იმათ აქვთ ერთმანეთთან კავშირი მოკლე ლულითა, პილორითა და ლულითა ნაღველისათა. ალბათ ის გირჩევთ შემწვარი მიირთვათ.

არგ. არა, წვნიანის მეტს არას მაჭმევს.

დიაფუარ. შემწვარი, წვნიანი, ეს სულ ერთია; ძალიან კარგათ ურჩევია, უკეთესს ხელში ვერ ჩავარდებოდით.

არგ. ბატონო, რამდენი მარილი უნდა ვუყო ერთს კვერცხსა?

დიაფ. ექვსი გრანი, რვა, ათი, წყვილ-წყვილი რიცხვი, როგორც წამლების მიღებაში კენტის რიცხვით უნდა.

არგ. მშვიდობით ბძანდებოდეთ, ბატონო.

## გამოსვლა მეათე.

არგანი და ბელინა.

ბელინ. მე მინდა, ჩემო სიხარულო, ვიდრე სხვაგან წავიდოდე, ერთი ამბავი შეგატყობინო, რომელზედაც თვალყური უნდა გეჭიროს. ანჟელიკას ოთახის წინ რომ გავიარე, ერთი ყმაწვილი კაცი ვნახე იმასთან; დამინახა თუ არა, მაშინვე მოჰკურცხლა.

არგ. ჩემს ქალთან ყმაწვილი კაცი!

ბელინ. დიახ, შენი პაწია ლუიზონაც იმათთან იყო; ის გიამბობს ყველაფერს.

არგ. ეხლავ აქ გამოგზავნე, ემწუთში. აი ის ურცხვი! (მარტო) ეხლა კარგათ მესმის, უარებს რისთვისაც მეუბნებოდა.

## გამოსვლა მეექვსე.

იგივე და ლუიზონა.

ლუიზ. რა გინდა, მამილო? დედამ მითხრა, მამა გიბძანებსო.

არგ. აქ მოდი; წინ წამოდექი; ასე მობრუნდი; აბა შემომხედე. ეგრე თვალში მიყურე. აბა?

ლუიზ. რაი, მამა?

არგ. აბა?

ლუიზ. რაი?

არგ. შენ მე რაღაც უნდა მითხრა.

ლუიზ. თუ გინდა, მამილო, მე ვირის ტყავის ზღაპარს გეტყვი, ან არა და ყვავისა და მელიის არაკს, გუშინ რომ მასწავლეს.

არბ. მე მაგას არა გკითხავ.

ლუიზ. მა რასა, მამა?

არბ. აი შე ეშმაკის ბარტყო, ვითომ არ იცი რასაცა გკითხავ.

ლუიზ. რაი?

არბ. განა ეგრე უნდა მემორჩილებოდე?

ლუიზ. რაი, მამა?

არბ. მე შენ არ გითხარი, რაცა ნახო, ყველაფერი შემატყობინე მეთქი.

ლუიზ. ჰო, მამა.

არბ. მერე შეასრულე ჩემი ბძანება.

ლუიზ. აკი ყველას გეუბნები.

არბ. დღეს რაღა ნახე?

ლუიზ. არაფერი.

არბ. არაფერი?

ლუიზ. არაფერი.

არბ. მართლა არაფერი?

ლუიზ. ღმერთმანი არაფერი.

არბ. მაშ მე გაჩვენებ შენს სეირს.

ლუიზ. (დაინახავს, რომ არგანი წკეპლის კონას აიღებს) მამილო!

არბ. მაშ არ მეტყვი, ვინ იყო შენის დის ოთახში?

ლუიზ. (ტირილით) მამილო.

არბ. (ლუიზონას ხელს წაავლებს) სიცრუვემ ეგ იცის.

ლუიზ. (დაიჩოქებს) მაპატივე, მამილო; მე ანჟელიკამ მითხრა ნურას ეტყვიო, მაგრამ მე შენ ყველას გეტყვი.

არბ. ჯერ უნდა გაგწკიპო და მასუკან მიამბე.

ლუიზ. მაპატივე, მამა.

არბ. არა, არ იქნება.

ლუიზ. ნუ მცემ, მამილო.

არბ. უნდა გცემო.

ლუიზ. თუ გიყვარდე, მამა, ნუ მცემ.

არგ. (წკეპლების დარტყმას დააპირებს) აქმო, აქმო.

ლუიზ. ვაიმე, სისხლი! მოვკვდი! (ვითომ კვდება).

არგ. ვაიმე! ლუიზონა, შვილო! ღმერთო! ეს რა მომივიდა! ვაიმე უბედური! ჩემი პაწია გოგო მომიკვდა. ეს რა ვქენი, ვაიმე! ღმერთმა დასწყევლოს ეს წკეპლები! ჭირმა კი წაიღოს! ჩემი გოგუნა, ჩემი პაწია ლუიზონა!

ლუიზ. ნუ ტირი, მამილო; მე ჯერ სულ არ მომკვდარვარ.

არგ. ხედავ ამ თვალთ-მაქცსა! კარგი, ეხლა მიპატიებია, მაგრამ ყველაფერი კი უნდა მითხრა.

ლუიზ. ყველაფერს გეტყვი.

არგ. გამიფთხილდი; თუ გიცრუვნია, ჩემი ნეკი ყველაფერს მეტყვის.

ლუიზ. ანჟელიკას კი ნუ ეტყვი, მამა, რომ მე გითხარი.

არგ. არ ვეტყვი, ნუ გეშინიან.

ლუიზ. (მიიხედ-მოიხედავს, ყურს ხომ არავინ მიგდებსო) ერთი ვიღაცა მოვიდა ანჟელიკას ოთახში, მე რომ იქ ვიყავი.

არგ. მერე?

ლუიზ. მე ვკითხე ვინა ხარ მეთქი და მითხრა მუზიკის ოსტატი ვარო.

არგ. (იქით) ჰმ, ჰმ, ეხლა კი მივხვდი! (ლუიზონას) მერე, მერე?

ლუიზ. მერე ანჟელიკაც მოვიდა.

არგ. მერე?

ლუიზ. იმან უთხრა, წადი, წადიო; ღმერთო, რა სირცხვილიაო!

არგ. მერე?

ლუიზ. მერე ის არ წავიდა.

არგ. მაშ რას ამბობდა?

ლუიზ. რა ვიცი, რაღაებსაც ამბობდა.

არგ. მაინც?

ლუიზ. ის ამბობდა, ასეო, ისეო, მიყვარხარო, ძალიან ლამაზი ხარო.

**არგ.** მერე?

**ლუიზ.** მერე დაუჩოქა.

**არგ.** მერე?

**ლუიზ.** მერე ხელებზედ აკოცა.

**არგ.** მერე?

**ლუიზ.** მერე დედა მოვიდა კარებთან და ის გაიქცა.

**არგ.** სხვა ხომ არა მომხდარა რა?

**ლუიზ.** არა, მამა.

**არგ.** ეს ნეკი რომ რაღაცას მეჩურჩულება. (ნეკს ყურზედ მიიდებს) მოიცა, ჰო, ჰო! ხედავ, ეს მეუბნება, რომ შენ რაღაცა გინახავს და კი არ მეუბნები.

**ლუიზ.** მამილო, შენი ნეკი ცრუპენტელაა.

**არგ.** გაფრთხილდი.

**ლუიზ.** მამა, ნუ დაუჯერებ ნეკსა; ღმერთმანი ტყუის.

**არგ.** კარგი, კარგი, ამასაც ვნახავთ. წადი და ყველაფერს ყური უგდე. გასწი. (მარტო) ბავშვებიც რომ ბავშვებს აღარა ჰგვანან; გაგონილა ამისთანა ამბავი! დროც არა მაქვს, რომ ჩემს თავს მოვუარო. ამის მეტი აღარ შემიძლიან (სკამზედ დაჯდება)

## გამოსვლა მეთორმეტე.

ისინივე და ბერალდი.

**ბერალ.** რასა იქ, როგორა ხარ, ჩემო ძმაო?

**არგ.** შენი მტერი იყოს, ძმაო, რომ მე ვარ საშინლათ უქეიფოთ შევიქენ.

**ბერალ.** როგორ თუ უქეიფოთ?

**არგ.** ისე სუსტათა ვარ, რომ ვერ წარმოიდგენ.

**ბერალ.** ეგ არაფერი ამბავია.

**არგ.** ლაპარაკის ღონეც კი არა მაქვს.

ბერალ. მე მოვედი ანჟელიკაზედ მოსალაპარაკებლათ: ერთი კაი საქმრო მყავს.

არგ. (გაცხარებული წამოდგება სკამიდან). იმაზედ ნულარაფერს მეტყვი: ის ურცხვი, ის აშარი, ის ოჯახის შემარცხვენელი! მე იმას ხვალვე მონასტერში შევამწყვდევ.

ბერალ. მადლობა ღმერთს, რომ ეგრე უცებ კარგათ შეიქენი და ჩემმა მოსვლამ გარგო. საქმეზედ მასუკან ვილაპარაკოთ. ეხლა კი ერთი ხროვა მოვიყვანე თანა შენს შესაქცევათ, მასუკან უფრო დამშვიდებით მოვილაპარაკებთ ჩვენს საქმეზედ. ისინი არიან ბოშები მავრების ტანისამოსში, თამაშობენ, მღერიან და მგონია კარგათ შეგაქცევენ. ეს ემჯობინება პიურგონის რეცეპტს.

## მოქმედება მესამე.

### გამოსვლა პირველი

ბეარლდი, არგანი და ტუანეტა

ბერალ. აბა, ძმაო, ეგ შეჩვევა არა სჯობდა წამლებით გუ[illegible] წახდენას.

ტუან. კაი წამლები კარგია.

ბერალ. ახლა მე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრა.

არგ. პატარა მომიცადე ეხლავ დავბრუნდები.

ტუან. დაიჭირით ეს ჯოხი: ეგ როგორ არ იცით, რომ უჯოხოთ გავლა არ შეგიძლიანთ.

არგ. მართალს ამბობ.

### გამოსვლა მეორე

იგინივე არგანის გარდა.

ტუან. თუ ღმერთი გწამთ, ბატონო, თქვენის ძმისწულის საქმეს თავს ნუ დაანებებთ.

ბერალ. ვეცდები, რითაც კი შემიძლიან, იმისი სურვილი ავასრულო

ტუან. ეს გაიხოვება რომ აუყენია ბატონს, უეჭველათ უნდა დავაშლევინოთ. მე ფიქრათ მომივიდა, რომ კარგი იქნება ერთი ექიმი ვიპოვნოთ ვინმე, გავაცნოთ ბატონს და ისე მოვახერხოთ, რომ იმან ეხლანდელი წამლობა დაუწუნოს და პიურგონი უძაგოს. რადგან არავინა გვყავს, მევე ვიკისრებ ექიმობას.

ბერალ. როგორ თუ ექიმობას?

ტუანეტ. ეს სასაცილო ამბავი იქნება. ჭკუა კი არა სჭირია ამ საქმეს, მაგრამ იქნება კი ჩვენ ჩვენსას მივხვდეთ. საქმე მე დამანებეთ და თქვენ თქვენი იცოდეთ. აგერა ბატონიც მობძანდება.

## გამოსვლა მესამე.

არგანი და ბერალდი

ბერალ. ძმაო, ერთი რამ უნდა გთხოვო. მე შენთან სალაპარაკო მაქვს და თავიდამვე ამას გეხვეწები, ლაპარაკის დროს ნუ გაცხარდები.

არგ. ეგ ადვილი შესასრულებელია.

ბერალ. რაც გითხრა, ყველაფერზედ წყნარი პასუხი მომეც.

არგ. ბატონი ხარ.

ბერალ. ჩვენის ბაასის დროს აღელვებასა და გულის მოსვლას თავი დაანებე; საქმე დაწყნარებით გაშინჯე.

არგ. ახა, ღმერთო ჩემო, ვერ გაათავე ეგ წინასიტყვაობა.

ბერალ. ერთი ეს გამაგებინე, რამ გაფიქრებინა შენისთანა მდიდარს კაცს და მხოლოდ ერთის ქალის პატრონს, — პატარა ლუიზონა ჯერ ანგარიშში ჩასაგდები არ არის, — რამ გაფიქრებინა იმ ერთად ერთი ქალის მონასტერში მიცემა.

არგ. იმან მაფიქრებინა, რომ ჩემს ოჯახში ბატონი მე ვარ და რასაც მინდა, იმას ვიზამ.

ბერალ. შენს ცოლს მგონი ისიც არ ეწყინება, შენი ორივე ქალი თავიდამ მოიშოროს. ის ისეთი ღვთის მოყვარეა, მოლოზნებათაც რომ ნახოს ისინი, არ ეწყინება.

არგ. ვაი ჩემი ცოლის ბრალიც თქვენს ხელშია; აცლიან და იმას მივარდებიან; მთელი ქვეყანა იმას გადაჰკიდებია.

ბერალ. იმას ძმაო თავი დავანებოთ. ის იმისთანა ქალია, რომ შენის ოჯახისთვის ცუდს არ მოინდომებს; ფულის მონა არ არის და

შენც გასაოცრათ უყვარხარ; შენი შვილებიც თავის ღვიძლს შვილებათ მიაჩნია; ეგ სულ მართალია; მაგაზედ ლაპარაკს ნუღარ გავაბამთ, შენს ქალზედ ვილაპარაკოთ: რას აგიყინებია, თუ ღმერთი გწამს, გინდა თუ არა ექიმს უნდა მივათხოვოთ.

არგ. იმისთვის აშიყიხეშია, რომ ჩემთვის გამოსადეგი კაცი მინდა სიძეთ მოვიკიდო.

ბერალ. ეგ, ჩემო ძმაო, შენს ქალს უნდა მიანებო. მე ერთი უმაწვილი-კაცი ვიცი, რომელიც უფრო შეჰფერის შენს ქალს.

არგ. მე კი ის უფრო შემფერის.

ბერალ. ახირებულია შენმა მზემ! შენი ქალი თავისთვის ირთავს ქმარსა, თუ შენთვის?

არგ. თავისთვისაც ირთავს და ჩემთვისაც. მე ჩემს ოჯახში ჩემთვის სასარგებლო კაცი მინდა მყავდეს.

ბერალ. მაშ შენის სიტყვით, როცა შენი პაწია ქალი გაიზდება, აფთიაქარს შერთავ.

არგ. რა დამიშლის!

ბერალ. ახლა, ხუმრობა გაშვებით, როდემდინ უნდა იყო ექიმებსა და აფთიაქრების გადაკიდებული? რათ გინდა ავათ იყო, როდესაც კაციც და ბუნებაც გეუბნება, კარგათა ხარო.

არგ. როგორაო, რას ამბობ?

ბერალ. იმას ვამბობ, რომ თუ შენც ავათა ხარ, ყველანი ავათა ვყოფილვართ; ღმერთმა ნუ მოგაკლოს შენი ავათ-მყოფობისთანა ავათ-მყოფობა. აი თუ გინდა დაგიმტკიცებ, რომ შენ ძალიან კარგათა ხარ. შენ იმდენსა ზრუნავ შენს თავზედ და მაინც ავათ-მყოფობა არ გეკარება და სხვას უშენოს შენოდენა წამლები რომ დალია, აქამდისინ ათჯერ დაადგებოდა საიქიოს გზას.

არგ. კიდეც ეგ მაძლებინებს. პიურგონი მეუბნება, სამი დღე რომ მე შენ ყური არ გიგდო, ცოცხალი არ დარჩებიო.

ბერალ. თუ არ გაუფთხილდი, ის იმდენს გიგდებს ყურსა, რომ მალე საფლავში ჩაგდებს.

არგ. შენ როგორცა ვხედავ, ექიმობა არაფრათ მიგაჩნია.

ბერალ. უნდა სწორე გითხრა, მე ესე მგონია, თუ კაცს სიმრთელე უნდა, ექიმებს თავი უნდა დაანებოს.

არგ. რაებს ამბობ? როგორ არა გჯერა და არა გწამს რაც შვე-ლასაგან მიღებულია და ყოველთვის მიღებული ყოფილა.

ბერალ. მწამს კი არა, მე ესე მგონია, რომ ექიმობისთანა სულელობა კაცს არა მოუგონია რა. მე მაგ საქმეს ფილოსოფოსსავით ვუცქერი და ყოველთვის მასხარაობათ მიმაჩნია, როდესაც ვხედავ, რომ ერთი ადამიანი მეორეს მორჩენას აპირებს.

არგ. მერე რათა გგონია, რომ ერთი ადამიანი მეორეს ვერ მოარჩენს?

ბერალ. იმათა, რომ ჩვენი აგებულება დღემდის საიდუმლოება და კაცს იმისი არაფერი არა გაეგება რა. ბუნებამ თვალებზედ ისეთი სქელი საბურველი ჩამოგვაფარა, რომ მაგ საქმეში ბნელაში დავფათურებთ.

არგ. მაშ შენის სიტყვით ექიმებმა არა იციან რა?

ბერალ. რატომ, იციან. ლაპარაკში ბევრს მეცნიერების სიტყვას ჩაურთვენ, ლათინურს კარგათ გელაპარაკებიან, ყოველს ავათ-მყოფობას ბერძნულს სახელს უპოვნიან, აწერენ და თავის ადგილს დაუნიშნავენ, მაგრამ მორჩენისას კი ნურასა ჰკითხავ.

არგ. მაინც მაგ საქმეში ექიმებმა მეტი იციან.

ბერალ. მე შენ გეუბნები, იმათ ის იციან, რაც ავათ-მყოფს არ გამოადგება და მათი ხელოვნების სიკეთე ის არის, რომ ღრმა ოცობოდო ლაპარაკს მოგიყვება, მიზეზის თქმის მაგივრათ ყურებს სიტყვებით გამოგიტენს და თუ არ მოგარჩენს, დაპირებას ხომ არ დაიშურებს.

არგ. ახლა, ჩემო ძამია, შენისთანა ჭკვიანი და გონიერიც ბევრი მინახავს, რომ ავათმყოფობის დროს ექიმებს ეკითხებოდეს.

ბერალ. ეგ კაცის სისუსტის ნიშანია და არა მათის ხელოვნების სიკეთისა.

არგ. ალბათ ექიმებს სჯერათ, რომ მათი ხელოვნება ნამდვილია, თუ თავისთავსაც იმ ხელოვნებით ირჩენენ.

ბერალ. ზოგნი მათგანნი ხალხსავით შემცდარნი არიან და სარგებლობასაც ხედვენ; ზოგნი კი, თუმცა შემცდარნი არ არიან, მაგრამ მაინც სარგებლობის თავის დანებება არ უნდათ. აი თუნდა პიურგონი ავიღოთ; ეგ კაცი თვალთ-მაქცი არ არის; ეგ თავით-ფეხამდე ექიმია. იმასა სჯერა, რომ წამლობის წესები მათემატიკურს კანონებზედ მტკიცენი არიანო და მათი უარყოფა ცოდვა ჰგონია. იმას ექიმობაში არაფერი არა მიაჩნია რა ბნელათ, საეჭვოთ, საძნელოთ. ის მტკიცეთ გულდაჯერებული, გულდანდობილი, უთავბოლოთ, დაურიდებლათ სისხლსაც გამოგიშვებს, სასაქმებელსაც მოგცემს, ფიქრი არაფრისა აქვს. რაც უნდა აგიტეხოს, მაინც არ უნდა ეწყინოს იმისაგან. თუნდა მოგკლას კიდეც, დარწმუნებული უნდა იყო, რომ განგებ არ ჩადის; რაც შენ დაგმართა, იმასვე თავის ცოლსაც, თავის შვილებსაც დამართებს და თუ გაუჭირდა თავის-თავსაც.

არგ. შენ იმის სიძულილი დედის რძესთანვე შეგიწოვია. მაგრამ ჩვენ ისევ ჩვენს საქმეზედ ვილაპარაკოთ. რა უნდა ჰქნას კაცმა, როცა ავათ გახდება?

ბერალ. არაფერი.

არგ. არაფერი?

ბერალ. სრულებით არაფერი. მხოლოთ მოსვენებული უნდა იყო. თუ შენს აგებულებას არ უშლი, თითონვე გამოგვიყვანს იმ უწესო მდგომარეობიდან, რომელშიაც ჩვენა ვცვივდებით. ჩვენი მოუთმენელობა, ჩვენი მოუსვენარობა, გაცხარება ახდენს საქმეს და მგონია, ვინც კი კვდება, წამლებითა კვდება და არა ავათმყოფობით.

არგ. ამაზედაც ხომ არ ახირდები, რომ ჩვენ შეგვიძლიან სხვა და სხვა გზით შემწეობა გავუწიოთ ჩვენს აგებულებას.

ბერალ. ეგ აზრები იმიტომა გვაქვს თავში ჩანერგილი, რომ ჩვენთვის სასიამოვნონი არიან. ადამიანის ტვინს ბევრი იმისთანა ოცრბოლო აზრები შეუთვისებია, რომელნიც იმიტომ მოგვწონს,

რომ იმედის მომცემნი არიან და კარგი იქნებოდა, მართალნი ყოფილიყვნენ, როდესაც ექიმი გეუბნება, მე შევეწევი, გუშველი შენს აგებულებას, მოვაშორებ, რაც აწყენს და მივცემ რაც აკლია, გავამთელებ და მოქმედებას გავუადვილებო; როდესაც ის გეუბნება, სისხლს თავის შედგენილებას მივცემ, გულგვამსა და ტვინს გაგიგრილებ, ელენთას დაგიცხრობ, მკერდს გაგიძლიერებ, ღვიძლს მოგირჩენ, გულს გაგიმაგრებ, ბუნებითს სითბოს მოგიმატებ და შეგინახავ და სიცოცხლეს მრავალის წლით გაგიგრძელებო, მაშინ ის შენ სწორეთ ექიმების ზღაპარს გიამბობს. ცხოვრებაში კი ამას ვერაფერს ხედავ და ეს ზღაპარი სწორეთ იმ მშვენიერს სიზმრებს ემსგავსება, რომელთაც გამოღვიძების შემდეგ მხოლოთ სინანულში შევყავართ, სიზმარს რათ ვუჯერებდით.

არგ. მაშ მთელი ქვეყნის მეცნიერება შენს თავში ყოფილა! შენ რომ გკითხოს კაცმა, ყველა ჩვენს გამოჩენილს ექიმებზედ მეტი იცი.

ბერალ. თქვენი გამოჩენილი ექიმები სიტყვასა და საქმეში ერთნი არ არიან. იმათ ლაპარაკს რომ ყური დაუგდო, იმათთანა გონიერი არავინ არის და საქმეზედ რომ მიდგება, მაშინ ეტყობათ სრული უმეცრება.

არგ. კაცმა რომ ყური დაგიგდოს, შენა ყოფილხარ დიდი მეცნიერი. ნეტავი არ მინდა ერთ ერთი ექიმი იყოს აქა, რომ შენი სჯა და სიტყვა პირშივე გაგიქარწყლოს!

ბერალ. ექიმებთან ბრძოლა რა ჩემი საქმეა. ყველამ თავისი იცის და რაც მოუვა, თავისივე ბრალი იქნება. მე ამას შენის სიკეთის გულისათვის გეუბნები. მე ის მინდოდა, ცოტა მაგ შეცდომილებიდამ გამომეყვანე და წამეყვანე ერთ ერთის მოლიერის კომედიის საყურებლათ ამ საგანზედ.

არგ. დიდი უზდელობა მოსდის. ის ვიღაც მოლიერია, რომ იმისთანა კომედიებსა ბღაჯნის. გაგონილა ექიმებისთანა პატიოსანი ხალხის მასხარათ აგდება!

ბერალ. ის ხომ ექიმებს არ იგდებს მასხარათ; ის დასცინის მხოლოთ იმას, რაც ექიმობაში სასაცილოა.

არგ. რა იმისი საქმეა ექიმებში გარევა! ის უგუნური, ის წინ დაუხედავი! დასცინის ექიმების რჩევას და იმათ რეცეპტებს, ებრძვის იმათ წოდებას და იმათთანა დარბაისელ პირთ სათეატროთ ჰხდის.

ბერალ. თუ სხვა და სხვა წოდების ხალხი არ წარმოადგენინა, მაშ ვიღა წარმოადგენინოს; თეატრში ყოველ დღე თავადებსა და მეფეებს არდგენენ და ექიმებს არ ეკადრებათ; მგონი იმათზედ უკეთესის ჩამომავლობისა არ იყვნენ.

არგ. მე რომ ექიმი ვყოფილიყავ, გადავუხდიდი იმის ურცხვობას. ავათ რომ გახდებოდა, არაფერს შევეწევოდი; დეე მომკვდარიყო, რაც უნდა ექნა, ერთი ბეწვის ოდენსაც კი არ გამოვუშვებდი სისხლსა, ერთს პატარა ოყნასაც კი არ გავუკეთებდი; ვეტყოდი, ჩაკვდი, ჯანი გაგვარდეს, ეგ გასწავლის ჭკუას, როგორ უნდა დასცინო ექიმების წოდებასა მეთქი.

ბერალ. შენ იმას ძალიან გაუჯავრებიხარ.

არგ. ის ბრიყვი ისა! ექიმებს რომ ჭკუა ჰქონდეთ, როგორც ვამბობ, ისე მოიქცეოდნენ.

ბერ. იმას უფრო მეტი ჭკუა აქვს, ვიდრე შენს ექიმებს; ის იმათ როდი ეტყვის, მიშველეთო.

არგ. სული ამოუვა, თუ არ იწამლა.

ბერ. ის თავისებურათა სჯის; ის ამბობს, რომ წამლების დალევა მხოლოთ ღონიერსა და ზორბა ადამიანებს შეუძლიანთო; იმათ იმდენი ძალა აქვთ, რომ თავიანთი ავათ-მყოფობაც აიტანონ და წამლების სმაცაო. მე კი ჩემის ავათ-მყოფობის მეტს ვერას ავიტანო.

არგ. სისულელე შენ სჯა გგონია! კაია, იმაზედ ნუღარ ვილაპარაკებთ, თორემ ნაღველა გამიცხელდება და უარესათ შევიქნები.

ბერ. როგორც გინდა. ეხლა სხვაზედ ვილაპარაკოთ. იმას ვამბობდი, მე შენ ამასა გთხოვ, რომ შენს ქალს ნუ აძალებ მონასტერში შესვლას იმ მცირე ზიზღისათვის, რომელიც იმან შენგან არჩიულს

საქმროს გამოურჩინა. საქმროს ამორჩევაში შენს ცხარე გულს ბრმათ არ უნდა მისდიო; შენს ქალსაც უნდა დაეკითხო. ნუ დაივიწყებ, რომ ეგ კავშირი სიკვდილამდე გასწევს და კაცის ბედნიერება ბედნიერს ქორწინებასთან არის დამოკიდებული.

## გამოსვლა მეოთხე.

იგინივე და ფლერანის (ხელში ოყნა უჭირავს.)

არგ. შენთან უკაცრავათ კი ვიქნები, ძმაო......

ბერ. რას აპირებ?

არგ. ერთი პატარა ოყნა უნდა გავიკეთო; ეხლავე გათავდება.

ბერ. რაებს ჩადიხარ? ერთს წუთს ვერ გაგიძლია, ან წამალი არ დალიო, ან ოყნა არ გაიკეთო. ეგ საკულღაოთ დარჩეს, პატარა ხანს მოსვენებით იყავი.

არგ. ბატონო ფლერან, ეგ საღამოს იყოს, ან ხვალ დილით.

ფლერ. რა თქვენი საქმეა, რომ მკურნალთ ბრძანებას ეწინააღმდეგებით და უშლით, რომ ეს ოყნა გაიკეთოს! ძალიან თავს გასვლაა ეგეთი კადნიერობა.

ბერ. წადით, ბატონო, მოგვშორდით; თქვენის ხელობის კაცი უცხო პირებთან ლაპარაკს დაჩვეული არ არის.

ფლერ. აგრე წამლებთან ხუმრობა ვის გაუგონია? მეც დროს ტყუილათ მაკარგვინებთ. მე ექიმის ბძანებით მოვედი აქა; ეხლავ წავალ და პიურგონს მოვახსენებ, რომ მე დამიშალეს იმის ბძანებისა და ჩემის ვალის ასრულება. ნახამთ, ნახამთ, რაც მოგივათ.

## გამოსვლა მეხუთე.

იგინივე, ფლერანის გარდა.

არგ. შენ უეჭველათ ხიფათს შემამთხვევ რასმე.

ბერ. დიდი ხიფათია, თუ პიურგონის ოყნა არ გაიკეთე! კი-

დევ ბეტყვი და გაწყევნინებ: მაშ ხსნა აღარ არის მაგ წამლობის ახი-რებისაგან? გინდა მთელი შენი სიცოცხლე ოყნებში გაატარო.

არგ. ღმერთო დამითვარე! შენ ეგრე იმიტომ ლაპარაკობ, რომ კარგათა ხარ; აბა ჩემს ადგილას იყო, მაშინ სხვა ბა ნს შესძახებდი. როცა კაცს არა სტკივა რა, ადვილია ექიმების წინააღმდეგ ლაპარაკი.

ბერ. მერე შენ რაღა გტკივა?

არგ. ნაღველს გამასკდა ამდენი უბედობით! ნეტავი არ მინდა, რაც მე მტკივა, შენცა გტკიოდეს; ვნახავდი, ეგრე ილაპარაკებდი მაშინაც თუ არა. აგერ პიურგონიც მობძანდება.

## გამოსვლა მეექვსე

იგინივე, პიურგონი და ტუანეტა.

პიურგ. კაი ამბები დამახვედრეს შენს კარებთან! ჩემს ბძანებას აღარ ასრულებენ, სასაცილოთ იგდებენ!

არგ. ბატონო, ეს მე .....

პიურგ. გაგონილა ასეთი თავხედობა; ავათ-მყოფისაგან ექიმის წინააღმდეგობა!

ტუან. საშინელი ამბავია!

პიურგ. ჩემის ხელით შედგენილი ოყნა უნდა დაეწუნათ!

არგ. ეგ მე არ......

პიურგ. აღმოჩენილი და შედგენილი ხელოვნების კანონებით!

ტუან. დამხაშავეა.

პიურგ. რომელსაც უნდა საკვირვლათ ემოქმედნა გულ-გვამზედ!

არგ. ჩემი ძმა......

პიურგ. ზიზღით უკანვე დააბრუნეს!

არგ. (ბერალდზედ უჩვენებს). ეს არის......

პიურგ. ეგ მეტის-მეტი კადნიერობაა!

ტუან. მართალსა ბძანებთ.

პიურგ. ეგ არის მკურნალთა წინააღმდეგი შეთქმულება!

არგ. (ბერალდზედ უჩვენებს). ეს არის მიზეზი...

პიურგ. წოდების შეურაცხმყოფელი ცოდო, რომლისთვის ღირსი სასჯელიც კი მძლათ მოსასპობელია!

ტუან. ჭეშმარიტია.

პიურგ. ამას იქით მე შენთან საქმეს აღარ დავიჭერ!

არგ. ჩემი ძმის......

პიურგ. მე აღარ მინდა შენთან კავშირი!

ტუან. ახია მაგაზედ.

პიურგ. იმის დასამტკიცებლათ, რომ მე შენთან ვწყვეტ ყოველს დამოკიდებულებას აა ის ჩუქების ქაღალდი, რომელიც საქორწილოთ მე უნდა ჩემის ძმისწულისთვის მიმეცა! (ხევს ქაღალდს და ნაკუწებს მიაბნ-მოაბნევს).

არგ. ეს უბედურება სულ ჩემის ძმის ბრალია.

პიურგ. ჩემი ოყნა უარ ჰყო!

არგ. მოატანინეთ, გავიკეთებ.

პიურგ. ამ ცოტას ხანში მორჩენას გიპირებდი.

ტუან. ეხლა ღირსა აღარ არის.

პიურგ. მე მინდოდა გამეწმინდა შენი გვამი და გამეგდო უვარგისნი ნივთეულებანი.

არგ. ოჰ, ჩემო ძმაო!

პიურგ. ერთი დუჟინი მინა წამალი კიდევ რომ დაგელია, სულ გაგწმენდდი.

ტუან. არ არის ღირსი თქვენის ზრუნვისა, არა.

პიურგ. რადგან არ მოინდომე ჩემის ხელით მორჩენა;

არგ. ეგ ჩემი ბრალი არ არის.

პიურგ. რადგან შენ უარ ჰყავ მორჩილება, რომელიც ექიმს ეკუთვნის;

ტუან. სწორეთ უნდა გადაუხადოთ.

პიურგ. რადგან შენ ჩემგან დანიშნული წამლები შეურაცხჰყავ;

არგ. ფიქრადაც არ მომსვლია.

პიურგ. მე შენ მიმინდობებიხარ შენს ცუდს აგებულებას, შენის გულ-გვამის არეულობას, შენის სისხლის წახდენას, შენის ნაღველის სიმწარეს, შენის განავლის სიხმელეს!

ტუან. ეგრე ურჩევნიან.

არგ. ღმერთო ჩემო!

ტუან. მე მსურს რომ ამ ოთხს დღეზედ მოურჩენელი გახდე;

არგ. შემიბრალეთ.

პიურგ. რომ შენ შეგეყაროს ბრადიპეპსია!

არგ. ბატონო პიურგონ!

პიურგ. ბრადიპეპსიის შემდეგ დისპეპსია!

არგ. ბატონო პიურგონ!

პიურგ. დისპეპსიის შემდეგ აპეპსია!

არგ. ბატონო პიურგონ!

პიურგ. აპეპსიის შემდეგ ლიენთერია!

არგ. ბატონო პიურგონ!

პიურგ. ლიენთერიის შემდეგ დისენთერია!

არგ. ბატონო პიურგონ!

პიურგ. დისენთერიის შემდეგ ჰიდროფიზია!

არგ. ბატონო პიურგონ!

პიურგ. ჰიდროფიზიის შემდეგ განშორება სიცოცხლისა, რაი-ცა იქნება შედეგი შენის უჭკუობისა!

## გამოსვლა მეშვიდე

იგინივე, პიურგონსა და ტუანეტას გარდა.

არგ. მოვკვდი, ეს არის, სული ამომივიდა. შენ დამღუპე, დამანელე; ღმერთო!

ბერალდ. რა არის, რა ამბავია?

არგ. შეუძლოთ გავხდი; მე ვგრძნობ კიდეც, რომ ჩემზედ ჯავრსა ყრილობს.

ბერ. სწორეთ გაგიჟებულხარ. მადლობა ღმერთს კიდევ, არავინა გხედავს. პატარა გული მოიბრუნე, შენს თავს დააფიქრდი, შიშს ნუ ეძლევი.

არგ. ვერა ნახე რა ავათ-მყოფობას მიქადიდა!

ბერ. ეგრე გამოუყეეჩებაც არ ვარგა.

არგ. არ გესმოდა, ოთხს დღეზედ მოურჩენელს ავათ-მყოფათ გაგხდიო.

ბერ. რაო მერე რომ გესმოდა? წინასწარმეტყველი ხომ არ არის! შენ რომ კაცმა ყური დაგიგდოს, ასე ეგონება, შენი სიცოცხლის ძაფი პიურგონს უჭირავს და თავისი უმაღლესი ნებით, თუნდა გააგრძელებს, თუნდა შეამოკლებს. შენი სიცოცხლე შენს ხელშია; პიურგონის წყრომა შენ ისე ვერ მოგკლავს, როგორც იმისი წამლები ვერ გაგამთელებენ. ეს კარგი მიზეზი იქნება, რომ ექიმებს დაეხსნა; თუ მაინცა და მაინც არ დაიშლი, უნდა სხვა იმისთანა ექიმი იპოვნო, რომელიც მაგასავით ცხარე არ იყოს.

არგ. მაგან იცის ჩემი აგებულება; იცის რა მარგებს და რა მაწყენს.

ბერ. უნდა გითხრა, საშინელი ჭირვეული კაცი ხარ; თითქო შენი თვალები შენ არ გესხას.

## გამოსვლა მერვე.

იგინივე და ტუანეტა

ტუან. ბატონო, ერთი ექიმი გიახლათ თქვენს სანახავათ.

არგ. ვინ ექიმი?

ტუან. ავათ-მყოფების ექიმი.

არგ. მე მაგას როდი გკითხავ; სახელი მითხარ მეთქი.

ტუან. მე იმას არ ვიცნობ, მაგრამ მე ისე მგავს, როგორც შუაზედ გაპობილი ვაშლი. მე რომ დედი-ჩემის პატიოსნებაზედ დარწმუნებული არ ვიყო, ვიფიქრებდი, ალბათ იმას მამი-ჩემის სიკვდილის შემდეგ ჩემთვის ერთი პაწია ძმა გაუჩენია მეთქი.

არგ. შემოიყვანე.

## გამოსვლა მეცხრე.

იგინივე, ტუანეტას გარდა.

ბერ. აჰა, ესეც შენი სურვილი. ერთი ექიმი წავიდა, მეორე მოდის.

არგ. მე მეშინიან, რომ შენმა ქცევამ უბედურება არა დამმართოს რა.

ბერ. ჰიდევ! რა დაგემართა, კედარ გაათავე!

არგ. აი რაღაც უცნაური ავათ-მყოფობა მიქადა, სულ გულზედ მაწევს. ესენი......

## გამოსვლა მეათე.

იგინივე და ტუანეტა ექიმის ტანისამოსში.

ტუან. ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ თქვენს სანახავათ გიახელით, რათა გაგიწიოთ სამსახური, რაიცა შეეხება თქვენთვის საჭირო სისხლის გამოშვებასა და ოყნასა.

არგ. დიდათ გმადლობთ, ბატონო. (ბერალდს). ეს თითონ ტუანეტა არ არის?

ტუან. თუ უკაცრავათ არ გახდებით, მე ერთი ბძანება უნდა მივცე ჩემს მსახურს. ეხლავე გიახლებით.

## გამოსვლა მეთერთმეტე.

იგინივე, ტუანეტას გარდა.

არგ. სწორეთ პირ-წავარდნილი ტუანეტაა.

ბერ. მართლა რომ ძალიანა ჰგავს, მაგრამ ეს რომ პირველი მაგალითი არ არის. ისტორია სულ ამ ბუნების საკვირველებით არის სავსე.

არგ. მე კი გაოცებული ვარ და!

## გამოსვლა მეთორმეტე.

იგინივე და ტუანეტა.

ტუან. რას მიბძანებდით, ბატონო?

არგ. როგორა?

ტუან. თქვენ არ დამიძახეთ?

არგ. მე? არა.

ტუან. მაშ ყურებმა თუ მიწივლეს.

არგ. პატარა ხანს აქ დარჩი; ვნახოთ ის ექიმი როგორა გგავს.

ტუან. იჰ, თვალიც დაუდგება! მე ძირს საქმე მაქვს.

## გამოსვლა მეცამეტე.

იგინივე, ტუანეტას გარდა.

არგ. ორივეს რომ არა ვხედავდე, ასე მეგონებოდა ერთი და იგივე არიან მეთქი.

ბერ. მე ამ გვარს მსგავსებაზედ ბევრი მიკითხავს. ჩვენს დროშიაც ბევრი იმისთანა შემთხვევა ხდება, რომ ორს პირს ვერავინ ვერ არჩევს ერთმანეთში.

არგ. მე ამ გვარს შემთხვევაში მოვტყუვდებოდი და სწორეთ დავიფიცავდი, რომ ეს ექიმი ტუანეტაა.

## გამოსვლა მეთოთხმეტე.

იგინივე და ტუანეტა ექიმის ტანისამოსში.

ტუან. უკაცრავათ გახლავართ თქვენთან, ბატონო.

არგ. (ხმა დაბლა ბერალს). საკვირველებაა!

ტუან. იმედი მაქვს არ გაწყრებით, რომ თქვენისთანა გამოჩენილის ავათ-მყოფის ნახვა მოვინდომე. თქვენი სახელი ისეა ქვეყანაზედ გავარდნილი, რომ მომიტევებთ ამ კადნიერებას.

არგ. მზა გახლავართ თქვენის სამსახურისა.

ტუან. თქვენ მე, ბატონო, გაშტერებული მიცქერით, ხომ არა გსურთ, გამოიცნოთ. რამდენის წლისა ვარ.

არგ. ბევრისა იყოთ, ოც-და-ექვსისა, ოც-და-შვიდისა, მეტისა არ იქნებით.

ტუან. ჰა, ჰა, ჰა! მე გახლავართ ოთხმოც-და-ათის წლისა.

არგ. ოთხმოც-და-ათისა!

ტუან. დიახ. მე ჩემის ხელოვნების წყალობითა მაქვს ასეთი სალი და ყმაწვილური სახე.

არგ. ოთხმოც-და-ათის წლის ბერიკაცი და ასეთი ლამაზი ყმაწვილი-კაცი! რომ არ გაგონილა!

ტუან. მე მოგზაური ექიმი გახლავართ; დავდივარ სოფლით სოფლათ, სხვა-და-სხვა თემებში, სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში. მე ვეძებ ჩემის ნიჭიერების შესაფერს საქმეს; მე ვეძებ იმისთანა ავათ-მყოფებს, რომელნიც ჩემის შრომის ღირსნი არიან, რომელთაც გამოადგებათ დიადნი და მშვენიერნი საიდუმლოებანი, აღმოჩენილნი ჩემგან ექიმთა ხელოვნებაში. მე ვხადი ჩემთვის უღირსათ, დავკარგო დრო რაღაც უბრალო ავათ-მყოფების მოსარჩენათ; მე როგორ შევიწუხებ თავს რაღაც ქარებისა, ანთებისა, ციებისა, თავის ტკივილებისა, ჰიპოქონდრიისთვის! მე მეჭირვება ძნელი ავათ-მყოფობა: კარგი გამოუსწორებელი ციებ-ცხელება, ტვინის ანთება, დამპალი ციება, კარგი

ჭირი; აი ჩემი საქმე რა არის; აქ შემიძლიან მე გავიმარჯვო. მე მსურს ბატონო, რომ რაც ავათ-მყოფობა დავისახელეთ, სულ თქვენა გჭირდეთ, რომ თქვენ იყოთ ყველა ექიმებისაგან ხელ-აღებული, უკანასკნელს დღეში და მაშინ გიჩვენებთ ჩემის წამლების ძალას და ჩემს სურვილს თქვენის სამსახურისას.

არგ. მადლობელი გახლავართ, ბატონო, მაგ უზომო გულკეთილობისთვის.

ტუან. აბა, მაჯა მაჩვენეთ; იმუშავე, როგორც წესია! მე გაგასწორებ შენ! ოჰო, ეს მაჯა ძალიან ურჩობს; როგორც ვატყობ, ჯერ მე არ მიცნობს. ვინა გწამლობთ?

არგ. ექიმი პიურგონი.

ტუან. ეგ ჩემს წიგნში არ არის ჩაწერილი გამოჩენილთ ექიმთა შორის. რას გეუბნებათ, რითი ხართ ავათა?

არგ. ის ამბობს, ღვიძლი გტკივაო და სხვები მეუბნებიან ელენთაო.

ტუან. ყველანი უმეცარნი ყოფილან. თქვენ ფილტვები გტკივათ და იმითი ხართ ავათა.

არგ. ფილტვები?

ტუან. დიახ. რითი გრძნობთ თქვენს ავათ-მყოფობას?

არგ. ხანდისხან თავი მტკივა.

ტუან. ეგ არის, ფილტვების მიზეზია.

არგ. ხანდისხან თვალებზედ თითქო ბინდი მეკვრის.

ტუან. ფილტვებია

არგ. ხანდისხან გულიცა მტკივა.

ტუან. ფილტვებია.

არგ. ხანდისხან მთელი ტანი დამტვრეულსავით მაქვს.

ტუან. ფილტვებია.

არგ. ხანდისხან გულგვამიცა მტკივა, მუცელსა მგვრემს ხოლმე.

ტუან. ფილტვებია. მადა კარგი გაქვთ?

არგ. დიახ, ბატონო.

ტუან. ფილტვებია. ღვინოსაც ხომ მიირთმევთ ცოტას?

არგ. ჯიახლებით.

ტუან. ფილტვებია. საჭმლის მიღების შემდეგ ხომ ძილი მოგ-დით, ხომ თვალები გეხუჭებათ?

არგ. სწორეთ.

ტუან. ფილტვებია, ფილტვები მეთქი; სულ ფილტვების მიზე-ზია. რას გაჭმევთ თქვენი ექიმი?

არგ. წვნიანს,

ტუან. უმეცარი!

არგ. წვრილ-ფეხს,

ტუან. უმეცარი!

არგ. ხბოს ხორცს,

ტუან. უმეცარი!

არგ. ძროხის ხორცს,

ტუან. უმეცარი!

არგ. ახალს კვერცხებს;

ტუან. უმეცარი!

არგ. ღამ-ღამე ჭანჭურს მაჭმევს მუცელში გასაყვანათ.

ტუან. უმეცარი!

არგ. ღვინოში ბევრს წყალს მირევს.

ტუან. უმეცარი, უცოდინარი, უსწავლელი! ღვინო უწყლო უნ-და დალიოთ და თქვენის თხელის სისხლის გასასქელებლათ უნდა სჭამოთ კარგი კამბეჩის ხორცი, კარგი ღორის ხორცი, კარგი ჰო-ლანდიის ყველი, ფაფა, ფლავი, წაბლი, შაქრის პური, და მახოხი, რა-თა შეწებდეს და მოსქელდეს სახსლი თქვენი. თქვენი ექიმი მხეცი ყოფილა. მე სხვას გამოგიგზავნით და მეტს, როცა ამ ქალაქში ვიქ-ნები, უნახავს არ გაგიშვებთ.

არგ. დიდათ მავალებთ.

ტუან. ეს მკლავი რათ გინდათ?

არგ. რას მიბძანებთ?

ტუან. მე რომ თქვენი ვიყო, მაგას ეხლავ მოვაჭრევინებდი.

არგ. როგორ თუ მოვაჭრევინებდი?!

ტუან. ვერა ხედავთ, მაგას მთელი საზრდო თავისკენ მიაქვს და მეორე მხარეს საზრდოობას უშლის!

არგ. ეგ მართალია, მაგრამ მკლავიც ჩემთვის საჭიროა.

ტუან. მე რომ თქვენი ვიყო, მაგ მარჯვენა თვალსაც ამოვითხრიდი.

არგ. თვალის ამოთხრა რაღაა?

ტუან. ვერა ხედავთ, რომ მეორეს საზრდოს სტაცებს და სჩაგრავს. დამიჯერეთ, ჩქარა ამოათხრევინეთ; მასუკან მარცხენას თვალით უფრო კარგათ დაინახავთ.

არგ. მაგაზედ მასუკან ვილაპარაკოთ.

ტუან. მშვიდობით. ვწუხვარ, რომ ასე მალე თავს განებებთ, მაგრამ ერთს ექიმების რჩევაზედ უნდა დავესწრო, სადაც ბაასი იქნება გამართული ერთს კაცზედ, რომელიც გუშინ გარდაიცვალა.

არგ. გუშინ გარდაიცვალაო?!

ტუან. დიახ, ჩვენ გვსურს შევიტყოთ რითი შეიძლებოდა იმის მორჩენა. ნახვამდის.

არგ. მშვიდობით ბძანდებოდეთ. ხომ მოგეხსენებათ, ავათ-მყოფები არ აცილებენ.

## გამოსვლა მეთუთხმეტე.

იგინივე, ტუანეტას გარდა.

ბერ. აი ეგ უნდა იყოს კაი ექიმი.

არგ. იქნება, მაგრამ ძალიან კი ჩქარობს.

ბერ. ყოველი გამოჩენილი ექიმი ეგეთია.

არგ. მკლავი მოიჭრო, თვალი ამოითხარეო, რომ მეორე მკლავი და თვალი კარგათ იყვნენო თუ აგრეა, მე ის მირჩევნიან, რომ

კარგათ არ იყვნენ. კაი წამალია, მომარჩინოს, მაგრამ ცალ-ხელა და ცალ-თვალა კი დამაგდოს!

## გამოსვლა მეთექვსმეტე.

### იგინივე და ტუანეტა.

ტუან. (ვითომ კარში ვიღასაც ელაპარაკება). თავი დამანებეთ; მე ხუმრობა არ მიყვარს.

არგ. ვის ელაპარაკები?

ტუან. თქვენს ექიმს უნდოდა ჩემთვის მაჯა გაესინჯა.

არგ. კარგი ოთხმოც-და-ათის წლის ბებერი ყოფილა.

ბერ. ახლა, ხომ პიურგონსაც წაეჩხუბე; არ შეიძლება ჩემის ძმისწულის საქმეზედ მოგელაპარაკო?

არგ. არა, უეჭველათ უნდა მონასტერში მივცე, რადგან ჩემს სურვილს წინაღუდგა. მე მესმის, რომ მანდ რაღაც არშიყობის ამბავია; მე შევიტყე, რომ ჩემი გომბიო ქალი სხვებს ჩუმათ ინახულებს, სხვამ კი ჯერ არავინ იცის, რომ მე ეს შეტყობილი მაქვს.

ბერ. მერე; სწორეთ რომ გული მისდიოდეს ვისზედმე, მომაკვდინებელი ცოდვაა? მას არა შეგარცხვენს რა, თუ სურვილი წმინდაა და ჯვარისწერა განუზრახავთ.

არგ. რაც გინდა ილაპარაკე, მაინც მონაზონათ უნდა შევიდეს; ეგ გადაწყვეტილია.

ბერ. შენ სხვის ჩაგონებით ჩადიხარ მაგას.

არგ. ვიცი, ვისაც გადაჰკარი! ახა, ღმერთო ჩემო! ჩემი ცოლი-რა ყელზედ ფეხათ დაგდგომია.

ბერ. რახან გინდა, გულ-მართლათ გელაპარაკო, სწორეს გეტყვი; სწორეთ შენს ცოლზედ მინდოდა ლაპარაკი. მე არც შენი წამლების აყინება მომწონს, არც ისა, რომ შენს ცოლს ფეხ-ქვეშ ეგდე-ბი და ყოველს იმისაგან დაგებულს მახეში ფეხსა ჰყოფ.

ტუან. ნუ, ბატონო, ქალბატონზედ ცუდს ნურას იტყვით;

სწორეთ ანგელოზია; ეშმაკობა იმას არა აქვს რა და ისე უყვარს ჩემი ბატონი, ისე უყვარს, რომ......თქმაც კი მიჭირს.

არგ. (ბერალდს). ერთი ამას ჰკითხე, როგორ მეალერსება ხოლმე.

ტუან. მართალსა ბძანებს.

არგ. როგორა სწუხს ჩემის ავათ-მყოფობისთვის;

ტუან. გულს ეჯრება.

არგ. როგორ მივლის და თავს დამტრიალებს.

ტუან. ნამდვილსა ბძანებს. (ბერალდს). გნებავთ, დაგარწმუნოთ და ეხლავ გაჩვენოთ, როგორ უყვარს იმას ჩემი ბატონი? (არგანს). გნებავთ, ამათ თვალები ავუხილოთ და შეცთომილებას ავაცილოთ.

არგ. როგორ მერე?

ტუან. ქალბატონი საცაა მობძანდება; თქვენ ამ სკამზედ გაწექით და თავი მოიმკვდარუნეთ. ერთი ნახეთ როგორ თავს მოიკლავს ამ ამბავს რომ გაიგონებს.

არგ. ძალიან კარგი.

ტუან. დიდხანს კი ნუ აწვალებთ, თორემ მწუხარება თან გადაიტანს.

არგ. უგ მე ვიცი.

ტუან. (ბერალდს) თქვენ იმ კუთხეში დაიმალეთ.

## გამოსვლა მეჩვიდმეტე

იგინივე, ბერალდს გარდა.

არგ. საშიში ხომ არ არის თავის მომკვდარუნება?

ტუან. რა საშიში უნდა იყოს! გაწექით, ნუღარ უყურებთ. (ხმა დაბლა) რა კარგი იქნება, თქვენს ძმას რომ შევარცხვენთ. აგერა ქალბატონიც, ფთხილათ იყავით.

## გამოსვლა მეთვრამეტე

არგანი, სკამზედ გაწოლილი, ტუანეტა და ბელინა.

ტუან. (ვითომ ბელინას ვერა ხედავს) ვაიმე, ბატონო, ვაიმე ამ დღის მომსწრეს!

ბელ. რა ამბავია, ტუანეტა?

ტუან. ვაიმე, ქალბატონო, შენი ჭირიმე!

ბელ. რა არის, რა ამბავია?

ტუან. ბატონი გარდაიცვალა.

ბელ. გარდაიცვალა?

ტუან. დიახ, ქალბატონო, თქვენი ჭირი წაიღო.

ბელ. მართლა?

ტუან. მართალს მოგახსენებთ—ჯერ ეს ამბავი არავის შეუტყვია. მე აქ მარტო გახლდით; ეს არის ეხლა ჩემს ხელში დალია სული. ხედავთ, ამ სკამზედ როგორ გაშოტილა.

ბელ. მადლობა ღმერთს; ძლივს ეგ ჭირი თავიდამ არ მოვიცილე. რამ გაგაგიჟა, ტუანეტა, რასა სტირი?

ტუან. მე მეგონა, უნდა მეტირნა.

ბელ. საქმე გამოგლევვია! ერთი მითხარ, რა დაგვაკლდა მაგის სიკვდილით? რას მიკეთებდა? ყველას შემაწუხარი, უსუფთავო, ბილწი, მურტალი, მყრალი! მუდამ წამალი, მუდამ ოყნა, მუდამ ცხვირის ხოცვა, ხველება, ფურთხება! უჭკუო, სულელი, ანჩხლი, ყველას ილაჯის წამრთმევი, დღე და ღამე ბიჭებისა და გოგოების დამტუქსი!

ტუან. კაი შესანდობელია!

ბელ. ტუანეტა, შენ მე უნდა ჩემის აზრის შესრულებაში ხელი მომიმართო; შენს ერთგულებას უთოოთ გადავიხდი. ჯერ ვიდრე ეს არავინ იცის, მიშველე, ეს თავის ლოგინზედ გადავიტანოთ და ნურავის რასვეტყვით, ვიდრე ჩემს საქმეებს მოვაგვარებდე. ქაღალდებია, ფულია; მე მინდა ზოგიერთი რამ ხელში მოვიგდო. მაშ რისთვის შე-

ვალიე მაგას ჩემი ახალგაზდობა! აქ მო, ტუანეტა, ეს გასალებები შემოვხსნათ.

არგ. (წამოხტება) მოიცა, მოიცა, ნუ ჩქარობ.

ბელ. ვაი!

არგ. მაშ ეგრე გიყვარვარ?

ტუან. ჯერ სულ მკვდარი არა ყოფილა.

არგ. (ბელინას, რომელიც გადის) კარგია, შენი გულის ტკივილი შევიტყე, გავიგე შენგან ჩემი ქება. ეს მე ჭკუას მასწავლის; ბევრს სათფთხეს ამაცილებს.

## გამოსვლა მეცხრამეტე

არგანი, ტუანეტა და ბერალდი, (რომელიც კუთხიდგან გამოვა, საცა დამალული იყო.(

ბერ. ეხლა რაღას იტყვი?

ტუან. ამას თავის დღეში როგორ დავიჯერებდი! მოიცადეთ, აგერ თქვენი ქალიც მოდის. აბა ისევ ისე გაწექით, როგორც იყავით; ვნახოთ, ის რაღას იტყვის თქვენს სიკვდილზედ. ურიგო არ არის, კაცმა ეს შეიტყოს. თქვენ ხომ არა დაგიშავდებათრა და ყველაფერს კი გაიგებთ, რა თვალითაც თქვენი ცოლშვილი გიყურებთ. (ბერალდი დაიმალება).

## გამოსვლა მეოცე

იგინივე და ანჯელიკა.

ტუან. (ვითომ ანჯელიკას ვერა ხედავს) ცა და ქვეყანა თავზედ და-ვვენგრა! ეს რა დღე გაგვითენდა!

ანჯ. რასა სტირი, ტუანეტა; რა ამბავია?

ტუან. ვაიმე, პატრონის ქალო, რა ცუდი ამბავი უნდა გაგიმჟღავნო.

ანჟ. რა ამბავია?

ტუან. მამა თქვენი გარდაიცვალა.

ანჟ. მამა ჩემი გარდაიცვალა?

ტუან. ეს არის ეხლა სული ამოუვიდა, სისუსტემ თან გადაიტანა.

ანჟ. ამას რას მოვესწარ! ეს რა საზარელი ამბავი გავიგონე. მაგის მეტი ვიღა მყავდა ქვეყანაზედ, რომ ეგეც არ დამეკარგა! ვაი ჩემს თავს, რომ უკანასკნელი წუთი მე იმას გავუმწარე! რაღა ვარ ამ ქვეყანაზედა! რითღა ვინუგეშო, მაგისთანა მამის დამკარგავმა!

## გამოსვლა მეოცდაერთე

იგინივე და კლეანტი.

კლეან. რა მოგივიდა, მშვენიერო ანჟელიკა, რას დასტირი?

ანჟ. ვაიმე უბედურსა! მე დავსტირი ჩემს ძვირფასს, ჩემს საყვარელს, ჩემს მოამაგე მამას.

კლეან. ეს რა მესმის? რა მოულოდნელი უბედურება გაწვევიათ. ეს იყო მე ბიძა შენი მოვიმხრე და ვთხოვე, ჩემთვის ეშუამდგომლა; მასუკან ვაპირებდი მოსვლასა; ხვეწნითა და მუდარით ვლამოდი იმის გულის მოლბობას, რომ თქვენი თავი ჩემთვის მოეცა და აი რა სანახავსა ვხედავ.

ანჟ. ოჰ, კლეანტ, რა დროს ეგ არის! რა დროს გათხოვებაზედ ლაპარაკია. მამი ჩემის სიკვდილის შემდეგ ყოველისფერი უარმიყვია. ჩემო ძვირფასო მამა, თუ მე შენ ურჩობა გაგიწიე, ერთს შენს სურვილს მაინც შევასრულებ და მოვინანიებ იმ მწუხარებას, რომელიც მე შენ მოგაყენე. (დაიჩოქებს) გპირდები ამას მამა ჩემო დაგთხოვ ჩემის შეცოდების მოტევებას; ნება მომეცი, რომ უკანასკნელათ გამოგესალმო.

არგ. (შემოეხვევა ანჟელიკას) შვილო!

ანჟ. ვაიმე!

არგ. აქ მო: ნუ შეკრთინდები; მე ჯერ არ მომკვდარვარ. აქ მოდი, შენა ხარ ჩემი ხორცი, ჩემი სისხლი ეხლა გიცან რაცა ხარ, ჩემო ძვირფასო შვილო.

## გამოსლა მეოცდაორე

იგინივე და ბერალდი.

ანჟელ. მამაჩემო; რადგან, ჩემდა საბედნიეროთ, ზეცამ თქვენი თავი დამიბრუნა, ნებას მიბოძეთ მუხლმოდრეკით ერთი თხოვნა გაგიბედოთ. თუ ვინც მიყვარს, იმას არ მიმათხოვებთ, თუ კლეანტს არ შემრთავთ, სხვის შერთვას მაინც ნუ დამამალებთ. მოილეო ჩემზედ მხოლოთ ეს მოწყალება.

კლეან. (არგანს დაუჩოქებს) გზა მიეცით თქვენს გულში ჩვენს ვედრებას; ნუ დაგვიმღით ჩვენის სიყვარულის დაგვირგვინებას.

ბერ. განა უარის თქმას კიდევ მოახერხებ?

ტუან. ამისთანა სიყვარული თქვენ არას გაგრძნობინებს?

არგ. თუ ექიმი გახდება, ყაბულსა ვარ. (კლეანტს) ჰყო, გახდი ექიმი და ქალს მაშინ მოგცემ.

კლეან. დიდის სიამოვნებით. თუ ამაზედ არის საქმე მომდგარი, ექიმი კი არა, თუ გნებავთ აფთიექარი გავხდები. ეგ რა დიდი ამბავია. ჩემი კარგი ანჟელიკას გულისთვის რა გამიჭირდება.

ბერ. თუ აგრეა, ჩემო ძმაო, მოდი შენ თითონ გახდი ექიმათ. ის უფრო კარგი არ იქნება, რომ შენვე იყო ექიმი.

ტუან. აი კაი სიტყვა; აი ეგ მოგარჩენთ მალე. რა ავათ-მყოფობა იქნება იმისთანა, რომ ექიმიც არ დაინდოს.

არგ. რას მემასხარავებით, რალა დროს ჩემი სწავლაა!

ბერ. რის სწავლა! შენ საკმაოთ სწავლული ხარ და ბევრი ექიმი ვიცი, რომ შენოდენაც არ იცის.

არგ. ექიმი ხომ ლათინურს უნდა ლაპარაკობდეს, ავათ-მყოფობის გარჩევა უნდა იცოდეს; იცოდეს, რა წამალი მოუხდება.

ბერ. თუ ექიმების ტანისამოსი ჩაიცვი და იმათებური ქუდი დაიხურე, ყველაფერი გეცოდინება და ისეთი სწავლული გახდები, რომ შენი მოწონებული

არგ. ექიმების ტანისამოსი რომ ჩავიცვა, ავათ-მყოფობის შეტყობა შემეძლება?

ბერ. რასაკვირველია. ოღონდ ის ტანისამოსი გეცვას და ის ქუდი გეხუროს და რაც უნდა იყბედო, ყოველი სისულელე სიბრძნე ეგონებათ.

ტუან. თქვენს წვერზედ რაღასა ამბობთ; წვერი თითქმის ნახევარი ექიმია.

კლეან. მაინცა და მაინც მე ყოველისფერზედ მზათ გახლავართ.

ბერ. (არგანს) გინდა ეგ ყველაფერი ეხლავ მოხერხდეს?

არგ. ეხლავე?

ბერ. ეხლა, აქვე, შენს სახლში.

არგ. ჩემს სახლში?

ბერ. მე იმისთანა მეგობრები მყვანან მაგ წოდებაში, რომ ეხლავ აქ მოვიყვან და ექიმათ მიგაღებინებ. არაფერი არა დაგიჯდება რა.

არგ. მერე მე რა უნდა ვუთხრა, რა ვუპასუხო?

ბერ. ყველაფერს თვითონ გასწავლიან, დაგიწერენ, რაც უნდა სთქვა. წადი, რიგიანათ ჩაიცვი; ეხლავ მოვაძებნინებ.

არგ. ბატონი ხარ.

## გამოსვლა მეოცდასამე

იგინივე, არგანს გარდა.

კლეან. რომელს მეგობრებზედ ელაპარაკებოდით?

ტუან. რა გნებავთ, მოახდინოთ?

ბერ. პატარა დროს გავატარებთ, შევექცევით და ჩემს ძმასაც ავიყოლიებთ.

ᲐᲜᲯ. ბიძა ჩემო, მამი ჩემის ეგრე მასხარათ აგდებს რას ეგვანება.

ᲑᲔᲠ. მასხარათ აგდება რათ იქნება, თუ რაც უნდა იმას ვუსრულებთ. ჩვენც ხომ შიგ გავერევით და ყველას თავთავისი როლი გვექნება; ყველანი ერთმანერთს შევაქცევთ. წავიდეთ, ყოველისფერი მოვამზადოთ.

ᲙᲚᲔᲐᲜ. (ანჯელიკას) ყაბულსა ხართ?

ᲐᲜᲯᲔᲚ. რახან ბიძა ჩემს ნებავს, რაღა მეთქმის.

---

# ვარინკას ვეჩერი

თხზ. გაბრიელ სუნდუკიანცისა

(სომხურიდამ ნათარგმნი *)

არ ვიცი რომელი თვის პირველს იყო, შაბათი დღე თენდებოდა.

ეს ის დღე იყო, რომ სანთურაანთ მაკაკო ერთ დიდს დიდებას უნდა ჰღირსებოდა.

ვინ იყო სანთურაანთ მაკაკო? სანთურაანთ მაკაკო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთი საწყალი კაცის ცოლი იყო, ახალ-გაზდა და ერთის შვილის დედა. საწყალსაც რო ვამბობ, არ გეგონოთ, შენი ჭირიმე, რომ ცოლ-ქმარნი კარ-და-კარ გლახაობდნენ. არა, ღმერთმა ნუ ქნას და მაგ დღეს ნუ შეასწრას! მაგრამ ერთ კაცს მზა-მზარეულათ მოგებული ფული რომ არა ჰქონდეს და ლანქ-თემურისავით მხარ-თეძოზედ წამოწოლილი ფერად-ფერადს არ მიირთმევდეს, რასაკვირველია რომ საწყალათ იხსენება? რას იზამ, ესეა ქვეყანა.

აბა რა შავი ქვა ჰქონდა მაკაკოს ქმარსა, რომ ლანქ-თემურსავით მოქცეულიყო? გათენდებოდა თუ არა, მიდიოდა თავის ხელობაზე და მთელ დღეს ტანჯვით ერთი-ორი აბაზი ძლივს შინ მოჰქონდა; და ცოლს არც მზარეული ჰყავდა შინა და არც ლაქია. იმის სულის ჩამდგმელი ერთი დედაბერი სისდუხტა იყო, რომ სადილსაც ის უკეთებდა და სარეცხსაც ის ურეცხავდა. საწყალს მაკაკოს ხომ მეტის საკერავით თვალის ჩინი წასვლოდა და ხელის თითები დაჰბებრე-

---

*) სომხურად იბეჭდებოდა ტფილისის სომხურ გაზეთში „Մշակ" (მუშაკში) 1877 წ. №№ 1, 2, 5, 8, 11 და 14.

მთარგ. ვ. უ.

ბოდა. ასე შეჰფეროდნენ ქმარი ცოლსა და ცოლი ქმარსა. სხვა თანხა იმათ არა ჰქონდათ და შემოსავალი; დღიურათ იგებდნენ, დღიურათ ჰსჭამდნენ. ეს იყო იმათი სიღარიბე. კაი-კაცლახით გამოდიოდნენ და არავის ხელს არ უშვერდნენ. ჩვენში კი ვთქვათ, ბევრი ხელის მიმშვერი კაცია რომ მაკაკოს ქმარზე შემძლეა.

ერთის სიტყვით მაკაკოს ქმარი ერთი საწყალი ხელოსანი იყო, მეთქი. მართალია მამა რომ მოუკვდა, ერთი სამი ოთხი ასიოდ თუმანი ფული დაჰრჩა. მაგრამ ის ფული სად იყო, ვერავინ ვერ შეიძლო ეპოვა. რამდენიმე ავი ენა კი უმატებს, რომ ის ფული ბიძამ ქვეშ ამოიღოვო; მაგრამ ტყუილი და მართალი ღმერთმა იცის. მე რომ მკითხოთ, ქალაქის მითქმა-მოთქმისა არა მჯერა რა, ამიტომ რომ წყლის ოდენა საქმეს აქლემათა ხდიან. აბა ეგრე როგორ იქნება, თქვე დალოცვილიშვილებო! ასე ვთქვათ, ბიძამ მართლა მოსტაცა. რათ უნდოდა, ერთი თქვენა გკითხავ? ცოტა ჰქონდა, თუ რა არის? მოსტაცა და ისიც თავის ძმასა, ძმის წულსა? ფიე! ეს რა ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა, ბიჭო! უბრალოთ დაუშავებლათ თითო ამ გვარ რამეს დააბრალებენ კაცსა! აბა სანთურაანთ ალექო (მაკაკოს ქმრის ბიძა) ის სახელოვანი მდიდარი კაცი, ამისთანა საქმეს როგორ ჩაიდენდა? შარი მოუგონიათ, თქვენმა მზემა. ღმერთო ჩემო, ნუ შეგვრისხავ ამისთანა შარებისათვის!

* *
*

რაც იყო, ალბათ ამ მითქმა-მოთქმის ბრალი იყო, რომ მაკაკოს ქმარი და იმისი ბიძა, ბატონი ალექო, რამდენიმე წელიწადი ერთმანერთთან მწყრალათ იყვნენ. რამდენი კაცი შუა კაცათ შემოუდგათ, რამდენი მღვდელი შუა შემოუყენეს, ამათს შერიგებას ვერა ეშველა რა. მაგრამ ნათქვამია, ქვეყანაზე გაუთავებელი არა არის რა. ალექოს ცოლი მოუკვდა და ერთმა წელიწადმაც არ გაიარა, ღმერთმა ინება და ალექოს ერთი სხვა ალალი რძის ნაწოვნი შეხვდა.

ამ ცოლმა სახლში ფეხი შესდგა თუ არა, ალექოს სახლ-კარი სულ ერთიანათ შეიცვალა: ოთხი ოთახი ცხრა გახდა, ჭუჭყიანი კედ-

ლები ვარაყით დაჩითული ქაღალდებით დამშვენდა; ცინგლიანი ბიჭის მაგიერათ თხუთმეტ მანეთიანი ლაქია დადგა და თითონ ალექო ისე შეიცვალა, რომ ვინ იტყოდა თუ ეს ის სამოცი წლის ალექოაო, კვირაში რომ ერთხელ ჰერანგს ძლივს იცვლიდა და ქონიანის ქუდით დადიოდა. ეჰე-ჰეი! ალექო, ალექო გახდა, რომ თითქოს საფრანგეთიდამ მოსული ოცდა ათის წლის კარტინკა იყოსო. ქონიანი ქუდი მოდნის შლიაპა გახდა და ყალამქრის დალიანდაგებული ახალუხი — ხავერდის ჟილეტკა. მაგრამ ისეთი ხავერდი, ისეთი ხავერდი, რომ ხელს რომ უსვამდა, თითონვე იამებოდა. „ერთი უყურე, ვარინკა ჯან, ეტყოდა ხოლმე ცოლსა, თითქოს შენი ლოყები იყოსო.“

ასე გაანათლა ვარინკამ ალექო; მაგრამ უმადლო განათლება დაკარგულიაო, იფიქრა ვარინკამა, როგორ მოუხდება ამის სახელსა, რომ იმასი ლამაზი, ახალ-გაზდა ალექო ხალხის სალაპარაკო იყოს? რაც კაცებმა და მღვდლებმა ვერ შეიძლეს, თითონ უნდა შეიძლოს. ფიქრში ჩაიდვა და აასრულა კიდეც. იმის მოწადინებულ საქმეს ალექოი როგორ შეძლებდა აჰხირებოდა. ალექოს გული წმინდა სანთელი გაეხადნა და როგორც უნდოდა ხელში ათამაშებდა: იმ წმინდა სანთელს, უნდოდა, ანგელოზის გახდიდა, უნდოდა ეშმაკს, უნდოდა პატარა ჯორს და საითაც ჰსუროდა, ალვირს იქით მისწევდა.

„აბა მწუხრალობა რა საკადრისიაო, ალექო ჯან“. ესა სთქვა და პირ-და პირ სადილათ მოიწვია ისე ხელათ, შინაურულათ მაკაკოც და მაკაკოს ქმარიცა. ჩამოვარდა შერიგება. ძველი შუა კაცები ცოტათი შეწუხდნენ, რომ თითონ ვერ შეიძლეს ამ საქმის თავს მოყვანა. მაგრამ ვარინკას რა ენაღვლება, იმან თავისი მადლი ჰქმნა და სულიერის მამისაგან „გაკურთხოს“ თავისის ყურით გაიგონა. გაიხარა და შემოტრიალდა ვარინკას დედა, რომ იმის წლის ნაშობი ამისთანა ღვთის ანგელოზი გამოდგა დედა-მიწის პირზედა.

* * *

რა მოუმატა ამ შერიგებისაგან მაკაკოს ქმარსა, ღმერთმანი სწორეთ არ ვიცი, მაგრამ ნამდვილი ის არის, რომ რაც შერიგების წი-

ნათ იყო ისევ ის საწყალი ხელოსანი დარჩა: არც ტანისამოსი შესცვლიყო, არც სახლი... ელენკიკო, ზელენკიკო; ისევ ის სეიდაბათი იყო და სეიდაბათი, ისევ ის ქუსაბანდი და ის ქირის სახლი, თუ წინათ, თუ ეხლა.

თუ ალექოს მართლა მოტაცებული ფული ჰქონდა და მაკაკოს ქმარს დაუბრუნა, რა იქმნა მერე ის ფული? იქნება საიდუმლოთ ბანკში შეიტანა, რომ შვილებს ერთ დღეს გამოადგეს? მაგრამ როგორ შეიძლება რომ ადამიანს სამას ოთხასი თუმანი ფული ჰქონდეს და გაჭირებაში არც თავხს ხელი ახლოს, არც სარგებლისა? არა, თქვენმა მზემ, ტყუილი მოუგონიათ; რის ფული, რის მოტაცება! მე კარგს ჩავდივარ, რომ ქალაქის მითქმა-მოთქმა არა მჯერა.

* * *

იმ თავათა ვთქვი, რომ შაბათი დღე თენდებოდა და მაკაკო ერთ დიდს დიდებას უხდა ჰღირსებოდა.

რა იყო ის დიდი დიდება?

ვარინკას ქმარს ალექოს, ცოლის ხვეწნითა და ვედრებით იყო, თუ თითონ თავის-თავათ ეფიქრა რომ საუკუნო სახსენებელი დაიგდოს, სახლები ხელახლავ დაეშირქვავებინა და ასეთი მოეწყო, ასეთი მოეწყო, რომ ენა ვერ გამოსთქვამს.

ამ ახალად მოწყობილ და გამართულ სახლებში, სწორეთ იმ შაბათ დღეს ვარინკას დიდი ვეჩერი ჰქონდა და ამ ვეჩერში მაკაკო მიწვეული იყო.

განა მაკაკოს კვლავ ვეჩერი აღარ ენახა, ლოტო აღარ ეთამაშნა? როგორ არა, მაგრამ ის წასული ვეჩერები და ლოტო სად მოვიდოდა ამ გვარ ვეჩერთანა. ვინ იყვნენ ნახულ ვეჩერეში? თულუხაანთ ნატაშია, ჩაფრასტიანთ ანანა, დაბლიანთ სოფიო, ღრეჭიანთ ქალია, დუნდულაანთ მარიამ, სულ ამისთანები თითონ მაკაკოს რითა სჯობდნენ? მაგრამ ვარინკას ვეჩერში, ჰმ! ისინი ვის ეკადრებიან; სულ დიდიდისაან დიდები, თქვენმა მზემ მოდნიანთ, ნატაშა, ბუდაღა! თ-

ანიჩკა, ლაულაყაანთ დარინკა, კომბოსტოანთ ქალინკა, წივწივაანთ მაშინკა, ქარმანაანთ საშინკა და კიდევ მგონი ორმოც ჯერ ამათზე უკეთესები! დიდება არ იყო ამათთან ჯდომა, ისიც დიდი დიდება, მაშ რა ზაჭრუმალი იყო? ავსუს, ავსუს ჩემო ალალო გულწრფელო მაკაკო.

* * *

იმ ბედნიერ შაფათ დღეს, მაკაკომ თვალი გაახილა თუ არა, ეს ვეჩერი მოაგონდა და იმ საათს ასე ეგონა შუქი მზისა, რომელსაც მაკაკოსთან ერთად გაღვიძებოდა, პირ-და-პირ გულს მოადგაო, ასე მხიარულად მკირად გაეხილა თვალი, მაგრამ სანამ მზე სრულად ამოვიდოდა, მაკაკოს შუბლზე რაღაცა ღრუბელმა გადაუარა. წასვლა უხაროდა და დიდი დიდებაც იყო; მაგრამ ვაი თუ ქმრის მიცემული სამი მანეთი ვარინკას ლოტოს არ ეყოს; რა ქნას, როგორ უშველოს ამას. ეს ფიქრები გონებას უბნელებდა.

ჯერ წინა ღამეს, ვახშამზე რომ ისხდნენ, მაკაკომ ბევრი ოსტატობა და ხერხები იხმარა ქმართან, რომ აგება მეტი რამ გამოჭკვლივოს, მაგრამ შენც არ მომიკვდე: სამი მანეთი სამ მანეთად დარჩა. ბევრი უთხრა ქმარსა, რომ სირცხვილიაო, სამი მანეთით იმ გვარ დიდკაცის ცოლებთან ჯდომა არ იქნებაო, რომ ისა სჯობს წმინდათ გამოერჩიოს იმათ და სულაც არ გაერიოს, ვინემ წააგოს და შერცხვეს. მაგრამ ქმრის სიტყვა სულ ის იყო, რო „ისიც ბევრიაო, რაც მოგეციო. გინდა ეგ არაისო, და არ გინდა, თუნდა სულაც ნუ წახვალო; თავი ქვას ახალე შენცა და ბიძაშენსაცაო." ამ სიტყვის შემდეგ მაკაკომ თავი მოიდრიკა და მაკაკოს ქმარმა კი ჩარექიანი მოიყუდა. ცოტას ხანს ერთმანერთთან აღარ ილაპარაკეს; მიზეზი წყენა იყო თუ ხრამული, რომ ბუხა ყელში არ გადაეხიროს. ესე ხმა გაკმენდილი დარჩნენ ორნივე, სანამ მაკაკოს ქმარმა ხრამულის თავი არ [illegible], [illegible] პირში ჩაიდვა და ტუჩი თავის ცოლს უთავაზა. რაც უნდა ყოფილიყო [illegible] ცოლი იყო, [illegible] იხრმდი; ამაზე მაკაკომ გაიცინა და

ხელახლად დაიწყო თავისი ჩუქუთაყვა და შენი ჭირიმე“; მაგრამ მაკა-კოს ქმარმა რო ერთი თვალები დაუტრიალა და უთხრა, „ხმა, თორემ სუფრას თავზე დაგიბურტყუნო!“ მაკაკომ აშკარათ ნახა, რომ აღარა ეშველება რა.

კაი კაცი იყო მაკაკოს ქმარი, ღვთის წინაშე; მაგრამ ერთი ხა-სიათი ჰქონდა, რომ თავის ნათქვამს რასმე, ადგილს ჩავარდნილს ადგილობრივის ხელით და მუშტით ამტკიცებდა, ენას მეტს ძალას აღარ ატანდა.

ეს ახსოვდა მაკაკოსა და ხმა და კრინტი გაკმინდა.

იმ ღამეს თუ მაკაკომ კიდევ რამე უთხრა ქმარსა ამ საქმისა, ან რა უთხრა, მე არ დავსწრებივარ. მაგრამ საქმე ის არის, რომ შა-ბათი დღე რომ გათენდა, იმ სამ მანეთს ერთი გროშიც არ მომა-ტებოდა.

* * *

ბევრი რამ იფიქრა მაკაკომ შაბათ დილაზე პირის ბანისას, ბევ-რი წყევლა შეუთვალა ლოტოს მამგონის თავსა და ტანსა; მაგრამ ბოლოს ის გამოვიდა, რომ იმ ღამეს უნდა წასულიყო ძალოს ვე-ჩერში და სამი მანეთის მეტი არა ჰქონდა.

წავიდეს, რით წავიდეს და არ წავიდეს, აბა როგორ არ წავი-დეს, იმისთანა თამაშისაგან როგორ დამარცხდეს კაცი? ამასთანავე ძლივს შერიგება ჩამოვარდა და ვაი თუ ძალომ იწყინოს და ხელმეო-რეთ უბრალოთ დაუშავებლათ ისევ უმზრახობა მოხდეს.

მაკაკო ასე ჰფიქრობდა ძალოზედ, და ძალოს, თუ მე მკითხავთ, მგონი ძალიანაც გაუხარდებოდა, რომ მაკაკო სულაც არ წასულიყო. აბა რა მაკაკოს ადგილი იყო, რომ იმისთანა მოდის ქალებში გამოჭიმუ-ლიყო? რა ვუყოთ რომ ლამაზი იყო და ისიც ძალიან ლამაზი. გა-რეული სილამაზე რა არის!... ვიდრე ერთი შემძლებელის კაცის ცო-ლი ყოფილიყო მაკაკო, ვარინკასათვისაც დიდება იქნებოდა. მაგრამ რას იზამ, ძალა უნებურათ უნდა მოეწვივნა; პირველათ იმიტომ რომ

მაკაკოს არ სწყენოდა და კიდევ ხელმეორეთ მითქმა-მოთქმას არ გაეღვიძნა; მეორეთ რომ, ჯანაბას მაკაკოს თავი, დაე მოვიდეს და ხალხმა ნახოს ვარინკას თავდაბლობა, ღმერთმა უწყის იმისი მოქმედებული მადლი რომ შერიგება ჩამოაგდო და ეს მადლი რათ უნდა დაემალა თავის სტუმრებთან? დაე იმათაც ნახონ და ისწავლონ, რომ მადლი კარგი რამ არის. შენ, გენაცვალოს დედა მაგ მადლიან ჯანში, ვარინკა.

ერთის სიტყვით მაკაკოს გულში გადასწყდა, რომ იმ დამეს უნდა წავიდეს ძალოს ვეჩერში, უეჭველად, უეჭველად უნდა წავიდეს...

მაგრამ ფული?!

* * *

ოჰ ფულო! რათა ხარ ეგრე უსამართლო, რომ ვის ჯიბეშიაც ბევრი ხარ, კიდევ იქ მიდიხარ! რა იქნებოდა, ერთი ათი თორმეტი მანეთი მაკაკოს ჯიბეში ყოფილიყავი. ესე იფიქრა მაკაკომ და მაშინვე ხელი ჯიბეში ჩაიყო, ერთი ესახა მართლა კეთილ ანგელოზს ხო არ ჩაეყარა ის ფული იმის ჯიბეში. მაგრამ ხელი ცარიელი ამოიღო. ძალიან გულს ეცა, რომ ფული ასე უსამართლოდ ეკიდება და თვალები მოეცრემლა.

მართალია, საკერავისათვის ერთსა მანეთ-ნახევარი ემართა, ერთსაც სამი და ათი შაური; მაგრამ ისე იყო მორიგებული, რომ დანარჩენი საკერავიც უნდა მიეტანა და ის ფულები და ახალი ხელ-ფასი ერთათ მიეღო. დანარჩენი საკერავი მზათ არ იყო და ანაზდეულათ როგორ გაეთავებინა!...

რა ქნას? წავა იმათთან, მუშტრები არიან, იცნობენ, სთხოვს იმ მანეთ ნახევარსაც და სამსა და ათ შაურსაც. ღმერთს თავდებათ მისცემს, რომ ძალიან საჭიროა; შეეხვეწება, რო ეხლავე მისცენ... იტყვის რომ მშიერია, შინ ფქვილი არა აქვსთ, ფქვილი უნდა იყიდოს... მაგრამ ვაი თუ არ მისცენ, ვაი თუ უთხრან რომ აგრე არ მოგრიგები-

ვართო, რისთვის წავიდეს; რა პირობით წავიდეს? არა, სიკვდილი სჯობს ამ წასვლასა. ტყუილი უნდა ილაპარაკოს, ტყუილად უნდა იფიცოს, გლახასავით უნდა სთხოვოს და ნათხოვნი არ აასრულოს, ტყუილად უნდა იტიროს... და მართლა ატირდა...

ოჰ ვარინკა, ვინ გეუბნებოდა ვეჩერი გაგემართა და მაკაკო მოგეწვია...

ახლა ტანისამოსი? ვინ მისცა ვარინკას ვეჩერის შესაფერი ტანისამოსი... მაგრამ ტანისამოსი ხომ ფული არ არის, ტანისამოსის შოვნა ადვილია: პლატოკს კეკელასა სთხოვს, თავსაკრავს ნინუცასა, კაბა ხომ კარგი აქვს სააღდგომოთ შეკერილი, და კაბის ქვეშ თუ რა აცვია, ვინ რასა ხედავს?... ფული იყო, ის წყეული ფული, ისიც იმდენი ფული, რაც იმ ღამეს ეჭირებოდა. რომ არავინ არ ასესხებდა!...

ვინ იცის, იქნება კუნდურაანთ თათელას შეეძლოს. შორს არ იყო, ისიც იმ ქუჩაბანდში იდგა. მაგრამ თათელა უჭირათ რომ არავის არას აძლევდა, ამას რათ მისცემდა? რა ვქნათ რომ ახლო მეზობელია? იმასაც უნდა ეხვეწოს და იმასთანაც პირი გაიშავოს; ეს ხომ ისევ ის გამოვიდა, ისევ ის პასუხი გაიგონა, რაც მუშტრებისაგან უნდა გაეგონა ..

*
* *

ეს ფიქრები ზღვის ტალღებსავით სხვა და სხვა რიგისად მისდიოდა და მოსდიოდა თავში საწყალ მაკაკოსა და ერთი ერთმანერთის შეტაკებით უსველებდა შავს თვალებსა.

რათ არის ის ღარიბი და სხვა კი მდიდარი? ჩიოდა თავისთვის მაკაკო, რატო იმასაც იმდენი არა აქვს, რაც სხვასა აქვს; რათ უნდა მოაკლდეს ის ვარინკას ვეჩერსა, რათ უნდა იფიქროს ძალომ, რომ ლოტოს ფული არა ჭქონია და იმიტომ არ მოვიდაო... სირცხვილით ლოყები აელანძა და ჯვარი საკერავზე ამოიყარა. ისე დააჩქარა, ისე დააჩქარა კერვა, რომ ანაზდეულად ნემსი ხელში ემსხვრევოდა.

უეცრად ჩემს მაკაკოს სახე შეეცვალა! კუნდურაანთ თათელა ხელ-მეორეთ მოაგონდა, მაგრამ ისე, რომ თითქოს გვერდით უდგესო და ყურში ეჩურჩულებოდესო; აუძგერდა გული და პირჯვარი გამოისახა.

დაგლახვრა ღმერთმა, შენ ეშმაკო! თქვა მაკაკომ და საკერავი ხე-ლიდამ დააგდო.

თითონ ადგა ხელსაქმისაგან, თუ იმ ბოროტმა ეშმაკმა წამოა-ყენა, ვერ გაიგო მაკაკომ; მაგრამ ცოტა ხანს შემდეგ სკივრის წინ იჯდა და სკივრიდამ ამოღებულ სათუთო ვერცხლის ბადიას ხელში შინჯავდა.

ეს ბადია დედას, ეჩუქებინა მზითევში და მას აქეთ თუნდა ოთხ წელსაც გაევლო; მაკაკო ახალად შინჯავდა ხელში, ახალად ხედავდა, რომ ქვეშ რაღაც ბეჭედი უზის, ახალად ატყობდა, რომ ნაპირებში რაღაც წვრილი არშია აქვს დახატული.

გადააბრუნ-გადმოაბრუნა ეს ბადია მაკაკომა და გულზე მიიკრა, თითქოს თავის დედას ეხვეოდესო... საწყალი დედა! სამი წელიწადი მეტი იყო მომკვდარიყო და მაკაკოს ასე ეგონა თითქოს ეს საჩუქა-რი იმისაგან ეხლა მიეღოს...

ამისთანა რამ გირაოთ მიეცემა? ცოდვა არ არის ღვთის წინაშეო? ფიქრობდა მაკაკო სველის თვალებითა; მაგრამ დაგირავება ხომ გა-ყიდვა არ არის? თუნდა ათი თუმანიც მიეცათ, რათ გაჰყიდდა, მერე იმისთანა გირაოსა, რომ დახსნის ნამდვილი იმედი აქვს. რა უშავს, რომ დააგირავოს?... სამი მანეთი ქრმის მოცემული აქვს, მანეთ ნა-ხევარი და სამი და ათი შაური ძველი ხელფასისა, ეს რვა მანეთი; ერთი ექვსიოდ მანეთისაც, საკერავს რო გაათავებს, ახალ ხელ ფასს ჩაიგდებს; თოთხმეტ მანეთ ფულს იზამს და იმ ღამეს ათიოდ თორ-მეტიოდ მანეთზე მეტი ხომ არ დასჭირდება.

* * *

მაგრამ ქმარი?... ქმარმა რომ შეიტყოს, რა დღეს დააყენებს მაკაკოს თავსა? მეხსავით გაუარა ამ ფიქრმა თავში და მთელს ტანში თრთოლა ჩაუვარდა.

უნდოდა ბადია იმ საათშივე უკანვე სკივრში ჩაედვა, მაგრამ ეშმაკურათ ვარინკას მთელი ვეჩერი იმ ბადიაში გამოისახა.

მაკაკოს თვალები ზედ დააშტერდა და ვეღარ მოაშორა. აშკარად ხედავდა იმ ვეჩერსა, იმ დიდებას, იმ სიმდიდრეს იმ დიდკაცების ცოლებს, რომ მკლავი მკლავ ჩაყრილი, თითქოს სულ ერთად ბადიაში დადიანო და თითონ კი იქ არ არის; ისინი ლხინობდნენ, ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ და ის კი იმათში არ იყო; ისინი სხდებოდნენ, თამაშობდნენ, იგებდნენ, აგებდნენ, და ის კი ჯერ ფულისთვის დადიოდა. აშკარათ ნახა, რომ ძალო მოუახლოვდა და უთხრა: „პირი ნუ გაგიშავდეს, რატომ არ მოხველიო"... რა თქვას, რა მოიგონოს? არა, თითონ ისიც იქ არის, ერთ კუთხეში ზის, არავინ არ ელაპარაკება, არავინ ადამიანის ანგარიშში არ აგდებს; ვინც ვის ყურში რასმე ეუბნება, იმას ამბობს, რომ მაკაკოს ფული არა აქვსო და იმიტომ არა თამაშობსო. მოახლოვდა კიდევ ძალო: „რატომ არა თამაშობ ქა? თუ ფული გინდა, მოგცემო"... არა, დედა-მიწამ რომ ჩაიტანოს, ისა სჯობს...

ჩაეწვეთა ბადიაში მაკაკოს ცრემლები თითო თითოდ.

ოჰ, მშვენიერი ხარ, მაკაკო ჯან, ეგრე სკივრის წინ ჩამომჯდარი; ერთს ხელში სკივრის ხუფი, მეორეში ვერცხლის ბადია, რომელშიაც შარბათის მაგიერათ შენი ცრემლი ჩადის. დაიჭირე ეგ ბადია აგრე; ცოდვაა რომ ეგ ცრემლები დედა მიწას დაეცეს.

გაუგრილდა გული, შესწყდა ცრემლი; მაგრამ ისე გაშტერებული უყურებდა მაკაკო ბადიაში. ვისმე რო ენახა, იტყოდა მკითხაობსო. შიგ მაინც წყალი იდგა.

დიახ მკითხაობდა.

ამ მკითხაობამ ის გამოიტანა, რომ ერთათ-ერთი სათუთო ბადია კუნდურაანთ თათელას სკივრში იდვა და მაკაკოს ჯიბეში, სამი მანეთის მაგივრად, ცამეტი მანეთი ფული ედვა.

* * *

ეგეც შენი ფული, მაკაკო ჯან, სხვა რა გინდა? რაღათა ხარ გულ საწყენი? გეშინიან ქმარმა არ გაიგოს, რომ ბადია დააგირავე?

ქმარს ვინ ეტყვის, ვინ შეატყობინებს, როგორ გაიგებს? თუ ლოტოში არ მოიგე, იქნება ღმერთი შეგეწიოს და არც წაგაგებინოს, მეორეს დღესვე დაიხსნი შენს ბადიასა, და თუ წააგებინე, ისე ღმერთი როგორ გაგიწყრება, რომ სულ ერთიანათ წააგო? დანარჩენსაც სამ ღამეს ერთმანერთზე გასტეხ და ერთი კვირის საკერავს სამს დღეში გაათავებ; ამ სამს დღეში ქმარი ხომ არ იკითხავს ბადიასა და სამ დღეს შემდეგ შენი ბადია ისევ შენს სკივრში იქნება.

ეს ხომ ასეა; შენც ამბობ, რომ ასეაო. მაშ რა გაწუხებს, რატო გული არ გედება? იქნება იმაზე სწუხარ, რომ ყმაწვილი მთელ ღამეს მარტო უნდა დარჩეს? მაგისთვის რათა სწუხარ, შე დალოცვილო? ღირს, რომ ადამიანი მაგისთვისა სწუხდეს?... ყმაწვილი რა ადამიანის ანგარიშში ჩასაგდები არის. ჯერ შენთვის ასეთი სინდუხტა მოუცია ღმერთსა, რომ ათ დედათა ღირს. მაშ იმათ რა ქნან, ვისაც შენსავით გულ-შემატკივარი სინდუხტა არა ჰყავსთ, ისინი ცოდვანი არ არიან? შენ ჯერ კიდევ ერთი ყმაწვილი გყავს, მაშ იმათ რა ჰქნან, რომ სამ ოთხს ყმაწვილს ერთათ გოგოსა და ბიჭის ამარას აგდებენ და ვინ იცის იმათს ხელში რასა სწავლობენ? შენ კიდევ ათასში ერთხელ შეგხვდება ამგვარი საქმე, ისინი კი საწყლები მუდამ ამ დღეში არიან, მაშ ისინი კი შესაბრალისნი არ არიან?

მაგრამ არა; სინდუხტა კარგი დედა კაცია, კარგა შეინახავს შენს ყმაწვილსა. მაშ ეგრე რათა ხარ? რათა ხარ აგრე დაფიქრებული? ისე, შენც არ იცი.

ახ შენ კი გენაცვალე სულში, მაკაკო ჯან.

საღამო ხანი მოახლოვდა. გაეკაკა, მოემზადა, მოირთო, მოიკმაზა ჩემი მაკაკო და შინიდამ გამოვიდა პატარა ბიჭით, რომელიც ხელათ ახლო მეზობლისაგან ეთხოვნა

* * *

მოდიოდა ჩემი მაკაკო და როგორ მოდიოდა! თუ ანგელოზი იყო, ანგელოზს დედამიწაზე რა საქმე ჰქონდა, მერე ჩვენს ქალაქში,

და თუ ადამიანიშვილი იყო, განა ადამიანი იმისთანა იქნებოდა როგორც ის შეჩვენებული ჩანდა იმ მორთულ ტანისამოსში?

რა მხატვარი უნდა იყოს, რომ იმისი თვალ-წარბი გადმოიღოს? რა ფერადი წამლები უნდა, რომ იმისის სახის ფერის მსგავსი გამოვიდეს? რა ენა უნდა იყოს, რომ იმის სიარული და იერი გამოსთქვას?... ამაში მე ფას. თქვენში ყოველ კაცს თქვენი გულის მოსაწონი გენახავებათ ერთხელა, იმას დაამგზავსეთ ჩემი ნაზი და ჯეირანი მაკაკო.

ანაზდეულად ჩამოირბინა მაკაკომ თავისი უბანი, ეცა სურფ-სარქისის ქუჩაში; აქ ფეხი ცოტა მძიმეთ ატარა. სურფ-სარქისის ეკლესიას რომ მოაწია, ახლოს მივიდა, გარეთ ქვას ემთხვია და ფიქრში რაღაცა სთქვა.

რა სთქვი, მაკაკო ჯან, რა ილოცე?

ლოცვის დროს ეშმაკი ადამიანს ყურში ხანდისხან უჩურჩულებს, და იქნება შენც რამ გითხრა, იქნება რამე მოგაგონა? სწორეთ სთქვი.

იმ ჟამათ შენი მნახველი კაცი იტყოდა, ამ ქალს შემოხედე, სწორეთ სამოთხიდამ გამოსულაო და სურფ-სარქისს ეხვეწება, რომ სამოთხის ღირსი გამხადეო. შენ კი, მაკაკო ჯან, მგონია ისა სთქვი, რომ „ჰოი ძლიერო, წმინდაო სარქის, შენ დაიფარე და დაიხსენი ამაღამ ჩემი სათუთო ბადიაო"...

იქნება ვცდებოდე? იქნება სოროტი აზრები მომდიოდეს, რადგანაც ცოდვილი ვარ... და ამასთან ვისიმე ლოცვა კაცმა როგორ გაიგოს? როგორ შეუძლია გაიგოს? და ან რა ხელი აქვს, რომ გაიგოს?... ლოცვის დროს ადამიანის გული ღმერთის ეკვრის და მარტო იმათ იციან თუ რა გაივლის იმ ჟამში მათ შუა.

მოდის და მოდის ჩემი მაკაკო... მე იმას ერთ წამსაც თვალს არ მოვაშორებ. აგერ სურფ-სარქისის დიდმართი ჩამოიარა, აბანოების წინ გამოიარა, შევიდა ვიწრო ქუჩაში, აქ პატარას ციხის ეკლესიის კედელსაც გულიანათ ემთხვია...... აგერ ახლა მეიდანშია.

ჩემმა მაკაკომ იცოდა, რომ იქ დიდი ციხის ეკკლესიის პირ-და-პირ უფრო ახლო გზა არის, მაგრამ თან სხვა ქალები არ იყვნენ და მარტო ნათხოვნი ბიჭის ამარას ვერ გაბედა ქარვასლაში გავლო.

როგორც იყო მოაწია ჩემმა მაკაკომ კოლოლ-უბანი, მერე მოღნინის მეიდანი (მოღნინის ბაღი) და ბოლოს სანატრელი სოლოლაკის უბანი.

* *

ფეხი შესდგა თუ არა მაკაკომ პირველ განიერ ქუჩაში, მაშინვე ბიჭს უბრძანა, რომ ახლა ცოტა მოშორებით იაროს. თავის თავათ თაკილობდა, რას იზამ? აბა როგორ იქნება, რომ ამისთანა განიერ ქუჩაში, ამისთანა გამვლელ-გამომვლელში, იმისთანა ლაჩათრიანი ბიჭი იმისი გამოჩნდეს? რას იტყვიან? თავიანთ უბანში — სეიდაბათში, მეიდანში, ვიწრო ქუჩებში, კიდევ თავი ქვას უხლია, იოლათ მიდიოდა საქმე. მაგრამ აქ — სოლოლაკში ქალაქი სხვა ქალაქი იყო, ქუჩა სხვა ქუჩა იყო, კაცები სხვა კაცები იყვნენ და დედა-კაცები სხვა დედა-კაცები, — დიდი წილი სულ სუფთა, ლაზათიანი, ჯიბეები მგონია ოქროთი სავსე. თითონ ის რათ ერჩყოდა, იმაიზე ცუდი რათ გამოჩენილიყო, რა აკლდა, ტანი, ტანადობა, თუ ტანისამოსი? სილამაზით ხომ თითონაც კარგა იცოდა, რომ ვისაც ხედავდა, ყველაზე ლამაზი თითონ იყო

რაც ქმრის ბიძაანთთან შერიგება ჩამოვარდნილიყო, კარგა ხანი იყო მაკაკო აქეთ არა ყოფილიყო. ამიტომაც ბევრი ახალი რამა ნახა, ბევრ ახალ რამეზე პირი ღია დარჩა.

იქვე ადგილობრივ რაკი მარჯვნივ მიიხედა; თვალებს აღარ უჯერებდა... იქ იყო, თუ იქ არ იყო?... ქუჩა ის იყო, სახლები იგივე, მაგრამ რისაგან მომხდარა, ან როგორ მომხდარა, რომ ეს სახლები ერთბაშათ სულ ერთიანათ ორი-სამი ადლის სიმაღლეთ ასულა? განა სახლიც ხეა რომ თავის-თავათ ამაღლდეს?.. ეს რაღაა ქა, სთქვა ჩემმა მაკაკომ.

ახ, მაკაკო ჯან, რათა ხარ აგრე სადა, შენს სულს ვენაცვალე! ეს ომ თქვენი ქუჩა არ არის, რომ ოხრობით ტალახი ტალახს, ნაგავი ნაგავს წლის წლობით ზედ იმდენათ მომატებია, რომ რამდენიმე სახლის ქვემო სართული ეხლა თითქმის სარდაფათ გადაქცეულა.

რა გაკვირვებს? ერთს დასჭირდა, რომ თავის სარდაფები მაღაზიებათ გადაექცია; მეორეს დღესვე ბრძანება ბრძანებაზე მოუვიდა და აი აგრე მოხდა, როგორც ჰხედავ. ამასაებ ადვილი საქმე? რა არის აქ საკვირველი?...

პირ-და-პირის სახლები ხომ ერთი ასეთ გვარათ გაეკეთებინათ, ასეთ გვარათ დაეხატათ, თითქოს სახელმწიფო პალატი იყოსო. რა ფარშევანგები, რა არწივები, რა სხვა და სხვა რიგი ვარდები და ყვავილები, ალებასტრის გაკეთებული აქა იქ კედლებზე იყო მიკრული, ზოგი კარების და ფანჯრების მაღლა, ზოგი დაბლა და გვერდებზე. რა ცუგრუმელა პატარა ბალკონები ორფერ ატლასსაებ დახატული... დარჩა გაოცებული ჩემი მაკაკო და სანამ ამ სახლებს გაივლიდა, კინაღამ საწყალს კისერი მოუგრიხა ბევრის ცქერით.

*
* *

რამ არ გაუარა ჩემ ალალ-მართალ მაკაკოს თავში, რა არ მოაგონდა ამ ათის-ოცის ფეხის გადანაცვლებაში?...

ნეტა როგორ მოხდება ხოლმეო, ამბობდა მაკაკო თავის ფიქრში, რომ მე და ჩემი მსგავსები პურის ნატრულები ვერივართო და ამ სახლების პატრონს იმდენი შეძლება აქვს, რომ ფული გაჯათ უქცევია, გაჯისაგან ყვავილები და ვარდები გაუკეთებია და კედლებზე მიუკრავსო... თუ ამბობენ, ღმერთმა ბძანაო რომ ყველანი ჩემ წინაშე თანასწორენი ხართო,—ეს სადაური თანასწორობაა, ეს სადაური სამართალიაო? მაგრამ იმ საათშივე ის მოაგონდა მაკაკოს, რომ ღმერთიო მართალსა და ცოდვილს არჩევსო და ჰკალბათ ამისთვის ესეთი სამართალი გადაუჭრიაო. ჰო, ჰო ისა და იმისა თანასწორნი არიან ცოდ-

ვილნი .. ამ სახლის პატრონი და იმის მსგავსნი არიან მართალნი, თორემ ესე როგორ მოხდებოდაო.

ნეტარება დაჰყარა მაკაკომ სახლის პატრონსაც, შიგა მდგომებსაც და თითქოს ცხვირში წაამძრა.

ვინ იცისო, ამბობდა მაკაკო, რა ჰალალი, ღვთისნიერი კაცი იყოს ამ სახლის პატრონი, რომ ამ დიდებისა და სიმდიდრის ღირსი გამხდარაო. თითონაც, იმისი ქმარიც, და იმისი ქმრის მსგავსები არიან ცოდვილნი, რომ არა აქვთ რა და არც შეუძლიათ იქონიონ. აბა ქონების მდომელი როგორ იზამდა,— თავის-თავს უსაყვედურა მაკაკომ,— რომ ერთი ღამის ვეჩერის გულისათვის, არა ვეჩერისა კი არა, თუნდა სირცხვილის გულისათვის, თავისი ერთად ერთი სათუთო ბადია დაეგირავებინა? ალბათ რომ ღმერთი გაუწყრება იმასაც, იმის ქმრის თავსაც და საქმეს ისე მოუგვრის, რომ იმ ბადიის ფულებსაც სოლოლაკში დააურევინებს, რადგანაც ამ უბნის მდგმურები უცოდველნი არიან.

არა, მოდი უკან დაბრუნდება... თავი ქვასა ჰკრან ქმრის ბიძაანთაც, იმათ ვეჩერმაც! ამ საათშივე ფულს მიუტანს კუნდურაანთ თათელას, უკანვე მისცემს და ბადიას დაიხსნის... ღმერთი გადაგიხდის ამ ყოფა-ქცევასაო, ამბობდა ჩემი მაკაკო, და ეგონა მართლა უკან მივდივარო; მაგრამ ნახა, რომ ათიოდ ფეხით უფრო წინ წასულიყო.

მაგრამ ეს ფიქრები ჩემმა მაკაკომ მალე ქარს მისცა. ერთი-ორი ფეხი გადასდგა თუ არა, ნახა ორნი ქალნი მოდიან მალიან მოდით შორითულები. ორთავე ერთგვარათ ეხურათ თავი, ორთავე ერთფერა კაბები ეცვათ, ორთავე ერთგვარათ მარცხენა ხელით კალთები მოდურათ დაეჭირათ. ასე კალთების დაჭერის მოდას მაკაკო პირველად ხედავდა და ჯერ არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა. მაგრამ ორიოდ ფეხიც რომ გაიარა და რამდენიმე ქალი კიდევა ნახა იმ გვარათვე კალთებ დაჭერილები, მაშინვე აშკარათ მიხვდა, რომ ესეც ახალი მოდა ყოფილაო. მიიტანა თითონაც ხელი ისე, მაგრამ იმ წამსვე დაატყო, რომ საქმე ლაზათიანათ არ

გამოდიოდა და გალთა ჩამოუშვა... სირცხვილით აღარ იცოდა რა ექნა!

ასე ანაზდეული საქმეც იქნებაო, ამბობდა ჩემი მაკაკო, რომ ამ მოდისა ჯერ ამბავიც არ მოსულა ჩვენს უბანშიო და, აქ კი სუყველას უსწავლიათ კიდეცა და გაუთავებიათო.

აბა, მაკაკო ჯან, შენ ვინ გეუბნებოდა რომ სეიდაბათის უბანში დაიბადო და გათხოვდე?

მოდი, მოდი ჩვენთან სოლოლაკში, ჩვენ ბევრს რასმე გასწავლით, ბევრ რასმე გაგიადვილებთ. ჩვენი უბნის ჭაერი სხვაა... აქაური მაიმუნობა სხვაა, მაიმუნები სხვები არიან... ერთმა რომ ცხვირ დაჭერით იაროს და შეიტყონ რომ ეს მოდაა, მეორეს დღესვე, შენმა გაზრდამ, ყველანი ცხვირდაჭერილნი ივლიან და ყველანიც სულ ერთ გვარათ. შენ აბა ჩვენთან დარჩი, ნახე, ყველაზე კარგა ცხვირის დაჭერა შენ გეცოდინება, მაკაკო ჯან.

* *

რაც იყო, მიადგა მაკაკო თავის ქმრის პატიოსან ბიძა ალექოს სახლებსა...

ნახა და რა ნახა ჩემმა მაკაკომ!... ფარშევანგიანები სახლები დაავიწყდა, თქვენმა მზემ.

ორასი მარტო ვეშაპის თავები ეკრა ფანჯრების შუბლსა... პირები დაეღოთ, თითქოს მაშინვე ჩაყლაპვას აპირებენ თუ ვისმე ხელი მიეკარებინა კედლისთვისა. კინაღამ შეშინდა საწყალი ჩემი მაკაკო. ყვავილები და ვარდები ხო რაღა მოგახსენო. ასეთი ყვავილები და ვარდები იყო დახვევით მოყვანილი ფანჯრების გარშემო, რომ იტყოდი კრივს უმართვენ ნამდვილ ყვავილებსა, რომელნიც უთვალავათ და უანგარიშოთ ეწყო გარშოკებით ფანჯრებშია.

ეს იყო, ეხ სახლები იყო, ამ სახლების პატრონის ცოლის ვეჩერი იყო, რომელშიაც ჩემი მაკაკო მიწვევის ღირსი გამხდარიყო. დიდება თუ არ იყო, მაშ რა იყო, მე თქვენა გკითხავ.

მივიდა ჩემი მაკაკო და ჩამოსწია ზარსა გულის კანკალითა. მაშინვე აქეთ იქით თვალი მოავლო, ნახოს ვინ არის იმის მაყურებელი, იმისთანა პატიოსანი კარების წინ მდგომარისა?

ოჰ, ბებელ და ნინუცი, რა იქნებოდა ერთ წამს სწორედ ამ ხანათ ერთი აქეთ გამოგევლოთ და თქვენის თვალით დაგენახათ. თუ რა კარებში შედის თქვენი მაკაკო? მაშინ გაიგებდით თუ, რა ნათესაობის პატრონია, და ნეტარებას დააყრიდით.

შიგნიდამ ფეხის ხმა მოვიდა თუ არა, მაკაკომ მაშინვე ბიჭი გაისტუმრა, რომ კარის გამღებმა აღარა ნახოს.

იმ ღამეს ხომ მაინც არც ბიჭი მოუნდებოდა, არც ფარანი სხვებსავით. აბა ქმარი გაუშვებდა, რომ თავისი ჯეირანი მაკაკო ბიჭისა და ფანრის ამარას დაბრუნებულიყო შუაღამისას სოლოლაკიდამ სეიდაბათს? მეტი ღონე არ იყო, თითონვე უნდა მოსულიყო და ცოლი წაეყვანა. რაც უნდა ყოფილიყო, ისევ იმისი მაკაკო იყო. რას იზამდი!

გაიღო კარი და ისეთი ჩინებული ლაქია გამოჩნდა ფრაკითა, თეთრის ჟილეტკითა, თეთრის ყელსახვევითა და თეთრის ფერჩატკებითა, რომ მაკაკოს ჯერ ეგონა თითონ ბიძა ალექსაო და კინაღამ მძიმეთ თავი დაუკრა, მაგრამ მალე მიხვდა საქმის ძალასა და სიჩქარით აარბინა სამოცდაორ ფეხიანი მარმარილოს ქვის კიბე. მაგრამ რა კიბე? თითო ფეხის გადანაცვლებაზე ეგონა, თითქოს ცაში ადიოდესო, ისე იამებოდა ზედ დაფენილი წითელი მაუდი და აქეთ იქით დაწყობილი ფერად-ფერადი ყვავილები.

აბა ვინ აღირსებდა ამ დღესა, ამ კიბეზე ასვლასა, რომ ბედია არ დაეგირავებინა?

ბოლოს მაკაკო ეღირსა თავისს ანტიკა კარტინკა ძალო ვარინკას და იმის საოცარ სადგომსა.

* * *

ვარინკას ჯერ ცოტად არ ეჭაშნიკა, რომ პირველი მომსვლელი მაკაკო იყო, მაგრამ მოწვეული სტუმარი იყო, მოსულიყო, ძალაუ-

ნებურათ უნდა მიეღო, რას იზამ. ბევრი თქვა თავის ფიქრში, ეს რაღა უჯიშობა არის ასე ადრე მოსვლაო, თავის-თავათ ბევრს დაიგრიხა და დაიპრანჭა, მაგრამ როცა მოახლოვდა და თავიდამ ფეხებამდის გაშინჯა მაკაკო, ასეთს სილიბილებს მოჰყვა, რომ საწყალს მაკაკოს კინაღამ ცრემლი მოუვიდა ვარინკას ტკბილის ლაპარაკისაგან.

„რა კეთილი გულის ქალი ყოფილაო“ იფიქრა მაკაკომ.

ალბათ ეს კეთილ გულობა იყო მიზეზი, რომ ვარინკა წინ გაუძღვა მაკაკოსა და მთელი სახლი-კარი მოატარა.

სახლი იყო ეს თუ სამოთხე? როგორ ეთქვა მაკაკოსა. სამოთხე ჯერ არ ენახა და ამისთანა სახლიღა განა იქნებოდა ქვეყანაზედ? ვინ გააკეთა, ან რა ხელმა გამართა ეს დიდებული ოთახები, ვარაყით დაჩითული კედლები, ვეება სარკეები, ტულის ზანავესკები, ხავერდის ფარდები, ხავერდის მებილი, ბროლის ხომლები, ფერად-ფერადათ დახატული ბრწყინვალე ასეთი პოლები, რომ პირის სახე შიგა ჩანდა. რომელი ერთი, რომელი ერთი თქვას კაცმა... გაშტერდა საწყალი ჩემი მაკაკო და აღარ ესმოდა თითონ იყო აქა, თუ თვალები აუხვევიათ და ისე ატარებენ ცაში?

* * *

წაუვიდა, წაუვიდა ჩემს საწყალს მაკაკოს თვალები... სად დამდგარიყო, საით ეყურებინა, რომელი ოთახი უფრო ექო, რომლის მორთულობა და მოწყობილობა უფრო მოსწონებოდა, თითონაც არ იცოდა; მაგრამ ყველაზე მეტათ ბიძა ალექოს საკუთარი ოთახი აკვირვებდა. მთელი ყარამანიანი, თითქოს კედლებზე დაუჩითავთო... რამდენი ტყეები, ხეები, ცხენოსნები, მონადირეები, მწევრები, მშვილდისრები, თითქმის თითონ გარდანქეშანიც კი იქ იყო გამოყვანილი.

იქნება ერთხელ ბიძა ალექო მონადირე ყოფილიყოს, იფიქრა მაკაკომ, და ამიტომაც თავისი ოთახი ასე გაუკეთებინებიაო? მაგრამ ეს როგორ მომხდარა, რომ დღევანდლამდე არ შეუტყვია?

ვინ იცის, მაკაკო ჯან; ძალიან შესაძლებელია, რომ ერთხელ ბატონი ალექო მარჯვე ცხენს მჯდომი ყოფილიყოს, ძალიან შესაძლებელია კაი მშვილდ-ისრის მხმარებელი ყოფილიყოს, მაგ ამბავებისა არა ვიცი რა, მაგრამ, ამბობენ რომ ძალიან ღვთის ნიერი ახალგაზდა ყოფილა თავის დროსა და ძმებს იმიტომ გაჰყრია, რომ ამ წუთ სოფელს მოშორდეს და უდაბნოში შევიდეს. მხოლოდ, როგორც იცით, ბედმა საწყალს თავზე ოინი მოაყენა და ერთი ცოლი რომ მოუკვდა, მეორე შეართვევინა. ნადირობას კი, ამბობენ, ძალიან კარგი სცოდნიაო. მაგრამ ისეთი ნადირობა, რომ არც მწევარი ყოფილა საჭირო, არც მშვილდ-ისარი... იმ გვარად მოჰყავდა თურმე საქმე, რომ სხვის ჯიბის ფულები ერთ წამში ფრთებითა და ფეხებით იმის ჯიბისკენ იწევდა ნადირსავით. მაგრამ სწორე და მართალი ღმერთმა უწყის, მაკაკო ჯან. ხომ იცი, მე მაგისთანა მითქმა-მოთქმა არ მჯერა.

ბოლოს ვარინკამ მოიყვანა მაკაკო თავის ოთახში და უთხრა, „აი ესეც ჩემი ბუდუარი, ვითომც, ჩემი ბუტიობის ოთახიო“, და თითო თითოთ უამბობდა ამ სიტყვის მნიშვნელობას, როდესაც სტუმრებმა დაიწყეს მოსვლა და ვარინკა გაიქცა იმათკენ მისაგებებლად.

დარჩა მაკაკო ვარინკას ბუდუარში მარტო და ძლივს ღონე მიეცა იმის დაღალულ მუხლებსა, ისე დაეცა დივანზე, რომ კინაღამ გული გადმოუბრუნდა პრუჟინის ძალისაგან.

ეს რაღა იყო ქა! სთქვა მაკაკომ და დაიწყო ზედ რყევა.

* * *

ვარინკას ბუდუარი და ჩემი მაკაკო იქ მარტო!...

აბა ახლა ხარ ლამაზი, მაკაკო ჯან; ახლა ჩანს, რაცა ხარ. ეგ ოთახი უშენოთ გროშათაც არა ღირს. ნეტავი შენი იყოს! რათ გინდა? მერე ხომ ეგ მაკაკო აღარ იქნები, მაკაკო ჯან... ეჰ, თავი ქვას ახალოს, თითის წვერები ხომ აგრე დაბეპრებული აღარ გექნება.

რაები იფიქრა ჩემმა მაკაკომ რამდენსამე წამსა, რა მძიმე ოხვრანი ამოჰხდა გულიდამ!

ვარინკა რო იბუტება, ამბობდა ჩემი მაკაკო, ამ ოთახში იმალება და ამ დივანზე ირყევაო. მაკაკოს ბუტიობის ოთახი კი სათოფნე იყო, სადაც მაგრა ჩაიკეტავდა ხანდისხან და თაროს გვერდით, ერთ მკლე დამტვრეულ სკივრზე მჯდომარე, მთელ საათს ატარებდა, სანამ გაანჩხლებული ქმარი გავიდოდა შინიდამ, ან სანამ იმას ქაჯები დაეკარგებოდა ჯანიდამ.

ჭალბათ რომ, ამბობდა ჩემი მაკაკო, ამ სახლებს, ამ სახლების ქალბატონს ამ გვარი ბუდუარი შეშვენის და ჩემთვის სათოფნეც ჭარამიაო. მაგრამ განა თითონ აქაურობას არ მოუხდებოდა?

წამოდგა და ტრუმოს წინ დადგა... თითონვე მოეწონა თავისი სახე... ესეთი ლამაზი ჯერ არ ენახა თავისი თავი. შეხეო, აქ სარკეც სხვა რიგათ აჩვენებს კაცსაო.

ხან ერთი მკლავი აიწია, ხან მეორე; ხან ერთის მხრით გაიშინჯა თავი, ხან მეორეს მხრით, გაიღიმა, გაიცინა, ჩივთ-ჩივთუუთით ითამაშა, მერე ენა გამოუყო და ქოქოლას დაყრით „თვალიმც დაგიდგება“ უთხრა სარკესა და მოშორდა.

მოჰყვა სხვა რამეების შინჯვასა. ერთი რამ, ერთი რამ არ გაუშვა, რომ ხელი არ ეხლო, სულ გაშინჯა, სულ ადგილიდამ დასძრა: კრესლოები, სტოლის სუფრა, ლამპა, შანდნები, ეტაჟერკაზე დაწყობილი წვრილ-წვრილი რაგინდარაები, ყველა, ყველა. ვისმე რომ ენახა, იტყოდა, ლამაზი მფრინველი ზის ლამაზ გალიაში და ნისკარტით ხან ერთს ეთამაშება, ხან მეორესაო.

*
* *

გაუწვრილდა გული, არავინ არ შეშოდროდა, და თითონ ვერა ჰბედავდა გასულიყო.

დაჯდა კიდევ დივანზე, კიდევ თავისი სათოფნე და საძჯომი მოაგონდა...

ღმერთიო, ამბობენ, ჰალალს აძლევს, და რითი თითონ ჰალალი არ არის, რითი იმისი ქმარი არ არის ჰალალი? დილით საღამომდის თავიანთ ხელობაზე ბეჯითად სხედან, თავიანთ ლუკმა პურს მოღვაწობენ, არავის არაფერს არ სტაცებენ, არავის არა სჩაგვრენ, არავის არ ატირებენ, არავისგან არ იწყევლებიან, და ამაზე მეტი ჰალალი რომელიღა იქნებაო, ამბობდა ჩემი მაკაკო...

მართალია ქმარს ერთი პატარა ცოდვა ჰქონდა. ისა, რო ხანდისხან მუშტებს მიარტყამდა თვითონ მაკაკოსა. მაგრამ ამის ჯარიმას თითონვე ეწეოდა. ვის რა რჯოდა, ვის რა აკლდებოდა, ან ნუ თუ ამისთანა პატარა საქმისათვის, რომ ესეც ათასში ერთხელ ძლივს მოხდება, ღმერთი ურისხდება? ან ვთქვათ, ქმარი ძრიელაც ცოდვილია. თითონ იმ საწყალს რა ბრალი ჰქონდა? ამ გვარათვე იმისი საყვარელი კეკელა და ნინუცა, იმათ რა ბრალი ჰქონდათ ღმერთთანა. ამოდენა ქონება კი ბიძა ალექოსთვის მიუცია! რათა, რა მოუქმედებია, რა ღვთის სათნო რამ გაუკეთებია ისეთი, რომლის მსგავსი, რომლის ათში ერთი, ასში ერთი იმის ქმარს, კეკელას ქმარს, ნინუცას ქმარს, სხვებსაც ბევრს არ მოექმედებინოს, არ აესრულებინოს?... რა იყო, რა მიზეზი?

ბიძა ალექოს ოთახი მოაგონდა და კედლებზე დაჩითული მონადირეები.—დიახ, ეს არის, ეს იქნება მიზეზი, სთქვა ჩემმა მაკაკომ, რომ ალექოს ამოდენა ფული მოუგროვებია, ამისთანა დოვლათის პატრონი გამხდარა. ნეტავი ქმარიცა და თითონ მაკაკოც მონადირეები ყოფილიყვნენ... მაშინ იმათაც ხომ ექნებოდათ ამისთანა სახლი და კარი... მაგრამ ნადირობა რომ სისხლ დაუღვრელად არ შეიძლება, იმას როგორ უნდა მოეკლა მფრინველები და მხეცები, რომ ერთ ქათმის დაკვლაზე ჯანში თრთოლვა უვარდებოდა? ამასთანავე ვინც მონადირეა, განა ბიძა ალექო გახდება. მაშ იმათი უსნელი დათებო რატო მდიდარი არ იყო? იმაზე კარგი მონადირე სად იქნება, რომ თითო წასვლაზე ათ-ათი კურდღელი და ფრინველი მოჰქონდა.

არა, ამისთანა ნადირობითაც საქმე არ გახდებოდა... მაშ ჭკუით? იქნება ბიძა ალექსო ძალიან ჭკვიანი იყო?... მაგრამ იმაზე ჭკვიანი იმათი სახლის მღვდელი იყო, რომელიც ხანდისხან დაუჯდებოდა იმის ქმარსა და ფუნჯის სმით ან ჰაზარფეშით ხელში იოსებ მშვენიერის ყოფა-ქცევას ილაპარაკებდა, ან კაენისა და აბელის ამბებს ლაზათიანათ ჩამოიარაკებდა... მაშ ის მღვდელიც რატო ისე მდიდარი არ იყო და იმის ცოლსაც ვარინკას ბუდუარისთანა ბუდუარი არა ჰქონდა?

არა, არც ეს იყო.

მაშ იქნება ქმარი მართლა ჩიოდა, რომ ვითომც იმის ობლობაში ბიძა ალექსოს იმისი სამას-ოთხასი თუმანი ფული მოეტაცნოს?... იქნება ამაში სხვა ამხანაგებიც ჰყავდესთ, სხვებისაგანაც მოეტაცოს? ჰო! ასე ხომ ადვილია... ასე ხომ ყველას შეუძლიათ, ასე ხომ იმის ქმარსაც შეეძლო, რომ ჰამქრის ფულს ინახავდა... მაგრამ ეს ხომ მართლად კაენობა იქნებოდა, აიღო და ჯვარით მიაფურთხა ბუდუარსა.

უეცრათ მაკაკო წამოხტა დივანიდამ, თითქოს გულის ძილიდამ გაეღვიძაო. კარებში ხუთი-ექვსი ქალი ერთათ შემოდიოდნენ სიცილითა და ხარხარითა.

* * *

მოვიდნენ და მოვიდნენ, მოგროვდნენ და მოგროვდნენ ვარინკას სტუმრები. აივსო ბუდუარი, ზალა, სასტუმრო, სულ ქალებითა, სულ დედა-კაცებითა.

აბა თამაშა ახლა იყო, აბა სანახავი აქ იყო.

რამდენი ნატაშა და ანიჩკა, რამდენი დარინკა და ქალინკა, რამდენი მაშინკა და საშინკა, რამდენი ნინიჩკა და სონიჩკა, რამდენი კიდევ ინკა და მინკა ყოველ ნაირი, ჯურა-ჯურა, რამდენი ჯურისაც გინდოდეთ. ჯერ მარტო ჩვიდმეტ ნაირი სონიჩკა იყო: მაღალი, დაბალი, სრული, მჭლე, ფუნჩულა, განდღრეული, ვეება. ჭნავო, ნაზი, ბოშა,

სათუთო, ნეჟნი-მაროჟნა, ჭკვიანი, ტუტუცი, ცეტი, შეტაბუტა, ქარაფშუტა. ქალინკებს და მაშინკებს ხომ ვინ დასთვლიდა? რომელი ერთი მოსთქვას კაცმა. ქალაქში ერთი დიდ-კაცის ცოლი აღარ დარჩენილიყო, რომ იქ არა ყოფილიყო.

მერე რა ფერად-ფერადი საცმელები, რა მორთულობა, წითელი, მწვანე, ლურჯი ყვითელი, გავანა, ბორდო, ცისფერი, წყლის ფერი, პირის ფერი, თაგვის ფერი, მახოხის ფერი, შოდნის ფერი; რა ფარჩეული: გლასე, ფაია, მორე, კაშმირი, ხავერდი; რა მოდები, გიპიურები, ბლონდები, ბრილიანტები, ჭაპნის სისქე ოქროს ძეწკვები, მინაქრის საათები გვერდებში გამაგრებული, ბრასლეტები და თასაკრავები, რომ, რომ, რომ... ენა უნდა რომ გამოსთქვას.

ანათებდნენ ეს პატიოსანი ქალები იქაურობას და ყველას შუა თითონ ვარინკა—ხაზეიკა ხომ თითქოს სწორეთ ვარსკვლავის მსგავსი იყოსო. იმისი ერთი მტრედის იერი სამ ქალინკათა და მაშინკათა ღირდა.

გაერია ამათში ჩემი მაკაკო და გული ისე შეუვიწროვდა, რომ თითქოს საქაჯავში ჩავარდაო.

ვაჰ, განა შენ ის მაკაკო არა ხარ, მაკაკო ჯან, რომ მაგათის გულისთვის ბადია დააგირავე? რა დაგემართა, ნუ სწუხარ გეთაყვანე, ლხინი.

იქნება მაგ საუცხოვო ქალების შუქი შენა გწვავს და ამიტომა ხარ აგრე? მაშ რა გეგონა? არ იცი, რომ მზის პირ-და-პირ მაცქერალს თვალები დაეწვის?

მოშორდი მაგათ, შენ ჩემი გაიგონე, თორემ ინანებ...

მაგრამ შენ ჩემი არ გესმის, მე ბრალი არა მქონდეს, მაკაკო ჯან.

* * *

აენთო სანთლები, ლამპები, კანდელაბრები. გაიშალა ვეებერთელა სტოლი. მოერთვა ლოტოს ყუთი და პარკი და თეფშებით თეთრი და წითელი ლობიო.

მაგრამ სანამ ლოტო გაიმართებოდა, სანამ ეს პატიოსანი დედა-კაცები და ქალები გარს შემოუსხდებოდნენ, ასეთი ჟივჟივი ასტეხეს, ასეთი ყალმაყალი, თითქოს ხოჯის აბანოს სწორეთაო.

რამდენი სიცილი და ხარხარი იყო, რამდენი ხუმრობა და მახვილი სიტყვა, რამდენი „გეთაყვაები და შენი ჭირიმეები", რამდენი „ვინ არის და ვის ეკადრებაები".

ვისზე არ ილაპარაკეს, ვინ არ გაჰკილეს, ვინ არ გასჭორეს.

რამდენის სახლი აშენდა, რამდენისა დაიქცა აქა ნახევარ საათში.

რა არ ითქვა, რა არ მოისმა, ვინ არ დაიძრახა? კაცს რომ თამაშათ ეყურებინა იმ დროს ამ პატიოსან ქალებისათვის, იტყოდა ქალაქის მოსამართლეებათ ესენი ამოურჩევიათო და ამათ ხელშია ყველას სიკვდილიცა და სიცოცხლეცაო.

არავინ არ დაუტევეს, არავინ არ დაივიწყეს თავიანთ ნახულისა და მცნობებისაგან, თავიანთისა და უცხოებისაგან, თავიანთ საყვარელ მოყვრებისაგან.

ბოლოს მისწვდნენ ერთმანერთს.

გაიყვნენ დასტა-დასტად, ჯგუფ-ჯგუფად, ზოგი ერთს კუთხეში, ზოგი მეორეში; ზოგი მჯდომარე, ზოგი მდგომარე. ერთის დასტის ქალები მეორე დასტისაზე ლაპარაკობდნენ, მეორე დასტისანი მესამისაზე. ერთის ჯგუფის ქალები მეორე ჯგუფის ქალებსა ჰკილავდნენ და ჰკიცხავდნენ და თან „მოდის" ჩაის ფინჯანები ხელში „მოდნურათ" დაჭერილი, მოდას წვრილ სუხარს „ნეჟნათ" ჰკვნეტდნენ. უცხო კაცს რომ ამათთვის ყური ეგდო, იტყოდა სუყველანი ცუდნი არიანო, სუყველანი ავნი არიანო, სუყველანი ცუდის კაცების ცოლები და ქალები არიანო, ყველას ქმრები და მამები ან კოტრები არიან, ან სხვისი ფულებითა სცხოვრებენო. ისე სძრახავდნენ ისინი თავიანთ თავსა ერთ-

მანეთის პირითა, ისე ერთის დასტის, ყველაზე უკეთესი, ქალი მურით და ტალახით ისვრებოდა მეორე დასტაში.

* * *

ვინ იყო ამაში მართალი, ვინ მტყუანი, ძალიან ძნელი გასარჩევია. მაგრამ რა ეთქვა კაცსა, რა ეფიქრა, რომ ერთის დასტის ერთმანეთის მოყვრები, სხვა-და-სხვა დასტებში გარევით, ერთმანერთის მტრებად გამოდიოდნენ და სხვა-და-სხვა დასტის მტრები, ერთს დასტაში შეკვრით პილპილის მეგობრებათ ჩანდნენ; რა უნდა ეთქვა კაცს, რა განაჩენი უნდა წაეკითხა ამათ თავზე, რომ ერთ ადგილს ერთმანერთს ხელს უჭერდნენ, მეგობრებს და დობილებს უძახდნენ, ერთმანერთს „ჯანოს და ღვიძლოს" ეუბნებოდნენ, და როდესაც ერთმანერთს პირს აქცევდნენ, ერთმანერთს თვალს უყენებდნენ და ქოქოლას აყრიდნენ.

ასე გაშინჯეთ თითონ „ხაზეიკაც" ვეღარ დაინდეს. იმასთან სტუმრათ მოსულიყვნენ, იმისთვის მორთულიყვნენ, იმის კერის ლოტოში უნდა გამოჭიმულიყვნენ, იმის ჩაის სვამდნენ, იმის მადის ტკბილს ჰკვნეტდნენ, კიდევ სხვა რამდენი პატივი უნდა მიეღოთ, რამდენი მურაბები და ხილი უნდა მიერთვათ და არ სცხვენოდათ რაებს ლაპარაკობდნენ საწყალზე, რა შარებს უგონებდნენ. ნეტა ვიცოდე, ამბობდნენ, ამოდენა სული რას მოუგროვებიაო. ეს ხომ ჩვენი მოწვევა არ არისო, ეს ამიტომ მოუხდენია, რომ თავისი მოდნური სახლ-კარი ყველას გვაჩვენოსო. ძალიან საჭიროა, და თითონ გაიკვიროსო, ამბობდნენ, დიდების მოყვარეობით სკდებაო. ერთს რომ ერთი გროშის რამეს აჩუქებს, ისე მოჰყავს საქმე, რომ ყველამ ნახოსო. ძალიან იგრიხებაო; ერთხ მოიგონოს, თუ რა იყოო, და ახლა კი ატლასის ბაშმაკებით დადისო და დაიწყეს ძველი ბოხჩების თითო-თითოდ გაშლა და იქამდის მივიდნენ, რომ ტყუილი აბანოს მართალი ბოხჩა ნიშნობათ გადაიქცა. ვინ იცის კიდევ რაები გადმოეწყოთ, რომ ერთბაშათ თითონ ვარინკა, რომელიც ერთ წამს ერთ ადგილას არ ისვენებდა და ერთის დასტიდამ მე-

ორეში ერეოდა, მოახლოვდა ამათ და „ნეჟნათ-ნეჟნათ“ რაღაცაებიც დაიკვეხა.

შენისთანა „ხაზეიკაც“ იქნება, ვარინკა-ჯან, პირში უთხრეს. რა ლამაზი ხარო, რა ყმაწვილი ჩანხარო, რა ლაზათიანი სახლ-კარი გაქვსო, შენისთანა თავდაბალი ქალი ვინ იქნებაო...

ოჰ, ღმერთო ჩემო, ამდენი ტყუილი სილიპილო იქნება, ამდენი ყალბობა!

* * *

რასაკვირველია სუყველანი იმგვარნი არ იყვნენ, ყველანი მოლაპარაკენი არ იყვნენ, ყველანი ლაშ-მოხეულნი არ იყვნენ. მარამ ამისთანები მარაქაში ჯერ ახლად შედიოდნენ, ჯერ ახალად უნდა გამომდგარიყვნენ.

რასავირველია იმათში რამდენიმე ჭალაღებიც იყვნენ, რამდენიმე კეთილი გულისანიც იყვნენ. მაგრამ მტკვრის გოჩგოჩანაში რაც უნდა ყვავილი ჩავარდეს, რასაკვირველია თან გაჰყვება, რასაკვირველია მორევში ჩავარდნისას უფსკრულში ჩაიღუპება.

* * *

ჩემი მაკაკო იყო მარტო, ჩემი საწყალი მაკაკო, რომ ყველას აშკარათ ერჩეოდა, რომ დაღონებული დარჩენილიყო და აღარ იცოდა რომელ თავის სოროში შემძვრალიყო ამ ავთრებისაგან, ასე ეგონა ჯინჭველაა იმათში და ვინც მოინდომებდა იმათგან, ფეხ-ქვეშ გასრესავდი საწყალსა.

„ვაი იმისი ბრალიო, ამბობდა მაკაკო, ვინც ამათ ბრჭყალებში ჩავარდებაო!“

სანამ აქ არ იყო, სანამ ამათში არ იმყოფებოდა, ცნება მისდიოდა ამათთვის, დიდებათ და პატივათ სახავდა ამათში გარევასა და

ახლა რომ აქ იყო, ახლა რომ ამათ პირს თავისის თვალითა ხედავდა, ამათი ხმა თავისის ყურით ესმოდა და, ვის კალთასაც უნდოდა, ხვდებოდა, ახლა კი ნატრობდა, რომ ერთი მალე მორჩეს აქაურობასა, ერთი გულ-ღიათ თავის კეკელას და ნინუცას უამბოს აქაური საქმე და ამბავი, ამ დიდ-კაცობის მითქმა-მოთქმა.

ასეა, ბევრი რამ, რაც შორიდამ სანატრელია, ახლოდამ ბევრჯელ ჰკარგავს თავის სიტურფესა.

ამასთანაც რა იცოდა საწყალმა, თუ ოთხმოცი სულის ვეჩერი იქნებოდა და იმისთანა შესაფერი, გენერალი დედა-კაცები და ქალები იქნებოდნენ არეულნი, რომ თითქოს მთელ ადამიანს ჩაჰყლაპავენ თოხლო კვერცხივითაო.

ამათთან მოდნიანთ ნატაშა და ბუდალაანთ ანიჩკა ფას; ლაღლაღაანთ დარინკა და კომბოსტაანთ ქალინკა ანგელოზები იყვნენ; წივწივაანთ მაშინკა და ქირმანაანთ საშინკა უმაწვილებათ დაისახებოდნენ.

სწორედ იმ კუთხეში, საცა მაკაკო მოკუნტულიყო, ერთი ასეთი ქალი იდგა ერთ ჯგუფში, რომ ჩემი მაკაკო თრთოდა და კანკალებდა რამდენსაც იმას შეჰხედავდა.

დიდი, განიერი, სქელი, სახე წითელ კომბოსტოს მსგავსი, რომ თითქოს დრაგუნის უნტრ-აფიცარი იყოსო ახლად პახოდიდამ დაბრუნებულიო; მაგრამ ასეთი მორთული, ასეთი „ნეჟნათ“ ჩაცმული, რომ კაცს ეგონებოდა ცხრამეტის წლის პატარძალი იყოსო საჯვირგვინოთ მომზადებულიო. ვინ იტყოდა რომ ორმოცსაც გადასცილებიაო. ოთხი ვერშოკი მარტო ლეჩაქის არშიის სიგანე ექნებოდა და ცის ფერი ხავერდის თასაკრავში ასეთი ვეება ბრილიანტის ქინძისთავი ერჭვა, იტყოდით ხელმწიფის გვირგვინიდამ მოუტაცნიათო. იმ ვარსკვლავის ქვეშაც სამი წვრილი ბრილიანტის ცრემლები ლამაზათ თრთოდა, რამდენსაც ის თავს ნაზათ გაანძრევდა და გაიცინებდა.

რას არ ამბობდა ეს გენერალი განდღრეული დამა, რას არ ლაპარაკობდა, რომ მაკაკოს თმები სწორეთ ყალხზე უდგებოდა.

* * *

ზევრს ეცადა მაკაკო, რომ ერთი იმ კუთხიდამ გამომსხლტარიყო, ერთი თავისუფლათ სული მოებრუნებინა. მაგრამ ვერ ხერხდებოდა. წინ ისე იდგნენ ის დაწყევლილები, რომ გზა ვერ ეპოვნა გასავლელი და იმდენ გაბედულობას ვინ მისცემდა, რომ იმისთანა აფთრებისთვის პირდაპირ ეთქვა, ერთი გზა მომეცითო.

ერთბაშათ ამ გენერალმა დამამ უკუიხედა და ისე დააცქერდა მაკაკოს, რომ საწყალი ადვილობრივად დადნა და უეჭველად დაეცემოდა რომ არა მჯდარიყო..

რათ დააცქერდა ისე ის დამა ჩემს მაკაკოსა? არ ვიცი თქვენმა მზემ. ჰალბათ იმიტომ რომ ის გენერალი დამა იყო და მაკაკო მარტო მაკაკო.

მაგრამ სანამ ჩემი მაკაკო გონზე მოვიდოდა იმ ცქერისაგან, ერთი სხვა გენერალი დამა მოუახლოვდა, მაკაკოს წინ მდგომ დასტას. ესეც ორმოცის წლისა იქნებოდა; მაგრამ ეს სულ სხვა რამ იყო: მოკლე, სქელი, გაბერილი; სახე თეთრი გოგრის მსგავსი, აღარც თვალები ეჩხერდა, აღარც ცხვირი, არც სიგძე, არც სიგანე, სწორეთ მრგვალი ბურთი იყო წყეული. თანაც ისე ფშვინავდა, რომ თითქოს ცეცხლის მაშინა მუშაობდესო. მაგრამ ასეთი გაკაკებული, გაკაკებული რომ ოქრო და ბრილიანტი ზედ მუჭით ეყარა. მარტო თასკრავი ღირდა მგონია ხუთას თუმნათ. ზედ სულ ფირუზითა და ბრილიანტით ყვავილები იყო გამოყვანილი და ჯინსი მარგალიტის ფოთლები ოქრო-მკედით ნაკერი.

„ახალი ამბავი, ახალი ამბავი!“ უთხრა ამ ბურთმა გენერალ-დამამ გასდღრეულ გენერალ-დამას და ყურში რაღაც წაჩურჩულეს ჯერ ერთმანერთსა, მერე სხვებსა. ერთბაშათ სუყველამ ერთათ

მიჰხედეს მაკაკოსა და ერთი სიცილი და ხარხარი ასტეხეს, რომ საწყა-
ლი ჩემი მაკაკო წმინდათ გაშტერდა.

* * *

რა შიში და კანკალი ჩაუვარდა მაკაკოს ჯანში, რა ამბებმა გაუ-
არა გულში და ფიქრში, აბა როგორ გაითხრათ?

ჯერ ასე ეგონა იმიტომ დასცინოდნენ, რომ სუყველამ შეიტყეს, რომ ხულოსხის ცოლია. მაგრამ იმათ რა ჰრჯით, თუ კი ძაღლს დაუ-მახნია და მიუწვევია... რა უყოთ რომ თითონ დიდკაცის ცოლები არიან, ის ხომ არაფერს არ ართმევს. მერე ტანისამოსზე დაიხედა. ტანისამოსიც მართალია იმათსას არ უგავდა, მაგრამ ისე სასაცილო-თაც ასაგდები არ იყო. მაშ რას გაუგიჟებია ისინი, რომ ასე დასცი-ნიან? იქნება იმიტომ რომ მარტო კუთხეში ზის, და დოსტი და დო-ბილი არა ჰყავს რომ ელაპარაკოს? იმან რა ქნას, იმას რა ბრალი-აქვს?

ანაზდეულათ ბადიის დაგირავებამ მეხსავით გაუარა ფიქრში-და ხელ-ფეხი ყინულად გადაექცა. იქნება შეეტყოთ და იმიტომ დასცინიან? ვაი! დედა-მიწამ რომ ჩაიტანოს, ის არა სჯობს? მაგრამ საიდამ შეიტყობდნენ ამ ამბავს? კუნდურაანთ თათელა მუა-ლლისას ჯეიდაბათში იყო და ასე ანაზდეულათ ამბავს აქ როგორ მოაწვდენდა. მერე ამისთანა პატიოსან ქვამებთან ახლოს ვინ მი-უშვებდა? ამასთანაც ის არ იყო დაიფიცა, რომ აღსარებათ შევი-ნახამო?

არა, ბადიის საქმე ამათ არ იციან, არ შეიძლება იცოდნენ. მაშ ასე რა ახარხარებდა... ამათ. შევიდა საწყალი ჩემი მაკაკო აშფოთებულ ფიქრების ზღვაში, რომელშიაც იმისი ანკარა გული ფალქან მოგლე-ჯილ გემსავით ხან ერთ ტალღის წვერზე ავარდებოდა, ხან ორ ტალ-ღას შუა იხრჩობოდა.

ოჰ, მაკაკო ჯან, ნეტა შენი გული ქვაა, თუ რა? ოც-და-ოთხი

საათი არ არის მაგ ერთ ლოტოს გულისთვის რამდენმა ამბავმა გამოიარა შენს გულში და კიდევა სძლებ!

* * *

ბოლოს ჩემ მაკაკოს ეგონა თითქოს ციდამ ხმა ჩამოესმა. ხაზეიკა ყველას ეპატიჟებოდა: „მობძანდით, ინებეთო“.

ძლივს გენერალ-დამები მოშორდნენ თავიანთ კამპანიებით; ძლივს ჩემი მაკაკო განთავისუფლდა იმათგან და გზა იპოვნა გასავლელი.

ყველა კუთხეებიდამ, ყველა ოთახებიდამ გროვდებოდნენ ლოტოს სტოლთან ერთის ჭაჭა-ჭუჭუთი, ერთის აყალ-მაყალითა და კიჟინითა, რომ გეგონებოდათ ერთი კარგი გაწრთვნილი ჯარი თოფიარაღით მიდის ციხის ასაღებათაო.

ახლოს მივიდა ჩემი საწყალი მაკაკოცა და არ ესმოდა, თუ როგორ მივიდა.

მოუსხდნენ ლოტოს მოთამაშენი ლოტოს გარსა. დაჯდა ჩემი მაკაკოცა, შორსა, შორსა იმ გენერალ დამებისაგან და თავის სულთა-მხუთავ ჯუგუფისაგან. მაგრამ მალა რომ აიხედა, ნახა რომ ის ურჯულოებიც მოვიდნენ და პუპუზ, პირ-და-პირ ჩამოუმწკვრივდნენ.

უნდოდა საწყალს იმ საათშივე ამდგარიყო და მეორე თავში წასულიყო, ან სულაც დაკარგულიყო იქიდამ. მაგრამ თითქოს ჯაჭვით დააბეს სკამზედაო. იმდენ სულში თითით საჩვენებელი როგორ გახდეს. თავი დაღუნა და კბილებს მაგრა მოუჭირა, რომ სული არ ამოჰხდეს.

ამოიღეს ყველამ თავ-თავის „ნეუნი“ ჯიბეებიდამ „ნეუნი“ პორტმანები და ადვილათ და მშვიდობიანათ ნაშოვნი და მონაგარი ფულები; ამოიღო ჩემმა მაკაკომაც მთრთოლვარე ხელით თავისი მწარე სატანჯველით ნაშოვნი ფულიდამ ერთი სამ მანეთიანი.

აბა ჰა, დაიწყო დიდ-კაცების დიდ-კაცური ლოტოს თამაშობა თავისის ამბო-ტერნოებით, რომელიც ლაპარაკათ და დროს დაკარგვათ არ ღირს.

* * *

საკვირველი სანახავი იყო იმ ჟამათ იქაურობა. ორმოც-და-ათიოდ სულზე მეტი ლოტოს გარს მჯდომი ქალები თითქოს წმინდა, სანთლის გაკეთებული ადამიანები იყვნენო; არც ჭკუა, არც გული, არც მოსაზრება, არც გრძნობა, არაფერი არა სჩანდა ამათში. პარკიდამ ერთი იღებდა ლოტოს ნუმერსა და ასახელებდა თუ არა, ორმოც-და-ათნი ერთად, თავდახრილნი, ერთგვარათ ანძრევდნენ თვალსა და ხელსა და ერთს საქმეს აკეთებდნენ. გეგონებოდათ სულ ყველანი ერთ ძაფზე შებმული ტიკინები იყვნენო და იმ ძაფის გაწევით სუყველანი ერთ გვარათ თამაშობდნენო. რამდენი ამათში ლამაზი და გონჯი, რამდენი ჭკვიანი და ბრიყვი, რამდენი ჰასაკ შესული და ახალგაზდა, რამდენი კეთილი და ბოროტი. იმ დროს ყველანი, ყველანი, ყველანი ერთნი იყვნენ, ყველანი მსგავსნი. ენა თითქოს იმ ქალებისაგან, იმათის თავისა და გულის ბრილიანტებს წაერთვათ და იმოდენა ანთებულ სანთლებში ლაპარაკობდნენ და ჭიკჭიკობდნენ თავიანთ პატრონების მაგივრათ, რამდენჯერაც ესენი თავს გაანძრევდნენ.

ამათზე უფრო მემოდეები, რომელნიც ლოტოს აღარ კადრულობდნენ, და ორიოდე ნეჟნი ქვრივები სამ-ოთხს სტოლზე ბეზიკსა და რამსსა თამაშობდნენ და ისეთს ფულებს აგებდნენ და იგებდნენ, რომ კლუბებში ღამის მათევარი კაცებიც შეარცხვინოს.

ამ მოთამაშეებში რამდენიმე გასათხოვარი, ფრანტი ქალებიც მკლავი-მკლავს გაყრილი და ზურგზე კაცის თავს სამი-ოთხი ათასი თუმანი მზითევ აკიდებული ერთი მხრიდამ მეორემდის ბოლთასა ჰსცემდნენ და ბულვარზე და კრუჟოკში ნახულ მოდის ყმაწვილ-კაცებზე რუსულათ ლაპარაკობდნენ ან ფრანციულათ ამტვრევდნენ. თანაც ძალიან უნდოდათ შეეტყოთ, თუ იმ კაცებში, რომელი გამოტყვრე-

ბა უხარბელი, რომ წამოიკიდოს და წაიღოს ისინი თავისის საპალ-ნითა.

თითქოს ამათ წინააღმდეგ, ორი მოხუცებული, მათუა და ხამფე-რა, მუხლებში ჯან გამოლეულები და კრიალოსანით თუ ბურნუთის კოლოფით ხელში, ისხდნენ ტახტზედა და იმდენს მორთულობაში და მოწყობილობაში, იმ ვარაყით დაჩითულ კედლებში თავიანთ ნახულ დღეებს იგონებდნენ და კვამლით გაჭვარტლულ დარბაზის კედლებს შენატროდნენ.

მხოლოდ ერთი იყო მარტოდ და ყველასთან, მხოლოდ ერთი იყო, რომელიც პეპელასავით ერთის ადგილიდამ მეორეს ფრინავდა, ერთის ოთახიდამ მეორეში შედიოდა, ლოტოდამ ბეზიკთან მიდიოდა, ბეზიკიდამ ლოტოსთან და ხან ერთს ეუბნებოდა გეთაყვანეს, ხან მეო-რეს შენი ჭირიმეს, სტუმრების ფერობაში და ეშხში, იმათთან მორ-ჩილი მონა ჩანდა და მონებს კი სასტიკს ბრძანებას აძლევდა. ეს ჩუ-მი კეთილი, ლამაზი, ნეჟნი, მადლიანი, თავდაბალი ვარინკა იყო — თითონ ხაზეიკა, რომელიც არაფერს არ აგებინებდა, ერთ ადგილს ერთ რამეს არ აკლებინებდა, და თანაც დესერტის სტოლს ამზადები-ნებდა, თავის მოდის სტალალავოიში მოდის ვეება ბუფეტიდგან ქვეყ-ნის სიკეთეს აწყობინებდა.

რა ფერად-ფერადი მურაბები და ხილეულობა, რა კამფეტები და სასმელები! ქალაქში თუ რამე იშოვებოდა, როგორ იქნებოდა რომ იმ ღამეს ვარინკას სტოლზე არა ყოფილიყო.

* * *

სულ ლაზათიანათ იყო იქაურობა იმ ჟამათ, სულ მოხდენით. მაგრამ იმოდენა მორთულობაში და მოწყობილობაში იმოდენა დედა-კაცებში და ქალებში თვალს ერთი რამ აკლდა, გულს ერთი რამ სწყულავდა.

ამ პატიოსან დედა-კაცებს და ქალებს ყველას ჰყავდათ პატრონი, ან მამა, ან შვილი, ან ქმარი, ან ძმა და იმათგან არც ერთი, არც ერთი იქ არ იყო და არც შეეძლო ყოფილიყო, ამიტომ რომ ადათი არ იყო. თითქოს არც ერთი ღირსი არ იყოსო, რომ ამისთანა დროს თავის ქალის, თავის დედის, თავის ცოლის ან დის ხმა გაიგონოს, იმათი ნათქვამი შეიტყოს, იმათთან გაიცინოს... ღირსნი თითქოს მარტო მსახურები და ლაქიები იყვნენო, რომ ლიმონადებით და არშატებით თავს დასტრიალებდნენ, იმათში მიდიოდ-მოდიოდნენ, იმათი სიცილი და ხუმრობა ესმოდათ.

ვინ იყო ამაში დამნაშავე? რასაკვირველია რომ თითონ მამები და ძმები, თითონ ქმრები და პატრონები, რომ თავიანთ ცოლებსა და ქალებთან დროს გატარება არ უყვარდათ და ვითომც ძალიან საჭირო საქმეს აკეთებდნენ; კლუბებში და სხვა კარგსა და კარგს ადგილებში ათენებდნენ.

*
* *

მაგრამ, ღმერთო, შეგცოდე! ამოდენა უსამართლო კაცებისაგან და პატრონებისაგან ერთი ანგარიშს გარეთ სარწმუნო დარჩენილიყო, ამ ღამისათვის თავის საყვარელ ნაზის ცოლისა, თავის გულით საყვარელის ცოლ-შვილისა. ეს ის ალალი, ღვთისნიერი, ადამიანის მოყვარე სახლის პატრონი იყო — თითონ ბიძა ალექო, რომელიც უიმისოთ ერთ ღამესაც ვერ გასძლებდა უკლუბოთ, და იმ შაბათს საღამოს თავისი ალებ-მიცემის ჯალალ ანგარიშეს მორჩენილიყო თუ არა, პირდაპირ შინ მოსულიყო და თავის მშვილდ-ისრებიან და მონადირეებიან დახატულ ოთახში ხან ჟამნსა კითხულობდა, ხან ფარდის უკანიდამ ლამაზ ქალებს მალვით უჭვრეტდა.

„ჟამნი" ძალიან უყვარდა ბიძია ალექოს. მაგრამ იმ დროს ძალიან ენანებოდა, რომ თათრობა არ არისო და ამოდენა ლამაზი დედა-კაცები და ქალები სულ ჩემი ცოლები არ არიანო.

„ჰაი თუ ვიღვიძებდიო“, ამბობდა თავის ფიქრში, და ერთბაშათ ხვანთქრათ წარმოიდგენდა თავს. მაგრამ ხვანთქრის დღე რომ აგონდებოდა და ტახტის დაკარგვის შიში გულში უვარდებოდა, თითონვე სცხვენოდა თავისი ტუტუცის ფიქრებისა და თავის-თავს დასცინოდა. მერე კიდევ ჟამნს იღებდა ხელში და „უფალო ნუ მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“ კითხულობდა, თანაც ხავერდის ლოყიან ვარინკას იმისთვის მალმალ კამფეტები შემოჰქონდა და ისეთის ოსტატობით ჰთავაზობდა, რომ კამფეტი პირში ჩაუდიოდა და საყვარელი ხელის გული კი ტუჩებზე რჩებოდა.

„შენისთანა არავინ არ იქნება, ვარინკა ჯანო“, ეუბნებოდა ალექო.

„შენისთანა ქმარი არავის არ ეყოლება, ალექო ჯანო“, ეუბნებოდა ვარინკა.

და იწყებოდა ფარდის უკან ბებერის ქმრის და ყმაწვილი ცოლის ალერსიანი ხვევნა-კოცნა

ოჰ თქვენ ვარინკას სტუმრებო, დედა-კაცებო და ქალებო, ოჰ თქვენ გენერალ დამებო, თქვენ რომ ქვეყანაზე აღარავინ გაუშვიათ სწორეთ მაგ ღამეს დაუძრახავი, თქვენ რომ ახლა ნებიერათ ლოტოს, ბეზიკს და რამსსა თამაშობთ, რას ხედავთ, რომ აქავ, ამავ წამს თქვენს გვერდით რა ამბავი ჰხდება.

ჰაი თუ გინდათ, რომ ფარდა ერთბაშათ გადიწიოს და თქვენის ყურით შეიტყოთ, თუ იქიდამ რა ხმა მოდის, თქვენის თვალით ნახოთ, თუ თქვენი ნაზი ხაზეიკა ვარინკა და იმისი ქმარი ბატონი ალექო ერთმანეთს როგორ ეხვევიან კარებში მდგომარენი და ტკბილ-ტკბილათ ჰკოცნიან.

ჰაი თუ ხელათ გაიცინებდით და ჩაიკასკასებდით, ჰაი თუ სამარაქო ლაპარაკს გამართავდით თქვენთვის! მაგრამ არავინ იცის; იქნება ამ წამს დიდი მარაქა ვარინკასა და ალექოსა აქვს გამართული თქვენზედა?

აგრეა, რამდენსაც გამოუდგებით და სხვას დასძრახავთ, თქვენს დღეშიაც ვერა ნახავთ თქვენ ცხვირ წინ რა ჭხდება ხოლმე და თქვენც როგორა გძრახვენ?

* * *

მაგრამ თავი დავანებოთ ბიძა ალექოს თავის ოთახში თავისის კეთილის და ბოროტის ფიქრებითა, თავისის ყამნითა და ვარინკათი; დავეხსნათ ფრანტ-დამებსა და ნაზ ქვრივებსა ბეზიკის და რამსის თამაშობაში, დავეხსნათ მოხუცებულ მათუასა და ხამიერას ძველ დარბაზის ნეკტარების დაყრაში, დავეხსნათ მოდის დასანიშნავ ქალებს მოდის უხარბელ ვაჟების მენსაში. მე არც ერთისათვის არა მცალიან, ჩემი ჭკუა და გონება მაკაკოს, ლოტოა, სადაც ჩემი საცოდავი მაკაკო ზის, ჩემი ტანჯული მაკაკო, რომელსაც ავი და კარგი აღარ გაეგებოდა, წაგებული და მოგებული აღარ ესმოდა პირ-და-პირ მჯდომარე ქალების და გენერალ-დამების ჩურჩულისა და სიცილისაგან.

ზეცით თავს რისხვა მოვლენოდა და ფიქრში მარტო იმას ევედრებოდა, რომ ღმერთმა შეაძლებინოს ამ რისხვას გაუძლოს ბოლომდისინ და მტკიცე აღთქმასა სდებდა, ამას იქით სიკვდილამდის არც აქეთ გამოვიაროვო და არც ამ გვარ ადგილს ჩავარდეო.

* * *

რა დაუშავებინა მაკაკოს პირ და-პირ მჯდომ ქალებისა და იმ ორ გენერალ დამებისათვის, რა ბრალი ჰქონდა იმათთან, რომ ასე დასცინოდნენ და მასხარათ იგდებდნენ საწყალსა?

მე მგონია, რომ თქვენ ყველანი ვინც კუნძურაანთ თათულას იცნობთ, ჩემ უთქმელადაც ყველა შეიტყეთ და იცით კიდეცა.

ის გულ-მკვდარი თათულა, რომელიც ქვეყანასთან მიმსვლელ-მომსვლელი იყო და სოლოლაკის ქალებისთვის ბაღებში საზანდრებით პიკნიკების გამმართველი, იმ დღეს თურმე სადილათ ბურთ-გენერალ-დამასთან ყოფილ იყო, რაღაზედაც ერთბაშათ თურმე სიტყვა

ისე ჩამოკარდნილიყო და დიდის ფიცის ქვეშ, დაწვრილებით თითო-თითოდ ეთქვა მაკაკოს ბადიის ამბავი.

სწორეთ ეს ამბავი იყო, რომ განდღრეულს და ბურთ გენერალ დამებს ძალიან აწუხებდა, სწორეთ ეს ამბავი იყო, რომელზედაც ისინი და იმათი გამპანია ხარობდნენ და ხარხარებდნენ. „ეს რაღა ბეჭაიობააო, ქა! ეს რაღა შესარცხვენი საქმე მოგვსვლიათ თავსაო, ვინ ეხვეწებოდაო, რომ მოსულა ჩვენში გამოჭიმულაო, ნეტავი თვალი დაუდგეს წააგოსო, ნეტავი ქმარმა შეუტყოსო და ერთი კარგა მიბეგვოსო... კიდევ ათასი ამ გვარები. ამასთანაც ასეთი სიცილი და ხარხარი, რომლისაგამო ჩემ საწყალს მაკაკოს ხანდისხან თითქოს არც ნუმრის სახელი ესმოდა, ვერც თავის ქაღალდზე ნომრები გაერჩივა.

*
* *

ასე წვალობდა და იტანჯებოდა ჩემი მაკაკო პირ-და-პირ მჯდომ გენერალ დამებისა და ქალებისაგან, რომელთაც თავები ძალიან მართალი და ჭალალები ეგონათ, იმიტომ რომ იმათგან:

ერთს ორასის ობლისთვის ყელი გამოეჭრა;

მეორეს, ბურთ გენერალ დამას, ქმრის სახლები თავისზე დაემტკიცებინა, რომ სხვის დასაბრუნებელი აღარა დარჩეს რა;

მესამე, ერთი რუმბი-დამა, ორჯელ ტყუილად გაკოტრებულის ცოლი იყო.

მეოთხე, ხართუთაანთ აჯილღა ქალი იყო, რომ ქმრის ბარათის დასახსნელათ ფულის პატრონისთვის ერთი ასეთი წაეჭირა ყელში, რომ საწყალი თურმე ერთის ხმით ყარაულს იძახდა, სანამ ეს პატიოსანი ქალის პატიოსანი ქმარი საცოდავ გალის პატრონს ჯიბეებს უშინჯავდა და ძრიელ პატიოსანი ძმა იმას ყარაბაღულ წაღებს ხდიდა.

მეხუთე, ზარავანდაანთ ბიჭუას სოფლელი ცოლი იყო, რომლის ჭრელ-თვალა პირშავ ქმარს სხვის დუქნებისა და ქარვასლისთვის ცეცხლი მოეკიდებინა და იმით გამდიდრებულიყო.

მეექვსე ჭორგუჩაანთ ქეთრქოა იყო, რომლის საცოდავ მრგვალ ქმარს ხალხის ოფლი თავისთვის ფულათ გადაექცია და იმით დიდი კაცი გამხდარიყო.

მეშვიდე, გლახა ყაზაროსის ჩამომავლობის ლენიცოშა ცოლი იყო, რომლის ქმარი რამდენიმე წელიწადი ქურდების უსტაბაში იყო და მერე სალდათის ფქვილით სამ-ოთხ ატაჟიანი ქარვასლები და სახლები აიშენა.

მერვე, ერთ ნაზ ლოხს დამას ავათმყოფების ბულიონათ თავისთვის ხავერდის სალოფი შეეკერა.

მეცხრე, ერთმანერთის შორს მჯდომნი ავი და ჩასუქანდა სამი მაზლის ცოლნი იყვნენ, რომ თვალით ერთმანერთის დანახვაც არ უნდოდათ. იმათ საქმეებს, ამბავეს ცალკე წიგნი და დავთარი უნდა და ვისაც უნდოდეს ხელათ შეიტყოს, სამისაგან ერთსა ჰკითხოს. ის ჩემზე კარგა გიამბობთ.

მეათე, ერთ ცხენ-თავა ქალს, საყვარელის ქმრის ანდერძი კბილებით დაეღეჭნა და მერე ასსავით ჩეეყლაპა.

მეთერთმეტე, ძრიელ კაკლასხი იყო! ფომინობას ფარჩა მოეპარა, თავის მოდის კალთის ქვეშ ამოედო და ავათ გაბეაბრუებულ-იყო.

ბარემ ერთიცა ვთქვა და დუჟინი შევასრულო.

მეთორმეტე, ასეთი ენა-მტანია ეშხიანი 'დედა-კაცი' იყო, რომ ლოტოს კაზნაჩეობაში სხვის ბრილიანტის ბეჭედი აეწაპნა და ამისთვის ლეჩაქი დახეოდა და ცალი კავი დაჰკარგოდა.

რა დუჟინი ჰმარა? კიდევ ვინ არ ერია იქა?

საყდრის სტაროსტას ცოლი, საეკკლესიო ფულით დამშვენებული; ჩინოვნიკის ცოლი, ქრთამით ყელ ამსებული; დიდი არისტოკრატკა, სახლიდგან გამოგდებული, თავის წყვილის მზითვით ქმრის ორჯელ მყიდველი; პატარა არისტოკრატკა ქმრისგან გასწავლული, ჯიბეში ქმარ ჩადებული, უცხოზე გადაკიდებული.

რამდენნი იყვნენ კიდევ ამათ მსგავსნი, ამათზე უფრო უარესნი, ამდენი ცრუნი და მატყუარნი ოქრო-ბრილიანტით მოჭედილნი, მოდებში გახვეულნი!

ვინ მოსთვლის იმათ, ან ვინ გაიგებს იმათს საზარელ საქმეებსა და მოქმედებასა?

მაგრამ, რა უშავს? იმათი ჩადენილი, იმათი ქმრების ნამოქმედარი მოწყლებული იყო, გავლილ იყო; ვინ რას ხედავდა, ვინ რას კითხულობდა? ისინი კარგა ჩაცმულნი იყვნენ, კარგა მორთულნი, კარგა მცხოვრებელნი, კარგის სახლ-კარის მქონებელნი, კარგის მოყვარე მეგობრების პატრონები, ყველას მიმღებელნი, ყველასგან მიღებულნი და ყველგან საყველაზე თავს მჯდომარენი, თანაც სამდესია დვა და მესდესეტრის ნაზსათ მოქმელნი.

იმათ რა ბრალი ჰქონდათ, რა დაეშავებინათ?

ბრალის და დანაშაულობის მქონებელი მაკაკო იყო, ჩემი საწყალი მაკაკო, რომ ბადის დაუგირავებინა და მოსულიყო, იმათ წინ დასჯდომოდა და რომლისთვისაც დასახრჩობათ თოკიც, იმათის ფიქრით, საჭანური იყო.

* * *

ღამის ათი საათი იქნებოდა, სანთლები ნახევრამდის დამწვარიყო; ზალაში და სასტუმროში ჰაერი დამძიმებულიყო. კარეთ ქუჩა ავსილ იყო შინაურ კარეტებითა და კაჟასკებითა, შინათ კუხნა და ბალკონი ლაქიებითა. მაკაკოს ქმარსაც დუქანი დაეკეტნა თუ არა, ხელოსნის ტანისამოსით პირ-და-პირ მოსულიყო და ბალკონში წინ და უკან ბოლთის კვრით უკურთხავდა და უკურთხავდა ლოტოს მომგონსაც და ბიძაანთაც, რომ საქმე ასე გძელდებოდა და იმ ტანისამოსით იმასთანა ოქროს სახლებში შესვლა ვერ გაებედნა უზიდოთ, რომელზედაც ლაქას ეთქვა, შინ არ არისო. ვის იცის, ისიც დარიგებული იყო, თუ ხელოსნის ტანისამოსი არ იამა ამ ერთს სულიერსა.

ჩემ მაკაკოს ბლომათ წაეგო.

მე კი არ ვიცოდი, რომ აგრე იქნება; აბა რა შავს ქვას მოიგებდა იმ აივთრებისაგან ან ვინ მისცემდა იმას იმდენს გულის ღონესა და ძალას, რომ იმათ გამართულ ლოტოდამ თავის-თავათ დროზედ ამდგარიყო.

გული ისე გახდომოდა, დანა რომ გეკრათ, ერთი წვეთი სისხლი არ ედინებოდა.

ჭკი გიდი, რა ფიქრებით მოსულიყო ბიძაანთსას, რა წადილითა და ტანჯვით დაეგირავებინა თავისი ერთათ ერთი საიუთო ბადია, რა ფიქრებით დასჯდარიყო ლოტოზე და ახლა რა იყო...

მოგების სიხარბე სრულიად საწყალს არა ჰქონდა და წაგებასაც აღარ ზოგავდა, ოღონდ სირცხვილიდამ პირნათლად გამოსულიყო; ოღონდ იქიდამ მშვიდობით განთავისუფლებულიყო. ჯანი გავარდეს, ბადიის ათ მანეთსაც, ქმრის მოცემულ სამ მანეთსაც. სულ თავის თვალის ჩინისაგან ამოიღებს, თავის ნემსის წვერისაგან მოჰკრებს. მაგრამ ახლა რა ქნას, რომ ის სამი მანეთიც წავიდა, ის ათი მანეთიც და ათიც სხვა მიდიოდა. ესე ხომ სრულიათ შერცხვა. ამასთანაც იმ წყეულ გენერალ დამების სიცილი და ხუმრობა, რომლისაც ბევრ წილს მაკაკო თავისზე იღებდა, ბევრიც ეგონა, ჩემზე არა არისო.

* * *

როგორ გაუთავდებოდა ის დაწყევლილი ლოტო, რა ბოლო ექნებოდა, რა მოხდებოდა, სულ ამ ფიქრებში იტანჯებოდა ჩემი საწყალი და ამისგამო ბევრჯელ მოგებაც არ ესმოდა, ისე რომ გვერდით მჯდომს ერთ ნაზს ქალს ებრალებოდა კიდეც და ხანდისხან ისა ჰშველოდა.

აღარ იცოდა, საწყალს ვისთვის დაებრალებინა, თავისი უბედობა, იმის უმანკო გულში არავის დამნაშავობა არ თავსდებოდა; ბრალეული არავინ გამოდიოდა. ისევ თავის თავს აბრალებდა, რომ თავის ქერქში არ დადგა, რომ დიდ-კაცის ცოლებთან ჯდომა მოინდომა, რომ მოსულიყო და ამათში გამოჭიმულიყო, რომ ნახევარ საათის წინათ

ცოტა მოგების იმედი მიეცა თუ არა, ჭაი-ჭარით ჯერ ნამდვილათ არ მოგებულ ფულებით შვილისთვის რიღასიც ყიდვის პირობა დასდვა და ბოლომდის არ მოიკადა ერთი ენახა, თუ ღმერთი როგორ გაათავებს საქმესა.

სწორეთ ამისთვის დამსაჯა ღმერთმაო, ფიქრობდა ჩემი მაკაკო.

„ჭი! ახია ჩემზეო, ამბობდა თავის ფიქრში. აი აგრე გაგიშავდება პირიო!“

ნანობდა წინაშე ღვთისაც, სურბ-სარქისისაც, ღვთის-მშობლისაც, ხატებისა და წმინდანებისაც და სხვა არაფერი არ უნდოდა, სხვას არაფერს არა სთხოვდა, ოღონდ ერთხელ მაინც მოეგო, რომ თავის ცამეტს მანეთზე მეტი კალი არ დასდებიყო; რომ პირი არ გაშავებიყო ამ პირშავებთანა.

მაგრამ შენ არ მამიკვდე, ამ თამაშობამაც გაიარა. ვიღამაც მოიგო კიდევ ერთი თუმანი და ისევ მაკაკოს ერთი მანეთი ახალი ვალი მოემატა.

„ოც-და-ორითა ხარ ეხლაო“, უთხრა გაზნაჩეიმ და საწყალს ასე ეგონა ჭერი თავზე დაენძრაო.

* * *

აი ზოგჯერ სულ მოიშლება, აგერ სულ ერთიანათ დაიძვრიან, ამოიღებენ თავიანთ პორტმანებს, ზოგნი მოგებულ ფულებს ჩაიწყობენ, ზოგნი წაგებულს ამოიღებენ. იმან რა ქმნას? ისიც ამოიღებს თავის პორტმანეს, სამი მანეთი ხომ მიცემული აქვს, ათსაც მისცემს. მერე დანარჩენი ცხრა მანეთი ვიღამ მისცეს, როგორ მისცეს, ვაჲი მოვალე დარჩება? იქნება სწორეთ პირ-და-პირ მჯდომ გენერალ დამებისა? იმათი მასხარა უნდა გახდეს, პირში უნდა უთხრან, თუ ჯი არა გქონდა, რაღათა ჯდებოდი ჩვენთანაო; ან იქნება სულაც არ ინდომონ, უთხრან, ეგეც შენთვის გვიჩუქებია, რადგანაც არა გაქვსო. ესე ხომ თითით საჩვენებელი გახდა, ესე ხომ თავი მოეჭრა ქვეყანაში. ან იქნება ისევ მალო მოეშველოს, იმის მაგიერათ იმან მისცეს; ესე ხო

დედა-მიწაში ჩამვრა, ესე ხო ისევ ის გამოვიდა, ბადიას რაღათ აგირავებდა, ამდენს რაღას ეწვალებოდა?

ოჰ, ოჰ, რატო მარტო არ არის, რატო თმებს არ იგლეჯავს, რატო თვალებს ნემსით არ იჩხვლეტავს, რატო ტვინს მაკრატლით არ ითხრის, რატო დედა-მიწა არ იძვრის და ჭერი თავზე არ ექცევა, რატო დედა-მიწა არ სქდება და იმის თავლაფიან თავს არ იტანს...

*
* *

ამ ყოფაში იყო ჩემი საწყალი მაკაკო, რომ პირ-და-პირ მსხდომმა დამებმა ხელმეორეთ დაიწყეს თავისი სიცილი და ხუმრობა.

ამ ხანათ სრულებით აღარა ზოგვენ მაკაკოსა, პირში შესცინიან... სწორეთ, სწორეთ მაკაკოს მასხარათ იგდებენ... აი, კიდევ რაღაც ჩურჩული გამართეს, რაღაცები უთხრეს კიდევ ერთმანეთს და ამას შემოხედეს, აი შორ მსხდომ ქალებსაც რაღაც ანიშნეს...

ერთბაშათ ერთმა მრომლმა კამბეჩა-დამამ, რომელსაც შავ-შავი დიდი თვალები მართლა სწორეთ კამბეჩისას უგავდა და რომლის წუწკილს ლიმოსადი და არშაყები ვერ აუდიოდნენ,—ბადიით ცივი წყალი მოითხოვა. ამასობაში განდღრეულმა გენერალმა დამამ სთქვა, რომ ვერცხლის ბადიით უფრო ცივი იქნებაო და ნეფნათ გაიცინა.

მაკაკოს კინაღამ გული გაუსქდა, განდღრეულმა დამამ კი მსუბუქათ ჩაახველა და მერე იმანა და ბურთ-გენერალ-დამამ ერთი ასეთი სამაგელი სიცილი ასტეხეს, რომ ამ სიცილმა ერთისავან მეორეს ჩამოუარა, ვინც კი იცოდა საწყალი მაკაკოს ამბავი.

ეჭვი აღარ არის, შეუტყვიათ, იციან იმის ბადიის ამბავი. ამას იცინიან, ამას დასცინიან, სულ გამოჩნდა, სულ ყველანი აგერ პირში შეაფურთხებენ, ქმარიც შეიტყობს, ჩავარდა იმის წიხლის ქვეშა, იცემა, მოიკლა... თათელას ფიცი გაუტეხია...... ჰო, დიახ, აი აშკარათ იმისი სახელიც წაიდუდუნეს, სეიდაბათიც ახსენეს...

ვეღარ გასძლო ჩემმა საწყალმა მაკაკომ. ასე ეგონა თმებით ასწიესო, ლოტო წავიდ-წამოვიდა, სახლი შეიძრა, ჭერი თავს ჩამოექცა...

მაკაკოს გული წაუვიდა.

ისინი ჯერ ისევ ილრიჭებოდნენ, რომ მაკაკო გულ-წასული ეგდო სკამზედა.

საწყალო მაკაკო!...

* * *

„ჭაი წყალიო, ჭაი უშველეთ, ჭაი ერთი აქეთ მოიხედეთ!..." ჩავარდა ორიანობა. შემოეხვივნენ მაკაკოს რამდენიმე გარსა, ზოგი ხელებს აქეთ-იქით უწევდა, ზოგი ყურებსა. გასწიეს ის საწყალი, თავი მოხადეს, კაბა დაუფხრიწეს, ლეჩაქი ნაკუწ-ნაკუწათ უქციეს, ორი გრაფინკა წყალი ზედ დასცალეს, გამიწუწეს, წამიხდინეს, გამიფუჭეს ნაზი და ჯეირანი მაკაკო, ჩემი ზეციერი მაკაკო.

ასტყდა ერთმანეთის უკედრება; „ეს შენა ქენიო, ეს შენაო," ჩხუბი, აყალ-მაყალი, სიცილი, ღრეჭა...... შემოვარდა ბიძა ალექო თავის ოთახიდამ, შემოირბინა ვარინკამ სტოლოვოიდამ მურაბის კოვზით ხელში... ძლივს, ძლივს ჩემი მაკაკო მოაბრუნეს.

ჯერ კიდევ სრულიად გონზე არ მოსულიყო, ჯერ კიდევ თეთრსა და შავს არ არჩევდა, რომ ქმარიც ბიჭების ყაყილ-ყიყილზედ შინ შემოვარდა...

რა წივილი, ნაზი ქალების რა გულის ფრიალი და გულის წასვლა, რა ვარინკას შეწუხება და უჯიშობაზე და უჯიშო ნათესაობაზე გაანჩხლება, რა კივილი და აყალ-მაყალი, რომ უფალმა დაიფაროს და ღმერთმა დაიხსნას!

* * *

შეიტყო მაკაკოს ქმარმა ყველაფერი, სულ ყველაფერი შეიტყო და მაშინვე მიიტანა ხელი ჯიბისაკენ...

ბევრი უთხრეს ზოგიერთებმა არა უშავს რა, ჩვენ გავსწორდებით, ბევრი უთხრა თითონ ბიძა ალექომაც, კარგია, მე მივცემო. მაგრამ შენც არ მამიკვდე, მაკაკოს ქმარმა არავისი წყალობა არ მოინ-

დომა; ამოიღო თავის საწყალის ჯიბიდამ მწარე ოფლით ჭაღალი მონაგარი ფულისაგან ცხრა გაცვეთილ-დაჭენჭილი მანეთი და პირში მიახალა ყველასა... ერთი კი ცხვირ-ქვეშ წაიდუდუნა თავის პატიოსან ბიძაზედ: შენც შეგარცხვინოს და შენი სიმუქარიცა! ეგეც წაიღე და მამიჩემის ფულებს მიუმატე, უფრო აშენდებიო... მაგრამ ეს სიტყვები ვერავინ გაიგო და არც მე მესმის, თქვენმა მზემ, თუ რას ნიშნავს... მერე წაავლო ხელი მკლავში მაკაკოსა, წივილ-კივილით და თან ნაკადულის ცრემლით ჩაათრია საწყალი იმ სამოც-და-ორ ფეხიანს მარმარილოს ქვის კიბეზე, რომელზედაც ასვლისას მაკაკოს ეგონა ცაში მიფრინავსო.

მეც გამპარვივარ იქიდამ...

თავი ბიძა ალექომაც ქვას ახალოს, იმისმა ცოლმა ფარინკამაც, იმისმა სახლმაც, იმისმა ლოტომაც!

მაკაკო რომ არა ყოფილიყო, მერწმუნეთ, იქ ფეხსაც არ შევდგამდი, თავათ ვარინკას ჩემთვის თვალები არ დასივებია.

* * *

ეგეც შენი ძალის ლოტო, მაკაკოჯან, ეგეც შენი დიდკაცების ქალინკები და მაშინკები.

მებრალები შენმა გაზრდამ, მაკაკოჯან...

მე შენ კარგა გიცნობ, შენის ნაზის და სათუთის გულის ამბავი ვიცი. მაგ შენის ქმრის ცემა-ტყეპას, ამოდენა ბეაბრიყობას, ვეღარ გაუძლებ...

არა თუ ძალის პირს, არა თუ სოლოლაკის პირს ვეღარა ნახავ, შენ შენს ქუჩაშიაც აღარ გამოხვალ ამას იქით, შენ კეკელას და ნინუცასიც შეგრცხვება...

წადი, დაჯექ შენს საკერავზე, შენის ცრემლით დაასველე მუშტრის საქონელი...

ტფილისი
11 თებერვალს 1877 წ.

ნათარგმნი პ. უ.

## ჩემს მეგობარს

რადა დროს შენი მღერაა,
ჭიანური და ნაღარა;
მუხლებში ღონემ გისუსტა
თმაში გერევა ჭაღარა?!...

—

მაგრამ ჩვენს ძველებს რომ უთქომსთ:
„არ დაბერდება გულიო,
თუ არ ყოფილა ზნეობით
ვაგლახათ შელახულიო,

—

და გვამიც რაგინდ დასუსტდეს
მაინც ძლიერობს სულიო,
როგორც ძველ ნახმარ ჭურჭელში
კახური შენახულიო“.

—

თურმე მართალი ყოფილა!...
მაგალითს ვხედავ შენითა:
სული და გული მრთელი გაქვს
ხორცი თუმც გჭვალამს სენითა!

—

მაგრამ შენ შენთვის არ ფიქრობ:
ჭირი რომ გადგას კარზედა,
შენ მაშინ სტირი და ჩივი
სამშობლოს სატკივარზედა...

—

ამით ირისხებ უფროსებს,
იმდურებ ამხანაგებსა...
ფრთხილად!... ერიდე ხაფანგსა,
ყოველის კუთხით ნაგებსა!!...

---

თავს ნუ იმეტებ, სანამდი
შენს სამშობლოსა არგიხარ
და სანამ თითონ არ იგრძნო,
რომ ქვეყნის ურგო ბარგი ხარ!!

---

ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდევ!
შენვე ხარ შენი მსაჯული!!
და მაგალითად ის გყავდეს,
ვინც ჩვენთვის იყო ტანჯული.

აკაკი.

## ვ.........ს

ახალ-თაობის კაცია
და გულით კარგი სწადია,
მაგრამ, ბევრისა ვერ შემძლე,
ტრიალობს, როგორც ქალია,

—

რომელსაც უნდა გულითა
თვით გამოზარდოს ყოველი:
ბატონის შვილი, სხვის შვილი,
და მრავალ-გვარი ცხოველი!

—

ხან ცხვრებსა დასდევს მინდვრებში,
ხან მივარდება წიწილებს;
ძროხებსაც ჰსწველის, ხბოს უვლის,
ღორს სდენის, გოჭებს აჭყივლებს.

—

რა საქმეც უნდა გამოჩნდეს
სუყველას ეპოტინება
და თუ სხვა ნახა უსაქმოდ,
იცის პირ-და-პირ გინება.

—

ხან და ხან კიდეც დასწყევლის,
მაგრამ უგულოთ... ენითა!...
ღმერთმან ხომ იცის, არ შერება
ამას ის თავის ჩენითა?!

—

ხედავს, რომ თავს ვერ გაართმევს
მარტო ის ამდენ საქმეებს.
და ვინც ზარმაცობს ოჯახში,
მის გამო უღრენს და უყეფს,

—

მაგრამ ამ გვარად მშრომელი
და გადამხდელი ომისა,
ბოლოს სიძულილს მოიმკის
ნაყოფად თვისის შრომისა.

—

და გაკიცხულსა, საბრალოს,
თუმცა ხელს კი ვერ ახებენ,
მაგრამ გახეთქენ გულზედა...
მიწაში ჩაუძახებენ!...

აკაკი.

# ტყე და იმისი მნიშვნელობა.

ხომ გივლია, მკითხველო, ჩვენის ერთათ ერთის რკინის გზით? ხომ გადაგიჭრია საქართველო ჩვენის დედა-ქალაქის თბილისიდგან მოკიდებული, შავის ზღვის პირათ გარიყულს ფოთამდისინ? თუ გივლია ამ გზაზედ და თუ მეტადრე ზაფხულში პაპანაქება სიცხის დროს გადასულხარ სურამის ქედზედ, შენც, უეჭველია, ის ფიქრები გაგიელვებდენ თავში, რომელთაც მე გამიარეს; უეჭველია, შენც დაფიქრებოდი და იკითხავდი: რა არის მიზეზი, რომ საქართველოს ამ ორს ნაწილს შუა ასეთი დიდი განსხვავებაა? რა არის მიზეზი რომ საქართველოს ერთს ნაწილში—ამერეთში, მზისაგან ჩახუტებულს დედამიწას სიცხის სული ასდის და მეორეს ნაწილში—იმერეთში შუადღის მზის სიცხოველესაც კი სიგრილის ნიავი ძლიერებას უკარგავს? ამერეთში წვიმა ისე მცირათ რათ მოდის, რომ გვალვა თითქმის ორს წელიწადში ერთხელ მცენარეობას აწუხებს და იმერეთში კი გვალვა არ არის, არ იციან? ქართლ-კახეთში რატომ ისე ხშირნი არ არიან მთის წყაროები, როგორც იმერეთშია? გაუვლიათ, თუ არა, ამ ფიქრებს შენს თავში? თუ გაუვლიათ და თუ პატარა დაკვირვების ნიჭიცა გაქვს, პასუხს შენვე გამოსძებნიდი. საკმაოა რომ კაცმა ცალის მხრივ ქართლის მოტიტვლებულს მთა-გორებს შეხედოს, რომლებზედ ხშირათ არამცთუ ტყე, ბუჩქებიც კი არ მოინახება და რომლებზედაც, სადაც გეგონოს ნიაღვრებისაგან ჩამორეცხილს გასიპულს კლდეებს თავი ამოუყვიათ და მეორეს მხრით თვალი გადაავლოს ამწვანებულის ტყეებით შემოჩრილს იმერეთის მთებს. ვისაც კი არ დაზარება იმერეთისა და ამერეთის ჰავის განსხვავების მიზეზის მონახვა,

მაშინათვე წამოიძახებს ეს მიზეზი—ტყე არისო. მართლაც რომ ეს მიზეზი—ტყეა.

იმერეთში ტყე მრავალია და ამიტომ ჰავაც გრილია, წვიმაც ხშირია და მდინარეებიც უფრო მრავალნი არიან. ქართლ-კახეთში კი, თუმცა ტყე ზოგგან კიდევ არის, მაგრამ ბევრგან ისე ამოჰკაფეს და ამოსწვეს, რომ თუ ეს ასე გაგრძელდა, შეიძლება ჩვენს ქვეყანაში ამ ასს წელიწადზე ყოველი მცენარეული გასწყდეს და საქართველო ქვიშის ზღვაში ჩამარხულს ქვეყანას დაემგზავსოს.

ამ თვალსაჩინო მაგალითითა ვხედავთ, რომ ტყიანს იმერეთში სითბო უფრო თანასწორეთ არის განაწილებული, ვიდრე ქართლ-კახეთის უტყეო ადგილებში, ე. ი. იმერეთში ზაფხული უფრო გრილია, ვიდრე ქართლ-კახეთში და ზამთარი კი უფრო თბილი. მაგალითით, მართალია, ვხედავთ, მაგრამ შეიძლება თუ არა ამ მოვლენას მეცნიერებაზედ დამყარებული საბუთი ვუპოვნოთ? შეიძლება და ადვილიც არის. ტყეში დიდროვანი ხეების ფესვები დედამიწაში არიან ჩახლართულნი და მათგან გათხრილს ხვრელებში სითბო და სიცივე ადვილათ ჩადის დედამიწის პირიდგან დედამიწის სიღრმეში. ზაფხულში, როდესაც მხურვალე მზის სხივები, მინდვრათ ბალახს აყვითლებენ და სწვავენ, ტყეში მათი სითბო დედამიწის სიღრმეში იკრიფება და ამიტომ ზაფხულში ტყიანს ადგილს უფრო გრილა, ვიდრე გატიტვლებულ მინდვრებში. ზამთარში კი როდესაც ჰაერი გაცივდება, ეს დედამიწისაგან მოგროვილი სითბო ამოდის ჰაერში და იქ იფანტება. ამიტომაცაა ზამთარში ტყეში ისეთი სიცივე არ არის როგორც მინდვრათ.

შეიძლება ეს ჩვენი აზრი ორის სიტყვით გამოვსთქვათ: ტყე ზაფხულში ჰაერიდგან სითბოსა ჰკრეფს და ზამთარში კი, იმ სითბოს ჰაერსავე უბრუნებს.

ადვილათ გასაგებია როგორ მავნებელი უნდა იყოს ქვეყნისთვის წინდაუხედავათ ტყეების გაწყობა. მართლაც, ეხლა ბევრს ადგილს საქართველოში უფრო სუსხიანი ზამთარი იცის, ვიდრე უწინ სცოდნია და იმისთანა მცენარეები, როგორც ვაზი, კაკლის ხეები და სხვ. ხში-

რათ ზამთრის ყინვებისაგან ზიანდებიან. ეს ზამთრის სიცივეები უმთავრესათ ტყის გაწყობისაგან მოხდებიან და, თუმცა ზემოხსენებულს ალაგებში ზაფხულში უფრო დიდი სიცხეები შემოიღო, მაგრამ რა ხელს მოგვცემს ზაფხულის სიცხე, თუ ამ სიცხისაგან ზემოთ ამოწეულს ხეხილს ზამთრის ყინვა სატოლდავათ წელში მოჰკაკვავს.

ზამთრის სუსხებს გარდა ტყის გაწყობას ერთი მავნებელი მოვლენა სხვაც კიდევ მოსდევს: ყველამ იცის, რომ ხშირათ ჩვენში გაზაფხულის ყინვა აოხრებს ვენახებსა და ხეხილს. მეცნიერთაგან გამოკვლეულია, რომ იმისთანა ქვეყნებში უფრო ხშირია ეს ყინვები და უფრო მეტი ვნება მოაქვთ, სადაც ტყე ნაკლებია. ერთი სწავლული ამბობს, რომ მასაქეთ რაც ალპის მთებზედ ტყეები გასწყვეს, იმ მთების ახლო-მახლო ქვეყნებში გაზაფხულზედ უფრო ხშირათ აოხრებს ყინვა მოსავალსა და ხეხილის გაჩენაც უფრო გაძნელდაო.

სითბოს თანასწორეთ განაწილების გარდა ტყეს ბევრი სხვა სიკეთე მოაქვს. ერთი უმთავრესთაგანი არის გვალვის მოსპობა.

ხშირათ იცის ჩვენში ივლისში და აგვისტოში ცხელი სულის შემხუთავი დღეები; ამისთანა დღეში სიო არ იძვრის და ცაზედ, კაცმა რომ განგებ ეძებოს, ღრუბლის ნიშნათაც ვერ იპოვის. ამისთანა დღეებში ადამიანს სიცხისაგან პირი უშრება და ყველგან ისეთი პირის სიმშრალეა და ისეთი ცხარე მზე დაჰყურებს დედამიწას, რომ ამ პაპანაქებას სიცხის გამოსახატავათ ჩვენი გლეხები იტყვიან: მზე იბიინებსო. როგორის ხარბის თვალით შეჰყურებს ამისთანა დღეში მინდორში მოსიარულე კაცი გაფოთლილს ტყეს! როგორ დარწმუნებულია, რომ ტყეში თუ სიგრილეს არა, ცოტაოდნათ ნოტიო ჰაერს მაინც იგრძნობს და სულს მაინც მოიბრუნებს! როგორის სიამოვნებით შეადგამს აძლოს მგზავრი ტყეში ფეხსა დიდხანს მინდორში სიარულის შემდეგ.

უეჭველია ბევრს უფიქრნია, რა მიზეზით რომ რაც უნდა გვალვა იყოს, რაც უნდა მტვერათ იქცეოდნენ მზისაგან დამწვარი ნახნავ-ნათესები, მაინც ტყეში ნოტიო არ გამოილევა და

იქ ხალიჩასავით გადაფენილი ფოთლების გროვას კაცმა რომ ცოტა მოჩიჩქნოს, უთუოდ სველს ადგამდე მიაღწევსო.

ამ მოვლენის მიზეზი ბევრგვარია და ჩვენ მხოლოდ უმთავრესებზედ მივუთითებთ.

ყველამ იცის, რომ წყალი სიცხისაგან ორთქლად იქცევა და ეს ორთქლი ჰაერში იბნევა. როდესაც ორთქლად გადაქცეული წყალი ჰაერის ცივს ადგილებამდე მიაღწევს, ისევ შეიკვრის და ღრუბლებსა ჰბადავს. ეს ღრუბლები ჰაერში მისვლა-მოსვლის დროს ცივს ალაგებს შეხვდებიან, იქცევიან წყლადა და დედამიწას წვიმათ უბრუნდებიან. მე წინაწინვე ვსთქვი რომ ზაფხულში ტყეში უფრო გრილა, ვიდრე იმის გარეშემო. ეს სიგრილე, გარდა ნაჩვენების მიზეზისა, მოსდევს იმისაგან, რომ ტყის ფოთოლი დიდძალს წყალს ორთქლადაქცევს და ამისათვის დიდი სითბო სჭირდება. ასე რომ მომეტებული ნაწილი მზისაგან მიღებული სითბოსი ამ წყლის ორთქლად გადაქცევას უნდება და ტყე კი გრილათა რჩება. წარმოვიდგინოთ, ცაში ქარს ღრუბლები აქა-იქა დააქვს. უეჭველია, რომ ეს ღრუბლები იქ იქცევიან წყლადა და წვიმათ წამოვლენ დედამიწაზედ, სადაც უფრო გრილს ჰაერს შეხვდებიან და რადგან გრილი ჰაერი უფრო ტყეს დასტრიალებს, წვიმაც ტყიანს მხარეს ეტანება. ამის დამტკიცება ასისა და ათასის მაგალითით შეიძლება.

ესპანიამ საშინელი გვალვა იცის, რადგან ესპანიელთ ისე ამოჩეხავს თავისი ტყეები, თითქოს ესენი მათი მოსისხლე მტერნი ყოფილიყვნენ. ეგვიპტეში ისე ძვირათ მოდიოდა უწინ წვიმა, რომ როდესაც იქ 1798 წელს, ფრანცუზები იყვნენ თექვსმეტი თვე ცვარი არ ჩამოვარდნილა; მაგრამ ამ ბოლოს დროს ეგვიპტის ხედივემა (მთავრებმა) ძალიან ხეხილი გააშენეს თავიანთ ქვეყანაში და ხეხილის გაშენებას წვიმების გახშირებაც მოჰყვა. ან შორს რათ მივდივართ სხვა და სხვა მაგალითების მოსაძებნათ? საკმაოა, რომ კაცმა თბილისიდგან გორამდის რკინის გზით იაროს და გზაზედ მარჯვნივ და მარცხნივ მოტიტვლებული მთები ათვალიეროს; მაშინ იმას პასუ-

ხი მზათ ექნება იმ კითხვისა, რომ ამ მხარეს გვალვა ასე ხშირი რათ არის. რომლისამე სასწაულის ძალით ეს მთები რომ ტყეებით შეიმოსოს, ეჭვი არ არის, რომ ახლა გვალვისაგან გაძამწვარი მინდვრები მწვანეთ აბიბინდებოდენ და ქარის დროს მტვრის ბუქის მაგივრათ მხიარული ყანების ღელვას დავინახავდით.

თუმცა ტყიანს ალაგას წვიმა ხშირათ მოდის, მაგრამ ეს სულ ამაო იქნებოდა, ტყის ნიადაგს ერთი თვისება რომ არა ჰქონდეს. ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნიადაგი სხვა და სხვა ფოთლებისაგან შესდგება, რომელთაგანაც ზოგი დამპალა, ზოგი მტვრათა ქცეულა და ზოგსა კი ჯერ მხოლოთ ხრწნა შეჰპარვია. ეს ფოთლებისაგან შემდგარი ნიადაგი ზღვის ღრუბელსა ჰგავს და მრავალი წყლის დატევა შეუძლიან; ის წვიმის წყალს გარდა დამდნარს თოვლსაც ნელნელა იწოვს; ყველამ იცის, რომ ტყეში თოვლი ისე ადვილათ ვერა დნება როგორც მინდორში, რადგან ტყე თოვლს ქარისა და მზისაგან იფარავს და ბევრჯერ შეხვედრია ტყეში მოსიარულე კაცს თოვლის პოვნა იმისთანა დროს, როდესაც მინდვრათ თოვლის ხსენებაც აღარა ყოფილა. ნელნელა გამდნარი თოვლის წყალი ისევ ტყეშივე რჩება, ზოგი ფოთოლების ხროვაში და ზოგი დედამიწის სიღრმეში.

სჩანს, რომ ტყის ნიადაგი შეადგენს თითქოს ერთს უზარმაზარს წყლის აუზს, რომელშიაც ზამთარ-ზაფხულ წყალი არ გამოილევა და საიდანაც ახლო-მახლო ალაგებს ყოველთვის ნოტიო არ აკლდება. ტყე სადაც არ არის წვიმის წყალიცა და თოვლისაც დედამიწაში არ ინახება, ეტანება დაბლობს ადგილებს, ჩადის მდინარეებში და იქიდან ზღვებში, ტყეში კი ეს წყალი დიდხანსა რჩება და მხოლოთ ნელნელა ეძლევა გარეშემო მხარეს. ამის მიზეზითვე ტყიანს ალაგებში ხშირნი არიან წყაროები, რომელთაც წყალი ზამთარ-ზაფხულს არ აკლდებათ.

ბევრგან არის ჩვენში ტყის წყაროები, ბევრს სოფელს აბრუნებინებს სულსა შუა სიცხეში მოჩუხჩუხე მდინარე, ბევრსაც კი მო-

ჭკლების ეს სიამოვნება უთავდარიგოთ და უგუნურათ ტყის გაჩეხის გამო. სხვათა შორის ერთს ჩვენს ქალაქთაგანსაც—სიღნაღს, ჩამოუდის წყარო, საიდამაც მცხოვრებნი მუდამ წყალსა ზიდვენ. ეს წყარო უწინ ისეთი დიდი ყოფილა, რომ იმის წყალი ყველას თურმე ხვდებოდა. ამ ბოლოს დროს კი სიღნაღის გარეშემო ისე გაუკაფავთ ტყეები, რომ ეს წყარო ფანდაიან შრება და მცხოვრებთ ერთი კაი უშველებელი და ჩხუბი აქვთ იქ წყლის ავსების დროს. ეს ჩხუბი ხანდისხან ისეთი ცხარეა თურმე, რომ ამ წყაროსთვის „თავ-გატეხილა" დაურქმევიათ, იქნება, სამარილიანსათაც.

ბარში ტყის გაწყობას თუმცა დიდი ზიანი მოაქვს, მაგრამ ეს ზიანი ჩალადაც არ ჩაიგდება იმ ზიანთან შედარებით, რაც მთებში ტყის გაწყობას მისდევს. თითქმის ყველა ჩვენი მდინარეები მთის მდინარეები არიან და იქიდან იგვრებიან. რომელს მთებზედაც კი ტყე არის, იქიდან მომდინარე წყლები თავის დონაზედა დგანან და უბრალოთ მოდიდება, ან დაშრობა არ იციან. ეს იმიტომ, რომ ტყეში არას დროს ნოტიო არ ილევა და მდინარეს თავისი წყაროები არ აკლდება. თუ დიდი წვიმა მოვა როდისმე, წვიმის წყალი ტყეში დაგროვდება და მხოლოთ ნელ ნელა შეემატება მდინარეს.

ახლა, წარმოვიდგინოთ, რომ ეს ტყეები გაჰკაფეს; მიშინ გვალვის დროს მთის მდინარეები ან სრულიად დაშრებიან, ან ისე დაპატარავდებიან, რომ კაცს ფეხდაუსველებლივ გადასვლა შეეძლოს; დიდი წვიმების დროს კი, რაკი წვიმის წყალი ველარსად მოგროვდება, ერთბაშათ მდინარეს შეერთვის და მაშინ კაი ნაპირზედ მცხოვრებთა ბრალი; აშფოთებული და აღქაფებული მდინარე სტოვებს თავის ჩაღრმავებულს გზას, გადადის ნაპირებზედ და აღარაფერს აღარა ზოგავს, რაც კი ხელში ჩაუვარდება.

წყლების მოდიდებაზე უმეტესი ვნება მოაქვთ ნიაღვრებს, დიდი წვიმების შემდეგ საზარელს სანახავს წარმოადგენენ ის მთები, რომელნიც ტყეს მოკლებულნი არიან.

დავუგდოთ ყური ერთის ფრანციელის ლაპარაკს, რომელიც შემდეგის სიტყვით ჰხატავს საფრანგეთის ალპების მდგომარეობას ტყეების გაჩეხის შემდეგ:

„მე არ გაზვიადებ იმ ზარალს რაც ტყის გაწყობამ საფრანგეთის ალპების მხარეს მოუტანა. მე რომ ცალ-ცალკე სოფლები ვასახელო იმ სოფლის მცხოვრებნი ყველანი დამეთანხმებიან და მეტყვიან" ყველა ეგ უბედურება შეგვემთხვა, ერთიც ტყუილი არ არის. მე არა მინახავს-რა ამ მხარის მგზავსი თვით აფრიკის უდაბნოში გაბნეულს სოფლებშიაც. იქ კაცი ცხენსა და ბალახს მაინცა ნახავს; საფრანგეთის ალპის სოფლებში კი ვერც ერთსა ნახავ და ვერც მეორეს, აქაურს ხეობებს ზემოდან დაჰყურებს ნათელი, ბრწყინვალე ცა; რამდენსამე თვეს ნამი არ ჩამოვარდება, კაცი ცაში ღრუბელს ვერ დაინახავს; მასუკან უცებ იხსნის ცა პირსა და მოდის თავსხმა წვიმა. უტყეობამ სრულებით გააწყო ამ ქვეყანაში ყოველივე მცენარე; იქ არ არის არც ბალახი, არც ხე; ყოველივე მტვრათ არის გადაქცეული. მიწას არა აკავშირებს-რა და წვიმის დროს წვიმის წყალი ჩარეცხავს ამ მიწას და წვრილს კენჭებს დაბლობებში. ზოგიერთს ნიაღვარს დიდროვანი ქვების დამვრაც კი არ უჭირდება, რომელნიც საზარელის ჯახა-ჯუხით ცვივიან თავქვე დაქანებულნი. ადით რომელსამე მაღლობზედ და იქიდამ გადმოხედეთ ამ ადგილს. თქვენს წინ გადაიშლება უდაბურებისა, უკაცურობისა, სიკვდილის სურათი. მზეს დაუხეთქნია საშინელი კლდე-ღრეები და წვიმის წყალი უმეტესათ ადიდებს და რეცხავს ამ მზისგან დაპობილს ადგილებს. ჩარეცხილი ქვა, კლდე ავსებს მთის წყლების გზებს, რომელნიც შორიდამ ისე მოჩანან, თითქო ქვების ზოლი განგებ გაევლოთო.

ესეთი სანახავნი არიან მთის წყლები გვალვის დროს; მაგრამ ენა ვერ გამოჰხატავს იმ საშინელს სურათს, რომელსაც ისინი ნიაღვრების დროს წარმოადგენენ. მდინარეების მოდიდება რასა ჰქვიან ამ ნიაღვრებთან შედარებით. ისინი მიაგვანან ზღვას, რომელიც დაქანებული მოდის მთის კალთებში და მიაქვს თან, რაც კი გზაზედა

ხვდება უზარმაზარი ქვა-ლოდების ერთმანეთთან შეტაკებას ისეთი ხმა აქვს, თითქო ზარბაზნებს ისროდნენ. ხანდისხან ნიაღვარი მთელს მთას ჩამოაქცევს და ამისი საშინელი ხმაურობა თვითონ ჭექა ქუხილსაც აჩუმებს. ამ ბუნების მოვლენათა წინეთ ამოვარდება საშინელი ქარიშხალი, მერე იწყება მსხვილი წვიმა და ძლიერი ნიაღვრები ქშუილით თავქვე; პატარახანს უკან ჩამოვარდება ისევ ის სამარის სიჩუმე, რომელიც ამ უბედური ადგილების თვისებას შეადგენს...

ამ აღწერას რომ ვკითხულობ, უნებურად მაგონდება ალ. ჭავჭავაძის სიტყვები:

„აი ჩვენისა მომავლისა ნამდვილი სახეა".

თუ ჩვენც ფრანციელებისავით ჭკუას არ ვისწავლით და ტყეებს როგორც წესია ისე არ დავუწყებთ გაფრთხილებას, საფრანგეთში, რაკი მიხვდნენ, რა შედეგი მოსდევს ტყეების გაწყობას, მაშინათვე მიჰყვეს ხელი თავიანთ მამა-პაპათ სიბრიყვის გასწორებას. იქ ეხლა არამც თუ ძველს ტყეებს თვალის კაკლებისავით უფრთხილდებიან, არამედ დიდძალი ახალი ტყეც გააჩინეს. 1876 წლამდე იქ ახლად გაშენებულის ტყის სივრცე იყო 320,000 დღიური და რაც ამ სამს უკანასკნელს წელიწადს გააშენეს, ის კიდევ სხვაა.

მოკლედ მოვჭრათ, რისაც თქმა გვინდოდა ამ გძელს ბაასში:

სადაც კი ტყე იქნება, იქ ჰავა ზაფხულ-ზამთარ უფრო თანასწორია: ზამთარი უფრო თბილია და ზაფხული უფრო გრილი, ვიდრე უტყეო ქვეყნებში.

ტყე გვალვას თავიდამ გვაცილებს.

სადაც კი ტყე ბლომად არის, იქ მდინარეებმა არც უზომოთ მოდიდება იციან და არც დაშრობა, იქ ნიაღვრებს ძალა დაკარგული აქვთ და მთების ჩამორეცხვა აღარ შეუძლიანთ.

ეს სამი თვისება ტყისა საკმაოდ ცხადი და თვალსაჩინოა; ცხადი და თვალსაჩინოა ის აუარებელი ზარალი, რომელიც ტყის უზომოდ გაკაფვასა და ამოწყვეტას მოსდევს და მოჰყოლია, ყველა დამეთანხმოს ამ აზრზედ რომ ტყეებს ჩვენ თვალისჩინსავით უნდა ვუფრთხილ-

დებოდეთ და უნდა ვეცადოთ, ის საქმე არ დაგვემართოს, რაც ზოგი-ერთს მცირე აზიის ქვეყნებს დაემართათ, რომელნიც ამ ათასის და ორი-ათასის წლის წინეთ ქვეყნიერს სამოთხესა ჰგვანდენ და ეხლა კი, ყოველი მცენარეობის გაწყობის შემდეგ, ისე გადამწვარნი და გატრუსულნი არიან მხურვალე მზის შუქთაგან, რომ ქვეყნიერს ჯოჯოხეთის წარმოადგენენ.

ყველა დამემოწმება ტყეების გაფთხილების საჭიროებაზედ, ვისაც კი თვალები სახილავათა და ყურები სასმენელათ აქვს მინიჭებული და არა მარტო სახის დამამშვენებლათ.

სამს ნათქვამს სარგებლობას გარდა, ტყეს სხვა მრავალი სარგებლობა კიდევ მოაქვს, რომელთაც მოკლეთ ჩამოვთვლით.

ბევრს ალაგას ტყეები ზღუდესავით არიან შემორტყმულნი და იფარვენ რომელსამე მხარეს ცივის, ამაოხრებელის ქარებისაგან. უეჭველია, რომ ამისთანა ალაგას ტყეების გაწყობა დიდათ მავნებელი იქნება. მართალია, ისიც მოხდება ხოლმე, რომ ზღვის პირას ტყეების გაწყობის შემდეგ ზღვის თბილი ქარი დაიწყებს ბერვას იმის ნაპირებზედ და ზამთარს დაათბობს, მაგრამ ამისთანა შემთხვევა უფრო ძვირათა ხდება, ვიდრე პირველი, როდესაც ტყის გაკაფვით ცივს ქარს გადაღობილი გზა ეხსნება.

ვინ არ იცის რომ მიწის მოსავალს მრავალი უწყალო მტერი ჰყავს. ეს მტერი თუმცა ოთხფეხსა და ფრინველებშიაც მოიძებნება, მაგრამ უფრო საშიშნი და უმეტესის ზარალის მომცემნი მამულის პატრონისთვის არიან მწერნი. ამათ შორის მე დავასახელებ მხოლოთ ერთსა-კალიას, რომელსაც სხვებზედ მეტი ვნება მოაქვს ჩვენში. კალია ცხელისა და ხმელის ქვეყნების შვილია და იმისი მოსისხლე მტერნი არიან სხვა და სხვა ფრინველები, მომეტებულათ ტარბი. ამ მწერს საშინლათ ეშინიან სიცივისა და ნოტიოსი და ამისგამო ეტანება უფრო იმისთანა მხარეს, სადაც ტყე ნაკლებათ არის. ქართლ-კახეთს რომ კალიის გუნდი და გუნდი დაესევა ხოლმე, რატომ იმერეთშიაც არ გადადის? იმიტომ რომ იქ ტყე მრავალია, იქ მზე ვერ

ახურებს დედამიწას, რომ კალიის კვერცხებს საკმაო სითბო მიუვიდეთ, იქ ნოტიო დაუხშობს სიცოცხლეს წვრილს კალიას და თუ, ვინიცობაა, ორიოდე კვერცხი გადაურჩება ამ სიცივეს და ფრთების შესხმას მოასწრობს, ტყის ფრინველები მალე ბოლოს მოუღებენ.

ამას დავურთობთ კიდევ ერთს შენიშვნას: მცირე აზიაში კალიას იქაურს მცხოვრებთ სწორეთ სისხლის-მსმელ მტრათ გაუხდათ და ეს მეტადრე მასუკან მოხდა, რაც იქ ტყეები გააწყვეს.

მე ჩამოვთვალე მხოლოთ ის ვნება, რაც ტყის გაწყობას მოსდევს და რაც მეცნიერებისაგან დამტკიცებულია. ბევრთა სწავლულთ წარმოსთქვეს კიდევ, რომ ტყეებს სხვა სარგებლობაც მოაქვთო მაგ. ჭაობიანს ქვეყნებში ტყე ცუდსა, ჯანის სიმრთელისათვის მავნებელს სუნს აწყობსო, ტყიანს ქვეყნებში სეტყვა უფრო ძვირათ მოდისო და სხვ. ამ სწავლულებს ზოგიერთი მაგალითებიც მოჰყავთ თავიანთის აზრის დასამტკიცებლათ, მაგრამ მოპირდაპირეც მრავალი ჰყავთ. რადგან ეს ბუნების მოვლენანი ჯერ მეცნიერების კანონზედ არ არიან დაფუძნებულნი, მეც ბევრი აღარაფერი ვსთქვი და მხოლოთ გაკვრით მოვიხსენიე.

რა უნდა ვქნათ, რომ ყოველივე ის უბედურება თავიდამ ავიცილოთ, რაც ტყეების გაკაფვას მოსდევს?

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილია. ყოველმა ტყის პატრონმა იცის რამდენი ხანი უნდება ხეებს გასაზრდელათ. ვსთქვათ ოც-და-ხუთს წელიწადზე ხე ისრე შეუძლიან დასრულდება რომ მოსაჭრელათ ივარგებს. მაშინ ტყის პატრონმა თავისი ტყე ოც-და-ხუთ ნაწილათ უნდა გაჰყოს და ყოველი ნაწილი ოც-და-ხუთს წელიწადში ერთხელ გამოჩეხოს, მაშინ იმასაც ყოველთვის შემოსავალი ექმნება და ტყეც იმ ადგილს თავისდღეში აღარ გაწყდება. მხოლოთ ესეც უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ ტყეში, არც ერთს ნაწილში საქონელი არ შეუშვებინოს, რადგან ისე არა აკლებსრა ტყესა, როგორც საქონლის შეშვება. რომელს ტყეშიაც კი წვრილს ან დიდს საქონელს ატარებენ, იმ ტყეზედ პატრონმა ხელი უნდა აიღოს; საქონელი ისე მოჰკორტ

ნის ყოველს ახალ-მოზარდს ხეს, რომ ზევით აღარ გაუშვებს და თუ ახალმა ხეებმა ძველების ადგილი არ დაიჭირეს, ტყე რაღა ტყე იქნება

მინდოდა კიდევ იმაზედ ჩამომეგდო ლაპარაკი, რომ კარგი იქნებოდა უტყეო ადგილებში, მეტადრე გატიტვლებულს მთებზედ ახალი ტყე გაგვეჩინა, მაგრამ მამაგონდა, რომ ამ წერილს ქართველებისთვისა ვწერ და ქართველებს მაგდენი თავოსნობა ვინ მისცათ!

ვინ მისცათ ამის თავოსნობა ჩვენს მამულის პატრონებს, რომელთ მომეტებული ნაწილი ისე დაბრმავებულა, რომ მხოლოდ დღეისთვისა ზრუნავს და ოღონდა ორიოდე გროში ნაღდი ფული კი ჩაიდოს ჯიბეში და თუნდა სულ ფესვებიანათ ამოაძირკვინებს თავის დიდროვანის ხეებით დაბურულს ტყეს. ზოგი მათგანი თითო ფუთს მუხის ქერქში ერთს აბაზს—სამს შაურს იღებს და ამ აბაზისა და სამი შაურის გულისთვის ორასისა და სამასის წლის მუხის ხეებს აქცევინებს და ტყეში ალპობს. ზოგი შალბაშის გულისთვის ნებას აძლევს, რომ უზარმაზარი ხეები წამოაქციონ და იმ ხიდამ, რომლის დაჩეხვითაც ათი ფიცარი გამოვიდოდა, მხოლოდა ორი ფიცარი გათალონ. ზოგნი კიდევ ერთი ჩანახი ფეტვის ღალათ აღების გულისათვის ერთსა და ორს დღიურს ტყეს ძირიანათ აწყვევინებენ.

ამ გვართ პირთ ეს საქციელი უფრო სიხარბით მოსდით, ვიდრე უგუნურებით. თუნდა კიდეც რომ გაიგონ, ტყის გაწყობას რა ზარალი მოსდევს, მაინც ისინი თავისას არ დაიშლიან. ამათ თავიანთ თავისა და მამულის-მოყვარეობის დროშაზედ დაწერილი აქვთ ეს სიტყვები: „თუ მე არ ვიქნები ქვა ქვაზედაც ნუ იქნებაო“

სწორედ მოგახსენოთ, მე ამგვართათვის არა ვწერ, რადგან მათი ჩაგონება შეუძლებელია. იმათი ბუნება ისე მრუდეა, რომ მხოლოდ სამარე გაუსწორებს

თუ ეს წერილი დავწერე, დავწერე მხოლოდ იმათთვის, ვისაც გაგება შეუძლიან რისამე და სურს ისე მოაწყოს თავისი ცხოვრება რომ თვითონაც იცხოვროს და თავის შთამომავლობასაც ცხოვრების

სახსარი არ მოუსპოს; ეს წერილი იმათთვის დავწერე, რომელთაც თავის შთამამავლობისა და მომავალის საქმე საერთოდ მიჩნიათ არ ავიწყდებათ და რომელნიც ამ მშვენიერს ანდაზას: "ის სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა" დაუმატებენ „ის სჯობს მამულისათვის, მომავალი სჯობდეს წარსრულსა".

მ.

# ოსმალეთის თათრები

და

# აღმოსავლეთის საქმე

მეთორმეტე საუკუნეში, იმ დროს, როცა ჩინგისხანმა მოარბია და აიკლო მთელი აზიის ქვეყნები, ეხლანდელი თათრების წინაპარები შემოვიდნენ სომხეთში და აქ დაიბინადრეს. შემდეგ ისინი სულ თანდათან გაძლიერდნენ და ცოტ-ცოტად დაიპყრეს მცირე აზიის ქვეყნები. მეცამეტე საუკუნეში გამოუჩნდათ იმათ ერთი მამაცი მთავარი, რომელსაც ოსმანი ერქვა და სცხოვრებდა 1299 წლიდამ 1326 წლამდის. მას მიუწერენ ოსმალეთის სახელმწიფოს დაფუძნებას. ამიტომ მისი სახელი დარქვა როგორც მთელს ხალხს, ოსმალებს, ისე სახელმწიფოს, რომელსაც ოსმალეთს უწოდებენ. მისი შვილის მურად პირველის დროს თათრებმა შესდგეს ფეხი თვით ევროპაშიაც. 1361 წელში მურადმა დაიპყრო ადრიანოპოლი და ჰქმნა ის თვისს სატახტო ქალაქად. როგორც იმ დროს, ისე შემდეგ, დიდ ძალას აძლევდა ოსმალოების თათრებს ახალი ჯარები, რომლებსაც იენგიჩარებს ეძახდნენ. იენგიჩარების ჯარები შესდგა ამ ნაირად: როცა ოსმალოები ქრისტიანეების ქვეყნებს იჭერდნენ, ისინი გრებავდნენ ახალგაზდა ყმაწვილებს, აქცევდნენ თავიანთ სჯულზე და ზრდიდნენ სამხედრო ვარჯიშობაში. ისინი ივიწყებდნენ თავიანთ მშობლებსა და სამშობლოს, თავიანთ ენასა და რჯულს; იმათ აღკრძალული ჰქონდათ ცოლის შერთვა და სახლკარობის ხელის მოკიდება;

იმათი ბედი და სიცოცხლე ილეოდა მათი პატრონის ხვანთქრის ერთგულებაში და სამსახურში

როცა ოსმალებმა ბალკანის ნახევარ კუნძულზე ფეხი მოიდგეს, მაშინ იმათ მოინდომეს სლავიანელებისა და ბერძნების დამორჩილება. სლავიანების სახელმწიფოებში იმ დროს ყველაზე უფრო ძლიერი იყო სერბიის სამეფო. ბერძნებსა და სლავიანებს, მის ნაცვლად, რომ ხელი მიეცათ ერთმანეთისათვის, შეერთებულიყვნენ და ებრძოლათ საერთო მტრებთან—ოსმალებთან, განხეთქილობა ჰქონდათ ერთმანეთში და ამით თვითონ უმართავდნენ ხელს თათრებს.

სერბების და საზოგადოთ ბალკანიის სლავიანების ბედი გადასწყდა 1389 წელში კოსოვის მინდორში. 1388 წელს მოხუცებულმა მურადმა შაირთო ვიზანტიის იმპერატორის იოანე პანტაკუზეტის ასული ცოლად. ქორწილის დროს მოუვიდა ამბავი შესახებ მისი ჯარების დამარცხებისა ბოლგარიაში. მაშინ მან, გამოჯავრებულმა, დაიბარა აზიიდამ ახალი ჯარები და მეორე წელს გასწია სლავიანების დასამორჩილებლად. მისმა ახალგაზდა ვეზირმა ალიფაშამ დაიპყრა სილისტრია და ნიკოპოლის ქალაქი, სძლია ბოლგარიელები, შაიპყრა მათი მეფე სიზმანი თავისი ცოლშვილით და ამ გვარათ მთელი ბოლგარია დაუმორჩილა ხვანთქარს. თვით მურადმა მიმართა კოსოვის მინდორს, რომელიც მდებარეობს ბოსნიის სამხრეთ კუთხეში, სადაც იდგა მაშინ თავის ჯარებით სერბიის მეფე ლაზარე. სერბებს გარდა მის ჯარებში იმყოფებოდნენ მაშინ ბოლგარიელები, ბოსნიელები, ალბანელები, ვლახელები, პოლიაკები და ვენგრებიც. კოსოვის მინდორში გაიმართა საშინელი ბრძოლა. სლავიანები თუმცა ერთგულათ და მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ მაინც გამარჯვება მურადს დარჩა. ამბობენ, რომ ლაზარე მეფის სიძემ მილოშმა მოაჩვენა თავი ბაიაზეთს მამულის მოღალატედ, მივიდა მასთან, მოეხვია მუხლზედ და ჩაჰკრა მუცელში ხანჯალით. ის რასაკვირველია მაშინათვე აკუწეს, მაგრამ არც მურადს ჰქონდა სასიცოცხლე პირი. როცა მას სული ხდებოდა, იმ დროს მოაყვანინა სერბების მეფე

ლაზარე, რომელიც ომის დროს შეიპყრეს და მოაკვლევინა. შემდეგ ამ ომისა მთელი დუნაიისა და ბალკანის სლავიანები გახდნენ ოსმალების მონებად.

მურად ხვანთქრის შემდეგ გამეფდა მისი შვილი ბაიაზეთი. ბაიაზეთმა, შემდეგ სლავიანების დამორჩილებისა, განიზრახა საბერძნეთის სამეფოს და თვით მისი სატახტო ქალაქის სტამბოლის აღება. მაგრამ ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ შეუშალა ხელი. ეს გარემოებაც ის იყო, რომ იმ დროს აზიაში გამოჩნდა ახალი საშინელი მამაცი მთავარი თიმური ანუ თიმურლანი, რომელმაც აიოხრა მთელი სპარსეთი, ინდოეთი, მრავალი სხვა ქვეყნები, დაიჭირა სხვათა შორის სომხეთი, საქართველო და შემდეგ მიადგა ძველ პონტს და თათრების ციხეს ამაზიას. როცა თიმურმა მიაღწია ოსმალეთის სახელმწიფოს სამზღვარზე, გაუგზავნა მოციქულები ბაიაზეთს და მოსთხოვა დამორჩილება. ბაიაზეთი ამ დროს გარს ადგა თავის ჯარებით სტამბოლს. მან უბრძანა, რომ წვერები მოეპარსნათ თიმურის მოციქულებისათვის და ისე გაეგზავნა ისინი უკან. ეს რასაკვირველია, ძრიელ იწყინა თიმურმა და დაუწყო ბრძოლა ბაიაზითს. ბაიაზეთმა დაანება დროებით თავი სტამბოლს, შეკრიბა ყველა თავისი ჯარები და წამოვიდა თიმურის შესახვედრად. 1402 წელში შეხვდნენ ერთმანეთს ეს ორი გამოჩენილი მხედრები თავიანთი ურიცხვი ჯარებით მცირე აზიაში, ანგორის მინდვრებში და გამართეს ჩხუბი. ამბობენ ორთავემხრივ ერთ მილიონზე მეტი ჯარები იყვნენო. ამ ომში გაიმარჯვა თიმურმა და თვითონ ბაიაზეთი ტყვეთ შეიპყრა. ამის შემდეგ თიმური დაბრუნდა თავის სატახტო ქალაქში სამარკანდში, რომელიც ეხლანდელ თურქესტანში მდებარეობდა, და ემზადებოდა, რომ ჩინეთში წასულიყო დასაპყრობად, მაგრამ ამ მზადების დროს კიდეც მოკვდა. მის შემდეგ მისი სამეფო ძრიელ დასუსტდა.

ბერძნებსა და სლავიანებს შეეძლოთ ესარგებლებინათ ბაიაზეთის ბედის შეცვლით და ოსმალების დასუსტებით და მომზადებულიყვნენ

ყოველთვის, მამო, არის საფთხეში:
გლეხ-კაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გაჰსძლებს ბატონის ხელში....

„დრო გადიოდა და თან მოჰქონდა
მამი ჩემისა უბედურობა,
მამა თან-და-თან მიბერდებოდა,
ბოლოს წაერთო საწყალს მხნეობა!....
თუმცა კი შერჩა წადილი ძველი
შრომის სურვილი იმ უბედურსა,
მაგრამ არც ღონე და აღარც წელი
აღარ მოსდევდა დრო გარდასრულსა.
საბრალო მამა ხედავდა ცხადად,
რომ რამდენათაც ღონე აკლდება,
ოჯახი უკან მიდის იმდენად
და სახლ-კარიცა სულ ეღუპება.
იმ სიბერესთან იმ უბედურსა
ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება
და შეეყარა საწყალს, უძლურსა
გამუდმებული ციებ-ცხელება.
ეგრეა, მამო, კაცისა ბედი,
ის უკუღმართი, უღვთო, წამწყმედი,
თუ ერთხელ ღერძი გადუბრუნდდება,
სულ უკუღმართად დატრიალდება!

„მაშინ შევიქენ მე ოცის წლისა...
კვეხნით არ ვიტყვი, ბევრ ჩემ ტოლს ვჯობდი;
კარგად შემეძლო მოვლა სახლისა,
თუ გულს-მოდგინედ მივეშველოდი;
მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვუვანდი,

შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა...
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვღუპავდი,
შინ კი ოჯახი მეღუპებოდა.

ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჯ-ნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა...

„მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულ-ქვა, რეგვენი...
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამა-ჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამა-ჩემი გულ-მოწყვეტილი
იახლა ამ გვარს უხამსსა ბატონს.

—„შენი ჭირიმე, უთხრა, ბატონო,
სახლ ვერ გაუშველ მე მარტო ხელი...
დამითმე შვილი... არ დამალონო,
არ დამიღუპო ოჯახი ძველი.

ბატონი.

—„რაო, რას ბოდავ?

მამა.

—„შენს სადღეგრძელოთ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.

კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა
ერთი ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბატონი.

ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბძანებასა?..
ქოფაკო!... მითამ მაგას ჰფიქრობდი
რომ მიბედავდი ე მაგის თქმასა.

მამა

„არა მქონია მაგის ფიქრი მე
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბძანე, შენი ჭირიმე,
რით ვემსახურო, რაც არ მექნება?
ღმერთი ხომ ხედავს, მე დავსნეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულებ...
მარტო ვერას ვიქ, მთლად დავუძლურდი
თორემ ჩემს შვილზედ არ შევაწუხებ.
მინამ შემეძლო სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღე-და-ღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა.
აწ არაქათი გამიწყდა სრულად,
უდროდ დავბერდი, ჯანი წამერთო,
ვეღარა ვუვლი ოჯახს ერთ-გულად,
თუმცა კი მინდა ხომ ხედავ, ღმერთო!..
ოჯახი ეხლა მელუპება მე,
კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!....

ნუ! ნუ დალუპავ, შენი გვნესამე
მინამ პატრონი ცოცხალი არი.
სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამიღლია ძარღვი და მკლავი,
გამომიზრდია ჩემის ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა;
მძიმე უღელი მე მაწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის;
ამდენი ჯაფა გამიწევია
ნუ თუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროოდროთ, ადრე და მალე
შევე დავმარხო ჩემი გაზდილი?...
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!

ბატონი.

„მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვი კარგს მეძროხესა?
ვერა, ვერ მოგცემ შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენთქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაქს ნერჩეტას!
მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა, ერთი მაქვს სჯობს ათასს გქონდესო..

მამა.

„მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა მტლად დავედები.

ბატონი.

გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები

მამა.

„რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა.
მართლამ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბძანე, შენი გვნესამე, შესა?

ბატონი.

—„თუნდ სულიც გაგმვრეს არ მენაღვლება...
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.

მამა.

—„მე დალოცვილო; ქვა ვიცე თავში,—
რა პასუხია, როგორ იქნება!...
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა, სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბატონი.

—„სუ!... შე ქოფაკო!... გაიკმინდე ხმა!...
ხმა... კრინტი მეთქი!... მაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...

მამა.

—„როგორ თუ ჩამჩრი!... კაცს შიმშილით მკლამ,
ცოცხალსა მმარხამ, ოჯახს მიღუპამ,
ბებერ-კაცს ლუკმა პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,—

შვილს შეუძლიან მამის დარჩენა
და ამის ნებას არ აძლევ შენა!...
მე ჩემს ღვიძლს შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ, —
ფუ!... შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!...“

„ეს იყო, ძმაო!... ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილის და მამის უღვთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექნა, აბა თქვი შენა?
ეხვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულ წაწყმედილს საწყალი მამა!...
მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა
ვერ, ვერ დაულბო გული ხვეწნამა.
ისც კაცი იყო... ვერ მოუთმინა
იმედ-გაწყვეტილ, მოკლულმა გულმა
და რაც შიგ ჰქონდა სულ ათქმევინა
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.

„ჩიბუხის ტარით მამა-ჩემს მტრულად
ეცა ურჯული პატრონი ჩვენი...
უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
არ გალახულა თავისი დღენი.
საწყალი იყო თავის მომწონე,
სირცხვილმა გული გადმოუბრუნა;
თუმც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე,
მაინც კი ხელი შემოუბრუნა.
როგორ თუ ხელი მომიბრუნაო,
„ბიჭო, როზგები, ბიჭო, როზგები!“

და მამა-ჩემს მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმები!!!.
როზგით მიცემეს მამა სნეული,
მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
ამისი კვნესა და მწუხარება
გულს მიკლავს ხოლმე რო მაგონდება,
არც ულონობამ, არც სიკამხდრებამ,
არც სიბერემა, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა!...
მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი..."

გულ-ამომჯდარად წაიდუდუნა,
მერე მწუხარემ მწუხარე თავი
ამოიკვნესა და ძირს ჩაღუნა.
წამოხტა კაკო განრისხებული,
მას აერია სული და გული
და შეუტივა მწყრალად ზაქროს:

— „შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!
მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარიყავ, ჩაგაძაღლებდნ
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსსა...
რას უყურებდი? ნუ თუ სპირსა, —
როგორ ჰსწუწნიდნენ მამა-შენს სისხლსა!..
ფუ, შენ კაცობას, კაცის-შვილობას!
ფუ, შენს სახელსა, შენს კაჲ-კაცობას!...

მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...
შენ იქ იდექი, გულით იმუნწე!
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აკუწე
სულ წაწყმედილი შენი ბატონი!
ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი...
შენ, ქმავ, ყაჩაღად არ გარგებულხარ,
შენ დედა-კაცად დაბადებულხარ.
ფუ, მაგ კაცობას!

მხედარი,

—„კაკო, ნუ ჰსწყრები!
კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა.
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს,
და იმის პატრონს ნუ მეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური:
მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...
მინამ პატრონი ხელითა ჰსცემდა,
როგორც ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ“ რაღაცა ხმა მაძახებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, ვიცი, მამას მოჰკლავდნენ,
მკვდარსა, თუ ცოცხალს კბილით შეჰსჭამდნენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი, —
და არ მომეკლა, უღვთოდ სტანჯავდნენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.

მაშინ კი როცა წამომაქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს,
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თექა
და რო ყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!“
მაშინ ჩემ-თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი —
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა
თავის-თავის და სხვის წამწყმენდელსა.

კაკო.

— „შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი;...
შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია.
აი დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა
ვისაც შენებრი დაჰბადებია!
ძმო, გამჩენის შენის ჭირიმე,
რაც წელან გითხარ ყველა დამითმე.
ღამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ წინ თავი დაიღოს.

მხედარი.

— „განა საქმები არის რომ შვილმა
თავისი მამის სისხლი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი
თუნდა მხთალი და თუნდა კაჟ-კაცი.
ვით მეტი იყო წელან ძაგება,
ისე მეტია ეხლა ეგ ქება.

მაგრამ, ეჰ. კაკოვ!... მე მაგ სიკვდილმა
გულის ჭრილობა არ გამიმთელა;
მამის გულისთვის გაწირულ-შვილმა,
მამას ვერაფრით ვეღარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ მეშინოდა......
მივვარდი მამას... უსულოდ ეგდო!
მუხლი მომეჭრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დალურჯებული
ეგდო უძრავად გაშეშებული!...
ვაიმე, მამა მე მომკვდომიყო,
რომზე ქვეშა უღვთოდ, უზიარებლად!...
მაგრამ ეჰ, ძმაო, რაც იყო იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად."

და რა ჰსთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირ-ქვე დაეცა დადუმებული;
დიდხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლ-მოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა.

ილია ჭავჭავაძე.

1860 წ.

## ტაძარსა-შინა თემიდისსა

(რუსულიდამ)

სასამართლოს კარებზედ მიკრულს განცხადებაში იყო ნათქვამი, რომ დღეს განირჩევაო საქმე გლეხის ნიკიტა ანდრონოვისა, რომელსაც კაცის კვლას აბრალებდნენ. ამის გამო სასამართლოს პატარა დაბალი დარბაზი ისე იყო ხალხით გატენილი, რომ ნემსის კუნწი აღარ ჩაიგდებოდა. წინა ალაგები ეჭირად მდიდრულად გამოწყობილ-გამოპრანჭულ ქალებსა, რომელნიც მხიარულად ეტიკტიკებოდნენ ერთმანეთს და კოხტად, ნაზად აძლევდნენ სალამს თავიანთ ნაცნობთ.

კარგა ხშირ-ბინდი იყო დედა-მიწაზედ დაცემული. დარბაზში იდგა სიცხის ბუღი და ბნელოდა, როგორათაც აკლდამაში. უკან მჯდომი ხალხი თითქმის სულ მთლად სიბნელეში იყო გახვეული. ორიოდ-სამი ლამპარი და რამდენიმე სანთელი კარგათ ანათებდნენ მხოლოდ დარბაზის წინა ნახევარს, სადაც ბრწყინავდნენ ოქრომკედით მორთულნი ტანთ-საცმელნი, აუზმენტები და სტოლზედ მდებარე უცნაური ვეებერთელა ზარი. მსახური სალდათი დარბაზში ხანდისხან აკმევდა რაღაც სურნელებას, მაგრამ მაინც უპირატესად ტყაპუჭის სუნი სდიოდა იქაურობას.

ამ სუნისა, სიცხისა და კარგა ხან ლოდინის გამო ხალხი მოწყენით იჯდა და ხშირად გულიანსათაც ამთქნარებდა. დილიდამ სადამომდისინ ამათ თვალ-წინ იშლებოდა მათთვის რაღაც გაუგებარი ამბავი, რომელიც ხალხის უმეტეს ნაწილში არ სძრავდა არავითარ სურვილს, გარდა ერთისას — გასცლოდნენ აქაურობას რაც შეიძლება მალე.

ქალამნებიანი და დაძონძილ ტყაპუჭებში გამოხვეულნი მოწმები ერთი ერთმანეთზედ გამოდიოდნენ მოსამართლის წინ. მათ ეძლეოდათ ყოვ- ველი მხრიდამ ათასი ეშმაკური და ბრძნული კითხვები. ამ კითხვების ხასიათით და სიმრავლით გამოყუჩებული მოწმები იძლეოდნენ ზში- რად ულაგო პასუხს. ამ დროს მთელს დარბაზში ასტყდებოდა ერთი საშინელი სიცილი და ხარხარი. ეს სიცილი და ხარხარი, ბრალდებუ- ლის წინაშე, რომელიც საცოდავად მოკაკული იჯდა მოაჯირის იქით, ვერაფრად შეშვენოდა იქაურობას და ყურში ეჩოთირებოდა კაცს. ეხ- ლა, სიბნელის გამო, კაცი ვერ გაარჩევდა — რა გვარი შეხედულობი- სა იყო ეს ბრალდებული, მაგრამ დღისით კი ძალიან კარგათ სჩანდა მისი ჯერ ისევ ახალ-გაზდური, მაგრამ გამხდარი, თითქმის მწვანე სახე და ღრმათ ჩაცვივნული თვალები.

— ჩვენ არაფერი არა ვიცით რა, ბატონო, დაღონებულის სა- ხით ამბობდნენ მოწმები. — დღეობა იყო, ვისხედით და როგორც მო- გვხსენებათ ვსვამდით; გადავკარით ცოტაოდენი, დავიწყეთ სიმღერა... ერთიც ვნახოთ — უცებ კი ვიღამაც გააქრო სანთელი.

ჩასუქებული, წითურ სახიანი თანა-შემწე პროკურორისა ამ სიტყ- ვების წარმოთქმის დროს, სწორედ რომ იტყვიან შეხტა, თავის სკამზედ.

— მაშ ეგრე რაღა!... ვიღამაც გააქრო სანთელი, არა? სიხარუ- ლით გაიძახოდა ის და აცქერდებოდა მოწამეს თვისის ალერსიანის თვალით.

— ცხადია, რომ ვიღამაც გააქრო. დაბნელდა, შენი ჭირიმე!... უცებ გაისმა ხრიალი... ჩვენ ყველამ ვიხუვლეთ და გავცვივდით კარ- ზე... განაგრძო მოწამემ, — ავანთეთ სანთელი, შევხედეთ და ი კაცი ყელ-გამოჭრილი კი ეგდო ძირს... მაშინვე მამასახლისს შევატყობი- ნეთ, ე ანდრონოვი გაიქცა და სადღაც მიეფარა... მერე ივანეს ბუხ- რის თაროდამ კი ჩამოვათრიეთ. *)

პროკურორი გახარებული შესცქეროდა მოწამეს და თვისი მო-

---

*) რუსებს თავიანთ რუსული ბუხარი, ანუ ფეჩი, ისე აქვთ აშენებული, რომ შეიძლება მასზედ ასვლა, დაწოლა, დაძინება. და კიდეც წვანან და სძი- ნავთ ხოლმე ნამეტნავად ზამთარში.

ლერსე თვალების გამოხატულობით აქეზებდა და გულს უმაგრებდა; მაგრამ მოწამემ უცებ ჩაღუნა თავი და გაკმინდა ხმა.

— აბა ერთი მითხარი: ვინ, ვინ გამოსჭრა იმას ყელი?

— რა ვიცი, ბატონო, ღმერთმა იცის.

— იქნება ანდრონოვმა, ჰა? ბუხარზე რათ იმალებოდა ის თუ დამნაშავე არ იყო?... შენ ხომ იცნობ ანდრონოვსა?... აბა ერთი შეხედე იმას, აგერ აი სურათებს იქით.

მოწამე უნდომრად იცქირებოდა მოაჯირის იქით. პროკურორი ღიმილით აქეზებდა მას.

— მაშ ვინ გამოსჭრა ყელი იმას? თქვენ ხომ არ დამალულ-ხართ!

— მე რათ უნდა დავმალულვიყავ!...

— ჰო და, მაშ ის რათ იმალებოდა?

— სჩანს, ეჭვი ჰქონდათ მაზედ... ვინ იცის...

— ღმერთმა უწყის, ყოყმანით ამბობდა მოწამე. მაგრამ აი მიჰმართეს მას უბრალო, ადვილი კითხვები და მოწამეც გაცოცხლდა, გათამამდა.—დანა სტოლზე იდო, ბატონო... ისე, შინაური დანა იყო. პურსა ვჭრიდით იმითი... მერე კი ის დანა სახლ გარეთ ვიპოვნეთ.

ბრალმდებელმა ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე კითხვა მისცა მოწამეს და შემდეგ გაჩუმდა... მიებჯინა სკამზედ და იწყო რიღასიც წერა... კოხტათ გამოწყობილმა, გაქსუებულ სახიანმა ადვოკატი თამამად წამოდგა ფეხზედ.

— მოწამევ, დაიძახა ხმა-მაღლა მან, იქნება სანთელი თვითონ გაჰქრა! ან იქნება ის ხელიდამ გაუვარდა ვისმე?

მოწამე საჩქაროზედ დაეთანხმა:

— რასაკვირველია.

— იქნება სანთელს ხელი ჰკრეს?

— როგორ არ ჰკრავდნენ, რომ მთვრალები ვიყავით...

ადვოკატმა ამაყად გადახედა პროკურორს და განაგრძო თვისი კითხვები.

— რაღათ გქონდათ ეჭვი ანდრონოვზედ? იქნება შეეშინდა და კიდეც იმიტომ შეიმალა?

— ვის არ შეეშინდებოდა, შენი ჭირიმე... ღმერთმა ყველა დაიხსნას. ადვოკატს თან-და-თან გული უკეთდებოდა და უფრო თავ-მოწონებით იცქირებოდა აქეთ-იქით. მოწამე ხვნეშოდა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და ტყაპუჭულას ძველის კალთით იწმენდავდა ოფლში გაცურებულ პირისახეს. პროკურორიც, თავის მხრივ სულს ართმევდა საწყალ მოწამეს. ბოლოს ისე გამორეტიანდა მოწამე, რომ თითონაც აღარ იცოდა — ვისთვის რა ეპასუხნა... ქალები იცინოდნენ და ლორნეტით აცქერდებოდნენ მოწამეს. პროკურორი და ადვოკატი, ორივე კმაყოფილნი, წამ და უწუმ რაღასაც სწერდნენ.

რიგ-რიგზედ გამოდიოდნენ მოწმები, მაგრამ მათმა ლაპარაკმა გამოაშკარა მხოლოდ ის, რომ წლინახევრის წინედ სოფ. ზამერზალოვკაში გლეხის სიდოროვის სახლში ლხინი ყოფილა, რომელსაც დასწრებია აგრეთვე ანდრონოვი და ერთი მოწამეთაგანი კულიკოვი. უწინ ანდრონოვი არც იცნობდა თურმე სიდოროვს და არც ყოფილა სოფ. ზამერზალოვკაში. ლხინის დღეს ანდრონოვი მისულა კულიკოვთან და ამგვარად ერთად დასწრებიან ლხინს. მოწმები დაწვრილებით უამბობდნენ სასამართლოს ამ ლხინის ყოველ უბრალო და წვრილმან გარემოებას, მაგალითებრ ვინ გაგზავნეს ღვინისათვის, რა სიმღერასა მღეროდნენ და სხვ; მაგრამ რა კი თვით წამოყენებულ საგანზედ მივიდოდა საქმე, მათგან ისმოდა: „არა ვიცით რა,“ „ღმერთმან უწყის,“ „მთვრალები ვიყავით.“ ერთის სიტყვით, ამ ლხინის დროს, როდესაც ყველანი, შექეიფიანებულს გუნებაზედ იყვნენ, მღეროდნენ და თამაშობდნენ, უცნაური რაღაცა მომხდარა. როგორღაც სანთელი გამქრალა და ბნელაში, პატარა ხანს უკან, მოისმა თურმე ვიღასიც ხრიალი... ყველანი კარში გამოცვივნულან. რა გაანათეს ოთახი დაინახეს, რომ სახლის პატრონი, სიდოროვი, ყელ-გამოჭრილი გდია მიწაზედ. ანდრონოვი დააჭირეს მხოლოდ იმიტომ, რომ იმას კულიკოვის გარდა არავინ იცნობდა და კიდევ იმიტომ, რომ თავის

ჭაცნობის თაროზედ ამძვრალიყო. მაგრამ იმის თქმა კი ვერავის ვერ შეეძლო, თუ რა დროს გაიპარა ანდრონოვი, ან სხვებთან ერთად გავარდა თუ არა, როდესაც სანთელი გაჰქრა და ბნელაში გაისმა ხრიალი. „ძაან შეგვეშინდა... არაფერი არა გვახსოვს რა... სად გვქონდა სხვაზედ ცქერის დრო.“ იძახოდნენ ერთ-ხმად მოწმეები და ზედვე უმატებდნენ, რომ იმ საღამოს არა თუ ჩხუბი, შეხირებული ლაპარაკიც კი არავის არ მოსვლია სახლის პატრონთან. საქმე თავის კვალობაზედ წაიყვანეს. მოვიდა გამომძიებელი, დაასწვა იმ გარემოებას, რომ ანდრონოვი თაროზედ „იმალებოდა...“ შემდეგ გამოჩნდა კიდევ ბევრი სხვა ამ გვარი გამამტყუნებელი საბუთი. ბრალდებული ირევოდა, უარს ჰყოფდა. ზოგიერთ წვრიმალ გარემოებას; მაგალითებრ ლხინის დროს სიდოროვის ახლოს არა მჯდარვარო და სხვ. ბოლოს გამოვიდა უშველებელი „საქმე“ ზონარ-გაყრილი და ბეჭედ დასმული. ამ „საქმეს,“ რომლის ფურცლებს ეხლა სეკრეტარი ათამაშებდა ხელში, მოჰყვნენ თან სისხლით მოსვრილი პერანგი სიდოროვისა და წვერ-გალესილი დანაც. ანდრონოვმა წელიწად-ნახევარი გაატარა სატუსაღოში და ეხლა ორ თოფებით აღჭურვილ სალდათებ შუა იჯდა ბრალდებულთა სკამზედ და იზიდავდა ქალების ლორნეტებს, იჯდა ქედ-მოხრილი, ხმა-გაკმენდილი. ანდრონოვი არავითარ მონაწილეობას არ იღებდა საქმის წარმოებაში, თითქო ეს საქმე სრულიადაც არ ეხებოდა მას. მხოლოდ მაშინ, როდესაც თავ-მჯდომარე მიუბრუნდებოდა, იგი წარმოდგებოდა ხოლმე, და იტყოდა: „დამნაშავე არაფერში არა ვარ.“ „არა მახსოვს რა.“ „თითონაც არ ვიცი რათ გავიქეცი“ და ისევ დაჯდებოდა თავის ადგილას.

ცხადი და გარკვეული იყო ჩვენება ორიოდ-სამის მოწმებისა, რომელნიც ყველაზედ უფრო კარგათ იცნობდნენ ანდრონოვს, როგორათაც თავიანთ სოფლელს...მაგრამ მათი ჩვენება ეხებოდა, პროკურორის სიტყვით, „გარეშე გარემოებას.“

— მშვიდი კაცი გახლდათ, — ამბობდნენ იგინი ერთ-ხმად ბრალდებულზედ, — და როგორ მოხდა ეს საქმე, საკვირველია!...

გარკვეული იყო აგრეთვე ჩვენება ერთის მოხუცებულის, მუმიასავით გამხმარის და „სხვა მოწმეებსავით“ ძონძებში გამოხვეულის დედაკაცისა.

— არა ვიცი რა, ბატონო, არა, სრულიად არაფერი, — ამბობდა შეშინებული დედა-კაცი, და თანაც ცრემლებს იწმენდდა. ერთი ძროხა მყავდა... მას აქეთ რაც ეგ დაიჭირეს ვგდივარ მარტოკა ჩემის პატარა შვილი-შვილებით... მოწყალებით ვირჩენთ ეხლა თავსა.

მოხუცებული წელამდე აპარებდა თავის დაკვრას, რის გამოც პროკურორმა თვალი გადაჰკრა ერთს მოსამართლეს და გაიღიმა კიდეც. დედა-კაცი კიდევ დიდ-ხანს იწმენდდა თვალებს და ხანდისხან მკრთალობით გაიყურებოდა მოაჯირს იქით.

გამოძიება კარგა ხანს გაგრძელდა და დაღალა კიდეც ყველანი, მოუხშირეს ხმა-მაღლა მთქნარებს. ვერც ნაფიც-მსაჯულნი იყვნენ ფხიზლად და ხალისიანად: ისინი თითქოს, ყურადღებასაც აღარ აქცევდნენ გამოძიებას. მათში ზოგს ამთქნარებდა და ზოგსაც გულიანად ეძინა; ერთის ამ უკანასკნელთაგანის ხვრინვა მთელს დარბაზში ისმოდა და საკმაოდ ართობდა საზოგადოებას.

მოსამართლეებსაც ილაჯი გაუწყდათ. ერთს მათგანს თითქმის სთვლემდა. მეორე რაღასაც ბღაჯნიდა და წამ-და-უწუმ თვალს გადაჰკრავდა პროკურორს, რომელიც, თავისის მხრით, გულ-მოდგინეთ იშინჯავდა ხელის გულს. აი გათავდა გამოძიებაც. იქაურობას დაეტყო მოძრაობა. დაღვრემილ მოწმებსაც კი შეუდგათ ფაცური. ზებერმა დედა-კაცმა მოსახვევი გაისწორა და თავი წინ წამოიწია. მოისმა ლაპარაკი, ვითომ პროკურორმა გამტყუნებაზედ ხელი უნდა აიღოსო. ამ ამბავმა ძალიან გააჯავრა ქალები, რომელნიც განგებ პროკურორისა და ადვოკატის სიტყვისათვის იყვნენ მოსულნი. მაგრამ ტყუილად ლაპარაკობდნენ: პროკურორმა ხელი არ აიღო გამტყუნებაზედ. ორი წუთის განმავლობაში იგი დაჟინებით შეჰყურებდა ნაფიც-მსაჯულთ, წყნარად ისრესდა თავის მსუქან, ბამბასავით თეთრ ხელებს; შემდეგ საკვირველად ნაზად და სწორის ხმით მოჰყვა ლაპარაკს. მის სიტყვაში არ იყო

ხრაკითარი აღტაცება. მისი კეთილი პირი-სახე, მისი ჟუჟუნა თვალები არ გამოცვლილან. ანდრონიკესაც ალერსით გაჰსცქეროდა ხანდის-ხან. პროკურორის სიტყვა ჩინებული რამ იყო. წვრილმან, ყოვლად გამოუსადეგ ფაქტებს ეძლეოდათ პროკურორის პირში განსაკუთრებული მნიშვნელობა და ფერები, და საკვირველად გადაბმულნი იქმნენ ერთი-ერთმანეთზედ... თითქო რაღაცა წმინდა, უხილავი ბადე გადაშლილიყო ბრალდებულის თავზედ და მთლად უპირებს მოხვევასაო. მაგრამ ანდრონიკე ყველაზედ ნაკლებ გრძნობდა ამას. იგი ისევ ისე გულ-გრილად იჯდა თავ ჩაღუნული თავის ადგილას.

ბრალმდებელმა გაათავა თავისი სიტყვა, დაეშვა სკამზედ, და ისევ დაუწყო სინჯვა თავის ხელის გულს. ხალხმა თავისი ყურადღება ახლა მეორე მხარეს მიაქცია. ადვოკატმა გააკვირვა ყველანი. მრთელი ორი საათი ილაპარაკა, მაგრამ რაები ილაპარაკა, რაები!... ხალხი და მომეტებულად ქალები უდიდეს აღტაცებულებაში მოვიდნენ ამ ლაპარაკით. ადვოკატი პროკურორსავით არ მოჰყვა წვრილმან გარემოებების განჩხრეკას, სრულიადაც არ შეეხო ამაებს; თვითონ ანდრონიკეს სახელიც კი თითქმის ერთხელის მეტად არ გაუხსენებია. ამას ბადლად რაები არ იყო მის სიტყვაში: ეკატერინე მეორე, ვიღაცა პოეტის სიტყვები, მსაჯულთა სიბრძნე და სვინიდისი, სინათლისა და სიმართლის სხივები და სხვ.; ამასთანავე წამ და უწუმ გაიცქირებოდა წინა სკამებისაკენ. ხალხი სულ განაბული ისმენდა ყველა ამას, ქალები გაოცებით და აღტაცებით შეჰსცქეროდნენ მოლაპარაკეს... მხოლოდ მარტო მოსამართლენი ისხდნენ თავ ჩაქინდრულნი და ხანდის-ხან დაღვრემილის სახით შინჯავდნენ საათს. ნამდვილად ვერ იტყოდა კაცი ამ მოსამართლეთ ეძინათ თუ ყურს უგდებდნენ რასმეს.

## II

დარბაზი დაცარიელდა. ნაფიც-მსაჯულნი წავიდნენ საქმის გადასაწყვეტათ. ხალხმა კი მიჰმართა პატარა ოთახს, სადაც საჭმელ-სასმელს ჰყიდდნენ. თეფშების ჩახა-ჩუხი, ლაპარაკი, სიცილი ისმოდა ამ ოთახიდამ.

ახალ-გაზრდა მოსამართლე რივალოვი გამობლინძული იჯდა იმ ოთახში. მას გარშემო რამდენიმე კაცი ეხვია და მათ შორის ჩვენი ნაცნობი დამცველიც. პირველი ძლიერ უკმაყოფილოთ იყო ამ უკანასკნელზედ.

— საშინლად დაგვღალე, საშინლად მხრების მაღლა წევით ამბობდა ის,—საათზედ მეტი ილაპარაკე... ღმერთი არ არის! ხომ გთხოვეთ ცოტა ილაპარაკეთ... არა, მაინც საათზედ მეტი ილაპარაკე.

დამცველი იღიმებოდა მხოლოდ.

— ეხლა ხომ შვიდი საათია, გააგრძელა რივალოვმა,—პროკურორმაც რომ აღარ გაათავა! აი ხალხი! ახლა უცქირეთ მოსამართლენი რამდენს ხანს დაიგვიანებენ. აგერ ჩაი ეხლა მიაქვთ! ეხ, ღმერთს ერწმუნე, რომ დამიგვიანდება!

— საითკენ მიეჩქარებით?

რივალოვი ეშმაკურად გაჩუმდა და პასუხი არ გასცა დამცველს... დამცველმა ღიმილით დაუქნია თითი, რომელზედაც ბრწყინავდა ძვირფასი ბეჭედი.

— ნუ შესწუხდებით! წარმოსთქვა მან,—უთქვენოთაც ვიცი, და რაღაც წასჩურჩულა ყურში. გაფთხილდი, მე ვიცი გაიტაცებ შენ იმას... ის ქალი უიმისოთაც...

მოსამართლე წამოყელყელავდა. მის სახეზედ გადიშალა კმაყოფილების გამომხატავი ღიმილი... მისმა თვალებმა იწყეს თავ-მოწონებით ცქერა.

— ჰო, შენ საქმე გაქვს სასამართლოში, არა? უთხრა რივალოვმა იქვე მდგომ ახალ-გაზრდა კაცს.

— დიახ, დიახ, მიუგო ხელების ქნევით ახალ-გაზრდა კაცმა,—მაგრამ მომრიგებელი მოსამართლე მაღლა თავს ვერ იღებს... უფეხოა, უფეხო?

რივალოვმა გულიანათ გაიხარხარა.

— თქვენ სტოროჟოვზედ ლაპარაკობთ? დაიძახა ახალგაზრდა მომავალმა მოსამართლემ. ეს ორი კვირა მიდის რაც ის სწო

რეთ სასწაულებს სჩადის. დილიდამ საღამომდისინ სულ სმაშია. მეზობლებს მისგან მოსვენება არა აქვთ.

— ადამის ტანთსაცმელით დასეირნობს თურმე. დაუმატა ვიღამაც.

— სუყველაფერს სჩადის, განაგრძო ისევ მომავალმა მოსამართლემ, — სახლის პატრონის ქალი, ამ წინაზედ ფანჯრის წინ დამდგარიყო... ის კი თურმე ამ დროს დედიშობილა აყუდებულიყო თავის ფანჯარაში .. მთელი ნახევარი საათი უცდიდა, თურმე სახლის პატრონს.

ყველამ იწყო ერთი საშინელი ხარხარი... რიკალოვის სიცილი ხომ ერთს ვერსზედ განსწვდებოდა.

— ადამის ტანთსაცმელში?... ხა, ხა, ხა... ფანჯრის წინ... საუცხოვო რამ არის, თქვენმა მზემ!...

— ხალხს კი იწვევს სოფლებიდამ... დაეხეტებიან საცოდავები, დაეხეტებიან და ისევ ხელცარიელნი ბრუნდებიან შინისკენ; შემდეგ კიდევ მოიწვევს, კიდევ ისე...

ამ სიცილსა, ხმაურობასა და ლაპარაკში ერთმა ვიღაც ახალმოსულმა ანდრონოვზედ ჩამოაგდო ლაპარაკი, მაგრამ რიკალოვმა უსიამოვნოდ გაიქნია ხელი.

— განა არ მოგწყინდათ? დაიყვირა რიკალოვმა, — დღეს დილიდამ საღამომდისინ სულ მაგ ანდრონოვზედ ვლაპარაკობთ... ახლა გაიგონეთ რამე სკოროხოდოვზედ... ადამის ტანთსაცმელით თურმე... რა კარგია და!...

— სკოროხოდოვი რა პასუხია. ჩვენ ჩვენი მოსამართლენი გვყავს... ამას წინად ხარკოვი საპატიო მოსამართლეთ ამოირჩიეს... მასხარაობაა სწორე მოგახსენოთ. ბატონო, რაც რამ ქონება გააჩნდა სულ გაყიდა, უსაქმოთ დარჩა და დასდევს ახლა სოფლის ქალებს... კინაღამ, თურმე ბავშვები დახოცა უჭირის თურმე... დაგხოცავთო და თქვენ ჩემგან ვერაფერს ვერ წაიღებთო... აქ მე ვერავინ ვერ დამსჯისო... წადით თუ გნებავთ სენატშიო! ამ დროს ოთახში შემოვიდა

გამომძიებელი ახალგაზდა, დიდ თმიანი და დაღვრემილის სახის კაცი.

— საქმე როგორ მიდის, ჰკითხა ის რიკალოვს... უკვრენ ციმბირს?

— ჯერ არა ისქმის რა.

გამომძიებელი დაღონდა.

— უსათუოდ უნდა გაამტყუნონ... სწორეთ... განგებ მოვსულვარ უეზდიდამ — ე ჩემ ნათლულს დავხედო მეთქი.

— ანდრონოვზედ ლაპარაკობთ? მართლა, ხო თქვენ გამოიძიეთ მაგის საქმე...

გამომძიებელმა მხიარულად დაიქნია თავი.

— ჩემია, ჩემი... რავდენი მეცადინეობა გავწიე... განა სულ ფუჭად უნდა ჩამიაროს? საქმე, მართალია, ძნელი გასარკვევია... ძლივძლიობისას ვიპოვნე ორიოდ რამ ხელის წასავლები.

— მაინც ყოჩაღი ბძანდებით, დაიძახა მომავალმა მოსამართლემ, — მართალია, საქმე ძრიელ ბნელია.

— ჰო და, წარმოიდგინეთ რამდენი შრომა გავწიე!

ვიღამაც ეჭვი შეიტანა ანდრონოვის დანაშაულობაზედ; გამომძიებელმა გაბღვერით გადაჰკრა თვალი და ისევ ჩაის მოჰკიდა ხელი.

ლაპარაკი ეხლა ბრალმდებელზედ გადვიდა... გამომძიებლის დაღვრემილი სახე გამხიარულდა: ის აღტაცებული იყო პროკურორის სიტყვით.

— მშვენიერი სიტყვა სთქვა! მე სულ მეშინოდა არა გამოუშვას რა მეთქი, ასე რომ ამ დილით მინდოდა სხვა და სხვა გარემოებანი მომეგონებინა, მაგრამ ველარ მოვასწარ... საჭიროც აღარ გახდა... მაგრამ აბა ამ ცოტა ხანებში წარუდგენ ისეთ საქმეს, ისეთს, რომ ჰა.

— რა საქმეს? ანდრეევისას ხომ არა? იკითხა მომავალმა მოსამართლემ.

— ეგ თავის კვალობაზედ... არა, სხვა. აი საქმე ის არის, აი: ჩინებული რამ არის. მკვლელობა და ცეცხლის წაკიდება... უნდა გარგათ ვეცადო... თუმც აქაც არაფერი არა სჩანს რა გარკვევით, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ის კაცი დამნაშავეა.

— ეგ როგორ? გაკვირვებით დაიძახა ვილამაც.

— მაკვირვებს მაგ-გვარი კითხვა! გაჯავრებულად დაიძახა გამომძიებელმა. მე მჯერა, მაქვს შინაგანი რწმუნება, გული მითქვამს... ილაპარაკეს კიდევ ბევრს სხვა და სხვა საქმეებზედ, იკვეხდნენ თუ ესა და ეს კაცი როგორ „გაუძახეს“ მათ ათისა და თხუთმეტის წლის ვადით ციმბირისკენ, მომეტებულად გამხიარულდა, გაცოცხლდა მომავალი მოსამართლე. ის თურმე, როდესაც გამომძიებლობდა და ახლაც სურდა, რომ ერთი ვიღაც „გაესტუმრებინა“. ამისათვის მიუჯდა ახლო სახელოვან გამომძიებელს, რომელმაც ანდრონოვი გააბა საციმბირე მახეში, და სთხოვდა დარიგებას.

— რა ღონის ძიება არ ვიხმარე, საიდამ არ მოვუარე, მაგრამ მაინც ვერა მეშველა რა. ვერა და ვერ გამოვდე მე იმას ხელში. საშინელი გამოქნილი რაღაც არის. ერთი, ერთი, როგორ უნდა მოუაროს ამას კაცმა?

გამომძიებელი აძლევდა დარიგებას.

— ჰაი თუ ერთი ხელში ჩავიგდე, იძახოდა ნერწყვის ყლაპვით მომავალი მოსამართლე,—მე ვიცი როგორც „გაუძახებ“ მე იმას!

რიკალოვმა წამოიწია და გავიდა ოთახიდამ გარეთ. მომავალმა მოსამართლემ გაადევნა მას თვალი და რა ველარ დაინახა ის, მობრუნდა დანარჩენთა წინაშე დაუწყო რიკალოვს დაცინვა..

— მაგას საქმეზედ ლაპარაკი არ უყვარს... ერთი შედით როდისმე კანცელარიაში და წაიკითხეთ მაგისგან დაწერილი განჩინება რომელსამე საქმეზედ... გარწმუნებთ, სიცილით გულს ველარ მოიბრუნებთ!...

## III

სასამართლოს დარბაზში ჯერ ისევ ცარიელია. მხოლოდ სამი უბრალო კაცი და კიდევ ჩაფიქრიანებულნი მოწმები ისხდნენ თავთავიანთს ალაგას და ჩუმათ ლაპარაკობდნენ რაღაებზედაც. სურაიებს ახლო იდგა გამხმარი მოხუცებული დედა-კაცი და ნაღვლიანად ელაპარაკებოდა ანდრონიკს.

ამათზედ ცოტა შორი ახლო დასეირნობდა ერთი ახალგაზრდა ქალი. ეს ხან მხიარულად ელაპარაკებოდა რაღაზედაც ადვოკატს, ხანაც მოიწყენდა, შინჯავდა მალმალე საათს და ნაღვლიანათ წუწუნებდა მასზედ, რომ ნაფიცი მსაჯულნი ბევრს ხანს დაიგვიანებენო.

— რეპეტიცია ხომ რვაზეა,— თითქმის ტიროდა ის,— რა გვეშველება, ღმერთმანი, რომ აქ დაგვიგვიანდეს... ახ, ნეტა ერთი ჩქარა კი მორჩნენ და!...

ადვოკატი ამშვიდებდა ახალგაზრდა ქალსა. ცოტა ხნის შემდეგ მათთან მივიდა პროკურორი. სურაიებთან მდგომმა მოხუცებულმა დედა-კაცმა რომ დაინახა ეს კანკალით მოშორდა თავის ალაგს...

— ნუ გეშინიანთ დედი, ნუ... დაუყავებით უთხრა მას პროკურორმა. ახალგაზრდა ქალი შორიდგანვე აწვდიდა პროკურორს ხელს.

— ახ, რა ნაირი ბოროტი გული გაქვთ თქვენა,— თავის კოხტათ ქნევით უთხრა ქალმა,— თქვენ გინდათ, რომ უსათუოდ გაამტყუნოთ ეგ კაცი. პროკურორი მოხდენილის ღიმილით მხოლოდ წვერზედ ხელს ისვამდა.

— ღმერთმანი არ გებრალებათ? განა გაამტყუნებენ მაგას? თქვენ როგორ გგონიათ — მტყუანი არის ეგ განა?

— მე ვგონებ, რომ მტყუანია.

— თქვენ კი არ გინდოდათ შეგეტყობინებინათ ჩემთვის, რომ დღეს ეს საქმე იქმნებოდა განრჩეული! ხომ იცით, რომ მე ამ გვარი საქმენი დიდს სიამოვნებას მაძლევენ.

პროკურორმა ბოდიში მოიხადა. ახალგაზრდა ქალმა დაუწყო ცქერა ბრალდებულს, რომელსაც წინანდებულად რაღაზედაც ჩუმათ ელაპარაკებოდა გამხმარი დედა-ბერი.

— საცოდავი, შეხედეთ ერთი! ეტყობა საშინლათ უყვარს იმ მოხუცებულს თავისი შვილი, ბძანა ახალგაზდა ქალმა. შემდეგ ჩახედა საათს და საჩქაროდ გავიდა ამ დარბაზიდამ. დარბაზში დასეირნობდნენ პროკურორი და ადვოკატი.

— სწორე მოგახსენო მე ბრალმდებელი ოქმის დაწერაც კი არ მინდოდა, გულახდილად ამბობდა პროკურორი. კარგათ მოგეხსენებათ რაც საბუთები გვაქვს ხელში! მერმე ვიფიქრე — რაც გახდეს, გახდეს, ვცდი მეთქი... ოქმი დამიმტკიცეს... ვნახოთ ახლა რას იტყვიან.

იმან მოიფშვნიტა ხელები და საჩქაროდ მიიხედა იმ ოთახისკენ, რომელშიაც ისხდნენ ნაფიც-მსაჯულნი. იქიდამ ისმოდა გაცხარებული ლაპარაკი: სჩანდა რავდენიმე კაცი შეჰბმოდნენ ერთმანეთს.

— ბაასობენ, ვნახოთ.

— მე კი დღეს საშინლათა მტკივა თავი. წუხელი დიდ ხანს დავრჩი კლუბში. საქმე ხეირიანათ ვერ გადვიკითხე, ვფიქრობდი დილით მოვასწრებ მეთქი, მაგრამ დილითაც ჩამძინებოდა, ამბობდა ადვოკატი.

— თქვენ მშვენივრად ილაპარაკეთ — შეაქო პროკურორმა, — მე კი, სწორე გითხრა, მეშინოდა; მეგონა სრულებ ვერაფერს ვერ ვიტყვი მეთქი... მაგრამ ვგონებ, არა უშავდა რა!

— მშვენიერი რამ იყო!

— მე ხომ კინაღამ ხელი ავიღე გამტყუნებაზედ, იძახოდა გახარებული პროკურორი და ხელი გადაჰხვია ადვოკატს. ერთს წუთს დაჩუმდა.

— მაგრამ, იწყო ადვოკატმა, სინიდისიანათ თქვით — მტყუანია ანდრონოვი თუ მართალი?

პროკურორმა მხრები აიწია და ცოტა ხანს გაჩუმდა.

— მტყუანი უნდა იყოს... სხვა ვინ იქმოდა, მაგრამ, ვინ იცის. ერთი რამ კი მაფიქრიანებს... ეს პერანგი. აბა შეხედეთ.

ორთავენი მივიდნენ სტოლთან და დაუწყეს შინჯვა ბრალდებულის პერანგს, რომელიც სრულიად სუფთა იდო სისხლით მოსვრილ ყელ გამოჭრილ სიდოროვის პერანგის გვერდზედ.

— დახედეთ, სისხლის წინწკალიც კი არსად სჩანს! რომ ამის პატრონს მოეკლას, განა შესაძლებელია, რომ ამ პერანგს არაფერი მოჰსცხებოდეს?

დამცველმა შუბლზედ ხელი შემოიკრა... პროკურორმა ეშმაკურად შესცინა და თავის მოწინააღმდეგეს დაუჯანჯღურა მხარი.

— დიაღ, თქვენ ეს უყურადღებოთ გაუშვით... მე ძრიელ მეშინოდა ამისა! ეხლა კი გეუბნებით; საქმე ხომ გათავებულია.

— ეხლა რაღა ეშველება.

— ჩაივიც მსაჯულებმაც კი ჯერ მოიაზრეს პერანგი გაეშინჯათ, თვალი უყო პროკურორმა ადვოკატს და დაჰკრა ხელი პერანგს.

ადვოკატი ცოტა ხანს ჩაფიქრდა. შემდეგ ისევ მომხიარულდა „აგები გაამართლონო“ და დაიწყო ისევ პროკურორთან სეირნობა.

ამასობაში, მაყურებელთ შორისაც მოისმოდა ლაპარაკი.

— ძალიან ყოჩაღი პროკურორი გვყავს, დამცველსაც კი არა უშავს რა, იძახოდა ცხვრის თულუფიანი ვაჭარი.

— სწორეთ, სწორეთ, ყოჩაღია... გაეპასუხა მას ერთი ვიღაც ცალთვალა კაცი, — ძრიელ კაი ადამიანები არიან! მაგრამ პროკურორი, პროკურორი! უნდა ნახო რა ღვთის მოყვარე კაცია! ისე ლოცულობს, ისე ლოცულობს, რომ ღმერთმანი მაგისთანა მორწმუნე კაცს მეორეს ვერ იპოვნი. ეგ სულ ჩვენ საყდარში დადის! დადის მაგრამ რა დადის. გამოვალ, კაცო, თეფშით ფულის მოსაგროვებლად, შევხედავ მაგას, ეგ მუხლ-მოდრეკილი დგას და თავს მიწიდამ მაღლა არ იღებს. დავინახავ თუ არა, მაშინვე გზას აუქცევ ხოლმე. ვინღა შეაწუხებს აბა... ძრიელ, ძრიელ კაი ღვთის მოშიში კაცია.

რავდენიმე ხანს მათ შორის ჩამოვარდება სიჩუმე.

— წირვის შემდეგ იწყობს ხოლმე ხატების მთხვევას... სულ ყველანი გამოლაგდებიან საყდრიდამ, ეგ კი, ბატონო, დადის და ერთ ხატს არ გაუშვებს რომ არ ემთხვიოს. მაგისთანა კაცი არ მინახავს ჯერა, არა!

ამ დროს, თითქო ამ სიტყვების დასამტკიცებლად, პროკურორმა დაამთქნარა და მოწიწებით გამოიხატა პირზედ პირჯვარი.

მობაასეთ გვერდზედ უცებ გაჩნდა ერთი ახალგაზდა კაცი.

— ხედავ! მიუბრუნდა და ბრალდებულისკენ თავის მიქნევით უთხრა ახალგაზდამ ცალთვალა კაცს. იმან დაბღვერით შეხედა ახალგაზდას.

— იმას კი ნუ უცქერი, რომ დღეს ეგ მოაჯირს იქით ზის. ბევრჯელ ჩემისთანა და შენისთანა კაცებზედ უფრო კარგები სხედან ხოლმე იქა. აი მაგ. ამ წინაზედ მოამბეში ეწერა...

აქ მიჰყვა ამბავი მასზედ, თუ ერთს გლეხს, როგორ შესწამეს კაცის მკვლელობა, შესწამეს, რადგანაც „სხვა არავინა სჩანდა“, დაიჭირეს და ის იყო ციმბირისკენ უნდა გაესტუმრებინათ; ამ დროს ნამდვილი მკვლელი კი გამოჩენილა... კაჭარი თანაგრძნობით ისმენდა ცალთვალას ლაპარაკს და თანაც თანხმობის ნიშნად უქნევდა თავს. ახალგაზდაც მას ჰბაძავდა!

— ღმერთმა უწყის მაგისა საქმე, დააბოლოვა ცალ-თვალამა, — მაგის საქმე, ძმაო, ბნელი საქმეა.

— გაარჩევენ... ნაფიცნი არიან.

## IV

მოსამართლეთა ოთახში, თვით მოსამართლეთა გარდა, იყო კიდევ რამდენიმე გარეშე პირთაგანნი. წვერ-ულვაშ გამოწკეპილი თავმჯდომარე ციგარის წევით რაღაზედაც ებაასებოდა. ერთს წევრთაგანს შემოეწყო სქელ-სქელი წიგნები და მათში გაცხარებით ეძებდა რაღასაც. წიგნების ფურცლებს გაჰქონდათ შრიალი. წევრი ხან აქ ჩაიცქირებოდა, ხან იქ და შემდეგ რაღაც ციფირებს სწერდა ქაღალდზედ.

— რას აკეთებთ? დაეკითხა მას ერთი გარეშე პირთაგანი.

— ვეძიებ სასჯელის დამადგენელს მუხლებს... ფიქრი არა არის! ჩვენს დადგენილს ვერავინ დაშლის.

— იქნება ის სრულებითაც არ არის დამნაშავე! გაისმა ვიღაცის ხმა.

— ეგ ჩვენი საქმე არ არის, ხელის გაქნევით სთქვა წევრმა.

— მიანდეთ ეგ საქმე სხვა ნაფიც-მსაჯულთ. ხომ შესაძლოა.

— გმადლობთ. ეგ რიღასთვის!

წევრის სტოლთან მივიდა კიდევ რამდენიმე კაცი.

— ორი ბავშვი ულუკმო-პუროთ დარჩნენ... საქმეც ბნელია, ღმერთმანი შესაბრალისია!

— ეგრე რომ ვიწყოთ ლაპარაკი ყველანი უნდა გავანთავისუფლოთ.

— მაინც, აბა გამინჯეთ. მაგას აბრალებენ სრულიად უცნობი კაცის ყელის გამოჭრას... ვსთქვათ ეგრეც მოხდა; მაშასადამე ანდრონოვი გიჟი ყოფილა!...

— გიჟი! ხა, ხა, ხა... ვინ სცნო, მერე ანდრონოვი გიჟათ? ეგ არ ვიცით...

— თქვენი ჭირიმე, უცნობი კაცის მოკვლა...

წევრთან მოლაპარაკე შლიდა ხელებს და ამით სთხოვდა იქ მდგომთ გაესამართლებინათ, ის და მისი მობაასე, მაგრამ სხვანი ხმასაც არ იღებდნენ.

— ერთი გაჩუმდი, თუ ღმერთი გწამს, იძახოდა და თანაც წიგნებში იცქირებოდა წევრი, — ეგრე რომ ცქერა დაუწყოთ საქმეს, ყველა დამნაშავე უნდა განვათავისუფლოთ. მაშინ, უშიშრად, სწვი, ხოცე!

— მაინც...

— მაშ ვინ გამოსჭრა ყელი? ხომ უნდა უსათუოდ იყვეს ვინმე...

— აბა, რა ძაბუთ...

— ჭინქა ხომ არ ეცა?

წევრი თან-და-თან ცხარდებოდა და ბოლოს ჯავრობაც დაიწყო, მაგრამ მალე დაანებეს ამ საგანს თავი და დაიწყეს სხვაზედ ლაპარაკი.

— მშვენიერი სიტყვა იყო, მშვენიერი,— სხაპა-სხუპით იძახოდა თავ-მჯდომარე. მშვენიერი! არც არავითარი აღტაცება... სრულიად უჩინრად გიძვრებათ გულში.

მსმენელნი ეთანხმებოდნენ.

— საუცხოვო პროკურორია, იძახოდა იგივე,— ხომ დაინახეთ, რა ლამაზათ, ოსტატურად შეაჯგუფა ერთად სულ უბრალო წვრილმანი გარემოებანი...

ლაპარაკი კარგა ხანს არ მოშორებია პროკურორის ნიჭიერებას... შემოვიდა რიკალოვიც, დახედა საათს და იწყო წუწუნი, რომ ასე გვიანდებოდა საქმის გათავება... შემდეგ გაჩნდა პროკურორიც. თავ-მჯდომარე ხელებ გაშლილი მიეგება კარებშივე...

— საუცხოვო რამ ბძანეთ, საუცხოვო, თქვენმა სიცოცხლემ... სულ უბრალო გარემოებანი და უცებ კი...

სხვა იქ მდგომთაც კვერი დაუკრეს.

— მე ვგონებ რომ გაამტყუნებენ... წინათვე მომილოცავს... ეუბნებოდა ბრალმდებელს წევრი.

ბრალმდებელი მხოლოდ იღიმებოდა და თითქო შორცხობდა კიდეც.

— მართალია და, დასამტკიცებელი საბუთები თითქმის არა არის რა...

— ძრიელ ცოტა!.. ამბობდა პროკურორი.

— სრულიად არაფერი, სრულიად გააშაიგათ თავ-მჯდომარემ,— კიდეც ეგ არი საქმე...

— შეიძლება არ გამტყუნონ...

— შეიძლება... ნიკოლაი ნიკოლაიჩმა კი სარჯელიც დაუნიშნა.

ბრალმდებელი გაჩუმდა... სევდის ნისლებმა მოიცვეს მთლად მისი სახე...

— ეჰ, იქნება მართლა არ გაამტყუნონ. სთქვა მან ნაღვლიანად და გაიქნია ხელი.

წევრმა და თავ-მჯდომარემ დაუწყეს პროკურორს ნუგეშის ცემა. ლაპარაკი ისევ შეწყდა. რიკალოვი წამ და უწუმ ჰკითხავდა პრისტავს: „ჰა, გაათავეს თუ არა?“ ამ დროს რიკალოვის ბედზედ გამოსჩნდა მეორე ახალ-გაზდა პროკურორი... მასთან მივიდა რიკალოვი და მიიყვანა ფანჯარასთან. მოჰყვნენ ლაპარაკს.

— თქვენს უეზდში, ამბობდა რიკალოვი, — მარშლს ორი ქალი ჰყავს... მაგრამ მათ ცოტა მზითევი აქვთ... აი პაფნუტიევის უეზდში კი... მართალია კოთხუნჯია და სულელი, მაგრამ ორი ათასი თუმანი მოსდევს. უნდა შეგრთოთ.

— არაუს კიდეც გიახლებით, — გაიწრუწუნა ახალ-გაზდამ და რაღაცა ღიმილი გაერბინა სახეზედ.

— აი კიდევ სვიშროკსვშიაც...

ამ დროს გამოჩენილი პროკურორი ელაპარაკებოდა თავ-მჯდომარეს.

— ახალია? ეკითხებოდა პირველი უკანასკნელს და თითით უჩვენებდა მის ყელზედ ჩამოკიდებულს ვეებერთელა ჯვარს.

— დიახ, დიახ, ახალია, თავ მოწონებით იძახოდა ეს, — მოსკოვიდამ გამომიგზავნეს... ხომ მოგეხსენებათ — სახელმწიფო ჯვარი პატარაა და მე ამის გამო თვითონ ჩემი ფასით შევუკვეთე.

მობაასენი მივიდნენ სანთლებთან ახლო და დაუწყეს ჯვარს შინჯვა... თავ-მჯდომარემ მოიხსნა ყელიდამ ჯვარი, რომ უფრო კარგათ გაეშინჯათ.

— მშვენიერი ხელოვნებაა, მშვენიერი!

ამ დროს საიდგანღაც მოისმა ზარის ხმა. პრისტავმა გამოაცხადა, რომ ნაფიც-მსაჯულნი მზად გახლავანო... აიჰა ხალხი... პროკურორი ისარსავით გამოვარდა კაბინეტიდამ.

— ვნახოთ, რას იტყვიან, აღელვებით ეჩურჩულებოდა პროკურორი ვილასაც.

ნაფიც-მსაჯულნი შემოვიდნენ სამსჯავრო დარბაზში და შემო-უსხდნენ გარშემო თავიანთ სტოლს... „გლეხი ნიკიტა ანდრონოვი, ოც-და თორმეტის წლის კაცი დამნაშავეა თუ არა... დამნაშავეა.“ მა-ღალის და გარკვეულის ხმით წაიკითხა ნაფიც-მსაჯულთ უფროსმა. პროკურორს სიხარულით ფრთები შეესხა: მან წამსვე გადიხედ-გად-მოიხედა აქეთ-იქით... შემდეგ წამოდგა ფეხზედ და იწყო უკანასკნე-ლი დასკვნის წარმოთქმა შესახებ სასჯელისა.

სასამართლოს განჩინება ამ სასჯელის შესახებ საჩქაროზედ იქ-მნა შედგენილი... საჩქაროზედვე წაიკითხეს იგი და ხალხმა იწყო კარზედ გამოსვლა. ადვოკატი ფაცაფუცით აგროვებდა ქაღალდებს და თანაც ღიმილით უქნევდა თავს ახალ-გაზრდა ქალს. გულ-მოკლული მოხუცებული დედა-კაცი უკანასკნელად შესცქეროდა თავის შვილსა და შესაძრწუნავის ხმით გაჰქონდა ქვით-ქვითი. თვით ანდრონოვმა გი ორჯელ-სამჯერ გაიქნია თავი.

კარზედ საშინლად ბნელოდა... ხალხი ლაპარაკით გაიფანტა ამ სიბნელეში... სასამართლოს კართან იდგა რამდენიმე მარხილები. ერთს მათგანში ფრთხილად ჩასვა ადვოკატმა ახალ-გაზრდა ქალი და თვითო-ნაც სიხარულით მოუჯდა გვერდზედ...

— საცოდავი, იძახოდა ქალი,—შებრალება ღმერთმანი!... კარგი, რომ რეპეტიციაზედ არ დავიგვიანეთ!

— ვოდევილი მშვენივრად წავა, ეუბნებოდა მას ადვოკატი: მე-ტადრე თქვენი როლი... მშვენიერი რამ იქნება.

მარხილი სასწრაფოთ გასრიალდა... ისმოდა მასში მჯდომა-რეთა სიცილი.

— კლუბში! უძახოდა იზვოზჩიკს ვიღაც და თანაც ეპატიჟებო-და ვიღასაც.—ვითამაშებდით... კარგი იქნება!

— ამ გამარჯვების შემდეგ თუ? პატონა ხარ, მოისმა ხმა „გა-მოჩენილის პროკურორისა.“

ამ მარხილის გვერდით გაიარა სალდათების ხროვამ, რომელთა შუა მოჩანდა ანდრონოვი. მიყრუებულ ქუჩებში ისმოდა მხოლოდ თოვლის შრიალი და მოთქმით ქვითინი საცოდავის დედა-კაცისა. ანდრონოვი კი წამ და უწუმ პირჯვარს იწერდა

რა ჰქნას გულმან, როს ჭმუნვა არ მოეხსნეს?
რა ჰქნას, სევდა თუ სწყლავს მარად დაგულსა?
რამც იგულოს ვარდნი როს არ მოეხსნეს,
ეკალს ჰკრეფდეს, ხელს იკოდდეს და გულსა...

დავ. მაჩაბელი.

# სხვა და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისათვის

## I

### ისტორიული მასალა ვახტანგ VI მეფობისა.

ქვემოთ მოყვანილი ნაწერი ნართულია ერთს ხელნაწერს წიგნში, რომელიც ეკუთვნის ანჩისხატის დიაკვანს იოსებ ახალმესამშვილს. პირველ ფურცელზე არის ვრცელი სახელი წიგნისა: „ღეოღრაფია. ანუ მოკლედ. ქვეყნის სიმრგვლისათვის, აღწერა. პირველ ლათინთა ენისაგან რუსულად თარგმნული. ხოლო აწ მეორედ რუსულთა ენისაგან ქართულთა ენასაზედა. გაბრიელ გელოვანის მიერ თარგმნილი. რომელიცა დაბეჭდილ არს. ბრძანებითა დიდის ხელმწიფის. მეფეთ მეფის. პეტრე. ალექსის ძის მიერ. წელსა უფლისასა. ჩლი. თვესა მარტსა. სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს." წიგნი შეიცავს საზოგადო აღწერას იმდროის სახელმწიფოთა ქვეყნის ოთხ ნაწილში. დასაწყისში საზოგადო გეოგრაფიული ცნობაა, სულ ბოლოს ქალაქების ვრცელი სია, ანბანის რიგით და გეოგრაფიულის სიგრძე სიგანის ჩვენებით (გრადუსით და მინუტით). ამ სიის წინათ არის ნართული ქვემოთ მოყვანილი წერილი. ქალაქების სიას ბოლოდ აკლია წყდება ასო ს-ზე (სმოლენსკი, სმირნა). მთელი წიგნი შეიცავს 230 გვერდს დაწერილს წმინდად. ზომა წიგნისა საწერ ქაღალდის 8°/0

საკუთრად ამ წერილს ფასი აქვს, როგორც ვახტანგის თან მხლებელის სიტყვას, თუმცა ზოგი ადგილი არ ეთანხმება ქართლის ცხოვრებების და სხვათა თანამედროვეთა ნაამბობსა. მაგალითად ვახტანგი რუსეთს გადავიდა (1724 წელსა.) მას შემდეგ, როდესაც ოსმალთ 1723 წელში დაიპყრეს ტფილისი და არა თუ პირდაპირ

ტფილისიდამ გასულიყოს. (ქართლის ცხოვრება ნაწილი II, გვერდი 86, 87.

მართლ წერა სრულებით ავტორისა დავიცევით. სხოლიოები ეკუთვნის რედაქციას.

---

განსრულდა თარგმანი წიგნისა ამის. აწ მოგითხრობთ თვით ჩემდამო შცირესა რასმე ანდერძსა. წელსა ჩღკბ, ჟამსა შინა მეფობასა, შათამაზისასა, საჴემწიფო სპარსეთისა ფრიად მიწყურვილ იქმნა გარემოს თვისთა მესამძღვრეთაგან. ვითარცა ისმაიტელთა წარჩულეს რაოდენიმე სახელოვანი ქალაქები და ქვეყნები. ეგზომ დაუმეტესცა ავღანთა რამეთუ აღდგა მთავარი მათი მირვეიზ, დაიწყო ავაზაკობა ქალაქებთა ზედა. სპარსეთისათა და წარჩულო პირველ ციხე სახელოვანი ყანდაარისა და მათ ღონისძიება ვერარა ჰოვეს რა. და მერმეცა თვით უკანასკნელიცა ტახტის ქალაქი, სადაცა მჯდომარეობდენ ყაენი, რომელსა ეწოდება ისპაანი. ფრიად აღაოკრეს და აღიოხრეს საჭურჭლე მათი. და ივარ ქმნა სრულიად სამყოფელი მათი. შემდგომად ამისსა აღდგა დიდი ჴემწიფე მეფეთ მეფე ჩრდილოვეთისა პეტრე ალექსის ძე და განვლო ზღვა კასპიისა და დაიპყრა ციხე დარუბანდისა და მუნითგან ესოდენ განავრცო მპყრობილება თვისი. რამეთუ გილან მაზან დარამდის. და თვით შამახიამდის. სრულიად ქვეშეპყრობილებასა თვისსა რავდენნიმე ფრიად მდიდარნი ციხე ქალაქნი და ქვეყნები მოიყვანილ ქმნა. და მუნიდგან წარმოსცა ელჩი რომელიმე გვარ წოდებით ტოლსტოვი მისა სიმაღლეს მეფესა ქართლისასა. ვახტანგ ლევანის ძეს. და მოაწია ფარულად ქალაქსა ტფილისსა და მიუძღვნა ეპისტოლე გრავნილი. იხილა მეფემან და წარიკითხა ესოდენი უზომო მმეტრივი შესხმა და იმედი ებძანა რამეთუ განცვიფრებულ იქმნა ფრიად და არა უარყო ბრძანება მისი. მსწრაფლ დაუტევა ტახტი თვისი აღდგა და წარმოემართა მეფე და მეფეთა მიერი. რაოდენიმე ურიცხველნი სამღვდელონი და საერონი ქართველნი იმერელნი და კახნი ეფისკოპოზნი, მღვდელნი, თავადნი, აზნაურნი

მონანი და შიმუნვარნი დედაწულითურთ მათით. და მოიწია ქვეყანასა რაჭისასა და აქა უბძანა მეფემან ერისთავს შოშიტას [1]), რათა მთავართა ოსებთასა წარმოუდგას მძევლები. დაბრძანებისაებრ მისისა ერისთავმან წარუდგო მძევლები. ესე ამბავი ესმა ასულსა მეფე ბაგრატისასა, [2]) პატრონის შვილს ნინოს იმერეთს მონასტერსა გელათისასა და მუნითგან მსწრაფლ წარმოვიდა ფარულად. და ესე მოეხსენა ძმისწულსა მისსა მეფესა ალექსანდრეს იმერეთისას. [3]) და მოსწია რომელიმე თავადი მხეიძე, რამეთუ არა ესებათ, განტევება მისი ესოდენ შორებით. რა იხილა მეფეთა ასულმან კაცი ესე მოვლინებული, ფრიად შეწუხნა და ღონას ძიება ვერარა პოვარა. მაშინ იგულისხმა პატრონის შვილმა ნინო და მოვლინებულსა მას თავადსა რომელიმე საზომვარი უბოძა და ძმისწულსა თვისსა მეფესა ალექსანდრეს ესრეთ არწმუნა რამეთუ რომელიმე დაპეჭდილი მაიერაშები დაუგდო. ყოველივე ჩემი საუნჯე ამას შიგან შთამოდებულ არსო. მივიდე რაჭასაო და გამოვეთხოვო ძმასა ჩემსაო. მეფესა ქართლისასაო და კვალად მოვიქცეო. და მათ ვერ გულისხმაყვეს, რამეთუ მაიერაშა შიგან იყო ბამბითა გატენილი, და ესეთისა ხელოვნებითა იხსნა თავი თვისი. და წამოსძანდა და მეცა მაშინ თან წარმომიყვანა, რომელი ვიყავ გაზარებულ მიზეზთათვის სწავლისათა ოდიშთა მფლობელის პატრონის დიდის თავადის დადიანის ბექასის [4]) მეუღლის თამარისაგან, რომელი გვიხმდა ჩვენთვის მამისდად. და მობძანდა პატრონიშვილი ნინო რაჭას მეფესთან და ევედრა წამოუყვანას რუსეთისას. მაშინ აღდგა მეფე და გავლო მდინარე რიონისა და

---

[1]) ერისთავი რაჭისა მთავრობდა 1696-1731 წლამდე. ამას და იმერეთ მეფეს ალექსანდრე V ხშირად ბრძოლა ჰქონდათ.

[2]) ბაგრატ 1660-1681 წელში რამდენჯერმე გამეფდა და გარდაყენებულ იქმნა.

[3]) ალექსანდრე მეფობდა 1721-1752.

[4]) ბექან მთავრობდა 1715-1728.

შეუდგენ მთასა მაღალსა კავკასიისასა, მსგავსსა ჯოჯოხეთისა, სადაცა იყო ჭურღმული მრავალი გამომდინარე. თოვლითა და ყინულითაგან ესრედ ძნიად გასავლელ იყო კაცთათვის, უკეთუ მთავარდნილ იყოსმე ქვესკნელსა. ამას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, მასცა ვე-ღარ ეძლო აღმოსვლად არცაღათუ ესოდენსა ურიცხველსა დედა-წულსა. ოდეს განვლო მეფემან ესე მთა და მიიწია ქვეყანასა ოვსე-თისასა, თუმცა გვესხნეს მძევალნი მათნი. ვერცაღა მით ვსწამლობ-დით თავთა ჩვენთა ავაზაკობათა მათთაგან. რაზომცა გავლიდით ად-გილსა ანუ სოფელსა, მოვიდნიან. დენუკვოდენ მეფეთაგან საბო-ძვარსა, და არა განგვიტევიან: მეფემან რაზომცა ძვირფასი თვალი გინა მარგალიტი. უბოძის ესრეთ უგუნურიყვნეს რამეთუ კუალად შილის ნახვისათვის ევედრებოდეს და ესეთისა ფრიადისა წარსაგებე-ლით განვლო ადგილები მათი და მობძანდა სოფელსა დიგორისასა. და აქ მოვიდა ჩერქეზთა ბატონიშვილი და მან გაგვაცილა სამძღვარსა მათსა. და მივედით საბატონოსა ჩერქეზთასა და მუნ ფრიად ეტრფი-ალნეს და უმასპინძლეს ერთობით ამისათვის რამეთუ ასული მათი დედოფლობდა ჩვენ ზედა. [5]) მეფემანცა გარჯისა მათისა მუქაფად, რაცა ფქრობდაო, ყოველსა თვითეულსა ძვირფასი საბოძვარი მის-ნიჭა და აქა მოეგებნეს ჩრდილოვეთისა სპათა მხედრობანი, რაო-დენნი მე ათასნი ჩინგიზთა სპანი თვალით წვრილნი. პირით პრტყელ-ნი, სრულიად ქარქაშ ხილიფოსანი. და მით განვლო მეფემან ჩერ-ქეზთა ადგილები და რაოდენნიმე მდინარენი. და განვლეთ მდინარე, მუნ დაიბანაკა მეფემან და ისე რა ვიხილეთ კუალად, სხვა უმჯობესი განსწავლულნი რუსეთის სპათა მხედრობანი, რომელთა განსდევნეს ჩინგიზნი და თვით წინამძღვრეს მეფესა, მოეგებნეს და თაყვანი-სცეს მთავართა მათთა დიდით მცირამდის და წარმოიყვანეს, გან-ვლეთ რაოდენნიმე ველნი. კვალად ვიხილეთ უმჯობესი ჯარი, ქვეითო-სანი. მოეგებნეს მეფესა და თაყვანი სცეს მთავართა მათთა, რაო-

---

[5]) ვახტანგის მეუღლე ჩერქეზთ ქალი იყო.

დღესითამდე თვითეულისა გვარითა საკრავითა დროშებითა და დაფებითა. და ქსეთისა პატივითა სამთა ადგილთა ჯარნი ერთად შემოკრბენ და სრულიად დაღისტანი, ქვაბ ავაზაკთა ადგილი, უსჯულოთ გამოასრონინეს. და მობრძანდა ციხესა სოღანლისასა წელსა ზღვდ. და მუნ მოეგება სარდალი გაბრიელ კროპოტოვი და განახვნეს კარნი ციხისანი და მოსცეს კმა ქუხილისანი ზღუდეთა ზედა კარდმოკიდებულთა ზარბაზნებთაგან და სპათა წყობილთა ხელის თოფთაგან, ქსეთის პატივითა. შებძანდა სახლსა ტურფასა და აქადამე წარგზავნა ელჩი თვისი სარდალი, ამილახვარი ვახტანგ პეტრებუხს მადლობითა და თაყვანისცემითა მაღალთა ხემწიფეთა მიერ. და ოდეს მოვიდა სარდალი ესე და ახილა ხემწიფემ ფრიად მოხარულ იქმნა და წყალობა პოძებულ ყო სახითა თვისითა ოქროსათა, რომელი იყო შემკობილ ალმასითა. გარდახდა ჟამი, თვით მეფე აიყარა და მიბძანდა ზღვისა პირსა კასპიისასა, და მუნ მოიყვანეს, რაოდენნიმე ხვამალდნი და ჩაბძანდა მას შიგან. დაჰრონინეთ ქარ კეთილად რაოდენიმე ხანი. და მობძანდა ქალაქსა ასტარხანსა მუნ გამოეგება მოურავი ქალაქისა მის პატივითა მით, ვითარცა ზემორე ამისად მოვიხსენებია. ხოლო ამა ქალაქსა იქით თვით პეტრებუხამდის, ვითარითა პატივითა მეფე ქართლისა ვახტანგ ლევანის ძე. ანუ ხმელეთით ან წყლით მიბრძანდა, ანუ დიდისა ხემწიფისა მეფეთ მეფისა პეტრე ალექსის ძისა ამიერ სოფლით გარდაცვალებასა შინისა დიდებულებისა გლოვასა და ტყებასა შინა ვითარ ესწრა, და უკანასკნელ მისსა დამთომილმან დედოფალმან ეკატერინემ, ვითარ ნიუგემიხის სცა ანუ რა გვარად უზომოებით წყალობა შეანიჭა. ამისათვის ამბისა მოთხრობას აღწერით ვერ შემძლებელ ვექმენ, რამეთუ თუმცაღა თვით არა ეხილვა ვისმე, უხილავთა კაცთაგან ესოდენი უსაზღვრო პატივი არა იქმნებოდა, რომელი პანკრატიონითა. შარავანდედთა შორის გვონებ არცაღა ვისმე მიეთვალოს და ვერცაღა მომსახლეთა ნათესავთა მიითვალონ ესეთი პატივსა შინა აღწევნილობათა. ხარისხა. აწცა გლოვაკ ჟამველთა, ვინცა იხებოთ. და ხელად მიიღოთ მცირე

ესე ჩემი ნამუშაკევი რათა სახელი ჩემი წიგნისა ამისაგან არ აღმოხოცოთ და კეთილსაყვარლად მოხსენებას ჰყოფდეთ: ამისთვის მოველ რუსეთს და შევიგენ მცირესა ენასა რუსთასა. მაშინ ვიხილე წიგნი ესე მოკლეთ ქვეყნის აღწერა და ფრიად მიმზიდა და მივიზიდე, შევიტკბო და შევიტკბე, შემომიდგა და შევუდეგ. ხელ ვყავ და რაოდენ შემძლებელ ვექმენ ვთარგმნე მე კნიაზ გელოვანმან გაბრიელ:. ქორონიკონსა ქრისტესა. აქეთ: ჩღლზ:. სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს:.“

---

II

ამას წინად ჩაგვივარდა ხელში ერთი წიგნი *) შესახებ ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებისა აზიაში. წიგნი დაწერილია კათოლიკის მისსიონერის მიერ, რომელსაც თოთხმეტი წელიწადი გაუტარებია ჩინეთში და კარგადაც გაუცვნია აზიის სხვა და სხვა ხალხთა მდგომარეობა აწინდელი და წარსული. ერთი ადგილი ამ წიგნისა შეეხება საქართველოს ისტორიას მეცამეტე საუკუნეში და, ჩვენის აზრით, ღირს-საცნობი უნდა იყოს მკითხველისათვის. საგანი წიგნისა არის მეთქი ქრისტეს სარწმუნოების გავრცელება აზიაში. მაშასადამე ავტორისათვის საჭიროა ცოდნა ყოველ-გვარ მოვლენისა, რომელსაც კი ჰქონია რამე გავლენა და ზედმოქმედება ამ საგანზედ. ამ მოვლენათა შორის არა მცირე ადგილი უნდა ეჭიროს, რასაკვირველია, მონგოლთა განძლიერებას და მფლობელობას აზიაში მეცამეტე საუკუნეში. მონგოლთა გროვის თავ-დაცემამ ერთსა და იმავე ხელ-ქვეშ დააყენა თითქმის მთელი ქვეყანა და მით ჩამოაგდო ცოტად თუ ბევრად დაახლოვება სხვა და სხვა ხალხთა-შორის განშორებულთ უშველებელ მანძილზედ. ავტორი თვალს ადევნებს მონგოლთა მსვლელობას და რასაკვირველია ორიოდ სიტყვას საქართველოზედაც ამბობს, სადაც ავტორის სიტყვით, ქრისტიანობა პირველად შეხვდა ჯერის-პირს მონგოლებს. აი რას ამბობს ავტორი.

*) Le christianisme en Chine, en Tartanie et au Tdibet, par M. Hue.

„ჯერ ისევ 1221 წ., ჩინგისხანის სიკვდილის ექვსის წლის წინედ, ორნი თათრის ღენერალნი, რომელთაც ბრძანება ჰქონდათ დაეპყრათ მიდია, დაეცნენ ქართველებს, რომელთათვის ბევრი არა დაუკლიათ რა. აი ეს იყო პირველი შეხვედრა და შეტაკება მონგოლთა და ქრისტიანელთა შორის.

„მეორე წელიწადს თათრის ღენერლებმა გადიყვანეს ჯარი კავკასიის მთებზე და შევიდნენ ყიპჩაყებთან და თიურკებთან, რომელთა ქვეყანა მდებარეობდა ჩრდილოეთით შავი ზღვისა, კავკასიის მთებისა და კასპიის ზღვისა და მდ. დუნაიიდამ მოყოლებული ვიდრე იაიკამდე. რა გავარდა ხმა მონგოლების შემოსვლისა, ხალხები გაცვივდნენ. მონგოლები დაედევნენ, დაამარცხეს მრავალ შეტაკებაში, და შემდეგ შევიდნენ რუსეთში. სადაც არავითარი წინააღმდეგობა არ დახვედრიათ. ნოვგოროდის მცხოვრებნი, რომელთაც არ შეეძლოთ თავის-თავის დაცვა, მიეგებნენ ჯვრით ამ ბარბაროსებს და სთხოვდნენ შებრალებას; ბარბაროსებმა დახოცეს ყველანი რიცხვით ათი ათასამდე. მონგოლებმა სრულიად გაათოხრეს სამხრეთ-რუსეთი; მდ. დნეპრიდამ გასწიეს და აიკლეს აზოვის ზღვის გარს მდებარე ქვეყნები, შევიდნენ ყირიმში და აიღეს მდიდარი ქალაქი სუდაკი, რომელიც ეკუთვნოდა გენუელებს თუმცა ხარკს ყიპჩაყებს აძლევდა; ეს ქალაქი იყო იმ დროს უპირველესი ადგილი ვაჭრობისა შავი ზღვის ჩრდილოეთისა და სამხრეთის შორის.

საქართველო იყო მაშინ უძლიერესი იმ აღმოსავლეთის ქვეყნებთა შორის, რომელთაც შერჩათ ქრისტიანე მეფენი. იგი იყო წინაზღუდე ქრისტიანობისა წინააღმდეგ უშველებელ გროვისა, რომელიც დაეშვა ზემო აზიიდამ. საქართველოს ტახტი ეპყრა რუსუდანს და მხედრობის მთავარ-სარდლად იყო ივანე. რა გადმოცვივდნენ მონგოლები ყველაზედ უწინარეს რუსუდანმა დაჰკრა საყვირი და აცნობა ქრისტიანობას წარმომდგარი განსაცდელი. მან მიუგზავნა პაპს ჰონორიას III დესპანი რათა მიექცევინებინა მისი ყურადღება იმ უბედურობაზედ, რომელიც დიდი ხნია თავს დასდგომოდა ჩრდილოეთის ქვეყნებს და

რომელიც უსათუოდ ერთხელც არი გადაწყდებოდა თვით კათოლიკობასაც. წიგნი რუსუდანისა პაპთან შეგვრჩა ჩვენ *). რუსუდანი იწერება იმაში, რომ თუ დაპირებისამებრ ვერ დავეხმარეთ სარაცინების წინააღმდეგ — ეს იმიტომ მოხდაო, რომ ჩემი ჯარი მთლად მე თვითონ მიჭირდაო ბარბაროსების წინააღმდეგ. მონღოლებმა ეშმაკობა იხმარესო და მით მაატყუეს ქართველებიო: მათ წინ გამოიძღოლესო ღვდლები, რომელნიც წინა ქვეყნიდამ ჰყვანდათ წამოყვანილნიო და დროშათ ჯვარი დაიჭირესო, ვითომ და ქრისტიანები ვართო. ქართველებიც მოტყუვდნენო და ამიტომ ჩვენ ექვსი ათასი კაცი დაგვეღუპაო. „მაგრამაო, ამბობს შემდეგ რუსუდანი, რა კი დავინახეთ, რომ ისინი მართლა ქრისტიანენი არ არიან, წინააღუდგექით, მოუკალით ოცი ათასი კაცი, მრავალი ტყვეთ წავიყვანეთ და დანარჩენი განვდევნეთ.“ გარდა ამისა რუსუდანი ამბობს, რომ შევიტყეთ ვითომ იმპერატორი სირიაში აპირებს წასვლასაო სარაცინებთან საომრათაო; დიდად მოხარული ვართ და ჩვენც დავეხმარებით ქრისტიანე მხედრობასაო, გამოვგზავნი ივანესაო და მრავალ წარჩინებულ პირთ რომელნიც მხოლოდ ბძანებას ელიანო რათა წავიდნენ წმინდა საფლავის დასაცველადაო. ეს წიგნი რუსუდანმა გაუგზავნა პაპს ანის ეპისკოპოსის დავითის ხელით, რომელმაც გადასცა აგრეთვე ივანეს წიგნიც. ივანეც თითქმის იმასვე სწერდა, რასაც რუსუდანი, სთხოვდა პაპის კურთხევას და მის ლოცვის შემწეობასა. პაპმა პასუხი მისწერა რუსუდანსა და ივანეს რათა გული გაემაგრებინა მათთვის და ეცნობებინა იმპერატორის ფრიდრიხის განზრახვა შესახებ მომავალის ომიანობისა. პაპი სთხოვდა ჩემი წიგნი საჯაროდ წაიკითხეთო, რათა წახალისდნენო ხალხნი საღმრთო ომისათვისაო.“

თათრები დიდხანს არ დარჩენილან საქართველოში. რადგანაც რუსუდანმა გამოაცხადა, რომ თათრებზედ გავიმარჯვეთო, ამიტომ მცირე ყურადღებას მიაქციეს თათრების შემოსვლას. ჩინგისხანის სიკ-

*) Odor. Raynaldi Annales eccl., ann 1224, p. 535.

ვლილმაც შესცვალა საქმის მიმართულება და რამდენსამე ხანს მოასვენა ქრისტიანენი. მაგრამ როდესაც ჩინგისხანის მემკვიდრემ, ოგოტაიმ, დაიპყრა ვრცელი ნაწილი ჩინეთისა ლურჯ მდინარემდე, მან აღჭურვა მილიონ ნახევარი კაცი რათა ემოქმედნათ ერთსა და იმავე დროს აზიის ორსავე კიდურზედ: კორეაში და კასპიის ზღვის იქითა მხარეს. ამ გვარად გარემე მშვიდობიანობა, რომელიც სუფევდა აღმოსავლეთის შუაგულში, დიდ შიშს მოასწავებდა ევროპისთვის. ბათო, შვილი ჯუჩისა, დანიშნულ იქმნა მხედრობის ამ მეორე ნაწილის მთავარ-სარდლად; მას ახლდნენ აგრეთვე სხვა ღენერლები და ჩინგისხანის გვარის კაცნი. შემდეგ კუმანებისა და ბულგარების დამორჩილებისა ჯარი შევიდა რუსეთს, სადაც აიღო მოსკოვი და უმთავრესი ქალაქები ეხლანდელ ვლადიმირისა, იეროსლავის გუბერნიებისა. რუსეთის დიდნი მთავარნი შეიქმნენ ხარკის მოხარკენი.

„ამავე დროს მეორე ჯარი მონგოლებისა წარემართა სომხეთისა და საქართველოსაკენ, ჩარმაღანისა და ჩვიდმეტი სხვა ღენერლების წინამძღოლობით. ჩინგისხანის მიერ დადგენილ კანონების ძალით ამ ღენერლებს ბრძანება ჰქონდათ, რომ კარგად უნდა მოეპყრნენ იმ მთავრებსა და ხალხებს, რომელნიც დაემორჩილებოდნენ და ხარკს მისცემდნენ; სხვები კი აწყვეტილ უნდა ყოფილიყვნენ: ქალაქების მცხოვრებნი,—დიდი, პატარა, ქალი, კაცი—სულ გაწყვეტილ იქმნენ; ჯარისკაცებიც კი არ გადურჩნენ მონგოლებს. პირველ ხანებში არავითარი მოლაპარაკება და შუამდგომლობა მონგოლებთან შესაძლებელი არ იყო; ან სრულიადი მორჩილობა ან სიკვდილი,—მეტი გზა არა იყო. რა შიშს მოასწავებდა წინააღმდეგობა,—ამას ცხადათ ამტკიცებდნენ უშველებელი გროვა ადამიანის ძვლებისა ქალაქების ნანგრევებზედ.

„ამ გვარად 1235 და 1236 წ. მონგოლებმა გადასწვეს და აიკლეს მრავალი ქალაქი ალბანიაში, საქართველოში და დიდ სომხეთში. რამდენიმე სომხის მთავარნი, წინააღმდეგობის შეუძლებლობის გამო, დაემორჩილნენ თათრებს და შევიდნენ მათის მხედრობაში, ზოგჯერ მი-

დიოდნენ მონგოლების სატახტო ქალაქს და შესჩიოდნენ თვით ხანს მის ღენერლების უსამართლობას და უპატიურობას. ზოგს, მართლაც დაუბრუნდათ მათი სახელმწიფონი.

„დიდ-სულოვანი და თავ-მომწონე დედოფალი საქართველოისა არ აჰყვა სხვებს. თათრების წინაშე დამორჩილების მაგიერ რუსუდანი იწერებოდა წიგნებს დასავლეთში და სთხოვდა დახმარებას. ერთი ამ წიგნთაგანი შეგვრჩა ჩვენ, იგი მიწერილია პაპა გრიგორი მეცხრესადმი; რუსუდანი სთხოვს პაპს ჯარსა მონგოლების განდევნისათვის. რათა უფრო წაახალისოს პაპი ამ შემწეობისათვის რუსუდანი ჰპირდება — მეც და ჩემი ქვეყანაც რომის ეკლესიას (ე. ი. კათოლიკის სარწმუნოებას) მივიღებთო. პაპმა უპასუხა, რომ ძალიან ვწუხვარო საქართველოის გაჭირების გამო, მაგრამ არავითარი დახმარება არ შემიძლიანო, რადგანაც იმპერატორმა ფრიდრიხმა II დიდი გაჭირება მიაყენა ეკლესიასაო, რომელსაც ყოველი მხრიდამ განსაცდელშიაო. სირიაში სარაცინებისაგან, ისპანიაში მავრებისაგან, იტალიაში და გერმანიაში ცრუ ქრისტიანელთაგან ე. ი. იმპერატორის მომხრეთაგანაო. პაპი აქებს რუსუდანის განზრახვას კათოლიკის სარწმუნოების შესახებ და ხელის მომართვისათვის ამ საქმეში ჰპირდება დომინიკანელ ბერებს გამოგზავნიო. რუსუდანის ჯარი ერჩივნა, და ბოლოს ცხადათაც აღმოჩნდა, რომ ეს დედოფალი ვერაფრად აფასებდა ეკლესიის სულიერ შემწეობას, რადგანაც ქრისტეს სარწმუნოებისაგან ხელი აიღო და მიიღო მაჰმადიანობა *)

*) Aboulfavage Chron. Syr., p. 51. ეს ამბავი სრულიად ეწინააღმდეგება ყოველს მას, რაც აქამომდე ვიცით რუსუდანზედ. რუსუდანს, ჩვენის ქართლისცხოვრების სიტყვით, მაჰმადიანობა არ მიუღია.

III

## წიგნი სულხან ორბელიანისაგან მიწერილი ბესარიონ გაბაონთან *).

ჭორვილი დაწყება განა შეყვანილება მხოლოდ.

სარწმუნოო და ყოვლისა კეთილობითა აღკაზმულო, სანთელო სულისა ჩემისაო, დამატკბობელო მეგობარო!

ჰსწყურის სულსა ჩემსა, ვითარცა მარილის მჭამელსა ვინაობასა საყვარლისა ძმისა, და უფროს ძმა'ა სარწმუნოისა მის მეგობრისა, რომელიცა სასიქადულოდ ჩემდა არს აღკაზმული კეთილ მხედრად მსგავსად მხედართა მათ ქრისტესთა; სარწმუნოო სულისა ჩემისაო! ჵე მეგობარო შემთხვევით ტკბილად მოუბარო და სახით მშვიდო, სიბრძნით სრულო ბუნებითისა მეცნიერებითა, გონება კეთილოვანო, ხოლო კეთილ სტრატიოტად აღკაზმულებითის ქებითა აღმატებულო, უშვენიერესად წარჩინებულო; მარად შენის სიყვარულის მონატრე, ღვთის მიერ მთხოველი გკადრებ შენსა მრავლად უვნებლად ბრძანებასა, და შენისა კეთილ ცხოვრებისათვის გარდავკვეკნ წინაშე შენსა გულითადსა სიხარულსა: ჵჰ თვალთა ჩემთა ნათელო და გონებისა ჩემისა ბრწყინვალედ განმანათლებელო! შენი უმრწემესი მონა:

სულხან ორბელიანი.

## მიწერილი ბესარიონისაგან პასუხად სულხანთან.

ესეც მხოლოდ შეყვანილება, და არავითარი თხოვა ანუ საგანსა ვითარსამე ზედ მიწერილი.

ბრწყინვალეო თავადო,

და სულისა ჩემისა ნათელო მკრთოლვარე გოდოლო მეგობრობისაო!

ვითარ ვიწყო, ანუ რომელი დასაბამი ვჰყო ქებისა თხზულად უმრუმოისა ამის ნათლისა, რამეთუ ჰსჯა ბრჯგუმლების, და ენა მოუ-

*) თუმცა ამ წიგნებში დიდი სახარბიელო არა არის რა, მაგრამ გვამცნევს როგორი კმევა ჰსცოდნიათ ერთმანეთისა უწინდელ დროშიაც.

მძღურდეჳის, არამედ გონება მიკანდანტებული, მოწვლილ სიბრძნისა გამორიყრაყდების მისის შარავანდედის ბრწყინვისაგან, მუნიდგან ეგსა-ხედველ გამოჭკრთების მშტვენი კმა იადონისა, მე მისის სმენით და ნასიბრძნის ქარტის ხილვით გონება მესამყაროჳსის, და ესრეთ: ნო-ტიოს ღრუბლითგამო ცუარი სიხარულისა გადმოიმცუარევის შინაგა-ნობასა ზედა ჩემსა, ორნატი სულისა ალმიორძინდების და ამის დამკად ადუმარიამ ალამსა, და მის ხუვილის ნეშტსა ვიპყრობ ვითა კალამსა, და მცირეს ქარტით უპასუხებ სალამსა; გარნა სირცხვილადცა მიჩნს, რამეთუ ამისს ყოფად არა ძალმიძს კმად; ვინაიდგან დისკო მზისა გამკრთოლვებს ოქროვანთა სხივთა და ვითარ უძლებს დაყღლილი თუალი განცდასა მისსა; ჰე კეთილ არს ფრიად, თუმცა მცირედ მაინც განიცადოსმცა მან იგი მზე-მოიეფე შარავანდედი ყოვლისა კეთილო-ბისა; ხოლო შენ კეთილობაო, სამოთხისა მორჩო, ყვავილ გარდა-ფენილო: იადონებრ კმა მწვლილ მსტვენო, და ტკბილ ჴმოვნებით ყურთა მიმტაცო, რიტორ უებრო, სუნნელ ნარდისაო დამატკბობე-ლო; თვით ზენა სუეევისაცა სიტურფეო, და პირველიდგანვე ყოვლად კეთილობისა ხატებაო, მცირედ ოდენ ძალ მექონ არიან, თუალნი ჩემნი გამტერებულნი განცდა უფსკრულ-ნათლოვანისა სხივისა შენისა.

„მე ბესიკი შენი მონა
„ვარ შენ შორის მდოგვის წონა."

გარნა მეგობრობის მტრფობი
ბესარიონ გაბაონი.

# თვალის ერთი გადავლება სამცხე-კლარჯეთის ისტორიაზე

(შედგენილი ნაცნობთა ქობულეთლების თხოვნით)

ეძღვნის გულოადა კაკაციშვილს და ყურშუმადა ჭყონიას.

„ძიავ, მწიგნობარი კაცები რომ მოდიხართ ჩვენსა გაღმიდამ (საქართველოდამ ჩვენს სოფელს უძახიან). გვეუბნებით, თქვენ ჩვენთან ერთი სისხლ-ხორცის მქონი ძმები ხართო, თქვენ უწინ ქრისტიანები იყავითო და ქართველობის უკეთესი ნაწილიო. კაი მოგცეს ღმერთმა. კი უწინდელი ცხოვრების ხსენება ჩვენ ჩინებულად გვახალისებს მარა, რაცხა უბედობით ცოტას მეტი ყველაფერი დავიწყებული გვაქვს იგინი. თქვენ რო სწავლული ქართველები ხართ და წიგნებს, გაზეთს და ჟურნალს ბეჭდავთ ერთი ჩვენი უწინდელი ცხოვრების ამბავი დაგვიბეჭდეთ და ღმერთიც დაგიმადლებსთ და კაციც.“ — ეს მითხრეს ქობულეთლებმა ეს წერილი, მათი ამ სურვილის აღსასრულებლად დაწერილი.

როდესაც საქართველო იყო დამოუკიდებელი, კეთილ განწყობილ სამეფოდ და სხვა სამეფოთა შორის ეჭირა საპატიო ადგილი, მაშინ ზემო-ქართლი ანუ სამცხე კლარჯეთი, რომლის ერთს ნაწილს შეადგენდა ეხლანდელი ბათუმის ოლქი, იყო უკეთესი თემი საქართველოსი. იქითგან იფინებოდა განათლება მთელს იმერ-ამერეთში; იქაურნი იყვნენ მრავალნი მეცნიერნი, გამოჩენილი მწერლები, სამღვთო მამები, სარდლები და ბაგრატიონთა გვარი, რომელთა მეფობის დროს და მეოხებით საქართველომ მიაწია თავის სახელის უდიდეს და უბრ-

წყანვალეს ყოფამდე. როცა საქართველო სამთავროებად დაიყო, კლარჯეთი და დასავლეთის მთელი საქართველო დარჩა ჯერ ბიზანტიის და მერმე ოსმალეთის ზედ გავლენის ქვეშ, და ქვემო ქართლი კი სპარსეთის. ამ უკუღმართ დროს თითქმის მარტო კლარჯეთის შერჩა ბურთი და მოედანი საგვარ-ტომო ერთობის ასპარეზზე მოქმედებისა. იგი შესამჩნევი ერთსულობით და ნამდვილ ქართულით გაბედულობით და მხნეობით მისდევდა და ასრულებდა იმ გვარ პოლიტიკას, რომლის დროშაზედ აწერია „მიზანი საშუალებას ამართლებსო“. იგი ბიზანტიას და სპარსეთსაც მომღიმარს პირს აჩვენებდა და არწმუნებდა, რომ სულითაც და გულითაც იმათკენ არის, ოღონდაო, სპარსელებს ეუბნებოდა იგი, ბერძნებს გადაგვარჩინეთო და ჩვენ ხომ თქვენი ვართ და ვართო. ამით მოტყუებული სპარსნი თავს აკლავდნენ ბერძნებს, რომელნიც ამ რიგადვე დარწმუნებულნი იყვნენ კლარჯეთის მათდამა ერთგულებაში და თავ-გამოდებით ებრძოდნენ სპარსელებს. კლარჯელები ჰხედვიდნენ, რომ ამ რიგი ყოფა-ქცევით ლელო მათი იქნებოდა და განსაცვიფრებელის ხერხით აგრძელებდნენ ამ რიგ მდგომარეობას. ბოლოს ბიზანტიამაც და სპარსეთმაც მოინდომა და ორივ ცდილობდნენ უსათუოდ საკუთრივ დაჰპატრონებოდნენ დასავლეთ სამხრეთ საქართველოს ანუ „ლაზიკას“, და რადგანაც ერთი მეორეს ნებით არ უთმობდნენ და თვით ლაზიკის მცხოვრებნი, უმეტესად კლარჯელები აქეზებდნენ მათ ერთმანეთზე საბრძოლველად ზემო ნახსენებ ხერხით, იმათ შორის ატყდა შესამჩნევი, საშინელი და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელსაც ისტორია უწოდებს „ბრძოლას ლაზიკისა გამო“. ამ ბრძოლის შედეგი გახლდათ ორივე მებრძოლე მხარის დაუძლურება. თუმც ბიზანტიამ სძლია სპარსეთს და მის ზედმოქმედების ქვეშ დარჩა კლარჯეთი, მაგრამ ეს ზედმოქმედება იყო მარტო სახელი და სახრავი კი თვით მცხოვრებლებს შერჩათ. ამ მტრების დასუსტებით ისარგებლეს კლარჯელებმა და ეცადნენ შეერთებულიყვნენ დანარჩენ საქართველოსთან; მაგრამ ბიზანტიას იმდენი ძალი კიდევ შერჩენოდა რომ შესძლო მათი შეფერხება ამ საქმეში და აიძულა იგინი ჯერ

ხანად დაკმაყოფილებულიყვნენ იმითი, რომ მისცა მათ უფლება თუთ-ლიონ ქართველნი კათოლიკოზნი, რომელთაც აქვთეს უფლებობა ყოველ ეკკლესიათა და მღვდელ მთავართა ზედა" (586 წ. ქრ. აქეთ). მეშვიდე საუკუნის დამლევს კლარჯელები მაინც შეუერთდნენ დანარჩენ საქართველოს, და ახლა თვით ბიზანტია ხელს უწყობდა ამ შეერთე-ბას. კლარჯეთ-ჯავახეთის მთავარი გურამ ბაგრატიონი შეიქმნა საქარ-თველოს მეფედ; ამ გვარად კლარჯელებმა დანარჩენ ქართველებს ერთო-ბის აღდგინების გარდა, მოუვანიჭეს ბაგრატიონთა გვარი, რომელ-თაგან გურამი პირველი მეფე იყო. საუბედუროდ ეს ერთობა ოც-და-ათიოდე წლის შემდეგ ისევ დაირღვა (626 წ.) ამით ისარგებლეს არაბებმა და 697 წ. შემოესივნენ საქართველოს და ცდილობდნენ აქ გაევრცელებინათ მაჰმადიანობა არაბულის წიგნებით და მოლლების ქა-დაგებით. მაშინ კლარჯელების მოწინავე საზოგადოებამ, ანუ უკეთ ვსთქვათ სამღვდელოებამ, რომელიც საბერძნეთში იღებდა განათლე-ბას, გზა გადუჭრა იმათ მუსაფირის ხარაჯით. იგინი მოუშტებულის მხნეობით შეუდგნენ მონასტრებ-სასწავლებელთა და ეკკლესიების გან-მრავლებას, სამღვთო და საერო მაღალი ზნეობრიანი და სამეცნიერო წიგნების თარგმნას და გავრცელებას, ქრისტეს რჯულის განმტკიცები-სათვის და კიდევაც აისრულეს საწადელი... ბოლოს, კლარჯეთის მთა-ვარმა დავითმა, რომელიც საბერძნეთის ვითომც განვლენის ქვეშ იმყო-ფებოდა და ამისთვის ჰქონდა საბერძნეთში უპატივცემულესი წოდება კურატ-პალატისა (სეფეთ-უხუცესი), იშვილა მამის ძმის წული, დანარ-ჩენ საქართველოს მეფე ბაგრატ III და ამ რიგად დავითის სიკვდი-ლის შემდეგ, ისევე კლარჯელების წყალობით საქართველო ხელ-ახლავ შეერთდა. რა შედეგი მოჰყვა ამ კლარჯელებისგან შეერთებას, მისი აღწერა ძნელია, მხოლოდ ვიტყვი, ამ შეერთების შემდეგ საქართვე-ლო კვლავ დაადგა იმ გზას, რომელსაც ძას უკვალავდა ვახტანგ მგელ-ლომი (გურგ-ასლანი) (446—499 ქრ. აქეთ), რომელიც მდგომა-რეობდა ერთობის და სპოლიტიკო დიდების დადგენაში სწავლა-მეცნიერების გავრცელების ხელის ხელი, და როგორ საუცხოვოდ ასრუ-

და მან ეს მიზანი, ჩვენ გვაჩვენებს ის თვალით საჩინო შემთხვევა რომ 1204 წელს თამარ მეფის დროს საქართველო ისე ძლიერი იყო, რომ დააფუძნა ტრაპიზონის იმპერია. და ეს ძლიერება და ერთობა მან შეიძინა კლარჯეთის მცხოვრებელთ შესამჩნევის ღვაწლითა და ხანგრძლივის სისხლის სთხევითა.

1225 წ. საქართველოს ერთობა ხელ-ახლავ დაირღვა. დაწესდნენ ცალკე სამეფო და სამთავროები. კლარჯეთის მთავრებად იყვნენ ჯაყელნი, რომელნიც სხვა მთავრებზე უფრო პატივცემულნიც და ძლიერნიც იყვნენ. 1462 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონის იმპერია, რომელსაც არღარა ჰყავდა მფე-პატრონად ერთიანი, ძლიერი საქართველო, და მერმე მიაწყდნენ კლარჯელებსაც დასამონავებლად. თუმც ბრძოლა უთანასწორო იყო — აბა სად ერთიანი, ძლიერი იმპერია და სად საქართველოს ერთი ნაწყვეტი სამთავრო, — მაგრამ კლარჯელებმა მტერთ სიმრავლეს წინ დაუხვედრეს გმირობა ერთ-სულოვანი გართხმული მამულის მოყვარეობით და ზეწარწერილ დრომდისა: „ჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“ და ამ თვისებების წყალობით ას-რვა წლის განმავლობაში კლარჯელნი ყოველთვის ძლევით მოსილნი იყვნენ ოსმალებთან ომებში, რომელთაც კლარჯელების და თუ შეიძლება მთელი საქართველოისაც დამონავება ამისგამო იყო ამაო აშაოთა... ასე ამ რიგად კლარჯელები განაწილების შემდეგაც დიდად-ღირსეულად ეწეოდნენ დანარჩენ ქართველებს იმით, რომ გულ-და-გულ აკავებდნენ მძვინვარე ოსმალებს, რომელნიც უკლარჯელებოდ იმათ მიაწყდებოდნენ.

მაგრამ როგორც პოეტმა სთქვა, —

ერთს რომ ასი გცემდეს
კლდეც რო იყო გაგტეხს მტერი,

და კლარჯელებმაც ბოლოს და ბოლოს დაიწყეს შეკვეხება, მათ თან და თან უფრო და უფრო უძნელდებოდათ ოსმალებთან ბრძოლა...

საჭირო იყო მშველელი... მაგრამ ვის უნდა ეშველა? დანარჩენ საქართველოის, იმ დროს ნაკუწ-ნაკუწად დაყოფილის სამთავროების მდგომარეობა კლარჯეთის სამთავროზე უკეთესი არ იყო, მაშასადამე ამ მხრით კლარჯელებს არა ეშველებოდა. მაშინ ქაიხოსრო ათაბაგი დაადგა იმ გზას, რომელსაც უკვე ადგნენ მისი წინაპარნი, როდესაც იგინი ილვწოდნენ ქართველთ ერთობისათვის და წავიდა სპარსეთის შაჰთან ოსმალების წინააღმდეგ შველის სათხოვნელად. ყეენმა დააიმედა, მაგრამ სანამ ქაიხოსროს თხოვნა აუსრულდებოდა გარდაიცვალა (სპარსეთშივე, ქ. ყაზბინს 1573 წ.). მისი სიკვდილის შემდეგ გაათაბაგდა მისი შვილი ყვარყვარე, რომელსაც მარტო სახელი ჰქონდა ათაბაგობის და საქმეთა განმგედ იყვნენ დედა მისი დედის იმედი ჟამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი და ვარზა ოთარ შალიკაშვილი ცოლის ძმა შაჰთამაზ ყეენისა.

ამ დროს შაჰთამაზი ამხედრდა კახეთზე დასაცემად და განჯას რომ მივიდა, დედის-იმედს მისწერა კახელ ჩოლაყაშვილმან, რომ შაჰი შენ გიპირობს თავს-დაცემას შენის განმზრახის ვარზა-ოთარის განზრახვითაო. მან ეს დაიჯერა და მოაკვლევინა პირ-მართალი ოთარი. ეგ გაიგო ყეენმა, იმ წამსვე მიატოვა კახეთზე თავის დაცემის ასრულება, წარემართა კლარჯეთს და მოულოდნელად თავს დაეცა კლარჯელებს... ამ რიგად ოსმალებს გარდა სპარსეთმაც დაუწყო ომი... ორი იმპერია ერთს თემზე!!... ყეენმა მოაოხრა თითქმის ნახევარი კლარჯეთი და დაბრუნების წინ ეზრახა ხონთქარს და მიუტია მას დაუძლურებული თემი... ასე, ამ რიგად კახეთმა თავს უშველა იმით რომ მასზე განმძვინვარებული სპარსეთი მიუსია კლარჯელებს უმისოდაც შეწუხებულს უთანასწორო ომით ოსმალოს იმპერიასთან...

გულდაჯერებით შეგვიძლიათ ვსთქვათ, რომ ეს დღე იყო დღე უბედური და შავი, დასაწყისი კლარჯეთის დამხობისა... ამ დღიდგან ისე დაუძლურდა კლარჯეთი, რომ იძულებული იყო დამორჩილებოდა ხონთქარის სიუზერენობას, მართალია ჯერ მარტო სახელით,

მაგრამ თან და თან ძლიერების მომმატებელს, რომელიც ბოლოს დამმონავებელი შეიქმნა... 1578 წ. ლალა ფაშამ შესძლო ყვარყვარეს და მისი ძმის მანუჩარის სტამბოლს წაყვანა, მერმე დიდის მხედრობით დაეცა კლარჯეთს და თუმც ძვირად დაუჯდა, მაგრამ მაინც მოერიჭა, იქითგან ქართლს გადვიდა და აიღო ტფილისი (1503 წ. სვიმონ მეფემ ისევ დაიბრუნა ოსმალების ამოწყვეტის შემდეგ). ერთი წლის შემდეგ ხონთქარმა დააბრუნა კლარჯეთში მანუჩარ და შემდეგ წელში თვით ყვარყვარე, რომელსაც ათაბაგობაც მისცა. მეორე წელს სინან-ფაშამ გაილაშქრა ტფილისისკენ და გზაში წაიტანა ყვარყვარე ათაბაგი და მანუჩარი. პირველი თრიალეთიდგან იმერეთს გაჰგზავნა და მიანდო იმერლებს და ქართლელებს შორის განხეთქილება ჩამოეგდო, რომელიც ასე სასურველი იყო ქართველების მტარვალებისთვის... ამ გვარად იმ კლარჯელებს, რომელნიც წინად დროებში ასე თავ-გამეტებულად იღვწოდნენ ქართველთ ერთობისთვის და კეთილ-დღეობისთვის და რომლების ღვაწლმა ხალხოსნობის ქვაკუთხედის გამაგრების შემდეგ მოიტანა ღირსეული, სახელოვანი ნაყოფი,—იმ კლარჯელებს დღეს, ოსმალები ჰფიქრობდნენ, რომ ამოქმედებდნენ თავიანთ მოძმეების წინააღმდეგ, რადგანაც ის არ სცოდნიათ რომ კლარჯელები, როგორც დაჭრილი ვეფხვი ანუ ლომი, ყოველის გულის წადილით ელოდნენ იმ წამს, როცა მათ შეეძლებოდათ მტრისთვის სამაგიეროს გადახდა, იმდენად უფრო მწარედ, რამდენადაც მძიმე იყო მათგან მიღებული წყლული... ამიტომაც, როდესაც სვიმეონ მეფემ დაამარცხა და იფრინა ზემოხსენებული სინან-ფაშა, ყვარყვარეც და მანუჩარიც იმ წამსვე განუდგნენ ოსმალებს და ეზრახნენ მეფეს, და ზავის მეტის სიმტკიცისათვის მანუჩარმა შეირთო მეფის ქალიშვილი ელენე. (1582) ამისთვის ოსმალებმა იმავე წელს მოუნდომეს მანუჩარს მოკვლა აწყვერს, მაგრამ მანუჩარმა სახელოვნად დაამარცხა იგინი (ექვსი ფაშის დაჭერის გარდა დარჩა მდიდარი ალაფი), და ამ რიგად ერთი წელიწადში კიდევ შემუსრა თავის ხალხოსნობის მტერს. მაგრამ ხანგრძლივი არ ყოფი-

ლა მისი სიხარული: მას გამოუჩნდნენ შინაურნი მტერნი, ეგ ნაღვე-
ლის ზოლი საქართველოს შვილების ანგარა სახელოვან ისტორიაში,
და მანუჩარი იძულებული იყო ჯერ ახალ-დაბას გადახიზნული იყო და
შემდგომ თუმც სვიმეონ მეფის შეწევნით მოსრნა თავის მოღალატენი,
მაგრამ თავის მთავრობის სიმტკიცისათვის საჭიროდ დაინახა ოსმა-
ლებსაც დაზავებოდა და ამ რიგად მიიღო ხონთქრისაგან ათაბაგობა...
ამ რიგის ქცევის დამღუპველმა შედეგმა მალე გამოიჩინა თავი: ოსმა-
ლებმა დაიწყეს პატრონობა და მაღალობა; კლარჯელები ჭირვეულებდნენ...
საჭირო იყო ერთი მოხერხებული დრო, რომ იგინი განძვინვარებით
დასცემოდნენ მათ თავზე, მაგრამ ამისთანა დრო აღარ დამდგარა;
კლარჯელები კი ელოდნენ მას და ყოველ შემთხვევით სარგებლობდნენ
და ცდილობდნენ თავიანთი გაეტანათ. როცა შაჰ-აბაზ მიადგა ერევანს
ასაღებად, მანუჩარ მიიქცა მისდამი თხოვნით ოსმალების წინააღმდეგად
დახმარებისთვის, გაუგზავნა მძევლად საკუთარი შვილი მანუჩარი და
ხერთვისში და ზოგიერთ სხვა ციხეებშიაც შეაყენებინა სპარსული მე-
ციხოვნენი. ამით გათავდა შაჰ-აბაზის დახმარება. სიწამხდრის დასა-
გვირგვინებლად და დაყოფილის საქართველოის საუბედუროდ, მისს
სხვა და სხვა სამთავროთა შორის ასტყდნენ ურთიერთობრივი ჩხუ-
ბები და თავს დასხმა. მისდა სასახელოდ კლარჯეთს, ამ ჩვენის დიდე-
ბის, ძლიერების და მეცნიერების აკვანს ამ სამშობლოს დამღუპველ
ომებში არ მიუღია მონაწილეობა. როგორც ვხედავთ იგი სამშობლოს
დაყოფის შემდეგ მუდამ მტრებს ებრძოდა თავის დამოუკიდებლობის
დასაცველად, და თუ მშვიდობის დღე ეღირსებოდა მაშინ მისი ცდა
შინაურულ სამთავროს წყობილების, განათლების, კეთილ დღეობის
წარმატებისათვის და საზოგადო ქართველთ სამშობლოის მდგომარე-
ობის გაუმჯობესობისთვის იხმარებოდა. საუბედუროდ ასე არ იქცე-
ოდნენ სხვა სამთავროები. იმათი სიბრმავე იქამდე იყო მიღწეული
რომ, როცა კი დროს იხელთებდნენ ერთი მეორეს ართმევდნენ მაზ-
რებს და ამისთვის ძმა ძმას აკვდებოდა, მამა შვილს, სიძე ცოლის
ძმას!! ამ რიგად მოიქცა გურიაც კლარჯეთის შესახებ. დახმარებისა და

საქართველოის ერთობას ზრუნვის მაგიერ, გურიის მთავარმა მამიამ 1609 წ. წაართვა აჭარა კლარჯეთს, და ამ რიგად მანუჩარს ზურგიც საზრუნველად გაუხდა. მას უნდოდა აჭარის ხელახლავ დაპყრობა, მაგრამ ვერ დასცალდა: იგი გარდაიცვალა 1614 წ. მის მაგიერ გამთავრდა მისი შვილი მანუჩარი მანუჩარისძე. ამის დროს თან და თან იმატეს კლარჯეთში ქრისტეს რჯულის დამტოვებლებმა, რომელნიც ოსმალებისაგან გაკადნიერდნენ და ეურჩებოდნენ მანუჩარს. მანუჩარი მათ ცუდად ეპყრობოდა. იმათ უჩივლეს მას აზრუმის ფაშასთან, აზრუმის ფაშამ ხვანთქარს მოახსენა და მიიღო მოწერილობა წარედგინა მანუჩარი სტამბოლს. 1624 წ. აზრუმის ფაშა ამხედრდა კლარჯეთზე მანუჩარის წასაგვრელად, ხოლო უკანასკნელმა ვერ შესძლო მისს წინ დახვედრა და გადეხიზნა ახალდაბას, საიდამაც 300 მხედრით მიეშველა ქართლის მეფეს მარაბდის ომში. ამ ომის შემდეგ იგი დაბრუნდა კლარჯეთში და ისევ დაუზავდა ოსმალებს. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი წავიდა სტამბოლს თავის გავლენის გასაძლიერებლად. ხვანთქარმა პატივისცემით მიიღო იგი „მოსცა ქრისტიანობისა ნებაცემით ათაბაგობა და წარმოავლინა". დაბრუნებულს გზაზედ დახვდა ბიძა მისი ბექა, რომელმაც მიიპატიჟა იგი, საჭმელში შეაპარა საწამლავი და მით მოჰკლა. მანუჩარის სიკვდილის შემდეგ გაათაბაგდა მისი მკვლელი ბექა, რომელმაც ათაბაგობის მისაღებად მივიდა ხონთქართან, გამაჰმადიანდა და იწოდა საფარ-ფაშად (1625 წ.) ეს ბექა, ანუ საფარ-ფაშა იყო როგორც რჯულის უარ მყოფელი, ისე მოღალატე და გამცემი თავის ხალხოსნობისა. მისი ჩადენილი საქმეები თუ არ ჭარბობდნენ, არ უვარდებოდნენ მაინც ზურაბ წერეთლის მოღალატეობას, გამცემობას და დამაშაკობას იმერეთში. მან გაავრცელა მაჰმადიანობა კლარჯეთში და ყოველ სულზე დასდვა უწყებელი გადასახადი ხვანთქრის ხაზინის სასარგებლოდ...

ამ რიგად ჩაუვარდა ხელში ოსმალეთს საქართველოის უკეთესი ნაწილი, კლარჯეთი. თუმცა, როდესაც ქართლში გამეფდა თეიმურაზ I,

იგი ცდილობდა კლარჯეთის შემოერთებას, მაგრამ ათასმა გამამართლებელმა მიზეზებმა ხელი შეუშალა მას და ამ რიგად ხანგრძლივი დროით შერჩა ოსმალეთს საათაბაგო.

ი. ივერიაძე.

2 ივნისი 1879 წ.

# შინაური მიმოხილვა.

ჩვენებური კლასიკური გიმნაზია და ქართველები—რატომ არა ვსწავლობთ—რა წამალი უნდა დავსდოთ—წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება—ჩვენებური სოფლის შკოლები—რა ხარჯს იხდის გლეხობა შკოლებისათვის—სად რამდენი შკოლაა—რამდენი მოსწავლეა—ასზედ რამდენი გლეხი სწავლობს—რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი საზოგადოება განათლების საქმეში.

---

წელს გამოცხადებული იყო, რომ კლასიკურს გიმნაზიაში ოც-და ერთმა ყმაწვილმა კაცმა დაასრულა კურსი. ამ ოცდა ერთში, ჩვენდა სამწუხაროდ და უკეთ ვჰსთქვათ, საუბედუროდ, არც ერთი ქართველი არ ურევია. ბევრი რამ არის საოცარი ამ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ იმაზედ საოცარი, რომ შუაგულს საქართველოში წლიწადები გადის და ერთი ქართველი არ ასრულებს კურსა, ამაზედ საოცარი მეთქი არა მგონია სხვა რამ იყოს. რას უნდა მივაწეროთ ამისთანა უნუგეშო ამბავი? ჩვენი კეთილის მყოფელნი, რასაკვირველია, ადვილად მოგვიგებენ ამის პასუხს და იტყვიან,—თქვენს უნიჭობას თუ არა, ზარმაცობას ხომ წინ არა უდგა რა. ეს პასუხი მთქმელისათვის იქნება სანუკბარიც იყოს, მაგრამ მართალია თუ არა, მაგისი კი ნურას უკაცრავად. ჩვენა გვგონია რომ მაგისთანა პასუხი შეუწყნარებელია, თუ კაცი რიგიანად დააკვირდება ჩვენის განათლების საქმის შიგნეულობასა და გარემოებას ჩვენის ყოფისას და მდგომარეობისას. პირველი რომ ის წრე, რომლისათვისაც მისაწდომია იმ გვარი სასწავლებელი როგორც გიმნაზიაა, მეტად შორს არის გიმნაზიაზე, ისე მანძილით არა, როგორც შეუძლებლობითა. შვილის შენახვა ქალაქში ჩვენებურს თავადსა თუ

აზნაურს შვილს, გლეხს აღარ ვიტყვით, მეტად უძნელდება მერე ამისთანა სიძვირეში. ბევრს კი არა, ძალიან ცოტასა აქვს იმისთანა შეძლება, რომ შვილი პანსიონში მიჰსცეს, ან ვისმეს მიაბაროს. ერთსაც და მეორესაც დიდი ხარჯი მოსდევს და ამ ხარჯს ვერა ჰსწვდება შვილის განათლების მსურველი დედ-მამა. ამის გამო თითქმის მთელი ის თავად-აზნაურობა, რომელიც ქალაქს გარედ სოფლად ჰსცხოვრებს, სწავლის სახსარს მოკლებულია და თუ შეხვდებით ქართველს უმაწვილს გიმნაზიაში, ამ ქალაქში მცხოვრების შვილია, ან არა გარიანად შეძლებულისა. სხვა კი თითქმის აუარებელი რიცხვი უმაწვილებისა სწავლის გარედ რჩება. თუნდ ესეც არ იყოს, ჩვენს ქართველს უმაწვილს დიდი ხარიხი ჰხვდება სწავლის მიმდინარეობაში. ჯერ თვითონ პროგრამმა გიმნაზიისა ავიღოთ თავისის ლათინურით და ბერძნულით, რომელიც იმოდენა ხეირს აყრიან უმაწვილს, როგორც წყლის ნაყვა, ანუ ნაცრის ქექა. თუნდ ამ ორს მძიმე ტვირთს აუვიდეს კიდეც ჩვენი უმაწვილი, მაინც კიდევ ერთი სხვა მძიმე ტვირთი აწევს კისერზედ. ჩვენი ქართველი უმაწვილი ორ გვარს სიძნელეს შეეხლება ხოლმე გიმნაზიაში. ერთი, საგნის, მეცნიერების სწავლა, რომელიც ერთ ნაირად მძიმე რამ არის ყველასათვის და აუცილებელიც და მეორე — იმ უცხო ენის შეთვისება, რომლის საშუალობითაც საგნებს ასწავლიან. ამაში კი ტვირთი სწავლისა ერთ ნაირად მძიმე არ არის რუსისა და ქართველთ შორის. რაღა საკვირველი უნდა იყოს ამას იქით, რომ რუსმა უფრო ადვილად გაიაროს სწავლის გზა, ვიდრე ქართველმა! რუსი მარტო საგნებსა სწავლობს და ქართველი კი საგნებსაც და რუსულ ენასაც, ურომლისოთაც ერთს ბიჯსაც წინ არ წაადგმევინებენ, თუნდა გუმბოლტის მეცნიერებით აღსავსე იყოს. მეტყვიან, ეგევე მიზეზი ხომ სომეხსაც უნდა აბრკოლებდესო, მაგრამ იმათში ორი სამი მაინც ასრულებს ყოველ წლივ კურსსაო. მართალია, ორი სამი ასრულებს, მაგრამ თვითონ ეს ორიოდობა ცხადი საბუთი არ არის იმისა, რომ ამ შემთხვევაში სომეხი და ქართველი ერთს ტაფაში იწვიან! რაც შეძლებული სომხობაა სულ ქალაქში მცხოვ-

რებელია, მაშასადამე გიმნაზია კარ წინა აქვთ. ამასთან შეძლებულნიც არიან, როგორც ვსთქვით. ამათგანმა რომ ორიოდემ შეასრულოს ხოლმე კურსი წელიწადში, არარაობათ უნდა ჩაითვლებოდეს. ათასში და ათი ათასში ერთი განა მაგალითად მოსატანია ამ შემთხვევაში? მინამ ჩვენი გიმნაზიაში შრომას და ჯაფას არ გაუთანასწორებენ ქართველს, სომეხსა და რუსს, იმ დრომდე ძნელად საფიქრებელია, რომ ქართველებმა და სომხებმა წააჯობონ რუსებს გიმნაზიაში. მინამ ის სანატრელი დრო მოვა, არც ჩვენ უნდა ვისხდეთ გულხელ დაკრეფილნი; კაცი ის არის, ვინც გაჭირებაში ცდილობს, რომ სიმძიმე გარემოებისა როგორმე შეიმსუბუქოს, ან აქედ მოუაროს საქმეს, ან იქით და როგორმე უშველოს თავსა. აბა, მაგალითად, ჩვენ როგორ უნდა ვუშველოთ ჩვენს თავს? პირველი რომ ჩვენი საკუთარი სასწავლებელნი უნდა ვიქონიოთ, მერე იმისთანა სასწავლებელი, რომ ჩვენს შვილებს ბინაც ჰქონდესთ, საზდოებაც და სწავლაც. უკელაზედ უპირველესი წამალი ეს არის და ამაზედ უნდა მიექცეს ყოველივე ჩვენი ყურადღება, შეცადინეობა და გამრჯელობა. სხვის მაყურებელი მოკვდა უზიარებელიო, ნათქვამია. ეს წუთისოფელი ისეა მოწყობილი, რომ ყველა თავისათვისა ჰფიქრობს და სხვაც, რასაკვირველია, თავისათვის უფრო იფიქრებს. „თავად აზნაურთა საზოგადოებამ შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ თავისი შკოლა გახსნა ტფილისში, და იქ ოც-და-ათს უმაწვილს ბინა, საზდოება და პირველ დაწყებითი სწავლა ეძლევა; ორმოც-და-ათამდე მოარული შეგირდებიცა ჰყავს. ქუთაისელებიც, ბანკის ფულის შემწეობით, აპირობენ ამ გვარის შკოლის გახსნას და ჯერ ხანად რვაასი თუმანი აქვსთ ამ საგანზედ. ტფილისის შკოლას კიდევ აქაურმა ბანკმა შესწირა ათას ასი თუმანი წელს და ხუთასამდე შარშან. ეს ყველა კარგია, მაგრამ ყველა ეგ ცოტაა. ეგ შკოლები წყლულს ვერ გაგვიმთელებენ; თუმცა ეგენიც დიდი საქმეა ჩვენთვის. ჩვენ ჩვენი საკუთარი გიმნაზია გვინდა. ჩვენმა ქართველობამ თავისი სრული თანაგრძნობა და გულ-შემატკივრობა ამაზედ უნდა მიაქციოს, თუ არ სურს რომ მისი სახელი და კვალი

მტკვრისავით აიკავოს დედა-მიწის ზურგიდამ. სადაც ცოდნა არ არის, იქ კაცი არ არის, სადაც კაცი არ არის, იქ საზოგადოებაც არ არის და სადაც საზოგადოება არ არის, იქ არც ხალხია. ეს უნდა ტვინზე დავიჭედოთ, ეს უნდა დღე და ღამ გუნებაში ვიქონიოთ, ამას უნდა მივეცნეთ ყველანი ერთად და თვითეულად ცალკე ყოვლის ჩვენის შეძლებითა და ღონითა. ამბობენ, გიმნაზიის შენახვას ორი-ათას-ხუთას თუმნიდამ სამი-ათასამდე მოუნდებაო წელიწადში. ეს იმოდენა ფული არ არის, რომ ჩვენს ორს ბანკს გაუჭირდეს ამისი გამოღება: ზოგი გარეშე შესაწირავი იქნება, ზოგი თვითონ გიმნაზიას ექნება შემოსავლად და ამ სახით საქმე საქმეზე ადვილად მოეწყობა. ქართველობავ, დამიჯერე, რომ ჯერ-ხანად ამაზედ უკეთესს საქმეს ვერ მოახმარებ შენს ქონებითს ძალასა. ამისათვის გაისარჯე თუ გინდა, რომ მამა-პაპათა ნათქვამისამებრ შვილი მამასა ჰსჯობდეს და მომავალი აწმყოს, დღევანდელის მომდურავებმა ხვალინდელი დღე მაინც კარგი გავითენოთ...

ჩვენი „წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის საზოგადოება" შეჰსდგა და გამგეობაც ამოირჩიეს. თავ-მჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ჩვენი პატივ-ცემული დიმ. ივან. ყიფიანი, მის ამხანაგად ილ. ჭავჭავაძე და წევრად: თ. რაფიელ ერისთავი, ივ. მაჩაბელი, იაკ. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, და ალ. სარაჯოვი. ამ საზოგადოებას ტფილისის ბანკმა შეჰსწირა წლის ათას ასი თუმანი და თვითონ საზოგადოებას იმედი აქვს რომ ერთი ხუთასიოდ თუმანი კიდევ სხვა ღონისძიებით შემოუვიდეს. ამ სახით პირველხანად ამ საზოგადოებას თუმცა საკმარი არა, მაგრამ მაინც კარგა ფული აქვს. ხოლო ამ ფულს დიდი გაფთხილება უნდა, თუ საზოგადოების ხანგრძლივად ცხოვრება სასურველია. ჩვენ ამას არ ვიტყოდით, რომ თვალ-წინ არ გვედგას ის აყალ-მაყალი, რაც წელს თავად-აზნაურობას შეუდგა მის გამო, რომ ბანკმა ათას ასი თუმანი შესწირა ამ საზოგადოებას: „რათაო და რისთვისაო, უკიროდნენ წინ დაუხედავად ზოგი სხვის წაქეზებით, ზოგი საკუთარის თაოსნობით: ოგ-

ნა ჩვენ კი შვილები არა გვყავსო, თუ ჭამდა საჭიროა, ჯერ ისინი გავზარდოთო, შენ რომ შვილი გიტიროდესო, გარედ ტაბლას რა უნდაო" და სხვანი და სხვანი. ჩვენი უბედურება ის ყოფილა, არის და ღმერთმა ნუ ქმნას, კიდევ იყოს, რომ ყველა ქართველი, გლეხია თუ თავადი, ძმათ და შვილად არ მიგვაჩნია. ზემოხსენებულ საზოგადოებას სახეში აქვს მთელი ქართველობა, თავად-აზნაურობა კი გამოსულა და იძახის, მეო, და არა სხვაო. ბატონებო, თუ ყველანი ერთად არ ვიქნებით, თქვენი „მე" თუნდა იყოს და თუნდა არა. თავს მაგისათვის მაღიან არავინ არ შეიტკივებს. თუნდ ეგ არ იყოს, ჩვენმა თავად-აზნაურობამ რატომ არ იცის, რომ თუ მის გარეშემო უმეცრების სიბნელე იქმნება, როგორც ეხლაა, ვერც თვითონ იხეირებს და ვერც სხვას ახეირებს. თვითეულს ზურგი მაგარი სხვისით აქვს და უნდა ჰქონდეს კიდეც. ამ კანონზედ აშენებული ყოველი ადამიანებრივი საზოგადოება. თავად-აზნაურთა საზოგადოება გლეხთან ერთად ჰსცხოვრებს; თუ რამ თავადსა და აზნაურს ეკონომიური, ანუ სხვა რამე ანგარიში აქვს, გლეხთანა აქვს; თუ რომ რისამე გაკეთება უნდა, გლეხის ხელით აკეთებს; თუ რისამე მოვლა უნდა, გლეხის მეოხებით უვლის. განა აქედამ ცხადი არ არის, რომ თვითონ თავად-აზნაურობისათვის დიდად სასარგებლოა საქმე იქონიოს მიხვედრილ, ზნეობით და ჭკუით განვითარებულ გლეხთან, ვიდრე უმეცართან, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ ესმის, არც თავისი და არც სხვისა და რომელიც უმეცრებისა გამო თვითონაც ტყუვდება და სხვასაც საქმეს უფუჭებს. ეს მუდამ ჩივილი რომ კაი კაცი ვერ გვიშოვია, რამე დავასაქმოთო, რამე ჩავაბაროთო, ან გაგვქურდავსო, ან სხვას გააქურდვინებსო, ან ორგულობით წაგვიხდენსო. რის ბრალია ეს, თუ არ იმისი, რომ უმეცარს კაცს, გლეხია თუ თავადი, სინიდისი გაღვიძებული არა აქვს, ზნეობით და გონებით ისე დაცემულია და ბრიყვი, რომ არ ესმის სიკეთე საზოგადო კავშირისა, არ ესმის, რომ თვითეულის ინტერესი საყოველთაო ინტერესზეა ზედ-მობმული, არ ესმის რომ პატიოსნება, კაი კაცობა უფრო მკვიდრი განძია ადამიანი-

სათვის, ვიდრე დროებითი ხეირი აწმყოობისა, რომელსაც რაც უნდა ვსთქვათ, არც დიდი მანძილი აქვს ხოლმე და არც რიგიანი, უშიშარი გამოყენება. განა უმეცრებისაგან არ არის, რომ კაცი კაცს ისე ექცევა, როგორც მტერი მტერსა, თორემ გონება გახსნილობა, რომ მოქმედებდეს ამ შემთხვევაში, ადამიანი მალე მიხვდებოდა, რომ ურთიერთის სიკეთისათვის მოღვაწეობას კაცი უფრო ბევრს გამორჩება, ვიდრე ერთმანეთის მტრობასა. მართალია, დღეს იქნება თუ ხვალე ჩვენი თავად-აზნაურობა ამ საგანზედ თვალს გაახელს და იგრძნობს აუცილებელ საჭიროებასა, რომ რიგიან მიხვედრილ, სინიდის გაღვიძებულ კაცთან საქმის დაჭერა ბევრად სასარგებლოა და ხალხის განათლებას, ესე იგი, მას, რაც ადამიანს რიგიანობას, მიხვედრილობას, სინიდისიანობას უნერგავს, ხელს შეუწყობს ისე, როგორც საკუთარს საქმეს. მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ ასტკივაო, ნათქვამია. მინამ თავად-აზნაურობა მაგ სიკეთემდე აღიმართება, ჰსჯობს საზოგადოებამ ზემოხსენებული შემოწირული ფული დიდის სიფრთხილით და გამოზოგვით მოახმაროს საქმეს; ვამბობთ დიდის სიფრთხილით მეთქი, იმიტომ-რომ საზოგადოებას დიდი ფართო მოედანი აქვს დანიშნულს და თუ მოინადინებს ყოველი საჭიროება ერთბამათ დააკმაყოფილოს, მაშინ ეგ ფული კი არა, ასი მაგოდენაც არა კმარა და საშიშია, რომ საზოგადოებას სათავნელი დააკლდება და პირველ ფეხის გადადგმაზედვე უძლურობით შეჩერდება. ამბობენ, თუ საზოგადოება კარგად იმოქმედებსო, ბევრი წყარო გამოუჩნდებაო. მართალია, მაგრამ მაგასაც დრო უნდა და ხანგრძლივი დროცა. ვიდრე ჩვენში ეს უბედური „მეობა“ მოტყდება და „ჩვენობა“ აყვავდება, ვიდრე შემძლებელი წრე ჩვენის საზოგადოებისა ჩვენის ქვეყნის საქმეს თავის საკუთარ საქმედ იცნობს, იმ დრომდე კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, იმ დრომდე ამ ახლად დაარსებულს საზოგადოებას ცხოვრება უნდა და საგზალი. დღეს რომ ამ საზოგადოებამ რაც ფული აქვს სულ შემოიხარჯოს, თუნდ მართლადა სახეიროდაც მოიხმაროს, ხვალ გროშიც აღარ ექნება რომ თვითონ სული მოიბრუ-

ნოს,—და ეს მართლადა გულ-შესატკივარი საქმე, ეს ყოვლად დიდი საქმე წაწყმდება ისე, როგორც სხვა კაი საქმენი წაწყმედილან ჩვენს უბედურს ქვეყანაში. თუმცა უკანასკნელმა საზოგადო კრებამ საზოგადოების გამგეობას ნება მისცა ხარჯის ფული რამდენსაც საქმისათვის საჭიროდ დაინახავს, დახარჯოს, მაგრამ გამგეობა ფულს მაინც კიდევ ხელს უჭერს და ჰფიქრობს, რომ უდიდესი ნაწილი ფულისა ხელ-უხლებელ ძირის ფულად დაიდოს და მისი სარგებელი და ყოველ-წლიური შემოსავალი წლის ხარჯად დაინიშნოს. ბევრის მდომი ცოტასაც დაჰკარგავსო, ნათქვამია და ეს საზოგადოება ჯერ-ხანად ბევრს არას ეჭიდება. ამას წინად დაუდგენია გამგეობას, რომ სახალხო შკოლების დირექტორებისაგან, მაზრის უფროსთაგან და სასოფლო შკოლის მასწავლებელთაგან ცნობები შეაგროვეს შკოლების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში გამართულია 29 სასოფლო შკოლა და დანიშნულია გასამართავად 5 შკოლა. ამ შკოლებში სწავლობენ ვაჟები 926, ქალები 30. ამ შკოლების შესანახად ხალხი იხდის წელიწადში 9786 მან., ოსტატებზედ იხარჯება 8058 მანეთი, დანარჩენი საშკოლო ნივთეულობაზედ შედის. ოსტატის ჯამაგირი არ არის ნაკლებ 150 მანეთისა და უმეტეს 430 მანეთისა. ამ სახით ტფილისის გუბერნია რომ 900,000 სულად ჩავაგდოთ, გამოდის რომ ათასში მარტო ერთი სწავლობს წიგნსა და თითოს წიგნის სწავლება ხალხს წელიწადში უჯდება ერთს თუმანზედ ცოტა მეტი. ქუთაისის გუბერნიაში 84 შკოლა თურმე არისო; მაგ შკოლებში სწავლობენ თურმე 2572 ვაჟი და 35 ქალი; ხალხი იხდის თურმე მარტო ოსტატების საჯამაგიროს 120 მანეთიდამ 350 მანეთამდე. საკვირველი ის არის, რომ შორაპნის მაზრაში 18 შკოლა ყოფილა და შვიდი ხალხს გაუუქმებია. რა უნდა იყოს ნეტავი ამისი მიზეზი? შკოლა იმისთანა რამ არის, რომ თუ ერთხან ფეხი მოიკიდა, არამც თუ რიცხვით იკლებს დროთა მიმავლობაში არამედ იბლარტებს ხოლმე. რათ მოსვლია შორაპნის მაზრას ამისთანა მართლადა უბედურობა? ჩვენ გაგვიგია რომ

იქაური შკოლები სწორედ სავსენი იყვნენო შეგირდებითა და რას მივაწეროთ, რომ ორ-სამ წელიწადში ხალხს გაუუქმებია შკოლები? ჩვენის ფიქრით, სხვას არავის არ დაჰბრალდება ეს ამბავი თუ არ იქაურს შკოლის გამგეობას. წარმოიდგინეთ, მთელს იმერეთში სახმარად არც ერთი ქართული სახელმძღვანელო წიგნი არ აქვთ თურმე. გძელ სიაში, ნახსენებია მარტო ორი ქართული წიგნი: ჩუბინოვის ლექსიკონი და პასტორის ცხოვრება დიდებულიძისა. აი გამოცანა რაში გჰლებიათ. გვიკვირს ან სხვა შკოლები აქამდინ რისთვის არსებობენ ქუთაისის გუბერნიაში? თუ რამ უფლება აქვს ჩვენს წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, ურიგო არ იქმნება ამ სამარცხვინო ამბავს ყური ათხოვოს.

ჩვენმა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ პირველი თვისი შემწეობა იმ ადგილებს უნდა აღმოუჩინოს, სადაც შკოლები სრულებით არ არის. მაგალითებრ, დუშეთის მაზრაში ერთი შკოლა არ არის თურმე, ახალქალაქის მაზრაში მარტო ორია, თიანეთში მხოლოდ ერთი და ახლად შემოერთებულს საქართველოში სულ არც ერთი. ამ ადგილებში უსათუოდ უნდა დაჰმართოს საზოგადოებამ შკოლები თუნდა თავის საკუთარის ხარჯითაც. გარდა ამისა არ იქმნება ურიგო, რომ ორგან თუ სამგან ჩვენს საქართველოში სამაგალითო შკოლები გახსნას, როგორც გარეგან გამართულობითა და მოწყობილობითა, ისე სწავლის მიმდინარეობითა; ეცადოს ყოველმხრით შეამკოს და მორთოს შკოლა, როგორც ეხლანდელი პედაგოგია თხოულობს. გარდა ამისა საზოგადოებამ მიუცილებელ საჭიროებათ უნდა ჰსცნას ქართულის წიგნების და სახელმძღვანელოების ბეჭვდა და გამრავლება. სახალხო წიგნების და სახელმძღვანელოების დამწერს რომ ჯილდოც ფულად დაუნიშნოს, თუ დიდს სარგებლობას არა, ზიანს არას მოიტანს.

# სხვა და სხვა ამბავი და ცნობა

გუსტავ რივემ, საფრანგეთელმა პოეტმა დაბეჭდვინა ამას წინად წიგნი სახელით: „ვიქტორ ჰიუგო შინაობაში“. ამ წიგნშია მოყვანილი ერთი ამბავი, რომელიც ამ დაუნდობელ დროში სახეში რომ ვიქონიოთ, ურიგო არ იქნება. აი ის ამბავი:

როცა ნაპოლეონმა III რესპუბლიკას უღალატა, იგი გააუქმა და თვითონ გაჰყვეთა საფრანგეთში იმპერატორის ტახტი, მრავალნი კაცნი საფრანგეთისანი გაიხიზნენ საფრანგეთიდამ, მის ახლო, ესე იგი, ინგლისში ახალი ბინა დაიდვეს და იქიდამ ეწინააღმდეგებოდნენ ნაპოლეონს, რამოდენადაც შეეძლოთ. ამათ შორის ვიქტორ ჰიუგოც იყო. ნაპოლეონს, რასაკვირველია, ძრიელ ეუშნოებოდა ამათი ასე ახლო ყოფნა, მაგრამ რას იზამდა. ინგლისი თუმცა დიდად თაყვანს სცემდა მაშინდელს საფრანგეთის მთავრობას, მაგრამ მაინც არ იყაბულებდა, რომ გარდახვეწილთა წინააღმდეგ ემოქმედნა რამე ნაპოლეონის თხოვნით, რადგანაც ამისთანა ქცევა ინგლისის მინისტრებს აურზაურს აუტეხდა ხალხში და ამისგამო იქნება თვითონ მინისტრობასაც გამოესალმებოდნენ. სხვა გზა არ იყო, ნაპოლეონს უნდა ამისთანა ხერხი ეხმარა, რომ გარდახვეწილთა შორის მტრობა, შფოთი და შური ჩამოეგდო და ამით დაერღვია მათი მტკიცე კავშირი. სწორედ ამისთანა ხერხს მოჰკიდა კიდეც ხელი ურცხვმა იმპერატორმა. ერთხელ, ამბობს რივე, ინგლისში მივიდა ახალი საფრანგეთიდამ გახიზნული კაცი სახელად დამასენ-გუბერი. ეს გუბერი ისეთის გულმხურვალებით ჰკიცხავდა ნაპოლეონს და მის მომხრეებს, რომ მალე მოიპოვა გარდახვეწილთა შორის ნდობა და ქიტიბარი. როცა ნახა, რომ ყველანი

ერწმუნებიან, მაშინ დაიწყო გაკიცხვა ვიქტორ ჰიუგომ და ამბობდა: ეს ასეთი მტარვალიაო, რომ დავბრუნდებით თუ არა საფრანგეთშიო, ჩემი პირველი ტყვია იმისთვის იქნება დანიშნულიო.“

— „მეო სიღარიბისაგან ტანჯულების ძმა და მეგობარი ვარო, ამბობდა ხოლმე ყოველდგან გუბერი: და ვიდრე ქვეყანაზედ გლახაკნი და მთხოვარანი არიანო, მე ჩემს თავს ნებას არ მივცემო იმათზედ მეტი რამ ვიქონიო და იმათზედ უკეთ ვიცხოვროო.

და მართლადაც ისეთის განწირულებითა ჰსცხოვრებდა, რომ მეტი აღარ იქნებოდა ერთს რაღაც სველ სარდაფში იდგა, არა ჰქონდა ქვეშაგები, აგურის იატაკზედ წვებოდა, ცარიელ პურზედ და წყალზედ გამოდიოდა და მთლად ძონძებში იყო გახვეული. ამისთანა სიმტკიცით ძლიერ იმოქმედა არამც თუ მარტო გარდახვეწილებზედ, არამედ იქაურ მცხოვრებლებზედაც. ბოლოს მრავალი პატივის მცემელიც გაუჩნდა, ასეთი პატივის მცემელნი რომ როგორც სამაგალითო კაცს ბრმად თაყვანსა ჰსცემდნენ. გარდახვეწილთა მოაგროვეს ფული ერთმანეთის შემწეობისათვის. ამ ფულიდამ ხელს უმართავდნენ შეუძლებელთ ამხანაგებსა. გუბერმა არცერთი გროში არ ინდომა ამ ფულიდამ, როცა უთხრეს თუ გინდა წაიღეო.

ერთი იქაური მცხოვრები, გაუეტი იყო კარგა მდიდარი კაცი, რესპუბლიკის მომხრე და მოყვარე. ამან რომ ნახა ასეთი წინდაუხედავი დიდ-სულოვნება გუბერისა, გაუმეგობრდა და მის გულითად თაყვანის მცემლად შეიქნა.

— მე არ მინდა რომ ეგრე ძაღლ-უმადურად ჰსცხოვრებს სადღაც სარდაფში, უთხრა მან ერთხელ გუბერს: გადმოდი ჩემთან და ჩემთან იცხოვრეო.

— არაო, უპასუხა გუბერმა: მინამ არიან ქვეყანაზედ იმისთანა უბედურნი, რომ ქვეშ გასაშლელი არა აქვთ, არც მე მინდა რომ მქონდეს.

ერთხელ ღამე იყო და მსახურს ვიქტორ ჰიუგოს წამოადგა

თავზედ მისი შვილი ფრანსუა ჰიუგო. ვიქტორ ჰიუგომ გამოიღვიძა და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— უკაცრავოდ, მამი, რომ შეგაწუხე: ადეგ, ძალიან საჭირო საქმეა

— მაინც?

— საქმე კაცის სიკვდილ-სიცოცხლეზედ მიმდგარა; ჩვენი იქ ყოფნა საჭიროა; კესლერი მოვიდა და ჩვენი წაყვანა უნდა.

ვიქტორ ჰიუგომ ტანთ ჩაიცვა და წავიდა და თან გაჰყვნენ ორივ შვილი, ვაკრი და კესლერი. შუაღამის ერთი საათი იქნებოდა, რომ ისინი დანიშნულ ადგილს მივიდნენ. შეიყვანეს ერთს დიდს ოთახში, რომელიც სამსჯავრო ოთახად გარდაექციათ გარდახვეწილებს. ოთახში ენთო მარტო ოთხი ქონის სანთელი და ორმოციოდ გარდახვეწილთ თავი მოეყარათ. სტოლთან იჯდა პრეზიდენტი კაენი, გარდახვეწილთაგანი; სტოლის წინ იჯდა ტყის ნადირის სახით ბაქია დემოკრატი დამასკენ გუბერი. ოთხი გარდახვეწილი თავს ედგა დარაჯად და ყოველს მის მოძრაობას თვალს ადევნებდნენ.

აი რა მოხდა.

გუბერი ავად გამხდარიყო; ამხანაგები: ძმურად ეხმარებოდნენ თურმე და ჰპატრონობდნენ, რიგ-რიგად უთევდნენ თურმე ღამეს ავათმყოფთან. გუბერი დააწვინათ დოშაკზედ, რომელიც ერთს გარდახვეწილს გამოეგზავნა. ვიქტორ ჰიუგოს შვილებიც ეხმარებოდნენ ისე როგორც სხვა გარდახვეწილები.

უნდა ვსთქვათ, რომ გუბერი თუმცა ფრანგსაც კი ჯარს ჰყოფდა, მაგრამ საყვარელი კი ჰყვანდა, სარეცხის მრეცხავი დედა-კაცი. არ ვიცით რა მიზეზით, და გუბერს რაღაცაზედ ძალიან გაეჯავრებინა ეს დედა-კაცი. იმ ღამეს შევარდნოდა ეს დედა-კაცი ავათ-მყოფს და ერთი მუქარა და ლანძღვა დაეწყო. ორი გარდახვეწილი, რომელიც იმ დროს ჰპატრონობდნენ გუბერს, იქ შეესწრობოდა. ამათ ჰსთხოვეს გააფთრებულს დედა-კაცს: ნუ აწუხებო ჩვენს მეგობარსაო.

— მეგობარსაო! დაიძახა დაცინვით დედა კაცმა: სულელები ყოფილხართ, როგორც გატყობთ, თუ აქამომდი ვერ გიცვნიათ რა წითელი კოშკიც ბინადება ეგ ვაჟბატონი. რა მეგობარია თქვენი! ეგ ნაპოლეონის მზვერავია (შპიონი) თქვენზედ მოჩუმებული.

გუბერმაც დაუწყო ლანძღვა დედა-კაცსა ეს რომ გაიგონა.

— გესმით, გუბერო, რა თქვა ამ დედა-კაცმა?

— მიჰქარავს, უპასუხა გუბერმა.

— აბა მაგისი ყუთი გაჩხრიკეთ და მაშინ ნახავთ რა კაციც არის, ჰსთქვა დედა-კაცმა.

მიჰსცვივდნენ ყუთსა გასაჩხრეკად.

— თქვენ ჩემს სახლში ხართ, ჰსთქვა გუბერმა გაფითრებულმა: და მე ნებას არ მოგცემთ ხელი ახლოთ ჩემს ყუთსა.

— თქვენ ეგ გასაღები მოგვეცით, უპასუხეს მკვახედ გარდასხვეწილებმა, რომელთაც ეჭვი შეუვიდათ კიდეც.

— არ მოგცემთ! დაიყვირა გუბერმა, გამეცალენით აქედამ! როგორა ჰბედავთ, რომ ჩემს სახლში თქვენს ნებაზედ იქცევით.

— მე ვიცი სადაც აქვს გასაღები, ჰსთქვა დედა-კაცმა, რომელიც სიხარულით უყურებდა ამ ამბავსა: აი აქა აქვს.

უჩვენა ადგილი და გარდასხვეწილებმა იპოვეს გასაღები და ყუთი გახსნეს.

რაღაც მწერები ამოიღეს, ყველა კუთხეები გაჩხრიკეს და სხვა ვერა ნახეს რა. გუბერს იმედი მოეცა.

— აი ხომ ხედავთ, არა არის რა, უთხრა მან საყვედურითა.

— კაი ჭკუავ! დაიძახა დედა-კაცმა: ნუ თუ ვერა ხედავთ რომ ყუთის ძირიდამ იატაკამდის კიდევ დიდი მანძილია. აშკარაა, რომ ყუთს ორი ძირი აქვს. ახადეთ მეორე ძირი და ყველას იპოვით.

გუბერმა დაიღმუილა. დაუჯერეს დედა-კაცსა, ახადეს მეორე ძირი და უშველებელი ხროვა ქაღალდებისა ამოყარეს. მაშინვე კაცი აფრინეს, ყველას გარდასხვეწილებს შეატყობინეს და ჰსთხოვეს თავი მოეყარეთო ბოკეს სასტუმროშიო და თვითონ გუბერიც იქ მიიყვანეს.

განსამართლება მაშინ დაიწყო, როცა ვიქტორ ჰიუგო ოთახში შემოვიდა.

ქაღალდები, რომელიც ყუთში უპოვეს გუბერსა, მიწერ-მოწერა იყო პარიჟის პოლიციის პრეფექტთან მოპასთან. ეჭვი აღარ იყო მასზედ, თუ რა ხელობის კაციც ყოფილა ჩვენი გუბერი. გარდახვეწილები ისე ააშფოთა და გულზედ მოიყვანა ამ ამბავმა რომ მეტი არ იქნებოდა. ყველაზედ მეტად და დაუნდობლად ჰკიცხავდნენ გუბერს უწინდელნი პატივის მცემელნი, რომელნიც თაკილობდნენ, რომ ეგრე მოტყუებულნი იყვნენ მისგან. თვითონ დამნაშავე კი გაფითრებულსავით იჯდა, მხეცსავით იყურებოდა და კრინტსაც არ იღებდა.

თქმა აღარ უნდა, რომ გუბერი დამნაშავეთ იცნეს. სასტუმროს პატრონი ბოვე რომელიც ყველაზედ მეტად თაყვანსა ჰსცემდა გუბერს წინად, ეხლა ამბობდა, რომ ხელ ფეხი შევუკრათო, სუდარაში გავახვიოთო და ზღვაში ვკრათ თავიო.

ვიქტორ ჰიუგო, მისი შვილები, კაკრი და კესლერი უარ-ჰყოფდნენ სიკვდილით დასჯას. ვიქტორ ჰიუგომ წარმოჰსთქვა სიტყვა და უმტკიცებდა ამხანაგებს, რომ ჩვენ უფლება არა გვაქვსო განსამართლებისა; ჩვენ უნდა ვემორჩილებოდეთო კანონებს იმ ქვეყნისას, რომელმანც ჩვენ შეგვიხიზნაო; ინგლისის მოსამართლენი კაცის-მკვლელად ჩვენ თვითონ ჩაგვრაცხვენო. ჰიუგო ლაპარაკობდა ისე საბუთიანად, რომ ყველანი დაეთანხმნენ.

მას მერმეთ იკითხეს, მაშ ეს კაცი ისე როგორ მოვიშოროთო თავიდამო, რომ ბოლოს კიდევ არა გვავნოს რაო. ერთმა იქ დამსწრემ ურჩია ცალი ყური მოვჭრათ გუბერსაო.

— ეგ დიდი სასჯელი არ არის და არც დიდად სატკენია, ჰსთქვა მან: ხოლო ნიშანი ექმნება, ეს ნიშანი ყველას უნდა შევატყობინოთ, და ყველა მოერიდება.

ვიქტორ ჰიუგო ამაზედაც არ დაეთანხმა. მაშინ სასტუმროს პატრონმა ბოვემ ერთი ღონე მოიგონა. გუბერს ემართა ამისი ასი ფრანკი. ინგლისის კანონებით ვალის არ გადამხდელი შეიძლებოდა ციხეში

ჩაუსვა მოვალეს. მეორე დღესვე საჩივარი შეიტანა და გუბერი ვირის აბანოში წაასხმანეს.

რასაკვირველია, გარდახვეწილთ გუბერის შესანახი ხარჯი უნდა თავისის ჯიბიდამ ეძლიათ. ყველანი რიგ-რიგად თვითო კვირაობით ამ ხარჯს იხდიდნენ. ამ სხით გუბერი რამდენიმე თვე ციხეში იჯდა. ბოლოს ვიქტორ ჰიუგოს შეხვდა ჯერი სახარჯოს ძლევისა.

— ნუ თუ ამას შეიწუნარებთ, რომ კაცი ამდენს ხანს ციხეში მყოფი, კიდევ ციხეში იჯდეს, უთხრა ვიქტორ ჰიუგოს ვაკრიმმა.

— არა! ქუიდა! უპასუხა ჰიუგომ: ხვალ მოხელე რომ მოვა ფულისათვის, უთხარით რომ შინ არა ვარ.

რადგანაც მეორეს დღეს მოხელეს ფული აღარ მიჰსცეს, ინგლისის კანონებით დაჭერილი უნდა განთავისუფლებინათ და გუბერი განთავისუფლეს. რა თქმა უნდა, რომ მას აქედ გუბერი აღარ დანახვებია არავის ამათგანს.

აქედამ რა გამოდის, მკითხველო! ის გამოდის, რომ გველი გარედამ არის ჭრელი და კაცი კი შიგნიდამ.

---

— ვენგერელთა გაზეთში „გონველ“ ნაამბობია ერთი შესანიშნავი ამბავი: ქვრივი გრაფინია კამილლა შტუტენბერგი, იოლანტა ბერჩევიჩის ქალი, მარტო დგას თურმე თავის ციხე დარბაზში. შინა მოსამსახურები ერთი გამდელია, ორი გოგო, ერთი ხელზედ მოსამსახურე ბიჭი და ორი კუჩერი. 22-ს ნოემბერს გრაფინია ღამე მოსულა შინ ესე შუაღამე იქნებოდა. რომ გაიხადა, მივიდა სტოლის უჯრასთან, სადაც ზედ რა ძვირ ფასი ნივთი ჰქონდა ჩაეწყო და შეენახა. როგორღაც თვალი მოჰკრა დიდს სურათს, რომელიც სტოლის პირდაპირ ეკიდა და ჰფარავდა კედლის ნიშსა. ისე მოეჩვენა, რომ სურათზედ გამოხატულ აპოლლონის თვალები მოძრაობენ. ჯერ ყური არ ათხოვა ამ ამბავს, კიდევ შეხედა და დაინახა, რომ აპოლლონი მართლა თვალებს ახამხამებს და იყურება პირდაპირ კი არა, არამედ გეზად,

სახელდობრ, იქით, საცა ქვეშაგებია გაშლილი. გრაფინიას ელდა ეცა. ოთახის კარები გარედამ იყო დაკეტილი გამდლისაგან, რომელსაც მაღლა სართულში ეძინა; ზარის ზონარი გადაჭრილი იყო. გრაფინიამ ერთი კიდევ დააცქერდა სურათს. ქალს კი თვალები თვითონ ამას შემოჰყურებდნენ და მის მოძრაობას თან ჰსდევდნენ. გრაფინია პატარას ხანს ჩაფიქრდა და მერე თითქო არასა ხედავსო, მივიდა სტოლთან, გამოჰხსნა უჯრა და რაც შიგ იყო ნივთი თუ ფული სტოლზედ ამოალაგა. მერე ჩაწვა ქვეშაგებში, თავი მოიმძინარა, სანთლის გაქრობა კი ვეღარ გაბედა. ისე იწვა რომ აღარ გაძრულა, ხანდისხან ქურდულად შეხედავდა ხოლმე სურათს. პოლკოვნიკის თვალები სულ ამას უცქეროდნენ. უეცრად ხმაურობა მოესმა. გრაფინიამ შეხედა სურათს და ნახა, რომ სურათი ერთ მხრივ შეიწია და მეორე მხრიდამ კი კაცი გამოვიდა. გრაფინიას შიშის ჟრჟოლამ დაურბინა ტანში. გამოსულმა კაცმა ჯერ სტოლზედ ნივთებს გადაავლო თვალი, მერე წამოვიდა გრაფინიას ქვეშაგებისაკენ და ხელში დანა ეჭირა. გრაფინია არ გაინძრა. კაცი დიდი ხანი იდგა ქვეშაგების წინ და როგორც ეტყობოდა ყოყმანობდა. გრაფინიას გაურბინა გულში ფიქრმა, რომ იქმნება სიკვდილზედ უარესი რამ ამიტყდესო. კაცი გადიხარა გრაფინიასაკენ და ტუჩებში აკოცა. ქალს უნდოდა დაეყვირნა, მაგრამ იმავე წამს კაცი მოშორდა, მივიდა სტოლთან, მოხვია ხელი ნივთებს და ფულს, საშალით გაალო კარი და გავიდა. ქალს დილამდე თვალი არ მოუხუჭნია. გათენდა და გოგოც შემოვიდა. ხმა არ გაჰსცა მასზედ რაც მოხდა და უბძანა ეტლი შემიბასო; საუზმე მიირთვა და მაშინვე წავიდა ქალაქს. რა წამსაც ქალაქის მოედანზედ მივიდა, მიიხმო პოლიციის მოხელე და უბძანა: აი ეს ჩემი კუჩერი დაიჭირეთო. მაშინვე დაიჭირეს კუჩერი, რომელიც გრაფინიას იმ დროს ეტლზედ ეჯდა. მერე წავიდა მოსამართლესთან და უამბო, რომ ჩემმა საკუთარმა კუჩერმა გამქურდა წუხელისაო. გრაფინიას ეცნო თურმე თავისი კუჩერი, როცა სურათიდამ გამოვიდა, ხოლო მაშინ არ შეემჩნივა არაფერი იმ შიშით რომ მომკლავსო.

---

— ალაბამის შტატში ამერიკაში ჰსცხოვრობს ერთი ლამაზი და ძალიან პატივცემული ქალი იზიდორა მილტონი. ერთხელ ღამე ის ქალი თურმე თავის ნივთებს ალაგებდა და სანთლის შუქზედ დაინახა, რომ იატაკზედ გამოჩნდა კაცი, რომელიც მიცოცავდა და შუაგულ ოთახში დადგმულ სტოლ ქვეშ შეძვრა და დაიმალა. იზიდორამ თვალი მოჰკრა, რომ ერთს ხელზედ ამ კაცს მარტო ორი თითი აქვს და მოაგონდა, რომ იმ უკანასკნელს დროებში ქალაქში ბევრი ქურდობა მოხდა და ხალხის ხმა მაგ ქურდობას ჰსწამებდა ერთს ვასილს, რომელსაც მარჯვენა ხელზედ თურმე ორის თითის მეტი არა აქვს. იზიდორას ქმარი იმ დროს შინ არა ჰყვანდა და სახლი იმხანად მარტო ერთის გოგოს ანაბარად იყო. იზიდორამ გული გაიმაგრა, არ დაჰკარგა გონება, არ დაიძახა, მივიდა მიუჯდა იმ სტოლს, რომლის ქვეშაც ავაზაკი იყო დამალული, ზარი დაურაკუნა გოგოს და დაიწყო წერა.

გოგო რომ შემოვიდა, იზიდორამ უთხრა ისე მითამ აქ არაფერია:

— ბრიჯიტა, ეს ბარათი მებრილიანტეს ფორთვერს წაუღე. ბრილიანტების საყელურს და საყურეებს გამოგატანს, ამას წინად მივეცი გასაკეთებლად და მომიტანე. თუნდ მზად არ იყოს, მაინც გამოართვი; ჩემთვის ძალიან საჭიროა ის ნივთები.

თქმა აღარ უნდა, რომ ბარათში იზიდორა ჰსთხოვდა მებრილიანტეს, თავის ქმრის მეგობარს რაც შეიძლება მალე მომეშველეო და დამიხსენი საშინელის სტუმრის ხელიდამაო. აბა ახლა წარმოიდგინეთ ამ ახალ-გაზდა ქალის ყოფა მარტოდ ერთს ოთახში იმ საშინელ ავაზაკთან, რომელიც გათქმული იყო ავ-კაცობითა და ულმობელობითა! ქალი გულ-დინჯად იჯდა, ხანდისხან რაღაებსაც მღეროდა, მითამ და არა იცის რა და არასა ხედავსო. ბოლოს ზარის რაკუნის ხმა მოისმა. იზიდორა გულ-დინჯათ ადგა და წავიდა კარის გასაღებათ. ხერხი არ გაუცუდდა. არამც თუ მარტო ბრიჯიტა და ფორთვერი მოვიდნენ, სამი სხვა ზორბა პოლიციელიც თან მოჰყვნენ. ეს უკანასკნელნი ფეხ-აკრეფით შემოვიდნენ ოთახში ერთბამად თავს

დაესხმნენ ავაზაკს. ამ უეცარმა თავ-დასხმამ ისე დააფეთიანა ავაზაკი, რომ ხელი აღარ გაანძრია. იგი იყო ზანგი კლაუამი ალაბამაში გამოჩენილი ავაზაკი.

---

— სიჭლექის წამალი. ვენგრიელები ამბობენ, რომ ჩვენში ჭლექით ავათ-მყოფი თითქმის სრულებით არ არისო და ამის მიზეზად იმასა ასახელებენ, რომ ვენგრიაში ვისაც გული ჰსტკივა ჰსმენ ერთს-გვარს სასმელს, რომელსაც შვრიისაგან ხდიან. ამბობენ ეს სასმელი სიჭლექამდე სნეულებას არ მიუშვებსო. ვენგრიაში მოგზაურებმა ეს ამბავი გერმანიაში მიიტანეს და იქ, როგორც გვარწმუნებენ გერმანიის გაზეთები, ვენგრიის წამალს კარგად უმოქმედნიათ ბევრს სნეულზედაო. აი ის წამალი როგორ კეთდება: ქოთანში უნდა ჩაასხას სამი გირვანქა და ექვსი მისხალი თბილი წყალი და სამი პირთამდე სავსე გაცრილი შვრიის ფქვილი და ერთი კოვზი მჟავე ცომი გაურიოს. ქოთანი მას მერმედ თბილს ადგილს უნდა დაიდგას, რომ თავის-თავად იდუღოს და დამჟავდეს. რამდენიმე დღეს შემდეგ და ზოგჯერ ერთის დღე და ღამის შემდეგაც, სასმელი დაიწმინდება ხოლმე და მას მერმედ წამლად იხმარება. სმენ ხოლმე ყლაპვით, დღეში სამს ანუ ოთხს ფინჯანს. წამლის მომზადების დროს ჯერ უნდა ცომი წყალში ცოტად გაშალოს და მერე შვრიის ფქვილი ჩაურიოს და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაასხას საჭირო წყალი. თუ შეზავებით არ არის არეული ყოველივე ეს, არ ადუღდება და წამალი არ გაკეთდება. წამალი უფრო კარგად კეთდება, როდესაც ქოთანი ზემოდამა თბება. მაინც და მაინც ქოთანი სიცხეში არ უნდა იყოს, თორემ მაშინ შვრიის მჟავამადი გამოვა. წამალი მაშინ არის ხოლმე მზად, როცა ფქვილი დაილექავს ძირს და ქოთნის პირზედ დუღილის ქაფი და ბუშტები არა ჩანს. მაშინ ბოთლებში უნდა გადიღონ და დაუცმელად უნდა დაჰსდგან გრილს ადგილს. ეს სასმელი მადას უძლიერებს და ციებას უკლებს. ამ წამალთან არა-ფერი ფარეხოსა საჭირო არ არის.

— კალიის გასაწყვეტი მაშინა. ამერიკაში მოუგონიათ ერთი რაღაც მაშინა კალიის გასაწყვეტად. მომგონის გვარი პეტელერია.

მაშინა სხვა-და-სხვა ზომისაა და ზომის კვალობაზედ ღირს ადგილობრივ ექვს თუმნიდამ შვიდ თუმან-ნახევრამდე. ამერიკის გაზეთები გვარწმუნებენ რომ პატარა ზომის მაშინითა რვა-ცხრა დღეზედ შეიძლება კაცმა გაწყვიტოსო კალია ორი ათასს დღიურ ადგილზედაო. მაშინას ერთი და, თუ გაჭირდა, ორი ცხენი ატარებსო, წინ გაკეთებული აქვსო რკინის ფიცარი და სახვეტიო, რომლითაც კალიას ხვეტავსო. აქ კალია მაშინითვე ისრისებაო თვალის დახამხამების უმალ. მინეზოტის შტატში მცოდნე კაცთა ძლიერ მოუწონებიათ ეს მაშინა და ურჩევენ მთავრობას და ხალხსა ის მაშინები იქონიონო.

— რძე წყალ-ნარევია თუ არა. რძეში ამოავლეთ უჟანგო საქსოვი ნემსი და მაშინვე უკანვე ამოიღეთ და გეზად გეჭიროთ ხელში. თუ რძეში წყალი არ არის არეული ნემსის წვერზედ წვეთი იქნება; თუ ცოტათი მაინც შერეულია, წვერზედ წვეთი არ დადგება და ნემსის წვერს არა დაემჩნევა რა.

— ლონდონი. ეს დედა-ქალაქი ინგლისისა ათას ოთხ-კუთხედ ვერსტზეა თურმე გაშლილი. ლონდონში ყოველ ოთხ წუთზედ ერთი ადამიანი იბადება, ყოველს ექვს წუთზედ ერთი კვდება. ყოველ დღე ემატება 205 კაცი, ყოველ წლივ 75,000 კაცი, თითქმის ჩვენის ქალაქის ოდენა. ქუჩის სივრცეები სულ ათი-ათას მილს შეადგენს, ყოველ წლივ ოც-და-რვა მილი ქუჩა ემატება და ცხრა ათასამდე სახლი. ლონდონის ნავთსადგურში ყოველ დღე ათასი გემია.

— საკვირველი ხე. კალიფორნიაში მოუჭრიათ საოცარი ხე: მცოდნე კაცნი ამბობენ, რომ ის ხე ოთხი-ათას-რვაას ორმოცის წლისააო. მის გამოფუღრულ გულში სამასი კაცი დაეტევაო.

— ხალხის განათლება იაპონიაში. 1876 წელს იაპონიაში პირველ-დაწყებითი სახალხო შკოლები იყვნენ ოც-და-ხუთი ათასი; ამ შკოლებში ოსტატებათ იყვნენ ორმოც-და-თორმეტი ათასი კაცი. შეგირდების რიცხვი ორ მილიონამდე მიახწევდა, ასე რომ ერთს ოსტატზედ ორმოცი შეგირდი მოდის; ერთი შეგირდი კიდევ 16 მცხოვრებელზედ მოდის.

— აი ერთი ავ-კარგიანობის ამბავი. რუსულ გაზეთის „Молва“ ოდესის კორრესპონდენტი ერთს მართლად საოცარს ამბავს იწერება: რუსულ გემებზე, რომელიც აქვსთ რუსის საზოგადოებას „общество пароходства и торговли“ თითო ფუთს საქონელზედ გადატანის ფასს იღებენ ექვს შაურს, მაშინ როდესაც იმავე ფუთის გადატანა ოდესიდამ მარსელში (საფრანგეთში) ცხრა კაპეიკია და ოდესიდამ ლონდონში თორმეტი კაპეიკი.

— ინგლისის დედოფალი ელისაბედი და მისი მასხარა. ჭოგგანი იყო ცნობილი მასხარა ელისაბედის, ინგლისის დედოფლის დროს. ერთხელ მასხარა ესესხა სამას ორმოც-და-ათს თუმანსა თავის დედოფალსა. დედოფალმა ასესხა და იმ პირობით რომ ვადაზედ დაუბრუნოს. მაგრამ ვადამ გაიარა კიდეც და მასხარამ ფული არ მოუტანა და დედოფალმა უსაყვედურა. თუმცა მასხარა ბოდიშს იხდიდა მაგრამ ვალის გადახდა ძალიან ემძიმებოდა და რომ როგორმე თავი დაიხსნას გაჭირვებიდამ ერთი ხერხი მოიგონა. გააკეთებინა კუბო და ამხანაგები დაარიგა როცა გეტყვით სასაფლაოზედ წამიღეთო. ერთს დღეს დაინახა, რომ დედოფალი მის სახლის ახლო მობძანდება. მაშინვე ჩაწვა კუბოში და ამხანაგებმა ასწიეს და გამოიტანეს ქუჩაში. დედოფალმა რა დაინახა რომ მასხარის სახლიდამ მკვდარი გამოასვენეს, იკითხა, ვინ მომკვდარაო. მოახსენეს, თქვენი მასხარა მოკვდაო. ძალიან გაუკვირდა დედოფალს და ჰსთქვა: „ნუ თუ ის ცუღლუტი მოკვდაო. განა ავად იყოვო? მე არ გამიგონია იმისი ავად-მყოფობაო. დიდი პლუტი კი იყოვო, ჩემი ვალი სამას ორმოც-და-ათი თუმანი თან გაიყოლაო, მაგრამ ღმერთა შეუნდოსო. მე მიპატიებია ეს ვალიო.“ გაიგონა ეს თუ არა ჭოგგანმა, წამოიწია კუბოდამ, მოუბრუნდა დედოფალს და მოახსენა: „ნება მომეცით, თქვენო დიდებულებავ, უმდაბლესი ჩემი მადლობა მოგახსენოთ. თქვენი მოწყალება, რომელიც ეხლა მე მაღირსეთ, ისეთი ძლიერია, რომ თვალის დახამხამებას უმალ გამაცოცხლაო.“

---

— ერთხელ ვოლტერსა ჰკითხეს: როდის უნდა შეირთოს კაცმა ცოლიო.

— უმაწვილობაში ძლიერ ადრეაო, უპასუხა მან: და სიბერეში კიდევ ძალიან გვიან არისო.

—

— ერთხელ ანტისთენი გაჰკიცხეს და უსაყვედურეს: ავ-ზნე ხალხში რად დაიარებიო.

— განა ექიმი სნეულებში არ დადისო, უპასუხა მან.

—

— ექიმს აბერნეტს არ უყვარდა გრძლად ლაპარაკი ავად-მყოფებთან. ერთხელ მოვიდა ამასთან ერთი ქალი, ძაღლს ეკბინა ხელზედ. ქალმა ნაკბენი ხელი გაუწოდა და აჩვენა.

ექიმმა გასინჯა და ჰკითხა:

— გაფხაჭნილია?

— ნაკბენია, უთხრა ქალმა.

— კატამ?

— ძაღლმა.

— დღეს?

— გუშინ.

— გტკივათ?

— არა.

ამისთანა მოკლე პასუხებმა აღტაცებაში მოიყვანეს ექიმი.

ამას არ უყვარდა როცა ღამით აწუხებდნენ და გააღვიძებდნენ ხოლმე. ერთხელ შუაღამის ორს საათზედ კარი დაურახუნეს.

— ვინ არისო? იკითხა გაჯავრებით;

— ექიმი... ჩქარა, ჩქარა ექიმი! ჩემმა შვილმა უეცრად თაგვი ჩაყლაპაო! დაიძახა ვიღაცამ.

— მაშ კატაც გადაყლაპოსო, უპასუხა ექიმმა და მერე კი თავი დამანებოსო.

—

— ერთს ექიმს კაბინეტში ეწვია ერთი კარგად ჩაცმული ყმაწვილიკაცი და შესჩივლა თავისი უკურნებელი სნეულება.

— რასა ჰგრძნობთო? ჰკითხა ექიმმა.

— გულზედ რაღაც უმიზეზო ნაღველი მაწევსო.

— უიმედო სიყვარულის გამო თუა...

ყმაწვილმა-კაცმა თავი გაიქნია.

— კაი ღვინო დალიეთ ხოლმე! ურჩია ექიმმა.

— ვცადე ეგეც, არა მიშველა რა.

— მაშ ქვეყნების სანახავად წადით და გაერთობით.

— მთელი ევროპა მომივლია.

— მუსიკა, სიმღერა გაგართობთ.

— ყოველდღე მაგაში ვარ, მაგრამ ამაოდ.

— მაშ ერთი საშუალება კიდევ არის. ხშირად იარეთ თეატრში, სადაც მღერის გამოჩენილი მომღერალი კემოტი, სახელ-განთქმული კარგის თამაშობითა და ოხუჯობითა.

— ვაი! უპასუხა კვნესით სნეულმა: თქვენ წინ ეხლა თვითონ ის კემოტი დგას.

—

— რას იქმოდით, რომ პრუსიის ხელმწიფეთ იყოთ? იკითხა ერთხელ პრუსიის ხელმწიფემ ფრიდრიხ დიდმა კახშამზედ, სადაც ბევრნი სტუმარნი ჰყვანდა მოწვეულნი. ყველა ცდილობდა ხელმწიფის საამო სიტყვა ეთქვა.

— მე კი გავყიდდიო მთელს სახელმწიფოს და ფულს სულ პარიჟში გავაფუჭებდიო, უპასუხა ვოლტერმა.

—

— გიორგი I, ინგლისის ხელმწიფე, როცა ტახტზედ ავიდა, რასაკვირველია, ყველამ მიულოცა. მოლოცვაზედ ეს უპასუხა ხელმწიფემ:

— ჰსჯობია ის ბედნიერება მოგილოცოთ, რომ ერთს ჩემს სამფლობელოში იმისთანა კაცი მყავს როგორც ნიუტონი და მეორეში — ლეიბნიცი *).

—

— თქვენ მთელი თქვენი სიცოცხლე ფილოსოფოსათ იქნებით, უთხრა ერთხელ გამდელმა დალამბერსა, საფრანგეთის გამოჩენილს მწერალს.

— ფილოსოფოსი, თქვენის აზრით, რა კაცია? ჰკითხა დალამბერმა.

— სულელია, რომელიც მთელს სიცოცხლეში მარტო იმისთვისა წვალობს, რომ როცა მოკვდება, იმაზედ ილაპარაკონ.

—

— ერთს გამოჩენილს ოთხმოც-და-ცხრა წლის პარიჟელს ექიმსა ჰკითხეს: რა მიზეზიაო, რომ თქვენ ასე დიდხანს ჰსცოცხლობთო?

— მე ჩემის წამლებითა ვცოცხლობო, უპასუხა ექიმა: მაგრამ თვითონ წამლებს კი თავის დღეში არა ვხმარობო.

—

— ამდვენს ხანს სად არის რომ არსადა ჰსჩანსო, ჰკითხა ვიდაცამ ვოლტერს ერთს მეტად უხეირო პოეტზედ.

— ავად არისო, უპასუხა ვოლტერმა.;

— რითაო?

— კუჭი წაუხდენია და ტანში არისო ავათო. უეცრად, ღმერთი გაჰსწყრომია, და ერთი თავისი ლექსი ჩაუყლაპავსო და ტანში იმას მოუშლიაო.

—

ლორდს პალმერსტონს ერთხელ ეახლა თავისი ტყის-მცველი და შეჰსჩივლა, ტყე ველარ გამიმაგრებია, ხალხი დაიარება და დაუსჯელად ნადირობსო.

---

*) ეს დიდად გამოჩენილნი მეცნიერნი იყვნენ. მაშინ გიორგის განნოვერის ტახტი ეჭირა, საცა ლეიბნიცი ჰსცხოვრებდა.

— რა უნდა ვუშველოთ? ჰკითხა პალმერსტონმა.

— უნდა უჩივლოთო.

— რათა?

— იმიტომ-რომაო თქვენს ადგილებში დადიან და ღამის რაც კურდღელია სულ გაწყვიტონო.

— ჩემო კარგო, უთხრა პალმერსტონმა დარიგების კილოთი: ჩემთვის უმდურავის კაცის ყოლა უფრო კარგია, ვიდრე კურდღელებისა.

—

ისპანიის ხელმწიფემ ფილიპე II გაუგზავნა ერთხელ პაპს სიქსტუს მეხუთეს უმაწვილი-კაცი კასტილიის აზნაურშვილი რომ მიულოცოს პაპს ტახტზედ ასვლა.

პაპმა ითაკილა რომ ამისთანა უმაწვილი კაცი გამოუგზავნეს მოსალოცავად და უთხრა მოციქულს:

— ნუ თუ თქვენს ხელმწიფეს სხვა კაცი არა ჰყვანდა, რომ ჩემთან უწვერო კაცი გამოუგზავნა.

— ჩემს ხელმწიფეს რომ ჰსცოდნოდა, რომ ღირსება კაცისა წვერშია, უპასუხა თავ-მომწონე ისპანიელმა: მისი დიდებულება გამოუგზავნიდა თქვენს უწმინდესობას თხასა და არა კეთილ-შობილს აზნაურ-შვილსა.

—

ერთს ვიღასაც ძალიან უკვირდა, რომ ერთმა ექიმმა თავი დაანება ექიმობას და ადვოკატობა დაიწყო.

— აქ საკვირველი რა არისო, უთხრა ვოლტერმა: საიქიოს ბევრი ცხედარი გაუსტუმრებია, მაშ იმათ ქვრივებს და ობლებს შემწე არ უნდოდათო.

—

— აბა მართალი მითხარიო, უთხრა ერთხელ ფრიდრიხმა დიდმა ექიმს: რამდენი კაცი გაგისტუმრებიათ საიქიოსაო?

— თქვენზედ ნახევარ მილიონით ნაკლებით, თქვენო დიდებულებავ, უპასუხა ექიმმა.

—

ჰენრის მეოთხემ საფრანგეთის ხელმწიფემ ერთხელ ჰკითხა ერთს ძალიან ლამაზს ახალ-გაზრდა ქალს:

— რა გზით შეიძლება თქვენ ოთახში შემოსვლაო.

— ჩემს ოთახს მარტო ერთი გზა აქვსო, ჩემო ხელმწიფევ და ის გზა ეკლესიაზეო.

—

ფრიდრიხ დიდის მამა ფრიდრიხ ვილჰელმი I მეტად გულ-სწრაფი კაცი იყო და ანჩხლი. სნეული კაცი იყო და თავის სიანჩხლეს მარტო იმით იკავებდა, რომ ეშინოდა უეცრად სული არ გავაფთხოვო სიანჩხლეში. როცა თავისი სნეულება მოუვლიდოდა, მაშინ შეუდგებოდა ხოლმე ღვთის ვედრებასა და ლოცვასა.

ერთხელ თვითონ არაქათი აღარ ჰქონდა ლოცვანი წაეკითხა, იხმო ხელზედ მოსამსახურე და უბძანა შენ წამიკითხეო. ლოცვა ამ სიტყვით თავდებოდა: „კურთხევა ღვთისა იყოს შენზედა.“

მოსამსახურემ ხელმწიფის პატივის-ცემით, „შენ“ „თქვენათ“ გადააკეთა და ისე წაიკითხა: „კურთხევა ღვთისა იყოს თქვენზედა.“

ხელმწიფემ წაართვა ლოცვანი ხელიდამ და იგ შუბლში ჰსტყორცნა მოსამსახურეს.

— ეგრე არ არის, არა! ხელმეორედ წაიკითხე! დაუყვირა ხელმწიფემ.

მოსამსახურეს შიშისაგან კანკალი მოუვიდა, ვერ მიხვდა, რა დაუწუნა ხელმწიფემ და მაინც წინანდელებ წაიკითხა, „შენის“ მაგიერ «თქვენი» იხმარა.

ხელმწიფე გაანჩხლდა, მოიგლიჯა სადამური ქუდი თავიდამ და ჰსთხლიშა პირში გონება მიხდილს მსახურს.

— ეგრე არ არის. მეთქი, არა და არა! ხელმეორედ წაიკითხე!

— კურთხევა ღვთისა იყოს თქვენზედა!

— კურთხევა ღვთისა იყოს შენზედა, სულელო! გესმის, შენზედა! განა არ იცი, მე საძაგელო, რომ ღვთისა წინაშე მეც ისეთივე შესაწყალებელი სულელი ვარ, როგორც შენა!!

—

პრუსიის ხელმწიფე, იგივე ფრიდრიხ ვილჰელმი I ვენგრიაში მოგზაურად წავიდა და ხელმწიფობით არ იჩენდა თავს. ერთხელ სასეირნოთ გავიდა და შეხვდა ერთს ახალ-გაზრდა ვენგრიელს, რომელიც თავისთვინ დასეირნობდა და ჩიბუხს აბოლებდა. ფრიდრიხმა ჰკითხა:

— ვინა ხარო?

— აქაური სოფლის მსაჯული ვარო, უპასუხა ცოტად გაკვირვებულმა ვენგრიელმა.

— შენის თავის მადლიერი ხარო.

— რა საკვირველიაო.

— მაშ ბარაქალაო.

ხელმწიფემ დააპირა წასვლა, მსაჯულმა დააყენა.

— შენ ვინღა ხარ, ჩემო კარგოო! ჰკითხა თავის კვალად ვენგერელმა.

ხელმწიფე ტანში გაიმართა და თავმოწონებით უთხრა:

— მე პრუსიის ხელმწიფე ვარო.

ვენგერელმა, როგორც ეტყობოდა, ეს ამბავი აინუნშიაც არ ჩააგდო.

— შენ კი მადლიერი ხარ შენის თავისაო?

— რასაკვირველია, უპასუხა ხელმწიფემ და უკვირდა რომ ვენგერელმა არაფრად ჩააგდო.

— მაშ შენც ბარაქალაო! დაუმატა მსაჯულმა, არხეინად წავიდა თავის გზაზედ და ჩიბუხს მიაბოლებდა.

ყველამ, ვინც ეს უცნაური ლაპარაკი გაიგონა, ერთმანეთს გაოცებით შეხედეს. მარტო ტიუსსოს ცოლს ეტყობოდა, რომ გულდინჯად არის.

— მაშ, ჰსთქვა ერთმა სტუმართაგანმა სწორედ ვაჭრულის გულ-დინჯობითა: თქვენი მდგომარეობა ეხლა უფრო ცხადია და უფრო გასწორდა. გუდარმა სიტყვა დაუბრუნა სესილს, პატარა მორისიც თავიდამ მოგიშორებიათ, თორემ საშიში იყო ბიაბრუობა რამ არ ეჭმევია თქვენსთვის თქვენის ლამაზის ქალის გამო.

— მართალს ბძანებთ.

— მაშ თქვენი საქმე კარგად ყოფილა, მომილოცავს, დაუმატა მოუბარმა სტუმარმა და ფეხზედ წამოდგა.

ყველანი წამოდგნენ იმის მიხედვით.

— ჩვენ მოხარული ვართ, რომ სესილი უკეთ არის, უთხრა ერთმა ნათესავმა ქალმა ტიუსსოს ცოლს,

— დიალ, გულის ზიდილი რომ არა ჰქონდეს, საწამლავის ნაშთი, სულ კარგად იქმნებოდა.

— ეგ არაფერია, მე იმედი მაქვს მალე ვითამაშოთ იმის ქორწილში.

— ძალიან მალე იქნება ეგ ამბავი, თუ რომ ჩემს სიტყვას გაიგონებს, შენიშნა ტიუსსომ.

ადელმა გაჯავრებით შეხედა ქმარს და მერე მასთან ერთად წავიდა სტუმრების გასაცილებლად.

სესილს თავის ოთახში ესმოდა მთელი ეს ლაპარაკი. მამის ნათქვამი მორისის სიკვდილზედ რომ გაიგონა, მწარედ დაიწყო ტირილი და უკანასკნელმა სიტყვებმა სტუმრებისამ კი გაბოროტების ღიმილი მოჰგვარა.

— მართალია, მორისი თავიდამ მოიშორეს და ეხლა მე გადადებულის ქორწილის სამაგიერო უნდა გადვუხადო.

ტიუსსო რომ შემობრუნდა სახლში, ქალის ძახილი მოესმა. მაშინვე ავარდა შვილის ოთახში და ჰკითხა:

— შე მეძახოდი, სესილ?

— დიახ, მამავ, მე მინდოდა მეკითხნა, გუდარი სულ არ 'ოსულა ჩემის ამბის საკითხავად.

— როგორ არა! ყოველ-დღე მოდის, მაგრამ შენთან შემოსვლას ვერა ჰბედავს.

— როცა მოვიდეს, მამი, ჩემთან მოიყვანეთ. მე მინდა მადლობა გადუხადო.

ტიუსსოს ცოლს ეგონა ყურმა მამატყუაო, ისე გაშეშდა. ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გაოცებით შეხედეს.

## თავი VIII

### ტიუსსოს ცოლი უფრო და უფრო ჰკვირობს.

სესილის თხოვნამ აღტაცებაში მოიყვანა კლოდი. მხურვალედ ჩაჰკოცნა თავისი ქალი და გაეშურა ქარხანისაკენ, ეშინოდა, რომ გუდარი წინ არ მისულიყო ქარხანაში. იმედი მოეცა კიდევ სიძეთ გაიხრდის და უნდოდა, რომ თითონვე მოეყვანა გუდარი თავის ქალთან.

სულ სხვა რიგად იმოქმედა ადელზედ სესილის სიტყვამ. ამაოდ ცდილობდა დედა შეეტყო რა მიზეზია, რომ ახალ-გაზრდა ქალმა ასე უცნაურად შეიცვალა ფიქრი. უეჭველი იყო, რომ სესილს ჰსძაგდა ჯაგლაგი და რადგანაც მორისის სიკვდილის ამბავიც შეტყობილი ჰქონდა, ხომ უარესად შეჰსძაგდებოდა, რადგანაც გუდარი იყო მიზეზი მისგან შეყვარებულის კაცის სიკვდილისა. არა, ქორწინებას სესილისა გუდართან ჭკვაში მოსასვლელი არ იყო. მაშ რისთვის მოინდომა გუდარის ნახვა? იქნება სურდა გადაწყვეტილად მოელაპარაკნა თავის ადრინდელ საქმროსთან და ეთხოვნა, რომ მამი-ჩემის საქმეს არა ავნორაო, რადგანაც მე არ გირთამო. ეს აზრი ჭკვას ახლო იყო. თვალგაშტერებით შეჰყურებდა დედა თავის ქალს და ნახა, რომ სესილი უწინდელი სესილი აღარ არის. აღარ არის ის მხიარული, ყოველთვის ზაღიმარი ანცი ქალი.

იმ უბედურების შემდეგ სესილი სრულებით გამოიცვალა. უწინდელებ მშვენიერი და იქნება უწინდელზედ უფრო მშვენიერიც სესილი უსაკლო ბაშვს კი აღარა ჰგვანდა; იგი ეხლა სრული დედა-კაცი იყო, გულ-დინჯი, გონებაში ჩავარდნილი, დაფიქრებული და თითქმის გულ-დაბინდებული. მის მომხიბლელს თეთრ შუბლ ქვეშ, ცხადი იყო, მძიმე ფიქრები ტრიალებდნენ; მისი თვალი უფრო გამჭრიახი შეიქმნა, უფრო მედგარი და გამბედავი და აღარც ენა მისი ტიტინებდა უწინდელებ განუწყვეტლად. ჭაბუკი სული ყრმობის არტახებიდამ განთავისუფლდა და მის სახეს ცნობიერის და მოწიფულის სიცოცხლის ფერი დაედო.

ადელს უკვირდა ასეთი უეცარი ცვლილება. შენიშნული ჰქონდა, რომ როცა სესილი მარტო რჩებოდა, მწარეს ცრემლით ტიროდა ხოლმე ხშირად. დედას ეგონა, რომ მორისის სიკვდილის გამო სევდას ცრემლით ინელებსო. მით უფრო უნდა ვეცადოთ, ამბობდა დედა თავის გულში: რომ გუდარს დავუშალო სესილის შერთვაო, თუ რომ საქმე ისევ ამ საგანზედ მიდგესაო. ამის გამო გამოუცნობელმა სურვილმა ქალისამ გუდარის ნახვის თაობაზედ სრულებით არია ადელი. არაო, იფიქრა დედამ: რაც უნდა მოხდეს, მე ნებას არ მივცემო სესილს, რომ თავისი-თავი ხელახლად სხვერპლად მოიტანოსო და თუ საქმე იქამდისინ მივაო, გამოვუტყდები ჩემს ქალსაო, რომ გუდარს ვუყვანდი საყვარლათაო და მათს ჯვარის-წერაზედ კი თანახმა არ გავხდებიო.

როცა ადელი მარტო დარჩა სესილთან, უნდოდა როგორმე გამოეთქმევინა ქალისათვის მიზეზი მისის უცნაურის ქცევისა.

— აბა, ჩემო კარგო, სესილ, ჰკითხა ქალს: ეხლა ხომ უკეთ ხარ? მუცელი ხომ არა გტკივა?

— ცოტად.

— მიგნეულობა კიდევ გაწვის?

— არა, უფრო უკეთა ვარ, მაგრამ გულის ზიდილი მაწუხებს.

— ეგ მალე გადაგივლის; შენ ეხლა უფრო ღონეზედა ხარ.

— არც ისე ძალიან.

— მაინც ლაპარაკი ხომ შეგიძლიან... შენ თითონ მოინდომე კი, გუდარი მომიყვანეთო.

— მე ორიოდ სიტყვა მაქვს სათქმელი.

ადელს უნდოდა ეკითხნა თუ არა,—„რა გაქვს სათქმელიო,“ ექიმმა შემოაღო კარები და შემოვიდა.

ექიმი დაკვირვებით დააცქერდა ავათ-მყოფს და ღიმილით უთხრა დედას:

— ეხლა კი შიში აღარაფრისაა, როგორა ბძანდებით, ჩემო პატარავ!

სესილმა ჰსთხოვა დედას ფარდა ასწიეთო და მინამ დედა ამას იქმოდა, სესილმა წაჰჩურჩულა ექიმს:

— დედა-ჩემი დაითხოვეთ, მე თქვენთან მოსალაპარაკებელი მაქვს.

ექიმს ცოტად ეოცა, მაგრამ მაინც მიუბრუნდა ადელს და უთხრა ღიმილით:

— უკაცრაოდ კი ვარ და გთხოვთ ერთს წუთს მარტოდ გვამყოფოთ მე და თქვენი ქალი. მე მინდა ზოგიერთი რამ გამოვკითხო და იქნება თქვენთან ითაკილოს ჯასუხის მოცემა.

ამ სიტყვებმა გააოცეს ადელი. მაგრამ სხვა გზა არ იყო, ექიმს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ამასთანავე ხნიერობა და აზრი ექიმისა იმისთანა იყო, რომ ამაზედ ეჭვს არავინ აიღებდა. ადელი გავიდა თუმცა გულ-ნაკლულად კი.

— ექიმსაც ისე უნდა გავენდოთ ხოლმე, როგორც სულიერს მამას, უთხრა სესილმა თვალში ცრემლებ მორეულმა: ექიმს ყველაფერი უნდა უთხრას კაცმა და ექიმმაც თავის დღეში არ უნდა გასცეს ავათ-მყოფის ხვაშიადი.

— ეგ პირველი მოვალეობაა ჩვენი.

— მე მინდა მძიმე ხვაშიადი განგიცხადოთ, მაგრამ ვერ გამობედნია.

— ნუ შიშობთ, შვილო ჩემო. უსათუოდ რჩევას რასმეს მეკითხებით

— არა, მე მსურს გაგენდოთ. მე აქამომდე არავის რას ვეუბნებოდი, თქვენც კი გიმალავდით და ზოგიერთს საგანზედ პასუხს არ გაძლევდით. თქვენ მგონია მიმიხვდით კიდეც: ჯერ მინამ წყალში ჩავვარდებოდი, მე თავი მოვიწამლე.

— საწყალო ქალო! თქვენ დიდი უბედურება უნდა გწვევოდათ, რომ ეგ მოახდინეთ.

— მე ყველაფერს გეტყვით.

— მე ყურს გიგდებთ, უთხრა ექიმმა და დააცქერდა ავათმყოფს გულაღელვებული.

სესილმა დაწვრილებით უამბო ყოველივე გარემოება თავისის ორგზით თავის-კვლისა.

ექიმმა დაჰყო სესილთან სულ ერთი რუბი საათისა. გამოვიდა სესილის ოთახიდამ თუ არა, ადელი წინ დახვდა შიშით და თრთოლით. საწყალს დედას უნდოდა ექიმის სახეზედ წაეკითხნა ვითარება თავისის ქალის მდგომიარობისა, მაგრამ ექიმის სახე არას ამბობდა.

— თქვენი ქალი, ჩემო ბატონო, უთხრა ექიმმა: სრულებით გამობრუნდა და ეხლა მალე მორჩება, მაგრამ საწყალი ისე ძლიერ იტანჯა, რომ საჭიროა მისთვის მთელი თქვენი სათუთი მზრუნველობა და სიყვარული. ეხლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ კარგად მოუაროთ და ყოველივე ნება აღუსრულოთ. მეც ხანდისხან შემოვივლი და ვინახულებ.

— მაშ მორჩა, მორჩა და შიში აღარაფრისა არის.

— სრულებით, ხოლო ძალიან კი უნდა გაუფთხილდეთ.

გაოცებული ექიმის საიდუმლო სიტყვებითა ადელი შევიდა თავის ქალის ოთახში, სესილი იწვა. კედლისაკენ ჰქონდა პირი და თითქო ტიროდა.

— სესილ, შვილო, რა დაგმართვია? ჰკითხა დედამ, რა გადიხარა და დახედა შვილსა: ექიმმა ხომ არ შეგაწუხა?

— არა, დედი...მე დავიღალე, დავსუსტდი... და ძილი მინდა.

ტიუსოს ცოლს მეტი გზა არა ჰქონდა, უნდა დაეჯერებინა ეს უჯერო პასუხი თავის ქალისა. ჩუმად წამოდგა და ფეხის თითებზედ ჩუმად გამოვიდა ოთახიდამ. ძირს რომ ჩამოვიდა, დაჯდა, და ფიქრს მიჰსცა თავი. თუმცა გულდამშვიდებული იყო ქალის კარგა მყოფობაზედ, მაგრამ აზრით ხელმეორედ გამოიარა ის საშინელი ყოფა, რომელმანც ასე მოულოდნელად არია იმათი მშვიდობიანის ცხოვრების მდინარეობა. ამ საშინელის ტრაღედიის მაზეზზედ რომ ჩაფიქრდა, მწუხარედ ჩაჰკიდა თავი, სისხლი მოჰყრია თვალებში და წაიდუდუნა: „ოხ, რა რიგად მეზიზღება მე ის ეხლა. მე უბრალო ვარ, უბრალო, მე მხოლოდ უბედური მსხვერპლი ვიყავ!"

ადელ ტიუსო ამ დროს ჯერ კიდევ ახალგაზდა და ლამაზი დედა-კაცი იყო. იგი გათხოვდა თექვსმეტის წლისა და სწორედ ათის თვის შემდეგ ქალის დედა შეიქმნა. იმ უბედურს დღეს, რომელიც დანიშნული იყო სესილის ჯვარის დასაწერად, სესილი შვიდმეტის წლისა შეიქმნა, ასე რომ ეხლა ტიუსოს ცოლი ოცდა თოთხმეტის წლისა იყო და თვალად კი უფრო ნაკლებისა. მშვენიერი თვალადი, შუათანა ტანისა, ლამაზად მოყვანილი, ტან-წვლილი, უხვი გულ-მკერდი, თეთრი როგორც უმტვერო თოვლი, ლამაზი ფერი სახისა — ყოველი ამით შემკული ადელი ლამაზ ქალებში ითვლებოდა. სწორე და წმინდა ცხვირი, პატარა და ადვილად მოძრავი ნესტოები, მადიანი ბაგენი ცოტად მომსხო ტუჩებითა, რომელნიცა ნახევრად ჰფარავდნენ თეთრს კბილებს, ცოცხალი და მკვირცხლი თვალები, ლამაზის წამწამით და წარბებით მორთულნი, პატარა მჭვირვალე ალის-ფერი ყურები, უხვი წაბლის-ფერი თმა და სწორედ მოყვანილი სახე — ყველა ეს მის სილამაზეს აძლევდა კეთილს, მხიარულს და მარილიანს სანახაობას. ტყუილად კი არ ეძახოდნენ იმ უბანში „ლამაზი ტიუსო." ამ წამს, ფანჯრის წინ დაფიქრებით მჯდომარე ადელი, ჩამავალის მზის შუქით ზედ-მოფენილი აღტაცებაში მოიყვანდა ყოველს მხატვარსა.

— ადელ, ადელ, ჩემს ქალს შეატყობინე, რომ გულარი

მომყავს იმის სანახავად, უეცრად მოესმა ხმა-მაღლივ ძახილი ქრმისა.

საწყალი დედა-კაცი გამოფხიზლდა ფიქრებიდამ ისეთის თრთოლით, თითქო კანკალი მოუვიდაო.

— ჰსძინავს, უპასუხა გაჯავრებით ადელმა.

— რა ვუყოთ რომ ჰსძინავს. ძილის მეტი რა საქმე აქვს. გაჰღვიძე არა უშავს რა. თითონვე მოინდომა გუდარის ნახვა.

სხვა გზა არ იყო, ადელი დაემორჩილა და ავიდა ზევით ქალის ოთახში, სესილს არ ეძინა. გაეგო მამის ლაპარაკი და უთხრა დედას ისეთის უცნაურის ხმით, რომ დედა გაოცდა:

— უბძანეთ, ამოვიდნენ.

ერთის წუთსაც არ გაუვლია, რომ გუდარი მას საწოლთან გამოცხადდა. სესილმა ხელი გამოუწოდა. გუდარი შეკრთა: ახალ-გაზდა ქალის ხელი ისეთი იყო, როგორც ყინული.

ტიუსსო და ცოლი უყურებდნენ ამ ამბავს სხვა-და-სხვა თვალით. კლოდს უხაროდა, ადელმა კი წარბი შეიკრა.

— აბა, სესილ, ეხლა ხომ უკეთა ხარ, უთხრა გუდარმა, რომელიც უმაწვილობითვე იცნობდა და ყოველთვის „შენობით“ ელაპარაკებოდა.

— დიახ, მადლობა ღმერთს, ეხლა ყველა გათავებულია... მე მინდოდა მადლობა გადამეხადა თქვენთვის, რომ მოდიოდით და მკითხულობდით.

— არა ღირს მადლობათ.

ყველანი ჩაჩუმდნენ.

— მე შემცდარი ვიყავ, ჰსთქვა სესილმა ბოლოს ძალდატანებით,— და ძალიან ვსწუხარ ყოველს მასზედ, რაც მოხდა. თქვენ ხომ ჩემზედ არა ჯავრობთ, ანდრე?

— ოჰ, ჩემო კარგო პაწიავ, განა შეიძლება შენზედ გაჯავრდეს ვინმე, შენ იმოდენა ტანჯვა გამოიარე, უპასუხა გაოცებულმა გუდარმა.

— ამ ორმა თვემ გონებაში ჩამაგდო მე, ანდრევ! მე ბევრი მიფიქრია და ძალიან ვნანობ, რომ ყველა ჩემს მოსიყვარულეს მწუხარება მივაყენე. მე ისე მოვიქეცი როგორც უგუნური ბავშვი. ჩემი დედ-მამა მართალნი იყვნენ...

სესილი წყვეტით ლაპარაკობდა და ეტყობოდა რომ ლაპარაკი უმძიმს. ხოლო მისნი მსმენელნი ისე გაოცებულნი იყვნენ მის სიტყვებზედ, რომ ვერა შენიშნეს რა. ადელი წრეს გასული გაოცებისაგან, გონება დაბნეულსავით შეჰყურებდა თავის ქალს, თითქო არაფერი არა ესმის რაო.

— ეჰ, სესილ, უპასუხა გუდარმა: შენ რომ არ დაგეწყო, მე არას გეტყოდი. ეხლა კი უნდა გითხრა, რომ შენ მე დიდი უბედურება მომაყენე. მაგრამ მე ამისათვის შენ არ გამიკიცხვიხარ, მე ვიცოდი რა გრძნობის გამოც შენ მე ეგრე მომექეცი.

სესილმა ისე შეხედა თითქო ჰკითხავსო „რა გრძნობის გამოო“ და გუდარმა დაუმატა:

— დიახ, შენ სხვა გიყვარდა და მე ნება არა მაქვს ამისათვის დაგემდურო. მე ვიცი, რა რიგადაც ეწამება ხოლმე ადამიანი სიყვარულისაგან; შენ მე მიყვარხარ და მე კი შენ არ გიყვარვარ.

— ანდრე, მე შენდობას გთხოვთ ყოველს მასზედ, რაც მოხდა, რაც სირცხვილი მე მოგაყენეთ და მზათა ვარ ყოველივე ეს გამოვისყიდო, თუ კიდევ მრაცხთ მე თქვენდა საკადრის საცოლეთ.

გუდარმა გაოცებით ყურება დაუწყო. კლოდს კი უხაროდა.

— რაო, ეგ რა სთქვი, სესილ? წამოიძახა ადელმა.

ქმარმა მრისხანეთ დაუყვირა:

— ადელ, საცა შენი საქმე არ არის, ნუ გაერევი ხოლმე. დააცა მოილაპარაკონ.

გუდარი უფრო ახლო მივიდა სესილის საწოლთან, უნდოდა დაფარული აზრები მის თვალებში ამოეკითხნა, მაგრამ ახალ-გაზდა ქალმა თავი ჩაღუნა.

— სესილ, მე ვერ გამიბედნია დავიჯერო ის, რაც შენ მითხა-

რი. მე რა უნდა შეგინდო შენ? მე თვითონ, ჩემდა უნებურად, გავხდი ყოვლის ფრის მიზეზათ. რაც შეეხება სირცხვილს, დეე სხვამ რაც უნდა იყბედოს, მე სხვისი ლაპარაკი ჩალადაც არ მიმაჩნია.

გუდარს ეჩვენა ვითომც სესილმა ჩუმად ჩაიჩურჩულა: „ჰო, ეგ მე დიდი ხანია ვიცოდი.“ მაგრამ, რა საკვირველია, გუდარი ამაში შემცდარი იყო; სესილ ამას ვერ იტყოდა და გუდარმა განაგრძო:

— სესილ, მე შენ მიყვარხარ და თუ შენ უწინდელზედ უფრო გონიერ შეიქმენ, გაიგე ჩემი სიყვარული და გინდა შენს უწინდელს უგუნურს ქცევას ყოველივე კვალი წაუშალო... მე ხელახლად ვითხოვ შენს ხელსა. რაც მოხდა, მოხდა... ეხლა აღარავინ არის იმისთანა, რომ შენ გიყვარდეს და მე ეჭვი ვიქონიო.

ახალ-გაზდა ქალის სახე კანკალით შეიკუმშა.

— შენ ისევ ის ღირსეული და მშვენიერი ახალ-გაზდა ქალი ხარ რაც იყავი, უთხრა გუდარმა: გსურს თუ არა ჩემი ცოლობა.

სესილმა თავისი ხელი გაუწოდა გუდარს, ამოიკვნესა მძიმედ და უთხრა:

— მსურს.

— მადლობა ღმერთს! აი ეხლა დაამტკიცა, რომ ჩემი ქალია! დაიძახა ტიუსსომ, მივარდა სესილს და კოცნა დაუწყო: შენ სწორედ ჩემი ხასიათი გამოგყვა. მიხვდი თუ არა, რომ დამნაშავე ხარ, მაშინვე პირ-და-პირ, გულ-ახდილად, აღიარე; ტყუილ მორცხობას არ აჰყევ და შენი დანაშაული შენვე გამოისყიდე. ბარაქალა, სესილ, ეგრე უნდა მოიქცეს ხოლმე კაცი.

გუდარის სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა, დაეცა მუხლზედ და კოცნა დაუწყო სესილის ხელს. მარტო ადელს ჩაეჭიდნა მაგრა ხელი ტახტისათვის, რომ თავ-ზარ-დაცემულს ბანგვანი არ მოედო იატაკზედ. ბოლოს ღონე მოიკრიბა და მტკივნეულობის კვნესით დაიძახა:

— არ იქნება, არა!

— ეხლა წაბძანდით, უთხრა სესილმა მამასა და გუდარს: — მე

ვჰსთქვი „მსურს“ მეთქი და საქმე გათავებულია. მე მინდა დედა-ჩემთან მარტოდ დავრჩე!

ისინი დაემორჩილნენ. გუდარმა გამარჯვებულის თვალით შეხედა ადელს, ადელმა თამამად გაუსწორა თვალი და თავის მტანჯველს შეხედა მუქარითა და რისხვითა. როცა მარტო დარჩა თავის ქალთან, ადელი დაეცა ქალის წინ მუხლებზედ და ცრემლით შეჰსტირა:

— სესილ, სესილ, შვილო ჩემო, ნუ, ნუ შეირთავ მაგ კაცსა.

— ნუ ჰსტირი, დედი. ეგ გათავებულია. მე მაგ კაცს შევირთავ.

— მე არ მინდა ეგ მოხდეს... გესმის... არ მინდა მეთქი. ეგ შეუძლებელი!

სესილი გადეხვია დედას ტირილით და ნებიერად უთხრა:

— ვაი, საწყალო დედავ!

ადელს ისე გაუკვირდა ეს ალერსიანი ხმა ქალისა, ქალის ტირილმა ისე ატკინა გული, რომ გაშტერებით უყურება დაუწყო.

— არა, სესილ, უთხრა ქალს ვედრების ხმითა: შენ ის კაცი არ უნდა შეირთო, არ შეიძლება, რომ შენ იმისი ცოლი იყო. ღმერთი, შენი მკვდრეთით აღმადგენელი, არ ინებებს მაგ ქორწინებას, რომელიც სიკვდილზედ უარესია. ნუ, ნუ, გევედრები მუხლ-მოდრეკილი, ნუ იქ მაგასა! უარ-ჰყავ ეგ საზარელი ფიქრი. ნუ თუ დედაშენი აღარ გიყვარს?

— დედი, ადეგ. ჩემი გადაწყვეტილება შეურყეველია.

— არა, არ იქნება, არ უნდა იქმნას, ვერც იქმნება, ვერც!

უეცრად გული მოეცა, და გმირის თამამობით საწყალმა დედაკაცმა დაიძახა:

— მაგაზედ არის დამოკიდებული შენი სიცოცხლე! რაც გინდა იფიქრე ჩემზედ, მე კი ყველაფერს გეტყვი! სესილ, ეგ შენი ქმარი ვერ იქნება, იმიტომ რომ იყო ჩემი...

ამ სიტყვებზედ სესილი გადმოხტა ქვეშაგებიდამ, გადეხვია დედას და პირზედ ხელი მიაფარა.

— ნუ, ნუ იტყვი... მე თვითონ ვიცი, ძლივს წარმოსთქვა სესილმა.

— შენ იცი! ჰსთქვა გაფითრებულმა ადელმა და თვალები გიჟსავით აერია.

— ვიცი.

ადელი სელზედ დაეცა, რომელიც იქავ ქვეშაგებთან იდგა და ჩაღუნა რა თავი სირცხვილის გამო, თავის-თავს უთხრა:

— ამას ჰსცოდნია!... ჰსჩანს ყველას შეუტყვია.

სესილი იქავ ქვეშაგებზედ ავიდა, მაგრამ მაინც გაიწოდა ხელი და დედას მოჰხვია. საწყალმა დედა-კაცმა ქალს ხელზედ კოცნა დაუწყო, სირცხვილით თავი მაღლა ვეღარ აიღო და უთხრა:

— მე ვარ ულირსი, საზიზღარი, ნამუს წამხდარი დედა-კაცი! მაგრამ უნდა კი შემიბრალო მე, უბედური.

— არა, არა, დედილო, დაიძახა სესილმა: განა არ ვიცი, რომ შენ მსხვერპლი იყავ, მსხვერპლი. მე ეგ ამბავი ვიცი. მე ერთხელ კაბას ვეძებდი შენს საწოლს იქიდამ ოთახში და ყური მოვკარ, რასაც გუდარი გელაპარაკებოდა. მე მივხვდი, რომ შენ დამონებული ხარ და გინდა თუ არა უნდა მის ნებაზედ გაარნა, თორემ თავზედ ლაფს დაგასხამდა და ქმარსაც დაგილუპავდა. მე მივხდი, ჰაი ძვირფასო დედი-ჯან, რომ ძალად დაგინებია, რომ შენ გაგაუბედურა. უბედური ხარ, დედი-ჯან, მაგრამ შენ იმავ კარგ დედა-კაცად დარჩი, როგორიც უწინ იყავ, ის კი უნამუსო კაცია და გულქვილიდი.

— ჰაი საწყალო შვილო: და შენ მაინც იმ ავაზაკას შერთვა გინდა?

— დიახ, დედი... იქნება იმისათვისაც, რომ შენი ჯავრი ამოვიყარო.

— ნუ, ნუ... მე არ მინდა ეგ ჯავრის ამოყრა. მე ჩემი თავი შენის ბედნიერების მსხვერპლათ დამიდვია. მე არ მინდა, რომ შენ ტანჯულ იქმნე ჩემის უნამუსობის გამო.

— უნამუსობისა კი არა, დედავ, უბედურებისა.

— ქვეყანა უნამუსობას ეძახის. არა, არა,—გაიგე, რომ მე არ მინდა რომ შენ ცოლად გაუხდე ჩემს დამღუპველს. არ უნდა შეირთო, არა.

— საჭიროა.

— რა მიზეზით?

— რა მიზეზით! ყური მომიგდე, დედი-ჯან! მე შემეძლო ეხლავე უარი მეთქვა ანდრესათვის და საქმე ამით გათავდებოდა.

— მე მაგის იმედი მქონდა.

— მაშინ სრულებით ჩვენზედ ხელს აიღებდა. მე ვწერ ხოლმე ჩვენის ქარხანის ანგარიშების წიგნებსა და ვიცი რა მდგომარეობაშიაც არის საქმეები. ჩემი უარის თქმა მამა ჩემს გააკოტრებდა, გააგლახაკებდა და შენც სახელს გაგიტეხდა. განა ვერ გაიგე როგორ დაგემუქრა შენ, წავალ და ქვეყანას შევატყობინებო. მე და შენს ამბავსაო.

ადელმა ხელი აიფარა სახეზედ და სლოკინით მოჰყვა ტირილს.

— ნუ ჰსტირი, დედი, შენს გულის-წვას მიზეზი აღარა აქვს. მე ვიცოდი, რომ ჩემი სიკვდილი თქვენ ყველას გამოგიხსნიდათ ამ ჯოჯოხეთიდამ, რადგანაც გუდარი იგრძნობდა, რომ თვითონ არის ჩემის სიკვდილის უნებური მიზეზი და ვერ გაბედავდა თქვენზედ ხელის აღებას, ქვეყანა ყბათ ამიღებსო. მე მიყვარდა მორისი, მე ყველაფერი გავცნობე მორისს და ერთად გადავწყვიტეთ, რომ თუ კაცთა წინაშე ჩვენი ცოლ-ქმრობა შეუძლებელია, ღვთისა წინაშე მაინც ცოლ-ქმარნი ვიქნებით მეთქი.

ადელმა თავი მაღლა აიღო და გულ-მოდგინებით ყურს უგდებდა თავის ქალს. უკვირდა როგორ თუ სუსილმა, რომელსაც ბაშვათ ჰკრაცხდა, ეს ამისთანა საზარელი და საშინელი საქმე განიზრახაო და აღასრულაო

— მე შინიდამ წაველი, დილით კი არა, როგორც თქვენა გგონიათ, არამედ წინადღეს საღამოს. რომ გამოგეთხოვეთ, დავწერე ბარათი, რომელიც სტოლზედ გეპოვნათ და გავწიე ბასტილიის მოედნისკენ, სადაც მორისი მელოდდა. წამიყვანა თავის სახლში, სადაც ყვე-

ლაშქარი მოემზადებინა. ჩვენ ორმავე საწამლავი დავლიეთ, ეს ბეჭედი გამიკეთა თითზედ და ჩვენ...

— რაო? რას ამბობ, რას, სესილ? დაიძახა გონება დაკარგულმა დედამ.

— გათენებისას გამომეღვიძა... მორისი გვერდითმე წვა მკვდარი.. მე იმის შემდეგ აღარ მინდოდა მეცოცხლნა... მე შემოვიკრიბე უკანასკნელი ღონე და წყლისაკენ გავიქეც... სხვა ხომ შენ თვითონ იცი.

— ვაიმე, ვაიმე! დაიკივლა საწყალმა დედა-კაცმა.

უბედურმა დედამ არ იცოდა რა ექნა და პირღია, გამშრალი შეჰყურებდა სესილსა.

— დედი, მე ვიყავ ცოლი მორის ფერანისა, ეხლა იმისი ქვრივი ვარ და... იმისის შვილის დედაც ვიქნები.

— რაო? შენ...

— აი ეხლახან ექიმს ყოველს ფერში გულ-ახდილად გამოვუტყდი. ეს გულის ზიდილი რომ მომდის, ორსულობის დასაწყისია, შენ კი გეგონა, რომ მოწამლულობის გამო მომდის.

— ვაი, საბრალო შვილო რაღა უნდა ვქმნათ! დაიძახა დედამ სასოება-დაკარგულმა.

— მე აგი გითხარ, დედი... გუდარი უნდა შევირთო მეთქი, წარმოჰსთქვა სესილმა გაბოროტებულის ღიმილითა: ჩემს შვილს მამა უნდა... მეც მორისის სისხლი უნდა ავიღო... გუდარია მისის სიკვდილის მიზეზი. ახლა ხომ ხედავ, დაუმატა სესილმა გულწრფელის აღსარებათ გულდამშვიდებულმა: ხომ ჰხედავ, რომ აუცილებლად საჭიროა გუდარი შევირთო. დეე შვილი მაინც გაზარდოს, რაკი მამა მოჰკლა.

— შენ თვითონ მოგივიდა ფიქრად ეგ საშინელი ფიქრი? სესილ, შენი განზრახვა თავზარსა მცემს!

— შენ ნახავ, დედი, რა რიგად უწყალოდ გადავახდევინებ მაგ კაცს... შენ ჯერ ყველაფერი არ იცი... ახლა ღონემ მიკლო და დავ-

სუსტდი... ცოტას ხანს ნება მომეც თავი ძილს მივცე... გვიანაც არის. წადი და მამა ჩემი გაახარე, რომ შენც თანახმა ხარ ჩვენს ჯვარის-წერაზედ. მშვიდობით, დედი.

სესილმა ეს უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოჰსთქვა, როგორც ბავშვმა და ალერსით აკოცა დედას. ადელი გამოვიდა ოთახიდამ თავ-ზარდაცემული და როგორც მთვრალი ბარბაცებდა კედელ-კედელ მი-მავალი.

იმ დროს როცა სასადილო ოთახში შევიდა, მისი ქმარი და გუდარი არაყსა ჰსვამდნენ.

— ეხლაც აუხირდები შენის შვილის სურვილსა? მკვახედ ჰკითხა ქმარმა.

გუდარმა თვალები შეაფეთა, ვნახოთ რას იტყვისო. ადელმა ღი-მილით შემოხედა.

— აღარა, პირიქით, მეც თანახმა ვარ, უპასუხა: ეხლა კარგა და-ლაგებით მოვილაპარაკეთ და ვხედავ რომ ჩემი სესილა სწორეს ამ-ბობს. ეხლა იმისი გათხოვება თავის-დადება აღარ არის. რაც მოხდა, მას შემდეგ უნდა მალე გათხოვდეს და მეც სრულებით ამისი თანახმა ვარ.

გუდარს ჯერ იამა ვერც ეს სიტყვა ადელისა და ვერც კილო.

— ძლივს! დაიძახა მხიარულად ტიუსსომ; მაშ, ჩემო სიძევ, შენი სადღეგრძელო იყოს.

## თავი IX

### გუდარს თავისი ბედნიერება აშინებს.

ხმა რომ გავარდა სესილი ტიუსსოს ქალიო ისევ გუდარს ირ-თავსო, ყველა გაოცდა და გასაოცარიც იყო იმის შემდეგ რაც მოხ-და. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ სესილმა თავს მოკვლა გან-ზრახ მოიგონა მარტო იმისათვისაო, რომ თავის ძველი არშიყი თავიდამ როგორმე მოეშორებინაო, — და თვითონ გუდარზედაც ეჭვი აი-

დღეს, ვითომ ეგ მეორე საყვარელი იყოვო სუსილასიო და ეგეც ერია სუსილასაგან ნათამაშებ კამედიაშიო, ყველა შინ დაობებული გასათხოვარი ქალი, ყველა კუზიანი, ელამი, კოჭლი და მახინჯი შთამომავალი ევასი, ამაოდ საქმროს მონატრენი, ლუკმა-ლუკმა ჰსწეწდნენ ლამაზს საცოდავს სუსილას, მაგრამ მართალი კი არ იცოდნენ. ნეტა რას იტყოდნენ რომ ნამდვილი მიზეზი ჰსცოდნოდათ?

ტიუსსოს სახლმა ისევ სადღესასწაულო სანახაობა მიიღო. დილიდამ საღამომდე ერთს დიდს სამზადისში და ფაცი-ფუცში იყვნენ.

— ეხლა მე გულ-დადინჯებული ვარ, ამბობდა ტიუსსო: მე დარწმუნებული ვარ ჩემს ქალზედ. რკინასავით მაგარი გული აქვს, დიდხანს იცის მოფიქრება და თუ ერთხელ დააპირა რამ, დარწმუნებული იყავით, რომ აასრულებს კიდეც.

სუსილი კი საოცრად გამოიცვალა. მისი სახე ყოველთვის დაღვრემილი იყო, მაგრამ ხანდისხან ისეთი უცნაური უმიზეზო სიცილი და ხარხარი აუტყდებოდა, რომ კაცს ტანში ჟრჟოლას მოჰგვრიდა, კაცი იტყოდა: ეს რა ემართებაო. მარტო დედამ იცოდა ნამდვილი მიზეზი ამ ძალად მოყვანილის სიცილისა და მხიარულებისა, რომელთაც მოჰყვებოდნენ ხოლმე სევდიანი დღეები და უძილო ღამეები. ძალიან ჰსწუხდა საწყალი დედა თავის ქალის თაობაზედ და მეზობლები კი ამ მწუხარებას იმას აწერდნენ, შურსო რომ სუსილი საყვარელს ართმევსო.

გუდარიც კი ფიქრში ჩააგდო ამ უმიზეზო სიცილმა და მხიარულებამ, მაგრამ სხვაფრივ კი და მოაგონდა გულის კდომით ის უკანასკნელი სიტყვები, რომელიც სუსილმა პირველ ქორწილის წინად უთხრა: „მე თქვენ გითხარით, ბატონო ანდრე, რომ მე ჩემის დედმამის მორჩილი ვარ და ეხლა მეც ისე მოვიქცევი, რასაც ისინი ჩემს საკეთილოდ მოინდომებენ. თქვენ იცით, რა გვარი გრძნობაც მიმიძღვის მე თქვენდამი, მაგრამ არ ჰსდომობთ ამას ყური ათხოვოთ. ძალიან კარგი, ხოლო თქვენ იქნებით პასუხის მგებელი ყოველს იმაში, რაც შესაძლოა რომ მოხდეს.“ მაშინ გუდარმა ქვეშ-ქვეშად ჩაი-

ცინა, მხრები აიწია და თვალები ბოროტებით გაუბრწყინდნენ, ეხლა კი ეს სიტყვები არ ასვენებდნენ. მართალია რომ სესილი ბედისაგან გაწბილებული მირთავდეს მეო, ამბობდა გულში გუდარი: მარტო იმის ძალით მირთავდეს რომ არ უნდა დედ-მამას ეურჩოს და ამასთან იმ განზრახვითაც, რომ შეასრულოს მუქარა, რომელიც მთლად გამოჰსთქვაო ამ სიტყვებით: „თქვენ იქნებით პასუხის მგებელი ყოველსფერში, რაც შესაძლოა რომ მოხდესო,“ მაშინ რა მომელისო. ეს ფიქრი ისე აწუხებდა, რომ განიზრახა წინადღითვე რიგიანად მოელაპარაკოს სესილს.

მეორის ქორწილის წინა დღეს სესილი ივანჯარასთან იჯდა. მამა მისი ქარგლებს ისტუმრებდა, დედა კიდევ კაბას იმზადებდა ხვალინდელის დღისთვის. გუდარი გულ-ამღვრეული და ძალიან შეწუხებული მიუჯდა თავის საცოლოს გვერდით. ქალი შეკრთა, მაგრამ საქმრომ ვერ დაინახა ეს შეკრთომა. გუდარს როგორღაც ვერ ეხერხებოდა. არ იცოდა საიდამ დაეწყო.

— ხვალ... ძლივს გათავდება ყველაფერი, სესილ! ჰსთქვა მან ძალ-დატანებით: რომ იცოდე რა რიგად მინდა რომ ხვალინდელმა დღემ მალე გაიაროს...

— რათა? იკითხა სესილმა გულ-დინჯათ და არც კი აიღო მაღლა თავი.

— მე ისეთი მწუხარება გამოვიარე ამ ორის თვის წინად...რომ მე კიდევ ვშიშობ.

— რათა, ბატონო გუდარ, მე ეხლა სიტყვა მომიცია, მაშინ კი უარზედ ვიყავ.

— მართალია, მეც ვიცი, რომ შენ შენის სიტყვის ქალი ხარ. აი სწორედ მაგიტომაც მინდა ერთი რიგიანად მოგელაპარაკო.

სესილმა თავი მაღლა აიღო და მისი ცივი თვალი ზედ დააშტერდა გუდარს.

— ბძანეთ, მე ყურს გიგდებთ.

— ჯერ პირველში ისე სასტიკად მომექეცი მე, რომ ეხლა არ

შეიძლება არ ვიკითხო: იქნება სხვის ნებას ემორჩილები, რომ დღეს ნებულობ იმის ქმნას, რასაც უწინ ისე გულგახეთქებით ერიდებოდი.

— დიახ, მე ვემორჩილები ნებას...

— რაო?

— მე ვემორჩილები სებას სხვისას კი არა, ჩემსას. მე ეს გითხარით მაშინ, როცა თქვენთან ბოდიში მოვითხოვე.

— მაშ შენ არავის ძალას არ გატანს ჩემის შერთვისას?

— არავინ, ჩემის გონების მეტი.

— ოხ, ღმერთო! ჩემო კარგო სესილ, უთხრა გუდარმა და გადიწოდა რომ ხელზედ ხელი წაევლოს, მაგრამ ქალმა თითქო ეს მოძრაობა არ დაინახაო, ხელსაქმეს მოჰკიდა ხელი: — მე ვიცი რომ არ გიყვარვარ. მაგრამ შენ ხანში ქალმა არ იცის ჯერ რა არის სიყვარული. შენ თითონ ბოლოს სიცილათაც არ გეყოფა შენი უმაწვილური სიყვარული.

— ნუ თუ?

— სწორედ. ეგ სიყვარული არ არის.

გუდარი ჰგრძნობდა, რომ სულელობას ლაპარაკობს, მაგრამ ვერ მიახწია იმ საგნებამდე, რომელნიც ძილს უფთხობდნენ. სიჩუმე ჩამოვარდა და რასაკვირველია, სესილს სურვილიც არა ჰქონდა თვითონ დაერღვია ეს სიჩუმე, გუმანი კი მიტანილი ჰქონდა, რომ გუდარს გულზედ რაღაც ლოდი აწევს, მაგრამ ლაპარაკი ვერ მოუხერხებია.

— მაშ შენ შენის სურვილით ირთავ ეხლა ქმარს.

— სწორედ.

— არ ნანობ მაგას?

— არა. ნეტა რათა მკითხავთ მაგაებს?

— მათა რომ ვშიშობ.

— რისა გეშინიანთ?

— შენ ძალიან გამოიცვალე ამ ბოლო დროს; შენ ყოველთვის პირდაღვრემილი დადიხარ, მაგრამ ერთ უბრალო მიზეზზედ უცბად ასეთს ხარხარს მოჰყვები ხოლმე, რომ არ იცის კაცმა რა იფიქროს.

— მართალია, თქვენ სწორეს ამბობთ, ხოლო ეგ სნეულების შემდეგ დამრჩა. მაგრამ ნუ შიშობთ, ანდრე, ხვალ ასეთ მხიარულად ვიქნები, ისე გულწრფელობით მხიარულად, რომ მეტი აღარ იქნება

— მე თქვენ მიყვარხართ, სესილ და მეშინიან, რომ თქვენ...

— მე გეუბნებით, ანდრე, უთხრა ახალგაზდა ქალმა რაღაც უცნაურ ღიმილით: რომ ხვალ მე ძალიან მხიარულად ვიქნები, ძალიან ბედნიერი. ხვალ მე იმას მოვიქმედებ, რაც მე მსურს, გესმით თუ არა, რაც მე მსურს.

გუდარმა თვალი დააცქერა, სურდა გაეგო როგორმე ამ სიტყვებს ხომ სხვა საიდუმლო აზრი არ აქვთ რაო. ქალმა გულდინჯად, ღიმილით გაუსწორა თვალი გუდარს და გუდარი კი ფეხზედ წამოვარდა გაფითრებული.

— ნეტა რას ნიშნავს ყოველი ეს? წაიდუდუნა თავის-თავად.

მაგრამ მალე კი დამშვიდდა. „რა უნდა მაშინებდეს, ჰსთქვა გულში გუდარმა: სესილი პატიოსანი ქალიაო, არაფერს სამაგლობას არ იკადრებსო. თუ ყმაწვილეურის სიყვარულის გამო, თავი ვერ დაიჭირა და მეტად შორს წავიდაო, იმ უბედურებამ რაც გადახდაო, ხომ გამოაფხიზლაო და ეხლა უფრო მოტკბილდაო და გონებაში ჩავარდაო“. თუმცა სესილის ცვლილებას ამ რიგად ხსნიდა გუდარი, მაგრამ ადელის საქციელი კი ვერას გზით ვერ ახსნა, თუმცა ისიც ამ ბოლოს დროს სრულებით გამოიცვალა. გუდარს ახსოვდა მისი ახირებული წინააღმდეგობა, ის საშინელი ამბავი; რომელიც მოხდა მათ შორის სესილას დაკარგვის დღესა და უკვირდა ეხლა რად გახდა თანხმაო ჩვენს ქორწინებაზედაო მაინც და მაინც ამით ინუგეშა თავი, რომ იქნება სესილის შეურყეველ ნებამ დაიმორჩილა დედაო. მაგრამ მაინც კიდევ ეოცებოდა და აშინებდა, რომ ყოველისფერი აგრე კარგად დაეწყო. ეს ცუდი ნიშანიაო, ჰფიქრობდა.

მეორე დღეს სენ-თრანსუას ქუჩა ჭედით იყო გატენილი ხალხით, რომელიც ტიუსსოს სახლის კარებთან ირეოდა ბუზივით. ყველა ნატრულობდა დაენახა როგორ წავიდოდა ჯვარის საწერად „ახალგაზდა ქალი, რომელიც წყალში თავს იხრჩობდა". ხალხში ახალს ჭორებს ლაყბობდნენ, რომ კაცს ჯვარის წერა კი არა, თვითონ ამაზედ ფიქრიც გულს გაუსიებდა. სტუმრები მრავალნი იყვნენ: მშობლებს უნდოდათ რაც შეიძლება ჩუმი ქორწილი გადაეხადნათ მას შემდეგ რაც მოხდა, მაგრამ წამ და უწუმ სამდურავს უთვლიდნენ და ისე მოხდა, რომ მოიწვიეს არამც თუ მარტო ნათესავნი და მახლობელნი, არამედ ყველა ნაცნობიცა

— ჩემთვის დიდად სასიხარულოა, რომ აგრეთს საყვარულსა ვხედავ ყველასაგან ჩვენდამი, ჰსთქვა ტიუსსომ: გარდა ამისა რაკი ხალხში ხარ, ხალხს უნდა პატივით მოექცე.

ნამდვილად კი ყველას ის ფიქრი ჰქონდა, რომ ეს უცნაური ქორწილი ისე არ გათავდებაო, რომ ერთი რამ ამბავი არ მოხდესო, ამიტომაც ყველას უნდოდა ქორწილს დასწრებოდა.

როცა დასასრულ მეჯვარემ ეტლი მოითხოვა და პატარძალი უნდა ჩაესვა, ხალხში ერთი არეულობა მოხდა. ყველამ წინ წამოიწია. კისრები წამოიწვდინეს, თვალები გააფაციცეს; სესილი კარებში გამოჩნდა; კდემით თვალებ ძირ-დაშვებული, თეთრ საქორწილო კაბაში იგი იყო საოცრად მშვენიერი.

— უჰ! რა ლამაზია! გაისმა ხმა ხალხში.

სესილი მოხდენით ჩაჯდა ეტლში. იგი თითქო არასა ხედავსო, თითქო არაფერი ესმისო, თითქო სიზმარშიაო და იყო მარტოდ-მარტო იმოდენა ხალხში. მისთვის არა რა და არავინ არ არსებობდა. საწყალი ჯვარს იწერდა ნამდვილს საქმროზედ კი არა, არამედ იმაზედ, რომელიც მას წარმოდგენილი ჰყავნდა ოცნებით.

გუდარის დანახვაზედაც ერთი დიდი ხმაურობა აჰსტყდა დედაკაცებ შორის და ამასთან ზოგიერთი განძრახ ხმას იმაღლებდნენ, რომ აგებ ჩვენც ყურადღებას მოგვაქციონო.

ბოლოს, საქორწილო გუნდი დაიძრა. მერთან ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, საქმრომ და პატარძალმა ხმა-მაღლა და გარკვევით წარმოსთქვეს ბედის-წერის სიტყვა: „ჩემი სურვილიაო." სტუმრები ამრიზნენ, ეგონათ უხათაბალოთ არ გათავდებოდა, მაგრამ მოსტყუვდნენ. ეკკლესიაში აღარაფერს აყალ-მაყალს აღარ მოელოდნენ და ამიტომ გადასწყვიტეს, ვნახოთ ეს დღე რით გათავდებაო, საღამო რას იტყვისო. საღამომდი აღარ დაჰცალდათ, რასაც ელოდნენ ეკკლესიაში მოხდა. შუა ჯვარის-წერის დროს უცბათ მაყურებელთ შორის ჩოჩქოლი მოხდა.

— რა ამბავია, რაო? ყოველ-მხრივ კითხულობდნენ.

ამ დროს საქმროს და პატარძალს ბეჭდები უნდა შეეცვალათ. სესილი უწინდებურად განმარტოებული ამოდენა ხალხში, თითქმის თვალებ დახუჭული, ცდილობდა წარმოედგინა სანატრელი სახე მორისისა რომელზედაც აზრით ჯვარს-იწერდა. ისე გაუწოდა ხელი გუდარს, რომ მისკენ არც კი მოუხედნია. გუდარმა, მოხარულმა რომ ნატვრა როგორც იყო აუსრულდა, ღიმილით ჩამოართო ნაზი ხელი ახალ-გაზრდა ქალს, რომელიც ეხლა მის ცოლად შეიქმნა,—და უნდოდა თავისი ბეჭედი გაეკეთებინა თითზედ, მაგრამ თვალი შეასწრო, რომ სესილს ხელზედ დიდი ქორწინების ბეჭედი აქვს.

— სესილ, უთხრა ჩუმად და გაოცებით: ეგ ბეჭედი შეიხსენ.

სესილმა ასეთის მძულვარებით და ზიზღით გადმოხედა გუდარს რომ გუდარი შეკრთა.

— ეს რა ამბავია! დაუმატა გუდარმა, შეიკრა წარბი და წასწვდა, რომ წამოაძროს ბეჭედი.

სესილმა ისე აჩქარებით მოაცალა ხელი, თითქო გუდარის ხელის ხლებამ ჩირქი მოაცხოვო.

— ეს ქორწინების ბეჭედი იმისგანა მაქვს, ვის მერმედაც მე ქვრივათ დავრჩი.

— გუდარი გაშრა. ხოლო ღვდელმა რა დაინახა, რომ სესილას

თითზედ ბეჭედი ბრწყინავს, ეგონა რომ ბეჭდების შეცვლა გაათავე-სო და განაგრძო ლოცვა.

კიდევ ვარგია, რომ სკამებზედ ჩამოჯდომის დროც იყო. ანდრე დაეცა თავის სკამზედ გულ-გასიებული. თვალთ დაუბნელდა. რას ნიშნავდნენ სესილის სიტყვები, ისე მკვახედ ნათქვამნი და ან რა განზრახვით შემოდის ჩემს სახლშიო სესილი? ჰფიქრობდა გულში გუდარი. გუდარს ხელში შერჩა შესაცვლელი ბეჭედი და არ იცოდა სად მიემალა. ეგონა, რომ ყველანი ჩემს ხელებს უცქერიანო. არ იცოდა, რომ ქალებმა ვერაფერი დაინახეს და ვერც ვერა გაიგეს რა, მარტო ნანობდნენ, რომ ვერ შენიშნეს სასიძოს ბეჭედი უკანასკნელ სახსრის ქვემოდ დაადგა თითზედ პატარ-ძალს, თუ არა. ამის შეტყობა იმისთვის უნდოდათ, რომ ეგ ნიშანია ცოლი იუფლებს ქმარ-ზედ, თუ ქმარი ცოლზედ. ეს კია რომ ყველამ შეამჩნივა რომ გუ-დარი ავ-გუნებათ შეიქმნა. გუდარმა იგრძნო, რომ ყველანი შემოჰსცქერიან, ძალა დაატანა თავს, ბეჭედი ხელთსახოცში გაახვია, შუბლი-დამ ოფლი მოიწმინდა, და რომ სასაცილოდ არ გაიხადოს თავი, მოიბრუნა კისერი და ღიმილით სალამი მიჰსცა ახლო-მახლო მდგარს ნაცნობებსა, მითამ აქ არაფერიაო.

ჯვარის წერა გათავდა. გუდარმა ხელი მოჰკიდა ცოლსა და გა-მოვიდა ეკკლესიიდამ. სტუმრები თან აედევნენ და ყველა ისწრაფოდა მილოცვასა. გუდარი ჩაჯდა ეტლში, სესილა, სესილის დედა და ერთიც ამხანაგი ქალი სესილასი თან ჩაისვა. გუდარი სულელი კაცი არ იყო და როცა გულში ბალღამი ჰქონდა, მაშინაც თავს, თუ უნდოდა, მხია-რულად აჩვენებდა ხოლმე ხალხს. ეტლში ისე ეჭირა თავი, თითქო, ამაზედ ბედნიერი ქვეყანაზედ სხვა არავინ არისო, ხელთ ეჭირა ცო-ლის თაიგული, უსწორებდა კაბას და ჰკითხავდა ხომ არ დაიღალეო.

ამის გამო სტუმრებმა, რომელნიც ერთს ალიანქოთს მოელოდ-ნენ და თამაშის სანახავად მოსულიყვნენ, გულიდამ ამოიღეს ეს ყვე-ლაფერი და შევიდნენ ტიუსსოს სახლში მარტო იმისთვის რომ ლხინი გასწიონ. ყველანი ალიარებდნენ, რომ გუდარი ბევრად უკეთე-

სია მასზედ, რასაც ამბობდნენ: მეტად მართებულად ექცევა ყველასაო, ქალებთან პატივის-ცემით არისო და ცოლსაც სიყვარულით და მოწიწებით ეკიდებაო. ყველანი ამბობდნენ, რომ სესილი ძალიანა შვენისო და თუმცა ღიმილი, რომელიც სესილას სახეს არ შორდებოდა, ზოგიერთს ქალს არ მოსწონდა და ამბობდნენ სულელურიაო, მაგრამ როცა გაიხსენეს თავიანთი ყოფა ქორწინების დღეს, იგრძნეს, რომ თვითონაც ეგრე იყვნენ. ადვილი, აშკარაა, თავის გუნებაზედ არ იყო. ქალები ამას, მოურიდებლად, დაცინვით ლაპარაკობდნენ. თვითონ ტიუსსო კი ისე გახარებული იყო, რომ არ იცოდა რა ექმნა-ორი წყვილი ხელთათმანი დახია სტუმრების ხელის ჩამორთმევაში და კინაღამ არ დახრიწიანდა, იმის გამო, რომ ყველას უამბობდა, რა ნაირად ბედნიერად ხედავს თავის-თავს.

გუდარს უნდოდა თავისი თვალი სესილას თვალისთვის შეეხვედრებინა. სესილმა არ მოარიდა თავი და გულდადინჯებულმა თვალი გაუსწორა. გუდარის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ნუ თუ არ ესმის რა ჰსთქვაო წეღან? სწორედ ესე იქნებაო და ის რაცა ჰსთქვა, უმაწვილობით მოუვიდაო.

იქნება მორისმა და სესილმა რომ ერთმანეთს შეჰფიცეს ერთად დავიხოცნეთო, მაშინ შეჰსცვალეს ბეჭდებიო. ის უბედური მოკვდაო და რასაკვირველია, რომ იმისი ხსენება სესილისათვის დიდი რამ იყოსო. მაგრამ ეს არის საკვირველიო, რადა ამ ჯვარის წერის დღეს გაიკეთა იმისი ბეჭედიო, წინად ეგ ბეჭედი არ მინახავსო სესილას ხელზედაო. „მაინც და მაინცა, იფიქრა გულში: მე უნდა ხმა არ ამოვიღო ჯვარ-ჯვრობით და სტუმრები შევაქციო. შინ რომ მივალთ მოველაპარაკები სესილს და თუმცა არ დავუწუნებ მკვდრების თაყვანის ცემას, მაგრამ მოვითხოვ რომ ცოცხლებსაც უფრო დიდის პატივით მოექცეს.“ ამაზედ ადგა გუდარი, შეუდგა სტუმრების გართობას და ქალებმა ერთის ხმით აღიარეს, რომ გუდარი საუცხოვო და საყვარელი კაცი ყოფილა.

სადილმა მხიარულად ჩაიარა და მას შემდეგ ტანცაობა გაიმართა.

რაც უფრო გვიანდებოდა, ტიუსსოს ცოლი უფრო და უფრო იშფოთებდა გულს. წამ და უწუმ მივარდებოდა თავის ქალს, რაღაებსაც წასჩურჩულებდა ყურში. სესილი გაუცინებდა ხოლმე, რომ გული დაუმშვიდოს.

შუაღამის სამ საათზედ ტიუსსოს ცოლმა ისე ჩუმად გააპარა ახალნი ცოლ-ქმარნი, რომ ტანცაობაც არ დაიშალა. დედას უნდოდა გაეცილებინა ქალი ქმრის სადგურამდე, მაგრამ ვერ მოუხდა.

— შენ ნუ გაირჯები, დედი, უთხრა გადაწყვეტილი სესილმა: მე მინდა მარტო მე და ის ვიყვნეთ.

ადელი გულში ნაღვლით შინ შემობრუნდა სტუმრებთან.

გუდარი დარჩა თუ არა ეტლში მარტო თავის ცოლთან, ხელი გამოართო. სესილმა მიჰსცა ხელი.

— კარგო სესილ! უთხრა და ქალი მოზიდა თავისკენ: შენ გიდევ დიდი მწუხარება მომაყენე. მე ხმა არ ამოვიღე სირცხვილითა, ხოლო ეხლა კი უნდა მოგელაპარაკო.

— დიახ კარგი გინებებიათ, ანდრე. თქვენს გსურთ მოლაპარაკება; ძალიან კარგი, იმედი მაქვს, რომ მოლაპარაკება არ იქნება გძელი.

— თუ გსურს, ნება გაქვს შეირჩინო ეგ ბეჭედი სახსოვრად, ხოლო...

— მერე? მე მარტო ამ ბეჭედს ვიქონიებ ხელზედ და სხვას არა რომელს.

— რას ამბობ? უთხრა აღერსიანად: ჩვენ ხომ ჯვარი დავიწერეთ, შენ ეხლა ჩემი ცოლი ხარ.

— დიახ, მაგრამ მარტო ხალხის თვალში ვარ შენი ცოლი.

— მარტო ხალხის თვალშიო! რას ნიშნავს ეგ?

— ეგ იმას ნიშნავს რომ მე თავის დღეში ცოლათ არ ვიქნები უნამუსო კაცისა, რომელიც ძალით გაუსაყვარლდა დედას ჩემს.

— ოხ! დაიძახა გუდარმა გულგადაფითრებულმა და დააცქერდა სესილს სულელისებრ.

სუსილი დამშვიდებული იჯდა და ელაპარაკებოდა გუდარს გულ-გაუფიცხვლად. ხოლო ყოველს სიტყვას მკვახედ და მედგრად გამოჰსთქვამდა ხოლმე. გუდარი მარტო ეხლა მიხვდა იმ ცვლილებას, რომელიც სუსილას შეამჩნივა უწინ. სუსილა ასრულებდა წინადვე მოფიქრებულს განზრახვასა — იგი ჯავრს იყრიდა. გუდარს შერცხვა.

— ჰო, დედა შენმა ყველაფერი გიამბო? უთხრა გუდარმა, კაი მაგალითია, კარგად უწვრთნიხარ... მაგრამ საქმეს დავუბრუნდეთ. შენ ჩემი ცოლობა არ გინდა, მაშ რა გაქვს ფიქრათ?

— ადვილად მიმიხვდებით. ქვეყნის თვალში ჩვენ ცოლ-ქმარნი ვიქნებით. ეგ სამყოფია ჩემის განზრახვისათვის.

— მაშ თუ ეგრე გეზიზღებოდა კაცი, რომელიც, დედის შენის სიტყვით, იმისი არშიყი იყო, შენ როდი უნდა შეგერთო ქმრათ. შენ ამას ხომ ვერ იტყვი ამ შემთხვევაში, რომ შენზედაც ძალით გახმარეს.

— მე ვიცოდი, რომ მამა ჩემი ულუკმა-პუროთ დარჩებოდა, თუ თქვენ ცოლის გამაუპატიურებელს, ქალი მაინც არ მოგეცემოდათ.

ყოველს ამისთანა პასუხზედ ბოროტი თვისება გუდარისა ყოველს სხვა გრძნობას მისას იმორჩილებდა ხოლმე.

— მაშ კარგი, ჩემო მტრედო, ჰსთქვა მან და უწმაწურათ ჩაიცინა: იქნება შენა გგონია, რომ თუ შენ მარტო სამასხარო ჩემს ცოლობას დაირქმევ, ამით დაიხსნი გაკოტრებისაგან მამას შენსა? ჰსცდები.

— კანონით დღეს შენის ქონების ნახევარი მე მეკუთვნის.

— ეგრე გგონია?

— მე ვიცი რომ ეგრეა.

— ვერ უყურებთ!... შენოდენა ქალისათვის მაგისთანა ოინები დიდი საქმეა... ბარაქალა... შენ გიფიქრია: „დედამ მითხრა, რომ ანდრე უნამუსო კაცია, ძალით გამაუპატიურა, მაშ დედის ჯავრს ამოვიყრი და შევირთავ ქმრათ. მე დედ-მამის სახლობის მეტი არა მაქვს რა, იმას კი ფული ბევრი აქვს. ჯავრს დავიწყებ თუ არა, მერე დღესვე

ისეთი მდიდარი ვიქნები, როგორც თვითონ ის და ნება მექნება ამ გზით მოპოებული სიმდიდრე გადავცე ჩემს მშობლებს, რომელთაც ჩემთან ერთად ეს წმინდა საქმე მოახერხეს... მე მეტად პატიოსანი ქალი ვარ, რომ სხვა ფრივ დავუახლოვდე იმ ვაჟ-ბატონს, რომელიც დედი ჩემის არშიყი იყო... მე შევირთავ იმას, ხოლო პირველს ჯვარის წერის ღამესვე ცალცალკე ოთახებში გავიშლით ქვეშაგებსა. ეს არის რაღა შენი განზრახვა.

— თქვენ ნამდვილად გაგიგიათ ჩემი განზრახული.

— მაშ შენა გგონია, რომ ეგ ისტორია ნამდვილად აგიხდება. შენ გიფიქრია გუდარი სულელიაო, ყველას იმისი ეშინიანო; მე კი უურმოჭრილ ყმათ გავიხდი და მაგრა ჩავჭიდებ ხელსაო.

— მართალია, მე ეგ ვიფიქრე და ვფიქრობ კიდეც უთხრა დინჯათ სესილმა.

— ხოლო შენ დავიწყებული გქონია რომ, როცა ბაშვები ურჩობენ, დასჯიან ხოლმე და როცა სიარული არ უნდათ, ხელს მოჰკიდებენ და მალად ატარებენ. მეც ეგრე მოვიქცევი. მაგრამ მინამ სასტიკს ზომიერებას შევუდგები, ჯერ ყური უნდა მომიგდო რას გეტყვი.

— ბძანეთ, ყურს გიგდებთ

— დედა შენს უამბნია შენთვის იმისთანა რამ, რომ თუნდ მართალიც ყოფილიყო, შენგან უფრო უნდა დაემალა ვიდრე სხვისგან. მაგრამ ეგ თავიდამ ბოლომდე ტყუილია, მე თავის დღეში არ გავსაყვარლებივარ დედა შენს.

სესილმა შეხედა და მხრეში აიწია.

— თქვენში კიდევ კდემის ნიშან-წყალი დარჩომილა, უთხრა სესილმა: და მე მაგას ვაფასებ. ხოლო თქვენ, ბატონო გუდარ, დედის ჩემის საყვარლად კი არ ყოფილხართ, თქვენ ყოფილხართ უნამუსო კაცად, რომელსაც დედა ჩემი საყვარლად გაგიხდიათ...

— ეგ თითონ გითხრათ...

— დედა ჩემს ჩემთვის არა უთქვამს რა. მე თვითონ ჩემის ყურით მსმენია, რომ თქვენ ერთხელ ჰსტანჯავდით და შეურაცხ-

ჰყოფდით ოღონდ კი ნება დაერთო ამ სამარცხვინო ქორწინებაზედ, რომელიც დღეს მოხდა.

— ძალიან კარგი. თუ მართლა შენ თვითონ გაგიგია, მით უფრო ცუდი შენთვის. გავათავოთ ეს კამედია. ეხლა გვიანღა არის. ამაზედ დღეს დილითვე უნდა გეფიქრათ... და რადგანაც მაინც თქვენს განზრახვაზედა დგეხართ, მეც აღარას დაკერიდები.

სესილმა ხმა არ გასცა. სრულებით დამშვიდებული იყო და ის უფრო გულს უხეთქდა გუდარს, რომ სესილი თითქო ქადულობდა რომ რაც უნდა ჰქმნა, ჩემს ხელშია შენი საბელი ყელისაო.

— თქვენგან მოგონილი ამბავი მეტად შესაქცევი ამბავი იქნებოდა, რომ მე ჩაგეთრიეთ, განაგრძო ისევ გუდარმა და აიჭიმა მხრები: ეხლა მესმის რისგამო თხოულობდი, რომ ცალკე ოთახები გვქონდესო. მე კი მგონია, რომ ეს ახირებაა ნებიერის ქალისა, რომელიც უეცრად გამდიდრდა და რომელსაც ჰსურს მთელი პოეზია ცოლ-ქრმობისა გამოიზოგოს და შიშობს რომ ქმარმა უდროვოდ არ ინახულოს მეთქი. მაშ ჰსჩანს, რომ ეს ახირება კი არ ყოფილა, არამედ მტკიცედ წინადვე განზრახული საქმე ჩემის უცოდველის ცოლისა ეჰ, ჩემო კარგო, დროა ოცნების ღრუბლებიდამ ძირს დედა-მიწაზედ ჩამოხვიდე: შენ იქნები გუდარის ცოლი, ნამდვილი ცოლი და ოჯახის ბურჯი.

ეტლიც დადგა.

— მოვედით ჯოჯოხეთის კარებთან, დაუმატა გუდარმა: გნებავთ გამოსვლა.

სესილმა ზიზღით აიჭიმა მხრები.

— უმორჩილესად ვითხოვ, ჰსთქვა მან: ჩვენს ლაპარაკში ცხენების მმართველს ნუ გაურევთ.

გუდარმა ხმა-ამოუღებლივ მიაწოდა ხელი. ქალი გამოვიდა ეტლიდამ, ბეწვიან წამოსასხამში გახვეული და ხელში ეჭირა პატარა აბგა, რომელშიაც, იქნება, მოსართავი ნივთები ელაგა.

— მე თქვენ გითხარით რომ ქვეყნის თვალში მე ვარ მეთქი თქვენი ცოლი, რომელსაც ეგრე ნატრულობდით, უთხრა სესილმა ჩუმად, გაუყარა ხელი და თავი თითქო მხარზედ უნდა დაადოსო ისე გადიხარა.

— წავიდეთ, წავიდეთ, სესილ, უპასუხა გუდარმა ხარხარითა.

მეკარე დახვდა კარებში მეფე-დედოფალს, ბრწყინვალედ განათებინა კიბე და საფეხურებზედ ხალიჩა ჩამოეფინა. მდაბლად დაუკრა ახალს დაქორწინებულთ თავი და ამ დროს მისმა ცოლმა, რომელიც კუთხიდამ იჭყიტებოდა, უთხრა თავის ქმარს:

— დედოფალი ძალიან ლამაზი ყოფილა და მგონია ძალიანაც უყვარს ქმარი. კარგი და ტკბილი ცოლ-ქრმობა ექნებათ.

— თვითონ ძალიან კაი კაცია. ქალები ვინც ამასთან დადიოდნენ, დიდს ქებაში იყვნენ ხოლმე.

გუდარმა შეალო თავის სახლის კარები, ცოლი საწოლს ოთახში შეიყვანა და თითონ კი იქავ სკამზედ ჩამოჯდა.

— აი შენი ოთახი, სესილ, უთხრა მან სიცილითა: აბა ერთი ჩემი აქედამ გაგდება ჰსცადე.

— თქვენ პირველად და უკანასკნელადღა ხართ ამ ოთახში, უთხრა ქალმა გადაწყვეტილად.

გუდარმა გაშტერებით ყურება დაუწყო და ფიქრი მიეცა: ავათმყოფობამ ხომ ტვინი არ შეურყიაო.

— ყური მიგდე, სესილ, უთხრა ალერსით: ჩვენ ეხლა მარტონი ვართ ჩვენს სახლში. ერთი რაციანად მოვილაპარაკოთ. მე იმიტომ შეგირთე, რომ კაი ოჯახის პატრონი მყოლოდა და კარგი დედა სახლობისათვის.

სესილმა სარკის წინ მდგომარემ მოიხადა თავიდამ ყვავილების გვირგვინი და უთხრა დამშვიდებით:

— ქვეყანას სწორედ ეგრე დავანახვებ თავს. მე ფიცი აღმითქვამს იმ ერთის კაცის მკვდარს გვამზედ, რომელიც მე მიყვარდა, მიყვარს და მეყვარება, რომ თავის დღეში სხვას არ ვეკუთვნე-

ზი. მე ქვრივი ვარ, ანდრევ, და ექვსის თვის შემდეგ დედათაც გავხდები.

გუდარის სახე საშინლად შეაშალა. მივარდა ცოლს საზარელის და მუქარის სახითა.

— რას ამბობ, რას? დაუყვირა: შენ მაგას ტყუილად იგონებ.

სესილი ტანში გაიმართა და თვალი თვალში გაუყარა გუდარს და თამამად უთხრა:

— არა, არა ვსტყუი, ქვრივი ვარ მეთქი. ბეჭედი, რომელიც თქვენ გინდოდათ ჩემთვის თითიდამ შეგეხსნათ, თითზედ გამიკეთა მე მორისმა იმ ღირს-სახსოვარს ღამეს, ამ სამის თვის წინად და თქვენ რომ გითხარით: თქვენ იქნებით პასუხის მგებელი მისა, რაც მოხდება მეთქი, წავედი მორისთან და ის ვიქორწე. მე აღუთქვი, რომ მარტო იმისი ცოლი ვიქნები და სხვის არავისა. სხვა თქვენც იცით... ექვს თვეს შემდეგ მე დედა ვიქნები.

ამ უკდემო გულ-დინჯობამ, ამ ახალ გაზდა ქალის უეცარმა გარდაცვლამ თამამ დედა-კაცად გონება დაუბნია გუდარს, მივარდა ცოლს დაგუმშულის მუშტებითა, მაგრამ შედგა, თითქო ერთს ალაგას დაება: იგრძნო, რომ როგორც სულელი ისე გააბრიყვეს, ეხლა იგი საუკუნოს კავშირით შეუღლებული იყო ქალთან, რომელმაც მზითვად მოუტანა სხვისა ბაშვა.

— შენ გეგონა რომ მაგ საძაგელს ქმრობას მე ვიკისრებდი.

— ნებით თუ უნებლიედ იკისრებთ.

— ის აღარ მოგაგონებია, რომ შენ ეხლა ჩემი ცოლი ხარ, ჩემი ნივთი და ამასთან ღონეცა მაქვს რომ ჩემი უფლება ბოროტად მოვიხმარო?

— მე დარწმუნებული ვარ, მაგას არა იქმთ.

— დაგახჩობ მეთქი .. მე შენს შვილს კედელზედ შევანთხევინებ ტვინსა.

— თქვენ ჩემი პატივის-მცემელი იქნებით, ბატონო გუდარ, უთხრა სესილმა და რაღაც ამოიღო უბიდამ.

— შენ ჩემი ცოლი ხარ და პატივის-ცემა რას მიქვიან. შენ საზიზღარი ჭია ხარ და ეგრეც მოგექცევი მე. ჰა, ჩქარა, გაიხადე მეთქი კაბა.

ეს უთხრა გუდარმა და გააფთრებულმა მოიგლიჯა ქალიდამ ყელსახვევი, საკინძი ჩამოიწყვიტა და მივარდა სესილს. სწორედ ამ დროს თვალ-წინ გამოუბრწყინდა გუდარს დამანჩის ლულა.

— აბა ერთი ხელი მახლეთ და მაშინ ნახავთ, რომ როგორც ძაღლს ისე სულს გაათვთხობინებთ, უთხრა გადაწყვეტილად სესილმა და მაღლა აიღო პატარა რევოლვერი.

გუდარი უკან წაბარბაცდა და ყოველს ასოში მოიშალა. თავი მკერდზედ მოეხარა, ხელები დაეშვა.

— ბატონო გუდარ, განაგრძო სესილმა: თქვენ შეიტანეთ ჩვენს ოჯახში მწუხარება და უპატიურება. დღეს მე სამაგიეროს გიხდით. თქვენ შემუსრეთ ჩემი სიცოცხლე, მე ვმუსრავ თქვენსას. ჩვენ ეხლა შეუღლებულნი ვართ საუკუნოდ და სიყვარულის მაგიერ ჩემს მძულვარებას მოიპოვით; მე ყოველ დღე, ყოველს წუთს ვიქმნები თქვენის სინიდისის მხილებლად, თქვენს სულთა-მხუთავათ. თქვენს ამპარტავნებას მე შევმუსრავ. მე ვიცოდი, რომ თქვენ მხდალი, ჯაბანი კაცი ხართ და მე დაგიმონიებთ თქვენ, იმიტომ რომ მე სიკვდილისა არ მეშინიან. თქვენის წყალობით, მოკვდა მორისი და იმისი შვილი უმამოთ დარჩა და ამიტომაც თქვენ უნდა მამათ ექმნეთ და მიჰსცეთ სახელიცა, რომელიც თქვენ წაართვით. ამას ითხოვს სამართალი. მისი შვილი თქვენს კანონიერ შვილად გახდება, რაც უნდა ჰქმნათ და თუ თქვენ იმოდენად უსირცხვილობას გასწევთ, რომ კანონით მოითხოვთ ჩვენის ცოლ-ქმრობის დარღვევას, მაინც კიდევ ჩემს შვილს თქვენს შვილად აღიარებენ და თქვენის ქონების ნაწილს მიიღებს, თქვენ გააგდებინეთ მამა-ჩემს მორისი და ეხლა ისე მოხდა საქმე, რომ მის შვილს თქვენვე გაზრდით. ესეა ჩემო ბატონო, ეხლა გვიან არის; ინებეთ და წაბძანდით თქვენს ოთახში.

ამას რომ ამბობდა, სესილი გულ-დადინჯებით ათამაშებდა ხელში რევოლვერს. გუდარი იდგა შუა ოთახში თავ-ჩაკიდებული და თვა-

ლებ დაჭყეტილი. იგი ვერც ვერასა ხედავდა, ვერც ვერა გაეგო რა. ცივი ოფლი დაესხა მთელს სახეზედა. თავი გაებრუა და ძლივსღა იბრუნებდა სულს. სულ მთლად დაიფანტა, დაიკარგა და უგუნურად იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას:

— მორისი საყვარლათა ჰყოლია.

— მშვიდობით, ანდრე, დაუმატა სესილმა.

გუდარი კარებისაკენ წავიდა გარინდებული, გზა-და-გზა სკამებს ხელსა ჰკიდებდა არ წავიქცეო. შევიდა თავის ოთახში, შედგა და თავით მიეყუდა კედელს. ნელ-ნელა მოვიდა გონზედ; გაიხადა ტანისამოსი და გულზედ ცოტად მოეშვო.

სესილმა თავის ოთახში მარტოდ დარჩენილმა კარი არ დაკეტა და ყური აადევნა გუდარის ფეხის ხმასა. როცა ფეხის ხმა მისწყდა, მივიდა სტოლთან, დასდო რევოლვერი, არ მოჰყვა ტანისამოსის ხდასა, ხოლო თმები ჩამოიშალა. კარგად იცნობდა გუდარს და ფიქრობდა კაი თუ ისევ შემოვიდესო. გუდარი თავ-ზარდაცემული იყო და არა დამარცხებული ჯერ. სესილს არ უნდოდა, რომ მარცხად დახვედროდა გუდარს, ამიტომაც კარი ღია დააგდო და იქით ეჭირა თვალი.

გუდარი, კედელს მიყრდომილი, ფიქრობდა; ვერ დაეჯერა, რომ ახალ-გაზრდა ქალი, რომელსაც პატარაობაში ხელში ათამაშებდა, ეგ სიწმინდის და უმანკოების ანგელოზი მორისის საყვარლად ყოფილიყოს.

— სესილს ეხლაც უყვარს, ჰსთქვა მან. ბოროტად ჩაიცინა და შევიდა სესილთან.

— მე ვარ, სესილ, უთხრა ალერსიანის ხმითა და კარი დაუკაკუნა.

სესილმა მაშინვე ხელი რევოლვერს წაავლო.

— მობძანდით, უპასუხა ქალმა.

გუდარი შემოვიდა, მაგრამ სესილი ამაოდ ეცადინეობდა ამოეკითხა გუდარის სახეზედ მისი ფარული აზრი და განზრახვა.

— სესილ, ჩემო პაწიავ, განაგრძო გუდარმა იმავე ალერსითა: ხომ გესმის, რომ მაგ ამბავმა თავ-ზარი დამცა მე. მე არ გამოველოდი მაგისთანა საშინელს და ულმობელს სამაგიეროს. რაღა ეშველება? შენ გიყვარდა, და გიყვარს კიდეც......ჯობს ისე ვიცხოვროთ, როგორც შენ ამბობ; სხვაფრივ არ შეიძლება, რადგანაც ჩვენ ერთმანეთის ამბავი კარგად ვიცით. შენ იქნები ჩემი ცოლი, შენი შვილი ჩემი შვილი იქნება, სხვა ხომ არაფერი. შენი შვილი ჩემს ქონებას მიიღებს, ხოლო კანონით ბძანებელი მისი მე ვიქნები. შენ სულ ცალკე და განმარტოებით იცხოვრე, ხოლო გარედ, უცხოსთან ისე მოვექცეთ ერთმანეთს, ვითომ და ძალიან ტკბილი ცოლ-ქრმობა გვაქვს. ეს კი იცოდე, თუ მე შენის სიტყვით, თქვენს სახლში უნამუსობა შევიტანე, ნებას არ მოგცემ, რომ ეგევე ჩემს სახლშიაც მოხდეს.

— თქვენ ვითომ ვისა გგონივართ მე?

— ნება მომეცი ჩემი პირობაც დავსდო. მე შევიტყე რაც გინდა და დაგემორჩილე, ამასავე ვითხოვ შენგანაც.

სესილმა გულის ფეთხობით დაუწყო ყურება და ჰფიქრობდა, ნეტა ამ ლაქლაქით რა მახის დაგება უნდაო.

— თუ ხელს გახლებ, შენ მე სასიკვდილოდ არ დამინდობ, განაგრძო გუდარმა: ძალიან კარგი, იყოს ეგ პირობა. ხოლო თუ აქ როდისმე უცხო კაცი შემოვა ჩემ გარდა, მაშინ დარწმუნებული იყავ, რომ ცოცხალს აქედამ არ გავუშვებ, შენ კი რა გადაგხდება, მაგას ბოლოს ვნახავთ...

სესილმა ხმა არ გაჰსცა და მხრები აიჭიმა.

— ერთის სიტყვით, ეს პირობაც გადაწყვეტილია. მე მარტო ისღა დამრჩა სათქმელად, რომ ერთი იმ ბრალთაგანი, რომელსაც შენ მე მდებ, სრულებით ტყუილია: შენ ამბობ, რომ მე ვარ მიზეზი მორისის სიკვდილისა...

— მერე?

— შენ ეხლა ჩემი ცოლი ხარ და გახსოვდეს, რომ შენის ნებით შემირთე. შენ ჰსცდები, ლამაზო ქალო, მორისი არ მომკვდარა, ცოცხალია.. და შენ მის ცოლათ ველარ იქნები.

— მორისი ცოცხალიაო! დაიკივლა სესილმა და თითქმის გონება მიეხადა: შეუძლებელია!

— ლამაზო სესილ, გეფიცები. რომ მორისი ცოცხალია... და ხვალ შეგატყობინებ ჩვენის ჯვარის წერის ამბავს. მშვიდობით, სესილ, ღამე მშვიდობისა, ჩემო ლამაზო ქალო, დაუმატა გულდარმა სიცილით.

გავიდა ოთახიდამ და დაიხურა კარი.

სესილი გალურჯდა. ხელი მოისო თვალებზედ, რომ მოიშოროს შავი ღრუბელი, რომელიც უცბათ თვალებზედ ჩამოეფარა. ხელი წაავლო სარეცელს, მერე ერთი ორი ფეხი გადადგა, დაბარბაცდა, დაიძახა: „მორისი ცოცხალიაო“ და დაეცა გრძნობა მიხდილი იატაკზედ.

## თავი X.

### რა დაემართა მორისსა.

მორისი, მართლა, ცოცხალი იყო. მეორეს დილას იმ უბედურის დღიდამ, რომლიდამაც დავიწყეთ ჩვენი მოთხრობა, მორისის და მოვიდა ძმასთან; რომ ოთახი დაულაგოს. მორისის დას ცალკე გასაღები ჰქონდა ძმის ოთახისა და როცა მოვიდა გააღო კარები, შევიდა ოთახში და რა ნახა, რომ ძმა უძრავად წევს ქვეშაგებში, იფიქრა ავათ არისო. და დაელაპარაკა, მაგრამ ძმამ ხმა არ ამოიღო. ქალი მივიდა, დააკვირდა მწოლარეს და დაიკივლა თავ-ზარდაცემულმა. მორისი იყო ფერ-მიხდილი, გალურჯებული, თითქმის გაციებულიცა. მორისის და ამელი ფერან, თუმცა ძლიან ახალგაზდა იყო, მაგრამ დამჯდარი გონება ჰქონდა, თავდარიგიანი ქალი იყო, ამათ ვაი-უისზედ დროს არ დაჰკარგავდა ხოლმე, ნამეტნავად, როცა შესაძლო იყო ის დრო

კეთილად გამოეყენებინა. ამალი ცოტად მიხვდა კიდეც რაც ამბავია, ესე იგი, იფიქრა, რომ დღეის იქით რა კი საყვარელი ქალი დღეს თხოვდებაო და სხვას ირთავსო, აიღო და ჯვარით თავი მოიკლაო. ცხადი იყო რომ თავი მოეწამლა. ამალიმ გულზედ ხელი დაადო, გული არ უცემდა; მაჯა გაუსინჯა, არც მაჯისა ისმოდა რამ; გული და ხელები გაფიცხებული ჰქონდა და ფრჩხილები გაშავებოდა. ამალიმ დაავლო ხელი ბოთლს, რომელიც სტოლზედ იდგა და გაიქცა აფ-თექში. კიდევ კარგია, რომ აფთიაქარი გამოცდილი ქიმიკოსათ აღმო-ჩნდა. მოისმინა ქალის ნაამბობი, აიღო მოტანილი ბოთლი, გაშინჯა ლაბარატორიაში რაც ბოთლში დარჩენილი იყო და ადვილად იპოვა საწამლავი. მაშინვე წამალი მიჰსცა ამალის და დაარიგა როგორ დაა-ლევინოს.

ელდა-ცემული ქალი სირბილით მივიდა ძმასთან და მაშინვე აფთიაქ-რის დარიგებისა მებრ შეუდგა საქმეს.

ოთხის საათის შემდეგ მორისი გამობრუნდა. საწყალმა მიიხედ-მოიხედა გაოცებით და არ ჰსჯეროდა რომ კიდევ ცოცხალია. დამ უამბო, რომ დილით შემოვედით და თითქმის მკვდარი იყავიო. მო-რისმა ხმა არ გასცა და ცრემლები წამოჰყვა თვალთაგან; საშინელმა აზრმა გაურბინა თავში. რა კი სუსილი ვერ ნახა თავისთან, ეგონა, რომ მომატყუაო, მე ასე მომიხდინაო, რომ თავიდამ მოიშოროსო, მერე აიღოს და სხვა შეირთოსო. საწამლავი არ დაულევიაო, ტყუი-ლად თაყწაყაო; მერე როცა მე მომეკვიდაო საწამლავი და გონება მი-მეხადაო, ადგა და წავიდაო. სხვაგვარივ განა შეიძლებოდა აეხსნა? თუ სუსილი რომელისამე საწყალით გადურჩა საწამლავსაო, ხომ მე მომაკვდავს მიშველიდაო; თუ სხვა ვინმე შემოვიდაო და სუსილი დაიხსნაო, მეც ხომ დამიხსნიდაო. აშკარაა, თვითონ თავი გადირ-ჩინაო, წავიდაო შინ გულდინჯათაო და მაშინ როცა მე აქ სულსა ვლევდიო, იმ სულ დაბალმა მუხანათმაო ჯვარი დაიწერა გულდარ-ზედაო.

მორისმა არაფერი არ გაამხილა თავის დასთან და გულის სიღრ-მეში დაიმარხა თავისი ნაღველი და ჯავრი. უმალა კითხვაზედ დას

მარტო იმას ეუბნებოდა, რომ ძალიან ტანჯვა გამოვიარეო. ამელი ფერანმა იფიქრა, რომ თუმცა ჩემი ძმა სიკვდილს გადურჩაო, მაგრამ ისე ავათ არისო, რომ ჯერ კიდევ დიდი მოვლა და პატრონობა უნდაო. ხოლო რადგანაც ორნივ დღიურ მუშაობით გამოდიოდნენ და ამელის არ შეეძლო ავათ-მყოფის მოვლა და თავზედ ტრიალი, სხვა გზა არ იყო, სასნეულოში უნდა დაეწვინა და ეს ფიქრი გულს უკლავდა. რა უნდა ექნა? უეცრად მოაგონდა ბებერი მამიდა, რომელიც პარიჟიდამ ძალიან შორს არ იდგა და რომელიც ხშირად უთვლიდა ხოლმე ერთი რამდენიმე დღით მეწვიენითო. ურიგო არ იქნებაო რომ იმასთან წავიყვანო ჩემი ძმაო, იფიქრა ქალმა და ეს ფიქრი ძმასაც გაუმჟღავნა.

— მამიდა დიდის სიამოვნებით მოგივლის, უთხრა ამელიმ: და არც არაფერი დაგეხარჯება.

— ძალიან კარგი იქნება... არც არავინ შეიტყობს რაც მოხდა... შენი ჭირიმე, ამელი, ნურავის ნურას ეტყვი.

— აბა ვის ვეტყვი, თუ მეც თან გამოგყვები. თუ გინდა მანამ ჩვენ წავალთ ერთი სესილას ვნახავ.

— ნუ, ნუ! დაიყვირა გულმხურვალედ მორისმა: არასოდეს არ გაბედო იმის სახელის ხსენება ჩემთან.

— ეს ამბავი იმისი ბრალი ხომ არ არის, რაზედ უწურები.

— დაჩუმდი, ამელი... დღეის იქით იცოდე, რომ მე ის აღარ მიყვარს... მე ის მეზიზღება... მე ის მძულს.

ახალ-გაზრდა ქალი გაოცდა ძმის სიტყვებზედა, მაგრამ იცოდა, რა ტანჯვაშიაც უნდა იყოს კაცი, რომელიც გრძნობს, რომ მისი საყვარელი ქალი სხვას ეროთავს, და ხმა აღარ ამოიღო.

საწყალი ჭაბუკი მოუსვენრად ტოკავდა ქვეშაგებზედ, საშინელის კვნესით და წყევა-კრულვით დუდუნებდა პირმოკუმშული:

— რატომ არ დამანებეს თავი, ერთი მომკვდარვიყავ! ღირს იმათ, რომ ესე ვიტანჯები იმ საზიზღარ და სულდაბალ დიაცისათვის!

შეშინებული ამელი ეხვეოდა, ჰკოცნიდა ძმას და ცდილობდა დაემშვიდებინა.

— არა, არა! იძახოდა მორისი: ამას იქით ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია, მეორედ კი უფრო უკეთ მოვახერხებ, რომ მოვშორდე ამ საძაგელს ქვეყანას.

— მორის, მორის, ნუ თუ ჩემი სიყვარული არა გაქვს? უთხრა ამელიმ ვედრებით და დაეცა მუხლ-მოდრეკილი ძმის წინ: შენ აღთქმა მიეცი ჩვენს დედ-მამას, რომ მე არ მამშორდები. განა მე ცუდი რამ ჩამიდენია, რომ ეგრე მიმეტებ? განა მე შენთვის არა ვარ რა? მორის, შენს მეტი მე არავინა მყავს ქვეყანაზედ, შენ მე არ გამიმეტებ არა, არა! რომ იმას არ უყვარხარ, მე მიყვარხარ, მე. გინდა მარტო-მარტო, უპატრონოთ დამაგდო! ნუ, ნუ მიზამ მაგას! აბა იფიქრე, რა ვიქნები მე, როცა შენ არ მეყოლები!

ამ საოცარს ვედრებაზედ გული ამოუჯდა მორისს.

— ოხ, ამელი, რა უბედური კაცი ვარ, რა უბედური! წამოიძახა ტირილითა და კვნესითა.

— ვაიმე ძმაო, უპასუხა გულ ამოჯდომით მტირალმა დამ: მე შენ თავის დღეში არ მოგშორდები. ფიცი მომეც, მორის, რომ შენს თავს არას აუტეხ.

— ვაიმე, ვაიმე! კვნესოდა უბედური.

— დედი ჩვენის სული შემომფიცე, თორემ მე დღე მუდამ შიში მექმნება.

— გეფიცები... ამელი!

დიდხანს ტიროდნენ, გადახვეულნი და-ძმანი და ვერ ბედავდნენ ეხსენებინათ საყვარელი და შეძულებული სახელი—სესილიასი.

გაიარა დრომ და ამელმა იქირავა ეტლი, ფთხილათ ჩამოიყვანა კიბეზედ ძმა, ჩასო ეტლში და ორნივ წავიდნენ სენ-ლაზარის რკინის გზისაკენ. კიდევ კარგია, ამელის ორიოდ გროში ჰქონდა, აიღო ორი ბილეთი და წავიდნენ ტრიელში, სადაც იმათი მამიდა ჰსცხოვრებდა.

მინამ ის ამბები მოხდა, რაც ჩვენ წინ გვიამბნია, მორისი ვერ გამოკეთდა. ძალიან მძიმედ მიდიოდა იმისი მორჩენის საქმე.

ტიუსსონს სახლში კი ყველა დარწმუნებული იყო, რომ მორისი მკვდარია. მართალია, ნამდვილის ამბის შეტყობა ადვილი იყო, მაგრამ ტიუსსონს ვერ გაებედნა ენახა მორისის და, რადგანაც მორისის სიკვდილის მიზეზი ცოტად თუ ბევრად თვითონაც იყო. მარტო გუდარმა იცოდა მართალი. გუდარისათვის ძალიან საჭირო იყო ჰსცოდნოდა იმ კაცის ბედი, რომელიც უყვარდა მის საცოლოს და, რასაკვირველია, ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ შეეტყო რამე და შეიტყო კიდეც.

სწორედ იმ დღეს რა დღესაც სესილი შეურიგდა გუდარს, გუდარმა შეიტყო, რომ მორისი ჯავრით სოფლად წავიდა და ნათესავებთან ცხოვრობს. სესილს რომ წინ შეეტყო, მორისი ცოცხალიაო, უსათუოდ არ შეირთავდა გუდარს, ამიტომაც გუდარი ინახავდა ამ ამბავს როგორც ერთს რამეს დიდ საიდუმლოს. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ ამ ამბავმა, რომელსაც უაღრესი ბედნიერება უნდა მიენიჭებინა სესილასათვის, სესილი დიდს სასოწარკვეთილებაში ჩააგდო.

გუდარი სესილას ოთახიდამ რომ გამოვიდა, რამდენსამე ხანს რაღაც მხეცურს სიხარულს მიეცა. ყველაფერი დაავიწყდა, ისიც როგორ გააბრიყვეს, ისიც როგორი ზიზღი ცოლმა ამოუჩინა. უხაროდა, რომ ამ ამბით სესილს გული მოუკლა. სესილს ეგონა, მევიერი ჯავრისაო, რომ ჩემს სიძულილს ვუცხადებო, ის კი არა თუ, იმ კაცმა, რომელიც მთელი ერთი თვე თავს ევლებოდა და ფეხ-ქვეშ ეშლებოდა, იმ კაცმა გული გაუპო და მათ დაამტკიცა სიმართლე თავის მეტის სახელისა—ჯაგლაგიო.

გახარებული შევიდა გუდარი თავის ოთახში, გაიხადა ტანისამოსი და უბის ჯიბეს რომ ხელი შეახო, ხელს მოხვდა ქორწინების ბეჭედი, რომელიც სესილმა ზიზღით უკუირიდა. ბეჭედი შეინახა. „დამაცა, ლამაზო ქალო, დღე მოვა, რომ ამ ბეჭდით ხელზედ გამოიღვიძებ, ჰფიქრობდა იგი: არა, ბატონო ტიუსსონს ქალო, ეხლა თქვენ გუდარის გვარს ატარებთ და დამერწმუნეთ, რომ გუდარის ცოლიც იქნებით. შენ ნახამ როგორ ვექცევი ხოლმე ქალებს. შესაძლოა თავი

შეიმაგრო ერთი კვირა, ერთი თვე, მე არ ავჩქარდები; მაგრამ მოვა დრო, როცა მე ჩემსას მივიღებ და ჯავრს ამოვიყრი არამც თუ შენზედ, არამედ შენს შვილიშვილზედაც, რომელსაც ეგრე ძალად კისერზედ მახვევ. უწინ შენ მომატყუე, ახლა კი უკაცრავოდ, ამას იქით პამპულად აღარ გავიხდი თავს“.

მივიდა ფანჯარასთან, გააღო და ხარბათ შეისრუტა გრილი ჰაერი. „ყველა, ყველადა — იფიქრა გულში: ვერაფერია რომ ჯვარის წერის ღამეს ეგრე ვატარებ... ამას ყურს მოჰკვრენ... ისე უნდა მოვახდინო, რომ ჰსთქვან: რა უწმაწური რამ ყოფილა ჯაგლაგი, ჯვარის წერის პირველ ღამესაც შინ არ დადგა, საქეიფოდ წავიდაო“.

ჩამოიღო სხვა ტანისამოსი, მოსამსახურე არ გააღვიძა, რომელსაც წინადვე უბძანა, ნუ მამიცდი, დაიძინეო; მოირთო როგორც რიგია და ხმა მაღლა დაიწყო თავის-თავად ლაპარაკი:

— ადრე თუ გვიან ხომ ყველაფერი გამომჟღავნდება და ყველაფერს შეიტყობენ. ეს მაინც იქნება, რომ მე გავხდები სასაცილოდ. ჯერ ესა რომ ხვალ დილაზედ სესილი ივითხამს ჩემზედ, სად არისო; მოიწადინებს მორისის ამბის დაწვრილებით შეტყობას ჩემგან. აბა სასაცილო ის იქნება, რომ აიმრიზება მოსამსახურეების წინ. ახლა ის სულელი ადელიც მობძანდება ქალის ამბის შესატყობრად. ხომ უხვალელოდ ჯვარის წერა არ მოხდება ხოლმე. მაგრამ რა? ადელს ყველაფერი ეცოდინება, ეს მახე ხომ ორივემ ერთად დამიგეს. ტიუსსოს კი ფერი ეცვლება. ახლა სტუმრების ყოფა ნახეთ?

მე წინადვე წარმოდგენილი მაქვს რა კილოთი წამოიძახებენ: „ვერ უყურებთ იმ ჯაგლაგს!“ ყველაზედ კი ღირს საცნობი ის იქნება, სესილა როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში.

გულარმა ხმა-მაღლა ჩაიხარხარა. მერე ახადა ყუთი, ამოიღო რამდენიმე ოქროს ფული და ჩაიდო ჯიბეში; მაგრამ როგორღაც მძიმეთ ეჩვენნენ, ისევ უკან ჩააწყო, გააღო სხვა ყუთი და ამოიღო ბანკის ბილეთები. მერე აიღო და ფულიანი ქაღალდები აქედ იქით გადააწყო.

— მე მოგზაურობას უნდა შევუდგე, რომ ეხენი თავიდამ მო-ვიშორო, ჰსთქვა მან, როცა დაჰყურებდა ფულებს: თორემ აქ ამათი შენახვა საფათერაკოა.

დაკეტა ყუთი, ჩაიხედა სარკეში და უჩუმრად ფეხ-აკრეფით გა-მოვიდა სახლიდამ. ქუჩაში რომ გამოვიდა, დაუძახა ფაიტონს, ჩაჯდა შიგ გადაწოლილი და მოუკიდა სიგარას.

რამდენსამე ხანს შემდეგ წინ გაუარა იმ სახლს, საცა ტიუს-ხოს ქორწილი იყო. ხალხი ჯერ არ დაშლილიყო. გუდარმა ერთ განა-თებულ ფანჯარასთან თვალი მოჰკრა ადელს. ადელი ტიროდა.

— აბა პირს დაალებენ, რომ მე ეხლა იქ თავი შევყო, ამბობ-და კასკასით გუდარი: არა უშავს რა, ხვალეც კაი თამაშა იქნება, როცა ვეტყვი: „რა მექნა, სანამდეო მქონდა დაჭერილი, რომ ქორ-წილის პირველს ღამესვე ცოლს დავანებებ და იზასთან წავალ მეთ-ქი." აბა პირს მაშინ დაალებენ და ერთ-ხმათ დაიძახებენ: სწორედ ჯაგ-ლაგი ყოფილაო! მართლა და კაი სახელი დაურქმევიათო."

ფაეტონი გაემართა ელისეის მინდვრებისაკენ.

## თავი XI

### მწარე სიყვარული.

სესილი გონებაზედ მოვიდა მარტო გათენებისას. ეს კია, რომ გვიან მოვიდნენ ეგა და გუდარი შინ ქორწილიდამ, ძალიან დიდ ხანს ილაპარაკეს ასე, რომ გულის შემოყრა სესილასი ხან-გრძლივი არ იყო.

თვალები გაახილა თუ არა, გარშამო მოატარა თვალი, რაღაც ოცნებამ შეიპყრა: სიზმარში ხომ არ ვნახეო ჩემი ჯვარის-წერაო? განა გუშინ არ იყოვო, რომ თავი მოვიწამლეო? განა აქ გვერდით არ მიწევს უსულო გვამი მორისისაო? მაგრამ ეს ოცნება მალე გაე-ფანტა. წამოხტა ფეხზედ და დაინახა თავისი საქორწილო კაბა და ყვავილები. იმ წამსვე მოაგონდა თავისი საუბარი გუდართან და ის

საშინელი ამბავი, რომლითაც გუდარმა გული შეაზხუდ გაუშო. დაეცა სელზედ და დაიწყო ტირილი. მორისი ცოცხალი იყო და ამას კი ასე უღვთოთ უღალატა. მაგრამ განა სინიდისის წინაშე რამე დანაშაული ჰქონდა? არა, მაგრამ ვინ დაიჯერებსო, გარდა ამისა ეს ამბავი მარტო ჩემსა და გუდარს შუა უნდა დარჩესო. გუდარმა პირობა მიჰსცა შენს შვილიერებას არ გავამხელო და ამის სამაგიეროდ სესილასაც ჩამოართვა სიტყვა, რომ ჩემს გარიყვებას ნურავის შეატყობინებო. გუდარი ერთი ბეწო ხანს რომ კიდევ დარჩენილიყო ცოლის ოთახში და ენახა იგი გულ-შემოყრილი, მაშინ საქმე წამხდარი იქნებოდა სრულებით. ამ შემთხვევას ისე გამოიყენებდა, რომ ყოველს დაწყობილებას ჩაუფუშავდა. ერთის სიტყვით, სესილი გათხოვდა და მორისი კი ცოცხალი იყო. შესაძლო იყო, რომ არაფრისს არ მცოდნე მორისი ეცდება ჯავრი ამოიყაროს ღალატისათვის და ამას ადვილათაც მოახდენდა, რომ ყველა მართალი გაემჟღავნებინა. რა უნდა ექმნა სესილს? ყველაზედ უწინარეს უნდა ცდილიყო მორისს არ შეეტყო, რომ ბავშვი, რომლითაც ეხლა სესილი ორსული იყო, იმისია.

მორისი რომ ნახოს, მუხლ-მოდრეკით მოინანოს თვისი საქციელი და შენდობას დაემუდაროს, საფთხილო იყო. გუდარმა წინადვე უთხრა, რომ ყოველს შენს ფეხის-გადადგმაზედ თვალ-ყური მეჭირებაო და გარდა ამისა თვითონაც იმოდენა გამბედაობას ვერ პოულობდა თავისთავში, რომ ეგ მოეხდინა. ამის გამო იმაზედ დადგა, რომ წიგნს მივწეროო. მაგრამ როგორ გაეგზავნა წიგნი და სად? მაინც და მაინც ჯერ წიგნს მოვამზადებო და გაგზავნის თავდარიგს მერე შევუდგებიო.

ჩაიკეტა კარი, ახალდა ფანჯარას ფარდა, დაჯდა სტოლის წინ და მოჰყვა წერას შემდეგისას:

„ჩემო მეგობარო,

„მე უნდა მოტევებას გთხოვო, მე მარტო დღეს შევიტყე, რომ შენ ცოცხალი ხარ მე კი ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. ამ ერთის-თვის წინად ჩემი დედ-მამა ყველაფერზედ დაგვყვებოდნენ. საჭიროა ყველაფერი დაწვრილებით გიამბო, რაც მოხდა. გახსოვს ერთმანეთს რომ ვა-

კოცეთ უკანასკნელად და მე საწამლავმა მიმასუსტა. მაშინ გავიგე, რომ შენ ჰსთქვი: „მშვიდობით, სესილ, ჩვენ მალე შევიყრებით ისევ ერთად საიქიოს.“ აქ მე გული შემომეყარა. გონებაზედ გათენებისასღა მოვედი. მე დიდს ტანჯვაში ვიყავი და არ მესმოდა სადა ვარ. უეცრად თვალი მოვკარ შენ ჩემს ქვეშაგებზედ მწოლარეს... მე დაგელაპარაკე, დავიწყე ხელების, შუბლის სრესა... შენ გაცივებული იყავ და ვიფიქრე, მკვდარია მეთქი. ვაი რა დღე გამოვიარე! აბა შენ თვითონ წარმოიდგინე: შენ მკვდარი და მე შენთან ცოცხალი, რა ვიქნებოდი. შენ ჩემი ქმარი იყავი და მე ქვრივათ დავრჩი. ოხ, ღმერთო, განა გასაძლისია ეს! მე შენი ვიყავ და ამიტომაც რაღას ვაქნევდი ჩემს სიცოცხლეს. ფიცის მტკიცედ აღსასრულებლად, გადავწყვიტე რომ თავი უნდა მოვიკლა... გადავიხედე ფანჯრიდამ, მინდოდა აქედამ გადავვარდნილიყავი, მაგრამ თვალი მოვკარ მდინარეს, რომელიც იქავ შენს სახლთან ჩამოდის. იმის დანახვა და თავის დახრჩობის განზრახვა ერთი იყო. სწრაფად გადავიცვი კაბა, გაკოცე შენ და წავედი ხიდისკენ, რომ იქიდამ გადავვარდნილიყავი.

„ვერ გეტყვი რა ტანჯვა და რა წამება გამოვიარე, ვიდრე ხიდთან მივიდოდი. წყალში რომ ჩავვარდი, ისე მეგონა სამოთხეში შევედი მეთქი. მთელს ტანს ცეცხლი მეკიდებოდა. მე ჩავარდნისავე უმალ გონება მიმეხადა. როცა თვალი ავახილე, საკაცეზედ ვიწექ და ხალხი გარს მეხვეოდა. მე სასნეულოში წამიყვანეს და მაშა-ჩემთანაც კაცი გაგზავნეს. მთელი ორი თვე სასნეულოში ვიყავ, სულ ბოდვაში, თითქმის ჭკუიდამ შევიშალე. ყოველს წუთს ჩემს სიკვდილს მოელოდნენ... ხომ გესმის, ყოველივე ეს რა რიგად შემცვლიდა მე. როცა მორჩენაზედ ვიყავ, ჩემის საქციელისა მე თვითონ მეშინოდა. ჩემს ფიქრში შენ მკვდარი იყავ, იმიტომ-რომ შენ გაცივებული იწექ, უძრავად... თვითონ შენ მიხვდები, რომ შენს ამბავს არავინ არ მეტყოდა. თუნდ რომ რაიმე იმედიც მქონოდა შენი კარგა მყოფობისა, მაინც ყოველივე იმედი უნდა გამქრობოდა, ისე მოვიდა ჩემდა საუბედუროდ საქმე. კრონშარს (ხომ გახსოვს, ჩვენსა ხშირად და-

დიოდა) იმ უბედურ დღის საღამო ხანზედ თურმე გაქცლო შენის სახლის ახლო, ხალხის გროვა ენახა. დრო არა ჰქონდა დიდ-ხანს გაჩერებულიყო, მაგრამ მაინც კი გაეგო, რომ ვიღაცა მომკვდარა, თუ ვიღაცას თავი მოუკლავსო; სახლში ვიღაც მკვდარი ენახათ და ხალხი ამაზედ მოგროვილიყო. ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა მქონოდა? არ ვიცი იტყუა ყოველივე ეს, რომ მე იმედი დამაკარგვინოს და მაიძულოს გათხოვება, თუ რა,— მაგრამ მე კი დავიჯერე მაშინ, მას შემდეგ ჩემს ქვეშაგებთან სულ შენ მელანდებოდი. მე ბევრი მიტირნია, ბევრი ტანჯვა გამომივლია.

„რა უნდა მექნა მე მარტოს? შენი სიკვდილი მით უფრო მჯეროდა, რომ შენი და ამელი ერთხელაც აღარ მოვიდა ჩვენს სანახავად. ჩემის ამბის შესატყობრადაც არ შემოსულა. მორის, შენ კეთილის გულისა ხარ, შენ იცი რა რიგად მიყვარს ჩემი დედ-მამა. ჩემმა უბედურებამ ისე შეაწუხა, ისეთ სასოწარკვეთილებაში იყვნენ, რომ ღონე არა მქონდა არ დავმორჩილებვიყავ და არ მეთქო: „პატრონი ხართ.“ მაპატიე, მორისჯან, მაპატიე.. მე უბრალო ვარ, მე ვარ მსხვერპლი, მსხვერპლი! შენი სახე სამუდამოდ შთაბეჭდილი იქნება ჩემს გულში; მაგრამ რაც მოვალეობა კისრად ავიღე, იგი პატიოსნებით უნდა შევასრულო. მე ჩემს თავს ნებას აღარ მივცემ, რომ შენ გინახულო და თუ შესაძლო არ არის სრულად აღიგავოს ის ერთი შენთან გატარებული საათი გამოუთქმელის სიყვარულისა და ნეტარებისა, მუხლმოდრეკით გთხოვთ დაივიწყე მაინც... მე გიცნობ, შენ მეტად პატიოსანი კაცი ხარ და ამაზედ უარს არ მეტყვი. თუ ოდესმე ბოროტი ენა ვისიმე მოჰყვება დამტკიცებას, რომ მე საყვარლად გეჯემ მარტო ერთის საათის განმავლობაში, შენ შეჰფიცე, რომ ეგ ტყუილია... აი უკანასკნელი მოწყალება, რომელსაც მე შენგან ვითხოვ, მორის. უბედურად ყოფნა კი შემიძლიან, უნამუსოდ კი არა, მორის, ფიცი მომეც, რომ ყველგან მარტო ამას იტყვი, რომ 20 ივლისს ღამე მე შენთან არა ყოფილვარ, რომ იმ დღეს არც კი გინახივარ და მაშასადამე, დილითვე გამოვსულვარ შინიდამ, როგორც ყველას ჰგონია, და წყალში გადავვარდნილვარ.

ახლა მე ქრმათა მყავს კაცი, რომელიც მეზიზღება და მძულს. შენ უნდა იცოდე, რომ ფიქრით ყოველთვის შენთანა ვარ, ხოლო მე იმოდენა ღონე კიდევ მაქვს, რომ დავიმორჩილო ეს შენდამი სიყვარული, რომელიც თავის დღეში ჩემს გულში არ გაჰქრება.

„ჩემი ქმარი... გუდარი ძალიან იჭვიანია. ეს მე გამომიცხადა კიდეც და დამპირდა თვალს არ მოგაშორებო, იცოდეო. მაგისათვის სხვის წიგნის გახსნა და საიდუმლოს გამომჟღავნება უკადრისობა არ არის. ამიტომაც გთხოვთ წიგნი რომ გამოგზავნო ფოშტით გამოგზავნე სესილ ტიუსსოს სახელზედ და ზედ დააწერე: „მინამ მოითხოვდეს თქო“

„მშვიდობით, ჩემო საყვარელო, და შეუნდე მას, რომელსაც ასე ძლიერ უყვარხარ და ასე კი იტანჯება.

„სესილ.“

დაბეჭდა ეს წიგნი და ზედ დააწერა: მორის ფერანს საკუთარს ხელში. მერე აიღო ეს წიგნი სხვა კანვერტში ჩადო და დააწერა: ამელი ფერანს ტერ-ფორტის ქუჩაში; თუ შინ არ იყოს, ვჰსთხოვთ გაუგზავნოთ იქ, სადაც იმყოფება. ბოლოს ბალიშს ქვეშ დამალა წიგნი, გაიხადა და დაწვა ქვეშაგებში.

როცა დედა მოუვიდა, სესილმა ყოველისფერი უამბო, რაც მოხდა. ადელმა აუწყა, რომ მსახურმა მითხრაო წუხელ გუდარი შინ არ ყოფილაო. ეჭვი აიღო სესილმა რომ გუდარი რაღაც უსიამოვნებას უპირებდა; ჰსთხოვა დედას, მიიღეო სტუმრები, რომელნიც ცოტ-ცოტად იკრიბებოდნენ სასტუმრო ოთახში და უთხარიო, რომ გუდარი ამ ორის საათის წინ წავიდაო და დამპირდაო თორმეტს საათზედ დაბრუნებასაო.

მართლადაც, დაჰკრა თუ არა თორმეტ საათმა გუდარიც მოვიდა. სესილი წინ მიეგება და უთხრა:

— ხომ ხედავთ, რა პირობის კაცია ჩემი ქმარი. ერთი წუთიც არ გადაასცილა დაპირებულს საათს. ეს-ეს არის, ჩემო კარგო, ვამბობ-

დი, რომ თქვენ დილას რომ გახვედით დამპირდით, რომ მინამ შენ ტანთ ჩაიცვამო, მეც მოვალო.

გუდარი გაოცდა სესილის გამბედაობაზედ. „ხერხიანი დედა-კაცია,“ იფიქრა და ამაში უფრო მაშინ დარწმუნდა, როცა სესილმა ნაზად ხელი ჩამოართვა და მის მხარზედ მოიხარა თავი.

— ერთი უყურეთ რა გაგიჟებით უყვარს, ჰსთქვა ხმა-დაბლა ტიუსსომ.

დღის განმავლობაში სესილმა დრო იხელთა და მორისთან წიგნი ფოშტის ყუთში ჩააგდო. ორ დღეს უკან თითონ წავიდა ფოშტაში და სესილ ტიუსსოს სახელზედ წიგნი მიიღო. შინ დაბრუნდა, გახსნა წიგნი და წაიკითხა შემდეგი:

„ჩემო კარგო სესილ!

„მე შენ მიყვარხარ და შემინდვიხარ, მაგრამ ჩემი სიცოცხლე კი აღარ იქნება. დედის-ჩემის საფლავს ვფიცავ, რომ არავისთან გავამხელ მას, რაც 20-ს ივლისს მოხდა. გეფიცები, რომ ყოველს ბოროტს ენას ჩავაჩუმებ.

„მშვიდობით, შენთვის სიკვდილის კერძათ გადადებული

„მორისი.“

წიგნი ხელიდამ გავარდა, და გული ამოუჯდა და მწარედ დაიწყო ტირილი: იგრძნო რომ ახალი ფათერაკი მოელოდდა მომავალში. საწყალს უყვარდა მორისი და წიგნიდამ შეიტყო, რომ მორისმა შეუნდო, რადგანაც მიმხვდარიყო, რომ სესილი სხვერპლია უბედურის გარემოებისა. ცხადი იყო, რომ მორისს უწინდებურად უყვარდა სესილი და თავისის სიყვარულის ღირსადაც აღიარებდა კიდევ. თუმცა თავის მოკვლაზედ ლაპარაკობდა, მაგრამ სესილი იმედოვნებდა, რომ როგორმე დავაშლევინებო ამ გვარს განზრახვასაო. ცრემლმა, რომელიც განუწყვეტლივ ჰსდიოდა, ცოტად შეუმსუბუქა გული. დიდხანია აღარ ჰქონია გულში ამისთანა ნეტარი გრძნობა.

ჯვარის წერის დღიდგან სესილი ინახულებდა ხოლმე გუდარს მარტო სადილობისას. მათი კავშირი ისევ ისეთივე იყო, როგორც წინად. გუდარი ლაპარაკში იხსენებდა სესილს „შენობით“ და სესილი

კი გუდარს „თქვენობით“. სადილზედ ლაპარაკობდნენ ხოლმე უბრალო რაღაცეებზე. მორისის სახელის ხსენებას სესილი ძალიან ერიდებოდა და ეს ამბავი ძალიან უკვირდა გუდარს, რომელიც გაოვაცეცებით თვალ-ყურს მთლად ადევნებდა ცოლს.

გუდარი არც ერთს ღამეს შინ არა დგებოდა და რომ ამ ამბავმა არ მიჰსცეს მოსამსახურეებს მიზეზი ჭორიკანაობისა, სესილი ხმა მაღლა ამბობდა ხოლმე, რომ მე ავათმყოფობისაგან მოშლილი ვარო და თავი უნდა გავიფთხილოო. ერთის სიტყვით, მშვიდობიანი მყუდროება სუფევდა ამ გესლით მოწამლულ ოჯახში. მაგრამ ბნელი და ჭექა-ქუხილის ჯანღი კი თან და თან უფრო მატულობდა და გროვდებოდა,

დავუბრუნდეთ მორისის ამბავს. დისა და მამიდის მოვლამ და პატრონობამ მალე დააყენა ფეხზედ. მინამ მორისი ტრიელში იყო, ამელი პარიჟში წავიდა სამუშაოდ და რა შეიტყო, რომ სესილი გუდარზედ ჯვარს იწერს, უამბო მორისსა. რაკი ასე უსინდისოდ ახალგაზდა ქალმა უღალატა ჩემს ძმასა, გაბრაზებულმა ამელიმ გულში განიზრახა თავის დღეში სესილს თვალითაც აღარ ვინახულებო; მორისი მართალს ამბობსო, რომ სესილმა გამაბრიყვა და საძაგლად მომატყუაო.

როცა მორისი სრულებით კარგად შეიქმნა, პარიჟში წავიდა და ხელახლად თავის საქმეს დაადგა, ეხლა და და ძმა ერთად დადგნენ, სამი პატარა ოთახი ექირათ. ამელიმ ერთი საათი დღეში დაიკლო მუშაობა და ამ საათს ახმარებდა სადილის მზადებასა. იმის მაგიერ, რომ დუქანში ეჭამა პური წინანდელებ, მორისი ეხლა სადილად შინ მოდიოდა და თავის დასთან ერთად ისადილებდა ხოლმე. ყველა ეს ამელმა მოახერხა იმის შიშით, რომ მორისს დიდი ცვლილება დაეტყო ავათმყოფობის გამო და ამასთან დიდად შეწუხებული და დაღვრემილი დადიოდა. ამელის ეშინოდა, არა აიტეხოს რამეო. საწყალი მორისი სულ მუდამ დაფიქრებული იყო და მხოლოდ ხანდისხან გაუღიმებდა ხოლმე თავის დას, იმ მხნე ახალგაზდა ქალს, რომელიც

თუმცა მორისზე მომცრო იყო, მაგრამ ისე უვლიდა და ჰპატრონობდა როგორც დედა და არც ერთხელ საყვედურიც არ უთქვამს ძმისათვის, როცა ძმა რაზედმე აიმრიზებოდა და გაჯავრდებოდა ხოლმე

სესილის წიგნი რომ მოუვიდა, ამელი სამუშაოდ იყო და ელდა ეცა; მაშინვე იცნო სესილის ხელი. ნეტა რა არის ამ წიგნშიაო? ჩუქვიანი საქმე იქნება, რომ ეს წიგნი ჩემს ძმას მივცეო? არა ჯობია უკანვე გაუხსნელი დავუბრუნოვო სესილს? გინაღამ მართლა და უკან არ დაუბრუნა, მაგრამ მორისი შემიტყობსო და იწყენსო და ამიტომაც დაიშალა. იმავ დღეს საღამოს უკან ძმას სესილზედ ჩამოუგდო ლაპარაკი.

მორისი, ჩვეულებისა მებრ, ფანჯრის წინ იდგა ღრმად ჩაფიქრებული. ოცნებამ გაიტაცა მისი სული და გული და წარმოუდგინა ნეტარი ღამე 20-ს ივლისისა. საყვარელის ქალის სახე, მისი მხურვალე სიტყვები და ალერსი გონებიდამ არა შორდებოდა. ცრემლ მორეული გულ ამომჯდარი იმ ნეტარს და ბედის-წერის წუთს შეჰკვნესოდა აზრითა და ფიქრითა.

მორისას, უთხრა ამელიმ: მე სათქმელი რამა მაქვს შენთან.

მორისმა ვერ გაიგო.

— მე მეტად მძიმე საქმე მაქვს მეთქი სათქმელი, განიმეორა ამელიმ: ხოლო პირობა მომე, რომ გონიერებით მოიქცევი.

მორისი არც კი დაიძრა და ჩუმად რაღასაც დუდუნებდა.

— მორის, მე იმის ამბავი მოგიტანე.

მაშინვე გამოფხიზლდა მორისი და დააკვირვა თვალები დასა და თითქო უნდა გამოიცნოს მატყუებს თუ არაო, ჰკითხა:

— იმის ამბავიო? ნუ თუ იმასთან იყავი?

— არა, შენ მე ამიკრძალე.

— თუ შეხვდი სადმე?

— არა, მინდა გკითხო და მეშინიან.

მორისი მაშინვე გამოქანდა ფანჯრიდამ და აკანკალებულის ხმით შემოჰსძახა:

— ამელი, თუ გიყვარდე, ნუღარ მტანჯავ. მითხარი მალე, რაც იცი.

საწყალმა ჭაბუკმა ვედრების ნიშნად გაიწოდა ორივე ხელი ხვეწნით და მუდარებით. ამელიმ რა ნახა, რომ ასე საშინლად აფეთქდა მორისი, ინანა, რომ წიგნი არ დასწვა. ერთმა სესილიას ხსენებამ, რომლის სახელიც ამ ორ თვეში ერთხელაც არ გაუჩემებია, სრულად გამოჰსცვალა მორისი. იმ წამსვე მორისი შეიქმნა იმ მშვენიერ ჭაბუკათ, რომელიც იმ ნეტარს ღამეს ელოდდა სესილს ბასტილის მეიდანზედ.

მართლადაც, ძალიან მშვენიერი რამ იყო მორისი. ცხრამეტის წლისა. მაღალი, ლამაზად მოსული, წამოსადეგი, ლამაზის მიხვრა-მოხვრითა, სწორედ და სრულებით საუცხოვო რამ იყო. შავი მოკლე ჯუბა ეცვა და იმავე ფერის ჟილეტკა, შავი ყელსახვევი ეხვია და პერანგის თეთრი საყელო ორივე მხრივ გადმოკეცილი ჰქონდა. ხელები, თუმცა მსხვილები, მაგრამ ძალიან თეთრი ჰქონდა; ზოგიერთგან დამეჭეჭებულობაც ეტყობოდათ, ჰსჩანდა, რომ ის ხელები მუშაობას ჩვეულნი არიან. სახე მისი, როგორც მამა-კაცისა, მეტად ლამაზი და მარილიანი იყო, კაცი იფიქრებდა სწორედ ქალიაო. შავი თვალები, ზემოდამ ლამაზად მოქნილი წაბლის ფერი წარბები და წამწამები, რომელნიც მინაზებულს ბრწყინვალებას თვალისას უფრო მეტს ბრწყინვალებას აძლევდნენ; სწორე და წმინდა ცხვირი, პატარა ტუჩები, ახლად აშლილი ქერა ულვაში, მოგძო სახე, ქერა თმა და ვარდის ფერი ლოყები—შეადგენდნენ მის თვალადობას. ყოვლის ფერით ტურფა რამ იყო, კდემა-მოსილი მორცხვი, როგორც კარგად გაწრთვნილი ბაშვი.

— მორის, ხომ პირობას მაძლევ, რომ გონებიანად მოიქცევი?

— ჰო, ჰო, ოღონდ მალე მითხარ...

— აი წიგნი იმისაგან.

— იმისაგან? განიმეორა მორისმა და სიხარულით ტუჩებით ზედ დააკვდა წიგნსა.

გახსნა წიგნი და ისე სწრაფად გადიკითხა, რომ არც კი ამოუსუნთქავს, თითქო მწყურვალი დაეწაფაო განმაცოცხლებელს წყაროსაო. მისი და შიშით თვალს ადევნებდა მის სახის მეტყველებას, რომელიც ელვის უმალეს იცვლებოდა ხოლმე იმას მიხედვით, თუ რა ჰგრძნობა ებადებოდა წიგნის კითხვაში. ბოლოს გაათავა კითხვა და გადმოსქდა ცრემლი თვალთაგან.

— რაო, მორის? ჰკითხა დამ.

— ჩემო კარგო, მელი! უთხრა მან და დაეცა სკამზედ ხმა მაღლა მტირალი: ვაი, რა უბედური კაცი ვარ!...

— კარგი, გონებას ნუ დაჰკარგავ. ნუ შემანანებ, რომ ეგ წიგნი მოგიტანე... შენ ხომ დიდი ხანია იცი, რა რიგი უმადური და საძაგელი რამ ყოფილა...

მორისი წამოხტა, პირზედ ხელი მიაფარა და შეჰკივლა:

— ნუ, ნუ იტყვი მაგას, მელი!... ჩვენ ყველა არა გვცოდნია... უბედურია ის საწყალი, უბედური.

გაოცებულმა ამელიმ გაიწოდა ხელი რომ წიგნი გამოართოს, მაგრამ მორისმა არ დაანება. მოიწმინდა ცრემლი, ჩაჯდა სელში და ხელახლად მოჰყვა დადინჯებით წიგნის კითხვასა. იგრძნო, რომ უნდა ამელის ამ წიგნიდამ ზოგიერთი რამ უამბოს, რომ 20-ს ივლისის ამბავზედ არაფერი გუმანი არ აღებინოს.

— ვაი, მელი! უთხრა მორისმა ბოლოს: სწორედ იმ დროს როცა მე თავი მოვიწამლე, სესილი გაქცეულა და წყალში გადავარდნილა.

— ეგ საიდამ იცი?

— წიგნიდამ შევიტყე. რაღაც სასწაულით გადურჩენიათ, წაუყვანიათ სასნეულოში და იქ ორი თვე ავად-მყოფი წოლილა. როცა გონზედ მოსულა, უკითხავს და უთქვამთ, რომ მკვდარი ვარ. მხოლოდ გუშინ გაუგია, რომ მე კიდევ ცოცხალი ვარ.

— არა მჯერა.

— თვითონ იწერება, მწერს, რომ უფრო იმით დავიჯერე შენი სიკვდილიო, რომ ამელიმ აღარა მნახაო და გარდა ამისა ერთმა ჩვენმა ნათესავმაო გვიამბოო, რომ იმ სახლში სადაც მე ვიდექ იმ დღეს ვიღაცა მოეკლათო, თუ თვითონ ვიღასაც მოეკლა თავიო.

— სხვას რასა გწერს?

— ქმარი შევირთეო და აღარ უნდა მინახულოო. საწყალს ბევრი ტანჯვა გამოუვლია და, რასაკვირველია, მე არ ვინდომებ, რომ ტანჯვას ტანჯვა მოვუმატო. ეს კი მენატრება ვიცოდე, მართლა მომხდარა რამე სწორედ იმ დღეს იმ სახლში, სადაც მე ვიდექ, თუ ეგ, რასაც იწერება, ახალი ტყუილია, მოგონილი მის შინაურთაგან რომ საწყალი მოატყუონ.

— მითხარი როგორ მოვიქცე, ჰკითხა ჰსწრაფად ამელიმ, უფლის მზათ-მყოფმა, რომ მძას მოეხმაროს: თუ გინდა მე წავალ სესილასთან და თვითონ გამოვკითხავ ყოველს იმას დაწვრილებით.

— ნუ, ნუ, უპასუხა მორისმა, მძიმეს ამოოხვრით: ჩვენ ეხლა სესილი ფიქრშიაც აღარ უნდა გვქონდეს. იგი ჩვენთვის მკვდარია.

— თვითონ ითხოვს მაგასა?

მორისმა ამაზედ პასუხი არ გასცა და განაგრძო:

— მე მინდა, ჩემო მელი, რომ შენ წახვიდე, თუ შეიძლება, ხვალვე ლავუეს ქუჩაში და შეიტყო რა ამბავი მომხდარა იქ.

— ძალიან კარგი, წავალ.

გვიან იყო, ამელი ჭურჭლის მისალაგებლად წავიდა და მორისმა კი კიდევ ერთხელ გადიკითხა წიგნი და პასუხად მიჰსწერა ისრაც ჩვენ ვიცით. მერე გამოეთხოვა დას და წავიდა თავის ოთახში დასაძინებლად. მთელი ღამე თვალზედ ძილი არ მოსვლია, ხან ერთს გვერდზედ მიუგდებოდა ქვეშაგებზედ, ხან მეორეზედ, ტიროდა და ჰკოცნიდა მეირთვასს წიგნსა. მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა.

მეორე დილას სესილიას წიგნი თან წაიღო მორისმა ქარხანაში და იქ შეინახა. ეშინოდა, რომ ვაი თუ ჩემი და ცნობის მოყვარეობამ შეიპყრა-სო, წიგნი იპოვნოს და წაიკითხოსო. მერე როცა მოვალ ვეტყვიო, რომ წიგნი დავწვიო, ერთი ათიოდ დღე რომ გაივლისო, დაავიწყდე-ბაო ყველაფერიო და მაშინ მოვიტან ისევ და ჩემს ყუთში შევინა-ხავო, რადგანაც მართლა დაწვა და დახევა წიგნისა არას გზით არ უნდოდა.

სადილზედ ამელიმ უამბო რომ ვიყავი ლაკუეს ქუჩაშიო, მართ-ლა, 20-ს ივლისს ღამეს სწორედ მორისის ოთახის პირდაპირ ერთი ქალი მკვდარი ეპოვნათო. ზოგნი ამბობდნენო, რომ თვითონ მოეკლა თავიო, ზოგი—მოუწამლავთო, ზოგი კიდევ—გულის ფრიალმა მოკ-ლაო. ერთის სიტყვითაო, ამ ამბავმა მთელი უბანი ფეხზედ დააყე-ნაო. მარტო მეორე დილით შეეტყოთო ეს ამბავი, პოლიცია მო-სულიყოვო, ხალხი შეყრილიყოვო და საწყალი მკვდარი წაეღოთო და მორგში *) დაესვენათო. სხვა ამაზედ მეტი ამ საიდუმლო ისტორიისა არავინ არა იცის რაო.

— აი ხომ ხედავ, ორის, უთხრა ამელიმ: ერთი ბეწო რომ გარჯილიყვნენ, ადვილად შეეძლოთ შეეტყოთ, რომ ლაკუეს ქუჩაში ქალის მკვდარი და არა მამა-კაცი. მე სესილს არ ვამტყუნებ, ავათ-მყოფი იყო, თითქმის ჭკუიდამ შეშლილი მწუხარებისა და ტკივილე-ბისაგან. ხოლო მისმა შინაურებმა დაგიგეს თქვენ ორივეს მახე.

მორისმა ხმა არ გასცა. ჩაჰკიდა თავი და ღრმა ფიქრებში წა-ვიდა. ცხადი იყო, რომ ბედი ხელს არ უწყობდა არც ამას და არც სესილსა.

— არავისი ბრალი არ არის, ჰსთქვა ბოლოს მორისმა. ეგ ჩემის ბედის საქმეა. მე რაღაც წყევა-კრულვა მდევს.

მეორეს დღეს დილას, გათენებისას ვიღაცამ დაუკაკუნა გარეთი კარი მათის სადგომისა. მორისი წამოვარდა ქვეშაგებიდამ პერანგა, მი-ვარდა კარებსა და იკითხა:

---

*) მორგი ერთი სახლია სადაც უპატრონო მკვდრებსა დაასვენებენ ხოლმე ვიდრე მკვდრის ვინაობას შეიტყობენ.

— ვინა ხარ?

— კანონის სახელით გააღეთ.

— ვაიმე, ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია ჩემს თავს? დაიძახა ელდა ცემულმა ამელიამ თავის ოთახიდამ.

მორისმა გაოცებით გააღო კარები. ოთახში შემოვიდნენ პოლიციის კომისარი და ორი მოხელე.

— მორის ფერანი რომელია? იკითხა კომისარმა.

— მე ვარ, უპასუხა ყმაწვილმა აკანკალებულის ხმით.

— კანონის სახელით თქვენ უნდა დაგაჭიროთ.

## ნაწილი მეორე

## კაცის-კვლა

### I

რა მოხდა ლაკუეს ქუჩაში 20-ს ივლისს.

დავიწყოთ იმ დღიდამ, როცა პირველად იყო დანიშნული სესილის ჯვარის-წერის დღე, რომელიც გააუქმა სესილას თავის-მოკვლის განზრახვამ. საღამოს ექვს საათზედ აურებელი ხალხი იდგა ლაკუეს ქუჩაში სწორედ იმ სახლის პირ-და-პირ, რომელშიაც წინა დღეს ღამე გაატარეს მორისმა და სესილამ. უქმი ხალხი ლაპარაკობდა, რომ ამ პატარა ლამაზს სახლში მოუკლავთ ვიღაც საიდუმლოებით გარემოცული ახალ-გაზდა ქალი, რომელსაც ამ უბანში არავინ არ იცნობდა. იგი ეპოვნათ საწოლს ოთახში მკვდარი. ზოგი ამბობდა ხელით არის დამხრჩვალიო, ზოგი,—მოწამლულიაო.

— დღეს ქალებს ბედი როგორღაც არ შეჰსწყვით, ჰსთქვა ხალხში ჩვენმა ნაცნობმა მადამ? დილას ერთი ჩავარდა წყალში, მეორე კიდევ საღამოზედ მკვდარი იპოვეს. ნეტა ეხლა რიგი ვისია? მერე ორივე ისეთი ლამაზები არიან.

— ჰა, თქვენ იცნობდით? იცნობდით განა? ყოველ-მხრიდამ დაუძახეს.

— მე ვიცნობდი. არ ვიცი როგორ შეიძლება არ იცოდეს კაცმა ლამაზი ქალი თქვენთან ერთს უბანში მცხოვრები. ყოველთვის როცა კი შევხვედრივარ, ეტლიდამ რომ ჩამოხტებოდა ხოლმე, ტუჩებს ვილოკდი და ვამბობდი: „აი ამისთანა რომ ხელში არ მომხვდება ხოლმე!“ ქერა ქალი, მაღალი, ოც-და-ხუთის, თუ ოც-და-ათის წლისა, გაფარფარებით მოკაზმული, მშვენიერის თვალებით, პაწია ხელებით, ასე რომ იმისი ოთხი ხელი ჩემს ერთს ხელში დაეტეოდა, საოცარი რამ იყო. მარტო იდგა, ამბობდნენ, რომ ამ სახლში მარტო დანიშნულს დღეს მოდიოდაო, ერთის ვაჟ-ბატონის სანახავადაო. მოსამსახურე გოგო მარტო კვირაში ორჯელ თურმე მოდიოდა ოთახის დასალაგებლად და ძალიან იშვიათად ხედავდა ხოლმე იმ მშვენიერებას. აი ეკატერინე, ჩვენი გუდენის ცოლი, ეგ დადიოდა კვირაში ორჯელ და ოთახს ულაგებდა. კატერინი რომ შესულა საწოლს ოთახში დასალაგებლად, ის ლამაზი ქალი მკვდარი უნახავს.

— ამბობენ, ზედ თითქმის არა ჰსცმია რაო, შენიშნა ერთმა ტანად დაბალმა დედა-კაცმა.

— მაშ არა და! ისე შიშველი ყოფილა როგორც ევა. ვაი რომ მე არ მიმიწვიეს როცა სინჯავდნენ.

ამ დროს ეტლი მოადგა კარს და ხალხმა გზა მიჰსცა.

— კომმისარია, ჰსთქვა ვიღამ.

მართლადაც ეტლიდამ გადმოვიდა პოლიციის კომმისარი და თან სამი ჩუმი-მძიებელი მოჰყვანა. კარი დაარაკუნა; მაშინვე კარი გაუღეს. კომმისარი და ჩუმი-მძიებელნი შავიდნენ და კარი ისევ მოხურეს. უქმი ცნობის-მოყვარე ხალხი სახტად დარჩა, თუმცა კი იწევდნენ შესვლისათვის.

— თქვენ ხართ აქაურობის მეთვალ-ყურე და ოთახების დამლაგებელი? ჰკითხა კომმისარმა დედა-კაცს, რომელმაც კარი გაუღო.

— დიახ, ბატონო კომმისარო.

— თქვენ დღეს მოხვედით ჩვეულებისა-მებრ?

— დიახ, ბატონო. ყოველს პარასკევს ქალ-ბატონი მობძანდე-ბოდა ხოლმე აქ და შაბათის თორმეტ საათამდე აქა რჩებოდა. მე თითქმის ორს საათზედ მოვიდოდი ხოლმე და ავალაგებდი ოთახს.

— დღეს რამდენს საათზედ მოხვედით?

— ხუთი საათი იქნებოდა, თუ ცოტა მეტ-ნაკლები.

— და ქალ-ბატონი მკვდარი დაგხვდათ.

— დიახ.

— რო შემოხვედით, აქ არაფერი არეულობა არა შეგიმჩნე-ვიათ რა?

— სულ არაფერი.

— კარი დაკეტილი იყო?

— დიახ, კლიტით და გასაღები კი კლიტეში არ იყო.

— ისევ იმ ყოფაშია აქაურობა, როგორც დაგხვდათ, თუ ხე-ლი ახლეთ რასმეს.

— ოჰ, ბატონო კამმისარო! რა კი მკვდარი ვნახე, რაღა მა-გისი მცხელოდა, გამოვვარდი მაშინვე ოთახიდამ და შიშით ველარ შემოვედი... ქმარი თქვენთან გამოვგზავნე და თქვენს მოსვლამდე სულ აქ ვიჯექ.

— ძალიან კარგი, აბა გაგვიძეხით.

— ის ოთახი გაჩვენოთ? ჰკითხა კანკალით დედა-კაცმა.

— დიახ.

— მობძანდით, უთხრა დედა-კაცმა, ანიშნა კიბე და თითონ კი ჩამოეცალა და გზა მისცა პოლიციის მოხელეებს.

ავიდნენ მეორე სართულში; იქ სულ ბნელოდა; ფანჯრებზედ მძიმე ფარდები ჩამოფარებული ჰქონდა ასე, რომ ნათელი არსაიდამ შემოდიოდა. ოთახში იმოდენა სინათლე იყო, რომ ძლივს გაირჩეოდა მკვდარი გვამი, თეთრად გამოშუქარი შავ დათვის ტყავზედ.

კამმისარის ბძანებით ფანჯრები დააღეს, მაგრამ მაშინვე კი ისევ დახურეს, რადგანაც გარედამ ხმაურობა ხალხისა ისმოდა. კამმისარმა უბძანა ერთს მოხელეს ოქმი შეედგინა ყოველ იმისა, რაც აქ შეი-ტყეს. იმ ოთახში, სადაც მკვდარი იყო, უკანა კედელთან დიდი საწო-

ლი ხარატით ნაკეთი ტახტი იდგა შავის ხისა განიერი, თითქმის ჩორსო; ტახტს ზემოდამ კარავი ჰქონდა შეკრული, ცისფერის აბრეშუმისა და ლამაზი ბოძები ედგა. ტახტზედ ასასვლელად სამ საფეხურიანი კიბე იყო, დაფენილი შავი დათვის ტყავითა. ტახტი ორის ფანჯრის პირ-დაპირ იყო, ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდნენ. ფანჯრებ შუა სტოლი იდგა და ზედ ეწყო სხვა და სხვა ავეჯი სადაფისა: სავარცხლები, ფრჩხილისა და კბილის საწმენდი და მაკრატლები, ამათ დაჰყურებდა დიდი ვენეციანური სარკე, ცოტად გადმოხრილი ზემოდამ ასე, რომ მკვდარი შიგ ჩანდა. ყოველ კუთხეში თითო საჯდომი იდგა, ლაჟვარდის აბრეშუმით გადაკრული. შუა ოთახში პატარა სტოლი იყო, ზედ იდგა ორი შამპანსკის სასმელი ბაკალი და ორი ცარიელი ბოთლი.

ცხადა იყო, რომ დაწოლის წინად საწყალს სხვერპლს ეჭამა შაქრის პური და ხილი, რადგანაც ნაჭამი თეფშებზედ დარჩენილი იყო. გძელ სელზედ გადაფენილი იყო ორი ბატისტის იუბკა დიდის შლეიფებითა, გძელი ლაჟვარდი აბრეშუმის სადილაო კაბა, მდიდრად მორთული და მჭვირვალე იმავ ფერის მაღალ ყელიანი აბრეშუმის წინდები. სკამთან ეყარა ლაჟვარდი აბრეშუმის წვივ-საკრავი და პაწია, თითქო ბაშვის წუხები. ტახტის მოაჯარზედ გადაკიდებული იყო ძალიან წმინდა ბატისტის პერანგი მდიდრად ნაკერი.

პოლიციის მოხელეებმა რა გაშინჯეს იქაურობა და დარწმუნდნენ, რომ ყველა თავის რიგზეა, მოუბრუნდნენ მკვდარსა და შეჰკრთნენ ალტა-ცებისა გამო.

მკვდარი, სრულებით გაშიშვლებული, ეგდო თავდაყირა ტახტის კიბის საფეხურებზედ, ამასთან მისი სითეთრე სწორედ ნათელსა ჰგვანდა დათვის შავს ტყავზედ მოფენილს. ფეხები ზემო საფეხურზედ ედო და თავი კი ძირს ცოტად მოხრილს ხელზედ და მშვენიერს ქერა თმებზედ ესვენა; მეორე ხელით კი ინსტიკტით კდემა-მოსილი სანახაობა მიელო. არც ერთი მხატვარი ამაზედ უმშვენიერესად ვერ გამოხატავდა მძინარე ნიმთასა.

სხვერპლი ამ დაფარულის ავ-კაცობისა იყო სიტურფის სრულება.

რაც საჭირო იყო ჩაჰსწერეს ოქმში და კამმისარმა დაუწყო ლოდინი ექიმს სიკვდილის მიზეზის აღმოსაჩენად. ამ ლოდინში, უსაქმურობით, დაუწყო სინჯვა ტანს მკვდრისას და არავითარი გარეგანი ნიშანი ვერ იპოვა. სახესაც კი არ დასჩნევოდა არავითარი რამ მტკივნეულობის ნიშანი. პირი იქით, ზედ ტუჩებზედ ღიმილი შეჰკვდომოდა; თითქო ის მშვენიერი ქალი ტკბილს სიზმარში ყოფილა და ისე მომკვდარაო.

— ხომ არ გინახავთ ის, ვინც უკანასკნელ დროს ამ უბედურთან ყოფილა? ჰკითხა კამმისარმა მოსამსახურე დედა-კაცს.

— არ მინახავს.

— ხომ არ იცით, ვინ დადიოდა ხოლმე ამ ქალთან?

— არ ვიცი.

— ნახეთ კი რომ ქალთან მოვიდა ვინმე?

— დიაღ, ორი კაცი ვნახე, ისიც შორიდამ ასე, რომ სახე ვერ გავუსინჯე.

— მაინც აგვიწერეთ როგორები იყვნენ.

— ერთი ყმაწვილი კაცი იყო, მეორე კი პატრი.

— ჰოო!... ჩასთქვა და ტუჩი აიჭიმა კამმისარმა: იქნება ერთი იმათგანი პატრი კი არ იყო და პატრის ტანისამოსი კი ეცვა.

— შეიძლება; მე სახე ვერ მინახავს.

— ამ ქალს ამ უბანში მცნობი ხომ არა ჰყვანდა ვინმე?

— არა.

— ერთი რიგიანი გამოძიება უნდა, რომ შევიტყოთ, ხომ არავის უნახავს ეს ქალი გუშინ საღამოს, და თუ უნახავს, მარტო ნახეს, თუ თან სხვაც მოსდევდა ვინმე, შენიშნა კამმისარმა და მერე ისევ დედა-კაცს ჰკითხა:

— ამ სახლებს სარდაფი აქვს?

— დიაღ.

— ეს ღვინო იქიდამ არის? ჰკითხა კამმისარმა და თითით ანიშნა სტოლზედ ცარიელი ბოთლები.

— არა, სარდაფში ჩვენ ღვინოს არ ვინახავდით. ერთხელ ქალბატონს მოუტანეს რამდენიმე ბოთლი ბორდოს ღვინითა და მიბძანა ბიჭების ოთახში დადგით.

— ეგ ღვინო იქნება რკინის გზით მოუვიდა და თქვენ გამომგზავნელის ადრესი დაგრჩათ.

— არა, ბატონო, თვითონ ქალბატონმა მოიტანა თან ეტლითა. მერე ჩემმა ქმარმა, კაი მცოდნეა ღვინისა, მითხრა, რომ პრობკაზედ ეტყობაო; თითო ბოთლი ხუთმეტი ფრანკი მაინც უნდა ღირდესო.

— რასაკვირველია, გეცოდინებათ სახელი და გვარი თქვენის ქალბატონისა.

— ეს სახლი იქირავა მარტო ლეას სახელითა. თვეში ორჯელ წიგნი მოსდიოდა ხოლმე და ზედ ასე ეწერა: ელლა მედანსაო.

— საიდამ მოსდიოდა?

— გერმანიიდამ და პრუსიიდამ.

— სულ ყველა წიგნები?

— სულ ყველა.

— სწორედ თვეში ორჯელ მოსდიოდა ხოლმე.

— თითქმის, ყოველს ორ კვირას.

— ხორაგის მსყიდველი ხომ არა ჰყვანდა ვინმე ცალკე-კაცი.

— არა, სულ მე ვყიდულობდი ხოლმე ნაღდს ფულზედ. ნებასაც არ იძლევოდა, რომ სხვას ვისმეს ამოეტანა აქ რამე, სულ მე ვეზიდებოდი.

— სხვა ხომ არა იცით რა კიდევ?

— სრულებით არაფერი; აი მთელი ორი საათია და შიშით ჯე-დევ გონზედ ვერ მოვსულვარ. აქ არავინ არ მოდიოდა. მტერი არავინა ჰყვანდა. იმოდენად კეთილი იყო, რამოდენათაც ლამაზი, მერე ძალიან გულუხვიცა.

— ხომ არ იცით: აქვს რამე აქ ნივთეულობა, ანუ ფულის რამე ქაღალდები.

— არ ვიცი.

კამმისარი დააკვირდა მკვდარსა, გაუსინჯა ხელები და ყურები და ჰკითხა:

— საყურეს ატარებდა?

— დიაღ, ხანდისხან. მე მინახავს ზედ მდიდრული ბრილიანტის საყურეები, მაგრამ ყოველთვის კი არა.

— ბეჭდებს?

— უფრო ხშირად.

— მაგაზედ ადვილად დარწმუნდება კაცი, ჰსთქვა ერთმა პოლიციის მოხელემ, რომელიც ყოველს კუთხეში დაფუსფუსებდა და ჰსჩხრეკდა. ხელები გაუსინჯა მკვდარს და დაუმატა:

— სამი ბეჭედი ჰქონია; ერთი ერთს ხელზედ და ორი მეორეზედ. თითებზედ ეტყობა.

— ძალიან კარგი; მაშ აშკარაა, მოკვლის მიზეზი ქურდობა ყოფილა.

— უეჭველად, ქურდი კი ძალიან მცოდნე ყოფილა აქაურობისა და ძალიან ფთხილიცა უყურეთ, რაც ყუთებია, სულ ხელახლად დაუკეტნია.

— რამე ვერცხლეულობა გქონდათ? ჰკითხა კამმისარმა დედაკაცს.

— გვქონდა.

— აბა ნახეთ, ყველა თავის ადგილას არის?

გაიქცა სასადილო ოთახში და ისევ მალე შემობრუნდა.

— ვერცხლეულობა თავის ადგილას არის, ხელიც არ უხლიათ, უთხრა დედა-კაცმა.

მაშინ კამმისარმა უთხრა პოლიციის მოხელეს:

— ბოიევ, იარაღი რაშა გაქვსთ?

— დიაღ, ბატონო კამმისარო.

— მაშ აბა დაალეთ ყუთები.

ბოიე შეუდგა ბძანების აღსრულებას. გაალო ყველაფერი, მარტო შკაფშიდა თეთრეულობა იპოვნა.

ამასობაში ექიმიც მოვიდა. ძალიან ბეჯითად გასინჯა მკვდარი და გამოაცხადა, რომ საწამლავს მოუკლავსო. ეს უსათუოდ ასე ყოფილაო: ქალი ქვეშაგებში წოლილა, საწამლავისაგან მძიმე ტკივილებით შეწუხებული, გადმოგორებულა ცოცხალ-მკვდარი ქვეშაგებიდამ ძირს და აქ დაუძინია საუკუნოს ძილითა. ექიმის აზრით, ქალს თითონ მოუწამლავს თავიო და კამმისარიც დაეთანხმა. ქალი რომ გული შერჩენოდა, უსათუოდ ჯერ დამთვრალა და მერე მიუღია ერთი იმ საწამლავთაგანი, რომელიც უცნაურს სიზმრებ-შორის კაცს სულს დაალევინებს ხოლმე. მკვდრის სახეზედ სულთა-ბრძოლას მარტო სასიამოვნო ბეჭედი დაემჩნივა.

— სწორედ ეგრე იქნება. ერთი რაღაც ახირებულის თვისებისა იქნებოდა, მოუკვიდოდა ყინი, მიიღებდა საწამლავს და ტკბილს სიზმრებში დალევდა სულს.

პოლიციის აგენტი ბოიე ტანში გასწორებული იდგა და ულვაშებს იკვნეტდა ღრმა ფიქრებში წასული.

— თქვენ როგორ გგონიათ, ბოიევ! ჰკითხა კამმისარმა.

ბოიემ ხმა ამოუღებლივ თავი გააქნივ-გამოიქნივა.

— თქვენა გგონიათ, რომ სხვას მოუწამლავს და ისე მოუკლავს? ჰკითხა ექიმმა.

— სწორედ, უთხრა ბოიემ, — ცოტა მოფიქრების შემდეგ.

— რა საბუთით ჰფიქრობთ მაგას?

ბოიემ ხმა არ გასცა, დაიწყო სიარული ოთახში, თვალ-გამოფაცირებით და სინჯა ყოველივე კუთხე. მერე მობრუნდა და უთხრა კამმისარს და ექიმს:

— ეხლავ მოგახსენებთ, რათაც მგონია რომ ეს ქალი სხვისაგან არის მკვდარი, ოგიუსტ, ჩაწერეთ ჩემი სიტყვები. ბატონო ექი-

მო, თქვენ რა გზითა ხსნით იმ გარემოებას, რომ ღამაში საუცხოვო მოდის ქალი თავს იკლავს ეგრე გაშიშვლებული.

— იმ გზით, რომ გუშინ საშინლად ცხელოდა, საღამოს ჭექა-ქუხილიც იყო.

ბოიემ მხრები აიჭიმა, ანიშნა ყურით პერანგი ტახტის მოაჯირზედ გადაკიდებული და განაგრძო:

— ამ აბლაბუდისაგან კაცს არ დაჰსცხება. ამაში მე ვხედავ უსირცხვილო საქციელს ამ ქალისას და სხვას არასფერს. აი ქვეშაგებზედ ატყვია, საცა წოლილა და ბალიშზედაც — საცა თავი ჰსდებია. ნიშნები მთლად არიან დარჩენილნი. გვერდით, როგორც ქვეშაგებზედ, ისეც ბალიშზედ ატყვია, რომ სხვაც წოლილა. აბა გაისარჯეთ, ბატონო ექიმო და უსუნეთ ბალიშს. ბალიშზედ იმისთანავე სურნელი სუნი უდის როგორც ქალის თმებსა, ხოლო მეორე ბალიშს კი, რომელზედაც სხვას ჰსდებია თავი, სხვა სურნელი სუნია. აშკარაა ამ ქვეშაგებში ორნი წოლილან.

— შეიძლება.

— უეჭველად. სტოლთან არავინ მჯდარა ხილისა და შაქრის ზურის საჭმელად, რადგანაც აქ სტოლთან სკამი არსად არის. ჰსჩანს უსვამით და უჭამიათ მწოლარეებს. სტოლი დათვის ტყავზედ მდგარა და აქით მიუდგამთ სწორედ იმ დროს, როცა ქალს გონება დაჰკარგვია და უგონოდ ქმნილი მომაკვდავი გადმოცურებულა ძირს; აქ ძილი მოჰკრევია, ჩიუღია რა ჯნების ამშლელი სანახაობა. ქალი არ დამეცულა კი, განგებ ჩამოწოლილა ისე, რომ უფრო სპეტაკად და უფრო მშვენიერად დაჰნახვებოდა მას, ვინც საყვარლად ჰყოლია და ვინც არის ამ ქალის მკვლელი... აბა ეხლა გასინჯეთ ბაკალები. რამდენიმე წვეთი ძირში დარჩენილის შამპანსკისა ერთში წმინდაა, მეორეში მღვრიე, ძირში რაღაც თხლესავით ეტყობა. ერთი ამ ორ ბოთლში მოწამლული ყოფილა. მკვლელს, უსათუოდ, ერთი ბოთლი ქალისთვის მიუჩემებია, მეორე თავისათვის დაუდგამს. უგნასვენელი — ნამირალი თვითონ ბოთლიდამ არის დაღვრილი აგურის ფერს ლაქაზედ

ბოთლის პირას ეტყობა ტუჩების მიკარების ნიშანი.. ბოთლი, რომელშიაც წმინდა შამპანსკი მდგარა, ნახევარ ჭიქა ღვინო კიდევ არის, მეორეში კი წვეთიც არ დარჩომილა. აშკარაა, მოწამლულის ბოთლის მონარჩენი ბუხარში გადუღვრიათ. აი ნახეთ, ნაცარი სველია. ამ ქალს ყურებში საყურები ჰქონია და ხელებზედ ბეჭდები. ერთისაგან და მეორისაგანაც ცხადი ნიშნებია. აბა, ბატონო ექიმო, კიდევ გგონიათ, რომ ქალს თვითონ მოუკლავს თავი?

ექიმი ბეჯითად უგდებდა ყურს ბოიეს ნათქვამსა, მაგრამ მაინც კიდევ ემძიმებოდა თავის აზრის გამოთქმა.

— ეს ქალი რომ სხვისაგან არის მკვდარი, მაგას ეჭვი არა აქვს, ქალის საყვარელს მოუკლავს იმ განზრახვით, რომ გაჰქურდოს. ეგ სულ ერთია — აგრე თავდა-ყირაა მოკლული, თუ მერე დაუღვრიათ ეგრე: ეს კი ცხადია, რომ უტანჯველად მომკვდარა და სრულს ნეტარებაში ყოფილა სიკვდილის დროს. ყოველი ჩვენი ძებნა უნდა მიიმართოს იმის თუ იმათ მონახვაზედ, რომელნიც ქალს აქ თავისთან მიღებული ჰყოლია. ამ ქალს აქ დროებით ჰქონია ბინა, სადაც ინახულებდა ხოლმე თავის საყვარელს თუ საყვარლებსა. ეს სიმდიდრე, მისი ტანისამოსი, ეს საგანგებო თეთრეულობა ცხადად ამტკიცებს რა გვარი ქალიც ყოფილა ეს უბედური...

ქვევით კარის რაკუნის ხმა მოესმათ. მოსამსახურე დედა-კაცმა გაოცებით შეხედა პოლიციის მოხელეებს.

— გააღეთ ჩქარა კარი. უთხრა კომმისარმა: უსათუოდ გამომძიებელია.

დედა-კაცი წავიდა და ბოიემ ხელახლად დაიწყო იქაურობის ჩხრეკა. მართლაც, გამომძიებელი მოვიდა და თან მოიყვანა თავისი სეკრეტარი და ერთი კიდევ ვიღაც კაცი. კომმისარი მიეგება, წარუდგინა ექიმი და პოლიციის მოხელენი და უამბო რაც პირველს გამოძიებაზედ შეეტყოთ და გაეგოთ. მერე გამომძიებელი შეიყვანა იმ ოთახში სადაც მკვდარი იდო.

— მოჭსჩხრიკეთ ყველაფერი?

— დიახ, მაგრამ ვერა ვიპოვეთ რა, ყველაფერი წაუღიათ, მარტო თეთრეულობაღაა აქ.

— მაშ ქაღალდები არა იპოვეთ რა?

— არა.

— მე მომივიდა სამინისტროდამ ქაღალდი და იქ ეწერა, რომ სიკვდილის მიზეზი რაღაც დიდად საჭირო ქაღალდების მოპარვა უნდა იყოსო.

ბოიემ შეხედა ექიმს.

— თქვენ გაქვთ რაიმე ცნობა იმაზე თუ ვინ არის ეს ქალი?

— განა თქვენთვის კი არ უცნობებიათ? მისი სახელი ელდა კერმედანია, საყოველდღეოდ კი ლეა მედანს ეძახოდნენ. იგი მდგარა ელისეის მინდვრებზედ ბაიორონის ქუჩაში. ავსტრიის ქვეშევრდომია და დაბადებულია ვენაში... რაც უნდა მოგვივიდეს, დამნაშავე უსათუოდ უნდა ვიპოვოთ? ვის მიანდობთ ამ მძიმე საქმისათვის ძიებას.

— ბოიეს, რომელიც ამ წუთის წინად წარმოგიდგინეთ. მან დაგვიმტკიცა შეურყეველის საბუთებით, რომ ეს ქალი სხვის ხელით არის მოკლული და არა თვითონ მოუკლავს თავი, როგორც ექიმი ფიქრობდა.

— ძალიან კარგი. ახლა თქვენ რა გზას დაადგებით, უფალო ბოიე!

— მე ორი თანაშემწე მყავს და ჩვენ სამივ ერთად ამ უბანს გადავაქოთებთ... დედა-კაცმა გვითხრა, რომ სარდაფში შამპანსკი არა ჰქონიათ და ამიტომაც ჩვენ ყველაზედ უწინარეს ვეცდებით შევიტყოთ, ვისგან და სად უყიდნიათ შამპანსკი. აი კიდევ ორი შაქრის პური. ამათის თაობაზედაც მაგასვე ვიქმთ. ამაებს რომ შევიტყობთ, იქნება მკვლელის ნიშნებიც შევიტყოთ. მერე უნდა შევიტყოთ, რამდენს საათზედ მოსულა აქ ეს ქალი, ეტლით, თუ ფეხით.

— მე მოგახსენებთ, უპასუხა მოსამსახურე დედა-კაცმა: წუხელ გვიან მოვიდა. მე ცხრა საათზედ სარეცხი მოვიტანე აქ და აქ ჯერ

არავინ იყო... ქალბატონი თავის დღეში ეტლით ამ სახლამდე არ მოვიდოდა ხოლმე; ბასტილიის მოედანზედ დააყენებდა და იქიდამ ფეხით მოდიოდა.

— ეგ მეტად ძვირფასი ცნობაა ჩვენთვის.

გამომძიებელმა სხვა ყველაფერი დაწვრილებით გამოიკითხა, მერე ნება მისცა გვამი წაესვენათ მორგში და იქ უნდა გაეჭრათ. უბძანა ყველაფერი დაბეჭდონ, რაც სახლშია, ჰსთხოვა კამმისარს და მოხელეებს, რომ გულმოდგინედ მოეკიდნენ ამ საქმეს და ყველაფერი რაც აღმოჩნდება აცნობონ ხოლმე. წავიდა თუ არა, გვამი გაიტანეს და მორგში წაიღეს. კამმისარი და მოხელენიც წავიდნენ.

მარტო ერთი ბოიე იყო, რომ არ უყვარდა საქმე სახვალიოდ გადაედვა და თუმცა გვიან იყო, მაინც შეუდგა ძიებას. აიღო ერთი მუჭა ნაცარი ბუხრიდამ, გამოეთხოვა ქუჩაში ამხანაგებს და დაიწყო-წანწალი ქუჩებში: იქნება ვიპოვო რამეო. აფთიაქის წინ რომ გაიარა, დაინახა, რომ კარის მინაზედ აწერია: „გამოცდილი ქიმიკოსი".

— აი აქედამვე დავიწყოთ, ჰსთქვა თავის-თავად და შევიდა აფთიაქში. უამბო, რომ ერთმა კაცმა თავი მოიწამლა და საჭიროა ვიცოდეთ რომელ საწამლავითაო: აი ესაა ვიპოვე ნიშნადაო, დაუმატა და მიაწოდა ქაღალდში გახვეული ნაცარი.

ქიმიკოსმა გასინჯა და ჰსთქვა, რომ ამ ნაცრის გამოკვლევას ბევრი დრო უნდაო. ბოიეს ეგონა, რომ უსათუოდ სხვა მიზეზიაო რომ თავიდამ იშორებსო, ამოიღო და აჩვენა თავისი ბილეთი პოლიციის მოხელეობისა.

— მე უარი არ მომიხსენებია, უთხრა დასწრობით ქიმიკოსმა: ხოლო ეს არის, რომ მართლა ამას ბევრი დრო უნდა. საწამლავი უსათუოდ სხვა სასმელში იქნებოდა გარეული და ამიტომაც ამნაცარში მეტად მცირედი ნაწილიღა იქნება საწამლავისა.

— შამპანსკეში იყო გარეული.

— შამპანსკეშიო? იკითხა გაოცებით ქიმიკოსმა.

— დიალ, ეგრე რად გეოცათ? ჰკითხა ბოიემ უურ აცქერებით.

— დღეს დილით ჩემთან მოვიდნენ და მთხოვეს წამალი სა-წამლავისა, რომელიც შამპანსკში ყოფილიყო გარეული.

— დღეს დილით? მაშასადამე თქვენ ეხლავე შეგიძლიანთ გამო-იცნოთ ამ ნაცარში იგივე საწამლავია, თუ არა.

— რასაკვირველია, ერთის წუთის მომითმინეთ.

ზებერი ქიმიკოსი შევიდა თავის ლაბარატორიაში და ხუთის წუთის უკან ისევ შემობრუნდა.

— ეს სწორედ იმისთანა საწამლავია, ჰსთქვა მან.

— ეგ!... დღეს მოვიდნენ წამლის სათხოვნელად?

— დიაღ.

— მერე, მიეცით?

— რა თქმა უნდა, მაშინათვე. გარდა მაგისა, ამ საწამლავს მე-ლიან ხშირად ხმარობენ მას აქედ, რაც მისი თვისებს საქვეყნოდ შე-იტყეს. უმაწვილ-კაცობა გაუფთხილებელია... იგი ფიქრობს მარტო სიამოვნებაზედ და ის კი ავიწყდება, რაც საშიშარია. ტკბილ ამოვნე-ბის მწყურვალენი, სიცოცხლეს საფეთარავით იხდიან. დიდპნდელი ამბავიც ამის მიზეზით მომხდარიყო. ჩემთან ახალგაზრდა ქალი მოვიდა წამლისათვის, ესე თვრამეტის წლისა, თმა გაშლილი და შიშით თავ-ზარ-დაცემული. მე მგონია, ადრეც მინახავს ის ქალი.

— რა გვარი ქალია?

— მუშა-ქალია. ეგ საწყლები ქალიან ადვილად მიენდობიან ხოლმე გულის-წყურვილსა და ჰგონიათ რომ ერთი წვეთი ამ საწამლავისა სამყოფია, რომ ტკბილ სიზმრებიანი ძილი მოჰგვაროს და მაჰმადის სამოთხე წარმოუდგინოს ისე, რომ უმანკოებას არ შეუგინოს.

ზოიუ ყური უგდებდა ქიმიკოსსა; მაგრამ აზრით სხვაგან იყო. გამოეკითხა ზეპირად ყოველისფერი რაც ახალგაზრდა ქალზედ იცოდა ქიმიკოსმა, ჩაწერა ეს ყველაფერი და წამოვიდა.

გზა-და-გზა უნებურად თავის-თავს ელაპარაკებოდა ხმა-დაბლა:

— ქალის მკვლელი იმ უბანში უნდა იყოს. უსათუოდ თვითო-ნაც უნდა დაეწერა შამპანსკი მოწამლული ბოთლებამდე, რომ ეჭვი არ

აელო ქალს. თვითონ ძალიან ცოტა დაულევია, რომ არ მოკვდეს და შინ რომ მოსულა, თავისი ქილა ცემული საყვარელი გაუგზავნია წამლისათვის... ქალი ქიმიკოსთან აღარ მოსულა, ჰსჩანს მკვლელი გადარჩენია საწამლავს... აქ ამ უბანში უნდა ძებნა. ხვალ შეუდგები ძებნას. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიპოვით ვაჭრებს, რომელთაც შამპანსკი და შაქრის პური გაუყიდნიათ... იმათგან მსყიდველის ნიშნებსაც შევიტყობთ.

ბოიეს უხაროდა ეს ამბავი და ამ ყოფით შინ მივიდა და დაწვა დასაძინებლად.

## თავი II

### რად დაიჭირეს მორისი?

ბოიე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა მკვლელის პოვნა, უცნაური შეხედულობის კაცი იყო. იგი იყო გძელი, გამხდარი; პატარა ფუსფუსა თვალები ჰქონდა და თავი როგორც კვერცხს, ისე წვეტიანი. თუმცა ოცდა ათისა და ბევრი, ბევრი ოცდა ხუთმეტის წლისა იყო, მაგრამ თავი სრულად მოტვლეპილი ჰქონდა, მარტო ყურებ ზემოთ ორიოდე ბალანი ეტყობოდა. ტანისამოსს ძალიან მოკლეს და ვიწროს იცვამდა, ამიტომაც კლანჭები და მკლავები, განსაკუთრებით უკანასკნელნი, მეტად გძლად ეჩვენებოდნენ კაცს.

მეორეს დღეს ბოიემ და მისმა ორმა თანა შემწემ მოიარეს მთელი უბანი და საღამოზედ ერთის დანაშაულის ადგილას შეიყარნენ, თუმცა ბევრს ცდილიყვნენ, მაგრამ ვერაფერი შეეტყოთ. ბოიეს ვერაფრად ეჭაშნიკა ეს ამბავი. ისევ აქედ იქით დაიქსაქსნენ იმ პირობით, რომ ოცდა ოთხს საათს შემდეგ იმავ ადგილას თავი მოეყარათ.

მეორე-ჯერ შეყრაზედ წინ მოვიდა ამისი ამხანაგი ბორელი. ბოიემ ჰკითხა:

— არის რამე ახალი?

— გახლავთ, ბატონო ბოიე.

— აბა ჩქარა მიამბეთ.

— მე ვიპოვე მედუქნე, რომლისაგანაც ორი ბოთლი შამპანსკი უყიდნიათ.

— ძალიან კარგი.

— მედუქნეს ჰქვიან ბერარი. დუქანი ლიონის ქუჩაზე აქვს რკინის გზის სადგურის ახლო. შაბათს საღამოს ერთი უმაწვილი კაცი, ესე ოცის წლისა, ძალიან ფერ-მკრთალი, თვალად კი გულდადინჯებული, მისულა და უყიდნია ორი ბოთლი საუკეთესო შამპანსკი და მიუცია თექვსმეტი ფრანკი. მედუქნეს უთქვამს ჩემს ბიჭს გაახლებო და ბოთლებს წამოგიღებსო, მაგრამ იმას არ უქნია, საჭირო არ არისო, აქავ ორ ნაბიჯზედ ვდგევარო.

— ნიშნები გამოჰკითხეთ.

— დიაღ, და დაწვრილებითაც ჩავწერე. მინამ მედუქნე სარდაფიდამ ღვინოს ამოიტანდა, მედუქნის ცოლს უთვალიერებია ის უმაწვილი კაცი და ცოლმა მითხრა, რომ ასეთი ლამაზი იყოვო, რომ თვალი ზედ დამრჩაო, ასე ვიფიქრეო, ქალი ხომ არ არისო კაცურად ჩაცმულიო.

— ჰმ, წამოიძახა ბოიემ და აცქვიტა ყურები: ეგ ამბავი საჭირო დავიხსომოთ. კაცურად ჩაცმული ქალიო... მითამ რა, განა არ შეიძლება. ნიშნები რაღა ჰსთქვა?

— აი, უპასუხა მოხელემ და ამოიღო აბგიდამ რაღაც ფარატინა ქაღალდი და მოჰყვა კითხვას ხმა მაღლა: ტანად კარგა მაღალი, კარგად მოყვანილი, მოხდენილი, ოცის წლისა, შავი მშვიდობიანი თვალები, წარბ-წამი ჩაბლის ფერი, ცხვირი სწორე, პატარა პირი, სახით თეთრი, ულვაში ქერა, ქერა გძელი თმები, სანახაობა მშვიდობიანი, ქცევა და მიხრა მოხრა საგანგებო. ტანსაცმელი: თალხი მაუდის ჯუბა, პერანგი დიდის გადაკეცილის საყელოთი, შავი ყელსახვევი და პატარა რგვალი შლიაპა. უეჭველად იმ უბანში დგას რადგანაც, მედუქნის ცოლის

სიტყვით, ხშირად მიდის მოდის თურმე იმათ ფანჯრების წინ დილით თუ საღამოთი.

— ძალიან კარგი.

ამ დროს ზედ მოადგათ ამათ მესამე ამხანაგიც ოგიუსტი. ბოიემ გულსწრაფობით ჰკითხა:

— აბა, ოგიუსტო, თქვენც იპოვეთ რამე?

— დიაღ.

— მადლობა ღმერთს.

— ბასტილიის და სენტ-ანტუანის შუა რომ მეიდანია იქ შაქრის პურის დუქანია. შაბათს საღამოს რვა საათზედ ვიღასაც უყიდნია იქ ორი გირვანქა შაქრის პური. ისინი, რომელნიც მე ვნახენ, იქა ყოფილა თურმე ნაყიდი.

— ძალიან კარგი და მედუქნეს თვალით კი უნახავს მყიდველი?

— დიაღ, რადგანაც მყიდველი დიდხანს ყოყმანობდა თურმე, იყიდოს თუ არა დიდი შაქრის პურიცა სავახშმოთ.

— ნიშნები გამოჰკითხეთ?

— გამოვკითხე, უთხრა პოლიციის მოხელემ და ამოიღო ამასაც ქაღალდი და მოჰყვა კითხვას: „შაბათს, 20-ს ივლისს, რვა საათი იქნებოდა საღამოსი, X-ის დუქანში ბასტილიის მოედანზედ შესულა ერთი ყმაწვილი კაცი, ქსე ოცის წლისა, სწორედ ქალურის სახისა.

— აი იგივ საყურადღებო ნიშანი, სთქვა ბოიემ: კარგი, — განაგრძეთ.

— ტანათ კარგა მაღალი, ძალიან მართებულად ჩაცმული, შავი თვალები, სწორე ცხვირი, პატარა პირი, ულვაში ღია წაბლის ფერი, თმა ქერა, სანახაობა მშვიდობიანი. ზედ ეცვა ჯუბა, ჟილეტკა და შალვარი თალხის მაუდისა, შლიაპა რგვალი ეხურა. იგი ჰგავს ან ქარგალსა ან მოხელესა, კაი ჯამაგირის მქონესა. არ იციან იმ უბანში ჰსცხოვრებს თუ არა. მედუქნესაგან პირველი ნახვა იყო იმისი.

— ძალიან კარგი, ნიშნები იგივენი არიან, დაიძახა ბორელმა.

— სწორედ, სთქვა ბოიემ; ბორელმა სარდაფი იპოვნა, საცა ტორ-ბოთლი შამპანსკი უყიდნია იმ კაყბატონსავე. ეხლა ის, ქალის თუ კაცი ჩვენს ხელშია. დღეს ესეც გვეყოფა; ხვალ კი მოირბინეთ ყველა ახლო-მახლო ქუჩები და მედუქნეებს ჰკითხეთ, ხომ მათგანმა არავინ იცის მაგ ნიშნების კაცი. მე თვითონ ლაკუეს ქუჩას მოვივლი.

— აქავ შევიყაროთ?

— აქავ; მომეცით მე ეგ ნიშნების აღწერილობა. მე დღესვე მოხსენებას მივწერ ბრალმდებელს (პროკურორს), რომელსაც მინდობილი აქვს ეს საქმე.

ამის შემდეგ ჩუმად-მაძიებელნი დაიშალნენ.

ძლივს ბოიემ ხელში ჩაიდგო საბუთები. უეჭველია, დაფარული მკვლელი სწორედ ის უცნაური ქალურის სახის ყმაწვილი-კაცი უნდა იყოსო. ეხლა ისღა დარჩენოდა, რომ შეეტყო მისი სახელი და დაეჭირა. რომ კვალი ამ საქმისა არ წაიშალოს და საქმე კარგად წარიმართოს, პოლიციამ ერთხელაც ფეხი აღარ შედგა იმ სახლში, სადაც ქალი იყო მოკლული და ხმაც დააგდო, რომ სხვა-და-სხვა გარემოებისა გამო თვითონ საქმეც მოისპო.

მეორეს დღეს ბოიე წავიდა ლაკუეს ქუჩაში, დაუარა ზოგიერთა სახლების კარის-მცველებს და ჰკითხავდა; თქვენს სახლში ხომ არა მდგარა ამა და ამ ნიშნების ყმაწვილი კაციო, რომლის სახელიც და გვარიც როგორღაც გადმავიწყდაო. ამ სახით შემოიარა ექვსი სახლი და ვერსად ვერა გახდა რა. მეშვიდე სახლში კარის მცველი არ ყოფილიყო. ბოიე ავიდა კიბეზედ თავამდე, მერე ისევ ძირს ჩამოვიდა და ფიქრობდა, ნეტა ვისა ვკითხოვო. სწორედ ამ დროს დაბლა სართულში მდგომმა ბაყალმა კარი გააღო და მკვახედ ჰკითხა, რა გინდაო.

— მე ერთს ყმაწვილ-კაცს ვეძებ, სახელი კი აღარ მახსოვს, უპასუხა ჩუმად-მაძიებელმა ბოიემ: მგონი აქ კი დგას.

— ვინ არის?

— არ ვიცი.

— ბიჭოს, კაცს ეძებთ და არ იცით კი ვინ არის.

— უკაცრაოდ, კარგად ვიცი, უპასუხა ბოიემ და გამოუცხადა ნიშნები.

— ეგ ახალ-გაზრდა ბიჭია, რომელიც აი ზემო სართულში დგას; ფერანის გვარად, მეორონზე ქარგალია.

— დიახ, სწორედ მაგას ვეძებ. ფერანი ჰქვიან... სწორედ ეგ არის, ეგ...

— მორის ფერანი.

— მაშ აქა დგას მესამე სართულში? განიმეორა ბოიემ და გამობრუნდა, რომ ხელახლად კიბეზედ ავიდეს.

— ეხლა აქ აღარ არის, გადავიდა.

— ნუ თუ? როდის?

— ორი დღეა.

— სად გადავიდა?

— მე იმისთვის არ მიკითხავს და იმას კიდევ ჩემთვის არ უთქვამს.

— ნება მომეცით ორიოდე რამ გკითხოთ, ჰსთქვა ბოიემ და შევიდა გაოცებულ ბაყლის დუქანში.

— მე პოლიციის ჩუმად-მაძიებელი ვარ და ვეძებ მორის ფერანსა. მე გთხოვთ, მიამბოთ ყოველისფერი, რაც იმაზედ იცით.

ელდა-ცემული ბოიეს სიტყვებითა, ბაყალმა დუქნის უკანა ოთახში შეიყვანა და აჩქარებით უთხრა:

— მე ბევრი არა ვიცი რა. ძალიან ცოტად ვიცნობდი. მაინც მკითხეთ რაც გინდათ და რაც ვიცი მოგახსენებთ.

— მორის ფერანი ჭკვიანად ჰსცხოვრებდა?

— ძალიან, სწორედ ჭკვიანობის მაგალითი იყო. ყოველ დილას როცა ქუჩის პირსა ვგვიდი, მე მინახავს ის მიმავალი სამუშაოდ. ჩემის დუქნის წინ გამოივლიდა ხოლმე.

— ამ სამის დღის წინად გინახავთ?

— სამის დღის წინად... კვირას?... არ მინახავს. უქმე დღეობით გვიან იღვიძებდა და იმ დღეს მარტო საღამოს ოთხს საათზედ ვნახე. მე მითხრეს, რომ სოფლად გავიდაო რამდენიმე ხნით. მეორე დღეს ორშაბადს მისი და მოვიდა, სახლის პატრონს გაუსწორდა და ავეჯი გადიტანა. მგონია, ავეჯი სულ გაყიდა და ძმასთან წავიდა სადღაც სოფელში.

— თქვენ გესმით ხოლმე, როცა ამ კიბეზედ ღამე დადიან.

— სრულებით არა. ჩემი ოთახი სახლის სხვა მხარეზეა და იქ არა ისმის რა.

— ხომ არ იცით ფერანს ვისთანმე ჰქონდა რაიმე კავშირი, თუ არა?

— არა, მეტად მშვიდი და მორცხვი ყმაწვილი-კაცია. როცა მინახამს, სულ მარტო მინახავს... უსათუოდ, სულ უბრალო საქმეზედ დაეძებენ იმას, თორემ არა მგონია იმას რაიმე ავ-კაცობა ჩაედინოს.

— სულ უბრალოა, შინაური საქმეა. მაგრამ მარტოც რომ მდგარიყო საჭმელ-სასმელი ხომ უნდა ეყიდნა სადმე. იქნება იცოდეთ, სადა ყიდულობდა, ან ვინ უზიდავდა.

— ბაყალია ამ ქუჩის ყურეში ის უზიდავდა, უპასუხა ბაყალმა.

ბოიემ მადლობა უთხრა და წავიდა ქუჩის ყურეს დუქნისაკენ. თვითონ მედუქნე შინ არ დახვდა, ცოლი კი იქ იყო. ცოლმა მიიღო მუშტარი და უთხრა, გვიბძანეთ რა გნებავსთ, მეო ჩემს ქმარზედ ნაკლებ არ ვიციო ვაჭრობის საქმეო. ბოიემ ხმა-დაბლა უთხრა მიზეზი მოსვლისა. პირველს ხანს ქალი შეკრთა, როგორც ყოველი ბურჟუა პოლიციის ხსენებაზედ. მერე კი გაუხარდა კიდეც რადგანაც ჭორიკანაობა უყვარდა და ეხლა ეძლეოდა შემთხვევა ეჭორავნა რამ მეზობლებზედ. ქალმა მიიწვია ბოიე სასადილო ოთახში.

— აბა რა გნებავთ, მიბძანეთ, უთხრა ქალმა ბოიეს, როცა მარტოდ დარჩნენ.

— მორის ფერანს იცნობთ?

— მორისსა, აი ლამაზ ბიჭსა, ოცის წლისას, ქერა-თმიანს, მშვენიერ თვალებიანს, რომელიც ლავკეს ქუჩაში იდგა?

— დიახ.

— რაღა თქმა უნდა, ვიცნობდი... ხშირად დადიოდა ჩვენთან... ის სწორედ უმანკო ბავშვია. გაწითლდებოდა ხოლმე, როცა თვალებს გავუშტერებდი... განა იმას დაუშავებია რამ? არ დავიჯერებ. არა და არა.

— არაფერი, ქალ-ბატონო. უეცრად გაქრა და ჩვენ ვშიშობთ, ვაი თუ აუტეხეს რამე და ამისათვის დავეძებთ.

— ნურას შიშობთ, ბევრი, ბევრი რამ რომ ასტეხოდა. ქალი ვინმე მოიტაცებდა, უპასუხა ლამაზმა მედუქნის ცოლმა სიცილით.

— უკანასკნელად როდის ნახეთ ის?

— მგონი იმ წუთს, როცა დაიკარგა, უპასუხა მხიარულად ქალმა.

— მაგითი მითამ რის თქმა გნებავთ? ჰკითხა ბოიემ და სწენად გადიქცა.

— მე ვნახე შაბადს საღამოს.

— წარსულს შაბადს?

— დიახ. მე თეატრიდამ მოვდიოდი, თან მომდევდა პატარა ბიჭი, რომელიც ჩემს ქმარს გამოუგზავნა გამოსაცილებლად. ბასტილიის მოედანზედ ვნახე მორისი, ვიღაც ახალ-გაზრდა ქალს, ძალიან ლამაზს, გადახვეოდა და ისე მოდიოდა. ასე მხურვალედ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, რომ მე მათს მაყურებელს სისხლი ამიდუღდა. მე თვალი მოვარიდე და დავინახე კი რომ ორნივ მორისის სახლისაკენ წავიდნენ.

— ძლივს!... მე მაგაზედ დარწმუნებული ვიყავ! დაიძახა გახარებულმა ბოიემ.

ამდენის ძებნის შემდეგ კვალი გამოუჩნდა; ამაზედ ეჭვი არაფრისა იყო.

— რომელს საათზედ იყო? ჰკითხა ბოიემ.

— თორმეტის ნახევარი იქნებოდა.

— სწორეა... თქვენ თვალი მოჰკარით საიდამ მოვიდა ქალი?

— არა, როცა მე დავინახე ერთად მოდიოდნენ გადახვეულნი და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. არც კი გასაკვირველი: ემპრისი ძალიან... იცით? ძალიან ლამაზი ბიჭია.

— ქალი მაინც კარგად გაშინჯეთ.

— არც ძალიან კარგად. მარტო ერთის წუთით ვნახე, როცა სანათურს წინ გამოუარეს: ქალიც საკვირველი ლამაზი რამ იყო. ეტყობოდათ, რომ ერთმანეთის დიდი ტრფიალნი არიან.

— ახალ-გაზდა ქალი იყო, ქერა თმიანი, შუათანა ტანისა?

— სწორეს ვერ გეტყვით: თქვენც იცით, რომ ბნელაში შავსა და თეთრ თმას კაცი ვერ გაარჩევს.

— ლამაზად იყო ჩაცმული?

— მგონია. აგი მოგახსენებთ, ღამე იყო და ბასტილიის მოედანი კარგად არ არის ხოლმე განათებული.

— თქვენ მითხარით, რომ ლაკუეს ქუჩისაკენ წავიდნენო.

— დიაღ, ჩვენ თვალიდამ მიგვემალნენ, როცა ლაკუეს ქუჩას შეუხვიეს.

— თან გაჰყევით?

— არა. პატარა ბიჭი, ჩემის ქრმისაგან გამოგზავნილი, ჩვენთან არა დგას და მე ვჰსთხოვე პატარა გავისეირნოთ ბულვარზედა მეთქი. მშვენიერი ღამე იყო და ჩვენ დავსხედით მიფარებულს კუთხეში, საცა უფრო ბნელოდა და არავინ დაგვინახავდა.

ამას რომ ამბობდა ლამაზი მედუქნის ცოლი წამოწითლდა; ბოიემ კი ვითომ არა შეამცნია რა, ხელახლად ჰკითხა:

— საკვირველი არ არის... დიდ-ხანს დარჩით ბულვარზედ?

— დიაღ, ორ საათამდე... ძალიან ცხელოდა... ელვა-ქუხილს აპირობდა... თქვენც იცით, ოთახებში...

— დიაღ, დიაღ, ვიცი.

— ყური ხომ არ მოგიკრამთ, რას ლაპარაკობდნენ?

— რამდენსამე სიტყვას.., რომელსაც ტრფიალნი ეუბნებიან ხოლმე ერთმანეთს... როცა ღამით შინ მოდიან... მორისი ჩეუბნებოდა: „მე ვიტანჯები, უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლიანო.“ ქალი უპასუხებდა: „მე მიყვარხარო და ნეტავი შენს გულზედ სული დამელიოსო.“

— მერე შინიდამ გამოსული მორისი არ გინახავთ? ხომ არ გამოუვლია თქვენ წინ მორისსა?

— ანა უცნაური კითხვა ეგ არის. აკი მოგახსენეთ, შინ მიდიოდნენ და ყელთამდი უყვარდათ ერთმანეთი მეთქი.

— მართალს ბძანებთ. მადლობელი ვარ. იმ ღამის შემდეგ აღარ გინახავთ მორისი?

— აღარ. მერე ერთხელ იმისი და ვნახე. ამ სამის დღის წინად ჩვენთან მოვიდა, თოკების სასყიდლად... მგონი ორშაბადი იყო.

— კიდევ მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, მაგ ამბებისათვის. ხომ არ იცით, მეგობრები ჰყვანდა ვინმე?

— არ ვიცი.

— მე მგონია, მეტი იქნება, რომ თქვენს პატარა ბიჭსაც გამოვკითხო. რაც თქვენ იცით, იმაზედ მეტი იმას ხომ არა ეცოდინება რა.

— არა მგონია, უპასუხა ქალმა და წამოწითლდა.

— მშვიდობით, ბატონო, უთხრა ბოაემ და გამოვიდა გარედ.

მარტო რომ დარჩა, გაიშინჯა საათი და დაუწყო თავის-თავს ლაპარაკი:

— მე მოხსენების დაწერას მოვასწრობ კიდევ. ეხლა მთელი ეს საქმე ისე ცხადია, როგორც ხელის-გულზედ. ახალ-გაზდა ჟარგალს უნახავს ლამაზი ქალი ბრილიანტებში. უნახავს, რომ ის ქალი კვირაში ორჯელ მოდიოდა თავის დროებითს ბინაზედ, რომელიც ჟარგლის ოთახის პირ-და-პირ არის. ჟარგალს უფიქრია, ეს ქალი რომ თავის ბრილიანტებით ხელში ჩავიგდო, სამუდამოდ ლუკმა-პურს გავიჩენო, რადგანაც ლამაზია, მალეც გააბამდა ქალს მახეში. უსათუოდ

ყოველთვის წინ დახვდებოდა, გაიცნობდა და ერთმანეთის შესაფერლად ქალის სადგურს აირჩევდნენ: უმაწვილი-კაცი მოართმევდა შაქრის პურს და შამპანსკს, რომელიც თვითონვე უყიდნია რვა საათზედ: ღვინო მოუმზადებია საწამლავით, როგორც რიგია და თერთმეტს საათზედ წასულა, რომ ლამაზს ლეას წინ დახვდენოდა. გადუხვევნიათ ერთმანეთისათვის ხელი და წასულან ლაკუეს ქუჩაში. ქალი თავისთან შესულა და უმაწვილი-კაცი თავის სახლში შებრუნებულა, წამოუღია თავისი სამზადისი, გადმოუჭრია ქუჩა, შესულა ლეას ოთახში და ლეა დახვედრია ქვეშაგებში მწოლარე. მაშინვე თვითონაც გვერდით მოსწოლია და სიცილში, მხიარულებაში, ამოვნებაში უხვამთ და უჭამიათ. საწამლავს მალე გაუჭრია და ქალი მომკვდარა ხვევნაში და კოცნაში. მერე აუღია, მკვდარი დაუდვია დათვის ტყავზედ, თვითონ გადმოუქოთებია ყუთები და ზანდუკები, რაც ძვირფასი ნივთეულობა ყოფილა მოუკრეფია და წაუღია შინ. გულ-დაჯერებული წასულა, რომ ამ ამბავს მხოლოდ მაშინ შეიტყობენო, როცა ლეას მოსვლის დღე იქნებაო, რადგანაც გოგო მაშინ მოვა ოთახების დასაწმენდად და დასალაგებლადაო. რამდენსამე ხანს შემდეგ თვითონაც მოჰკიდებია საწამლავი, რომლისაც იქნება წინდაუხედაობით თვითონაც ერთი ყლუპი როგორმე დაულევია; გაუგზავნია მაშინვე თავისი და წამლისათვის აფთიაქში. იმისდა საუბედუროდ, იმავ დღესვე კი გამომჟღავნდა ეს ამბავი. აბა, რასაკვირველია, ელდა ეცემოდა და მაშინვე გაქცეულა პარიჟიდამ და დისათვის უთქვამს ავეჯი გადმოიტანეო. ეხლა როცა საქმის ვითარება ვიცით და მკვლელის სახელიცა, თვითონ იმისი პოვნა ადვილია.

იმავ ღამეს ბოიემ ყველაფერი ეს მოახსენა გამომძიებელს და მეორეს დღეს მიიღო ბძანება მორისის დაჭერისა.

სამის თვის განმავლობაში ამაოდ ეძებდა ბოიე მორისსა და ბოლოს-კი მაინც იპოვა მარტო იმის წყალობით, რომ მორისის დაჲ თვითონ მოვიდა ლაკუეს ქუჩაში, რომ შეეტყო სესილას წიგნით:

ნაუწყი ამბავი მასზედ, რომ ვიღაცა მოეკლათ თუ მომკვდარიყო 20-ს თვისს ლაკუეს ქუჩაში. მეზობლებმა იცნეს ამელი და შეატყობინეს ბოიეს, რომელიც თან აედევნა ამელის და ამით შეიტყო საცა დგას მორისი. მეორე დილას, როგორც წინადვე ვიცით, ხომ დაიჭირეს კიდეც მორისი.

## თავი VII.

### იზა მოედანზედ გამოდის.

მეორეს დღეს საღამოზედ შემდეგ მორისის დაჭერისა დიდი ბრწყინვალე წვეულება იყო ლამაზ სახლში ოტელში, რომელიც მთელმა პარიჟმა კარგად იცოდა და რომელიც იყო ბულონის ტყის სიახლოვეს. კარაულიანი მესერი ქუჩის პირისა და უშველებელი ზვავი ყვავილებისა შიგ შუა ეზოში გაჩაღებული იყო ჩირაღდნებითა და სხვა და სხვაფერ სანათურებითა. შესავალ კარის ორივე მხარეს უშველებელი ხომლეში იდგა და თვითონ შესავალს კარზედ შეკრული იყო კარავი ხავერდისა ოქრომკედის ფუნჯებიანა. ფანჯრები სახლის ორივე სართულისა, მაღლები და ვიწრონი ბრწყინავდნენ სინათლითა; ბაღი სახლთ უკან განათებული სხვა და სხვა ფეროვან სანათურებითა სხივოსანს დისკოს ემგზავსებოდა.

ღამის თერთმეტს საათზედ უხვად მორთულს ოთახებში და ბაღის ხეივნებში ბუზსავით ირეოდნენ სტუმრები, რომელთ შორის ნახავდით ყოველ წოდების კაცსა, ხოლო ყველაზედ ბევრნი არტისტები იყვნენ. მრავალი ხალხი გარს დაჰფსტრიალებდა პარიჟში გამოჩენილს ლამაზს ქალებსა.

ამ ბრწყინვალე გუნდში ორი კაცი დინჯად ერთად დადიოდნენ და დარბაისლობა მოსამართლეებისა ზედ სახეზედ ეწერათ. ერთი იქნებოდა ორმოც-და-ათისა და მეორე ორმოცის წლისა. უკანასკნელი ძალიან ლამაზი კაცი იყო.

— საყვარელო ამხანაგო, უთხრა უფროსმა, როგორც ეტყობოდა ამ სახლის შინაური იყო: მოდი აი ბექზედ გადავდგეთ და მოვწიოთ, ისა ჰსჯობია. აქ მეტად ცხელა.

— არა, ჩემო პატივცემულო მწვრთველო, ერთი კიდევ შემოვიაროთ ეს ოთახები. მე მინდა ერთხელ კიდევ მაინც დავინახო ის ქალი.

— მაგისათვის რამოდენა ხალხში უნდა გავძვრეთ და გამოვძვრეთ, იცით! მოთმინება იქონიეთ მეთქი. მე ამას წინად თქვენზედ მელაპარაკებოდა.

— ნეტა რა უნდა ეთქვა ჩემზედ? არც კი მიცნობს.

— თქვენ მეუბნებით რომ არ მიცნობსო, მაგრამ კვალში კი ჩასდგომიხართ, უკან დაჰსდევთ, სადაც კი მიდის, ანთებულს თვალს არ აშორებთ. როცა ისე უნებლიედ შემოგხედავთ ხოლმე, სახეზედ ალიმური აგდით, წითლდებით როგორც მორცხვი ბავშვი და თუ კაბის შრიალიც მოგესმათ, ჟრჟოლა მოგივლით ხოლმე. თქვენ ამბობთ არ მიცნობსო, ბატონო, და იმას თქვენს მეტი არავინ ახსოვს. ხომ ნახეთ, სასტუმროში რომ შედიოდა თვალით ვიღასაც დაეძებდა.

— ახლა თქვენ გინდათ დამარწმუნოთ რომ მე მეძებდა რაღა?

— მაგას ეჭვი არ აქვს... ამ სამის დღის წინად იუსტიციის მინისტრის ბალში მკითხა თქვენი ვინაობა. მე ვუთხარი, ახალი გამომძიებელია მეთქი, პუატიედამ, ოსკარ ვერშემონი მეთქი. მაშინ მკითხა: მგონი მაგას მიანდეს საწყალ ლეა მედანის საქმეო. აი ხომ ხედავთ, ჩემო მეგობარო, ჰსცოდნია ვინცა ხართ და თქვენზედ თვალიც ჰსჭერია კიდეც.

— ჩემზედ კი არა, უფრო საწყალს ლეა მედანზედ, რომელთანაც, ამბობენ, მაგას დიდი მეგობრობა ჰქონია.

— არა მგონია.

— მაგას თავი დავანებოთ. ერთი მითხარით დასასრულ ვინ არის ეგ ქალი? მე არა ერთხელ მიკითხავს თქვენთვის ეგევე და თქვენ ყოველთვის ამას მეუბნებით სიცილით: „ძალიან დიდი და გავლენიანი ქალიაო და ამაზედ მეტი კიდევ ისაო, რომ მთელს პარიჟში მაგას სილამაზით არავინ არა სჯობიაო.“ მე აქამდე ვერა შევიტყე რა. თუ ღმერთი გწამთ, მითხარით ვინ არის?

— ძალიან კარგი, მე გეტყვით ყველაფერს რაც კი მაგ ქალზედ ვიცი. მაგრამ ღვთის-გულისათვის აქედამ გავიდეთ, თორემ ღამის სიცხემ სული ამომართოს. წავიდეთ, სადაც სწევენ, იქ ცოტა ხალხია.

ჩვენმა მეგობრებმა გასწიეს და შევიდნენ ჩიბუხის მოსაწევს ოთახში, რომელიც ბაღისაკენ იყო და მოუკიდეს სიგარებს.

— მე გულ ახდილად გეტყვით ყველაფერს, დაიწყო ვერშემონის მოსაუბრემ: რას აკეთებს ეგ დედა-კაცი? არ ვინ იცის. მისი ცხოვრება ყველასათვის საიდუმლოა; ყოფა-ქცევა სამაგალითო და უჩირქო აქვს და მეტად მდიდრულად სცხოვრობს. საიდამა აქვს მაგოდენა ფული? არ ვინ იცის. იმპერატორის სასახლეში კაი თვალით უყურებენ და ხშირად დაიარება გარეშე საქმეთა სამინისტროში. ხოლო ოფიციალურად არსად არ არის მიღებული. არ ჩამდგარი. ახლა ჭორებს დაუგდეთ ყური. ამბობენ, რომ ნემეცებისაგან გამოგზავნილი მზვერავიაო, მოლდავანის ქალიაო და არა ჩვენებური და პრუსია ჯამაგირს აძლევსო. ზოგნი ამბობენ, რომ ნაპოლეონისათვის ბევრს ფულებს შოულობდაო, სხვანი ამტკიცებენ, რომ ნაპოლეონის ხასაო და მე კი მგონია, თუმცა ვერ დავამტკიცებ კი, რომ ეს სულ ტყუილი ჭორებია. სახელად ჰქვიან იზა-ყორყოის ზინსკა. თავადის შვილის ოჯახისაა. საფრანგეთში მოსულა რამდენიმე წლის წინად. აქ შეურთავს მდიდარ ფინანსისტი იკერნან სეგლენი. ამის გამო ახლა ის ქვრივი სეგლენისა, მაგრამ ყველანი ეძახიან „ლამაზი იზა სეგლენ ზინსკაო.“ ბანკირი სეგლენი, როგორც ყველა ბანკირები, რომელნიც თავადის შვილის ქალს ირთვენ, გაკოტრდა. მერე მოკვდა კიდეც გიჟების სახლ-

ში და ქვრივმა იმან თავისი მზითევი უკანვე მიიღო. ეხლა ძალიან მდიდარია და ყველას გულ ახდილად ეუბნება, რომ მინდა შევიყვარო ვინმე და შერთვით კი არავის შევირთავო. აი ყველაფერი რაც ამაზედ ვიცოდი და ვიცი... ერთი ეს მითხარით რაზედ ჩაფიქრდით ეგრე ღრმად?

უმაწვილმა კაცმა თვალი ბაღს გაუშტერა.

— აჰა, განაგრძო პირველმა: რა კარგი ვქენით, რომ აქ შემოვედით. სასტუმრო ოთახებში არა მგონია მივეშვით ვისმე იმის სანახავათ, აი, ვერა ხედავთ, თვითონ მოდის ჩვენკენ თითქო რაღაც ანდამატი იზიდავსო.

უმაწვილი კაცი მარდათ უკუ იქცა ფანჯრიდამ, თავი ჩაღუნა და გულზედ ხელი წაივლო. თვალი თვალს შეახვედრეს ქალმა და ამან.

— დასწყევლოს ღმერთმა, და თქვენ აღარა ხუმრობთ, მართლა გიყვართ ეგ ქალი. უნდა მიიღოთ რაიმე ზომიერება, თორემ შენი მტერი, უთხრა სიცილით მეგობარმა.

ახალგაზდა ქალი, რომელსაც სიყვარულის ცეცხლი ჩაეგდო ვერ-შემონის გულში, სწორედ ღირსი იყო სიყვარულისა. ქალი მოდიოდა, თაყვანის მცემლებით გარს მოხვეული და ბრწყინავდა თავის მომხიბლავის სიტურფითა. თვალად ოცისა თუ ოც-და-ხუთის წლისა იქნებოდა.

რაც უნდა ავწეროთ მისი სიტურფე, მაინც სიტყვით შეუძლებელია გამოხატოს კაცმა მოხდენილობა, მიხვრა-მოხვრა და ყოველივე საგანგებო ღირსება იმ მართლა და საუცხოვო ქალისა.

ყოვლად მშვენიერი იმას სიგლენ-ზინსკა საგანგებოთ იყო მორთული. ეცვა აბრეშუმის თეთრი, ვიწრო კაბა, ახდილი გულის-პირი აჩენდა შუქ ფენილს გულ-მკერდსა და ყარყატსა ბროლის ყელსა და გძელი ხელთათმანი თითქმის იდაყვამდი ჰფარავდა ხელებს, ისე პაწაწებს თითქო ბავშის ხელებიაო. მის სიტურფეს ასეთი ზედ მოქმე-

დება ჰქონდა კაცზედ, რომ დანახვის უმალვე ყველა კაცი აღტაცებით წამოიძახებდა:

— აჰ, რა ლამაზია!

მშვენიერმა იზამ თავისი თვალი კერშემონის თვალს შეახვედრა. ჟრჟოლამ დაუარა ტანში კერშემონს, ვერ გაუძლო მის ცეცხლ-მოკიდებულს თვალს და უნებლიედ ხელიდამ სიგარა გააგდო.

— აბა ეს შემთხვევა ხელიდამ არ გაუშვა, უთხრა მისმა მეგობარმა, ხელი მოჰკიდა და წაიყვანა იზასკენ, რომელსაც გარს ეხვია აუარებელი ხალხი.

ოსკარ კერშემონი გაჰყვა ისე რომ არც კი ესმოდა სად მიდის, ანუ უკეთ ვჰსთქვათ, სად მიჰყავთ.

მეგობრები რამდენსამე საფეხურზედ ჩამოვიდნენ და გაემართნენ სახლის პატრონისაკენ. ორი ბიჯი აღარ დარჩენოდა იზამდე, რომ ოსკარი უეცრად შეჩერდა, თითქო გაქვავდაო.

— მშვენიერო მასპინძელო, უთხრა ოსკარის მეგობარმა: ნება მომეცით მთელი ჩემი აღტაცება გამოვსთქვა. თქვენ უმშვენიერესი, უტურფესი რამა ხართ ქალთა შორის, თქვენ ხართ მნათობი, რომლის გარეშემო ჩვენ ყველანი ვტრიალებთ.

— თქვენც ყველაზედ უფრო საყვარელი და სასიამოვნო ხართ მამა-კაცთა შორის.

— ნება მომეცით წარმოგიდგინოთ ჩემი ახალგაზდა მეგობარი ოსკარ კერშემონი, ყველაზედ უფრო გულმხურვალე თაყვანის მცემელი თქვენი.

— მე დიდად მოხარული ვიქნები, თუ ამ ჩემს უკეთესს მეგობარს და მრჩეველს მატიე დე ტალიესთან ერთად გნახავდეთ ჩემს სახლში ჩემს დანიშნულ საღამოებზედ.

ახალგაზდა გამომძიებელს გულმა ფეთქა დაუწყო, როცა იზას მომხიბლავი ღიმილი დაინახა. ისე გაშტერდა, რომ არ იცოდა რა

ეთქვა პასუხად და ხმა ამოუღებლივ ეჭირა თავის მთრთოლვარე ხელში გამოწვდილი მშვენიერი ხელი იზასი:

— მე მაგას უდიდეს... ბედნიერებათ დავსახავ, უთხრა ბოლოს როგორც იყო: მე არ ვიცი, სხვა მაგაზედ უმაღლესი ნეტარება იქნება რამე კიდევ...

მატიე ღიმილით შეჰყურებდა თავის მორცხვს მეგობარსა და თვალი უყო იზას, თითქო ეუბნებაო: „რაო, განა არ გითხარით, რომ გაგიჟებით უყვარხართ მეთქი.“

ამ დროს დარბაზიდამ მხიარულის ვალსის ხმა მოვიდა. მატიემ მიზეზად ეს აიღო, რომ თავისი მეგობარი გამოეყვანა იმ უხერხო მდგომარეობიდამ, რომელიც თითქმის სასაცილოთაც ხდებოდა.

— გესმით, საყვარელო ოსკარ, ვალსს უკვრენ, უთხრა მატიემ: თქვენი ახალი ნაცნობი ვერ ბედავს სატანცაოდ გაგიწვიოთ, თუმცა თვენთან ტანციობის სურვილით კი იწვის.

— ბოდიშს ვიხდი; მე ისე გამაშტერა თქვენმა სიტურფემ, რომ მართლა და ვერ გამიბედნია გთხოვოთ ჩემთან ტანცაობა.

— წამობძანდით, უთხრა იზამ და მიაწოდა ხელი.

შევიდნენ საბალო დარბაზში. იზა სიამოვნებით ბრწყინავდა, ოსკარი კი, უნდა ვჰსთქვათ, გაუბედავად მიდიოდა, მთელი ტანი უთრთოდა, თითქო მთვრალიაო, ანუ ციება აძაგძაგებსო. როცა კი დარბაზში მოხვია ხელი მის ლელწამს ტანსა, თავის მხარზე მისი ხელი იგრძნო და თვალთა წინ დაინახა მთელი სიუხვე მის თოვლივით თეთრ გულ-მკერდისა, გაფითრდა და კინაღამ არ წაიქცა, მაგრამ ძალიან მალე დაიმორჩილა გულის ღელვა, მაგრა მიიკრა გულზედ იზა, თვალი თვალში გაუყარა და ჰსთქვა:

— ოჰ, ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!

— რაო, რა ჰსთქვით? სწრაფად ჰკითხა იზამ.

— უკაცრავოდ... არაფერი.

და წავიდნენ ტრიალით იმ დიდს დარბაზში. ორივენი კარგი მოტანციენი იყვნენ და ყველანი შურით უყურებდნენ ამ ვნებით აღვსილს წყვილსა, რომელიც ტრიალებდა მუსიკის ხმაზედ რაღაც ნეტარებით სავსე აღტაცებითა.

ვალსის მერმედ, ოსკარს უნდოდა იზა წაეყვანა პატარა სასტუმრო ოთახში, ეგონა დაიღალა და მოსვენება უნდოდა; მაგრამ იზამ, ხელ დანდობილმა მის ხელზედ, უთხრა:

— არა, არ დავჯდები, თუ თქვენი ნებაც იქნება, ესე მოვიაროთ სულ ყველა ოთახები.

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ... ყველანი შურით დამიწყებენ ცქერას.

— საშურველი რა არის აქ?

— განა საშურველი არ არის თქვენთან ხელი ხელ გაყრით სიარული. თქვენ არ იცით, რამოდენა ხანია ვნატრობდი თქვენს გაცნობასა.

— დიდი ხანია?

— დიახ, ძალიან დიდი ხანია.

— თქვენმა მეგობარმა მატიემ კი სულ ამ ორის თუ სამის დღის წინად დამიწყო თქვენზედ ლაპარაკი და ნება მთხოვა თქვენის გაცნობისა. მე უწინ არსად მინახვიხართ... მაგრამ მგონია თქვენ ეხლახან გადმოხვედით პარიჟში.

— ოთხი წელიწადიც არის.

— ხოლო გამომძიებლად ეხლახან დაგნიშნეს.

— დიახ, ნახევარი წელიწადი იქნება.

— გამომძიებელი... იმისი თანამდებობა ის არის, რომ დამნაშავენი აღმოაჩინოს, განა?

— დიახ, ბატონო.

— ეგ თანამდებობა მეტად მძიმე და უსიამოვნო უნდა იყოს, ჩემის ფიქრით.

— ზოგჯერ, მაგრამ კაცი მალე შეეჩვევა ხოლმე. უფრო ბევრი, რომელთ წინააღმდეგაც ვაწარმოებთ ხოლმე საქმეს, სიბრალულის ღირსნი არიან.

— მე ძალიან მიყვარს გამოჩენილ საქმეების გარჩევაში დასწრება. ხშირად, მატიეს წყალობით, დავსწრებივარ განსამართლების დროს და ყოველს რაც იქ მინახავს და მსმენია დიდი ზედ მოქმედება ჰქონია ჩემზედ.

ახალგაზრდა გამომძიებელმა ორიოდ ჯერ მოიწადინა ლაპარაკის საგანი გამოეცვალა, მაგრამ ლამაზი ქალი მაინც თავისას ლაპარაკობდა სულ სისხლის სამართლის საქმეებზედ. ეს ძალიან ეოცა ოსკარს, თუმცა წინად კი შეტყობილი ჰქონდა, რომ იზა უცნაურის ხასიათის ქალია.

— ეხლა იმისთანა თვალსაჩინო მძიმე საქმე ხომ არა გაქვთ რა ხელში? ჰკითხა იზამ.

— რატომ, ყოველთვის არის ხოლმე. უნდა კი მოგახსენოთ, რომ ეგ ვერაფერი სიტყვის მასალაა თქვენისთანა მშვენიერისათვის

— მე მიყვარს მეთქი სასისხლო სამართლის საქმეები. თუ თქვენ კაი ღირსსაცნობი საქმე რამ გექნებათ, ბილეთი მიშოვეთ, რომ გარჩევაში დავესწრო. თუნდა მატიესა ჰკითხეთ: იმან იცის რომ მე მაგისთანაები ძალიან მიყვარს. თუ ღმერთი გწამთ, მიამბეთ რამე, იქნება ერთის დიდის დანაშაულობის რამე საქმე იცოდეთ, ან თქვენ თვითონ გქონდეთ.

— დიაღ, მე მონდობილი მაქვს ერთი გამოძიება მეტად საიდუმლო საქმისა. —შემიტყვია კიდეც, ვითომ თქვენც იცნობდით სხვერპლსა იმ საშინელის ავკაცობისას.

— მე?

— დიაღ. ლუკა მედანა, ის მშვენიერი ახალგაზრდა ქალი რომ მოკლეს, იმას მოგახსენებთ.

— მე იმას სულაც არ ვიცნობდი. ერთხელ ბულონის ტყეში სეირნობის დროს ვნახე და ერთიც გაზეთებში წავიკითხე იმისი სიკვდილის ამბავი.

— მით უფრო კარგი, შენიშნა ღიმილით გამომძიებელმა.

— ეხლა ეგ საქმე რაზეა შემდგარი? ჰკითხა ცნობის მოყვარეობით იზამ.

— ერთი დამნაშავეთაგანი ვიპოვეთ.

— კარგია!

— მაინც კიდევ, ეგ საქმე რაღაც გაუგებარი და საიდუმლოა.

— თუ დამნაშავე ხელში გვყავთ, ყველაფერი მალე გამოცხადდება.

— აი, ბატონო, თუმცა ჩემი ხელობა ვერაფრად სასიამოვნოა, მაგრამ მაინც გულ-მოდგინებით ვექცევი და ყოველს ჩემს გონიერებას, ლოღიკას ზედ ვადებ. პოლიციელნი, ჩუმად-მაძიებელნი ძალიან მალე გახვევენ ხოლმე კაცს და ამტყუნებენ. მე იმათს მაგალითს არ მივდევ. მე ვერ ვენდობი ხოლმე ბრმათ გამოძიებულს საქმეს პოლიციისას. მაგალითებრ, ამ საქმეში პირველ-დაწყებითი ძიება მე თვითონ მოვახდინე და რადგანაც გადაწყვეტილი ვერა შევიტყე რა, ახალის გამოძიებისათვის გადავდე საქმე.

— მაშ, ჰსთქვა იზამ რაღაც უცნაურ კილოთი: თქვენ უბძანეთ ხელახლად გამოიძიონ საქმე?

— დიახ, და მე თვითონაც მონაწილეობას მივიღებ გამოძიებაში.

ორივე ჩაჩუმდნენ. რამდენსამე წუთს შემდეგ იზამ უთხრა გამომძიებელს, რომ დრო არისო პატარა შევისვენოთო და ჰსთხოვა წამიყვანე იმ ოთახშიო, სადა სათამაშო ქაღალდის სტოლებია დადგმულიო. შევიდნენ და იმ ოთახში სულ არავინ იყო. თვითონ იზა დაეშვა დივანზედ და ოსკარს ანიშნა ხელი თავის გვერდით.

— უკაცრაოდ კი, ბატონო ვერშემონო, უთხრა იზამ და სათამაშა ხელში მარაო: მე მგონია თავი მოგაწყინეთ ჩემის ცნობის-მოყ-

ვარეობით. რა ვქნა, ძალიან მიყვარს იმისთანა საქმეები, საცა სიყვარული და კაცის-კვლაა გარეული.

— მგონია თქვენთვის საინტერესოა მაგ გვარი საქმეები როგორც მელოდრამა? ჰკითხა ოსკარმა სიცილით.

— სწორედ :. მიამბეთ იმ ქალის მოკვლის ამბავი... რა იპოვეთ... რა ნახეთ... რა გგონიათ... რას ჰფიქრობთ...

— ოჰ, ღმერთო ჩემო! აქამომდე ჯერ არაფერია ნამდვილად ცნობილი. ხომ წაგიკითხავთ რა ყოფით ვნახეთ მკვდარი?

— დიაღ, უპასუხა იზამ ღიმილით და შიიფარა მარაო სახეზედ.

— ჯერ გვეგონა რომ ქალი მოუკლავს საყვარელსა იმ აზრით, რომ გაჰქურდოს, რადგანაც სახლში ველარც ფული ვნახეთ, ველარც ნივთები. ჩვენ ვიპოვეთ ერთი ქარგალი ისეთი ლამაზი, რომ მისი შეყვარება იმისთანა ქალისაგან როგორც ლეა მელანი იყო, საკვირველი არ იქნებოდა. ამის მეტი ჯერ არა არის რა. მე დაწვრილებით გამოვკითხე ქარგალს და მგონია რომ ის ამისთანა ავ-კაცობას ვერ იქმოდა. ამის გამო თუმცა მრავალი გეშია და ნიშნები იმ ყმაწვილკაცის წინააღმდეგ, მაგრამ მე ის დამნაშავეთ ვერ მიცვნია და ხელახლად ვეძებთ...

— გასამართლებელი საბუთებიც რამ გექნებათ უსათუოდ.

— დიაღ, უპასუხა ოსკარმა.

— დიაღო?! წამოიძახა იზამ, ცოტად შეთრთოლდა და ბნელმა ღრუბელმა გადურბინა შუბლზედ.

ოსკარმა თვალი მოჰკრა მაგ უნებლიეთს მოძრაობას ახალ-გაზდა ქალისას, ხოლო მიზეზათ ის დასდვა, რომ ქალს უყვარსო ამ გვარი საქმეები, როგორც აღმძვრელნი ძლიერის მგრძნობიერებისაო და ეხლა რა კი თვალ-წინ წარმოუდგაო, რომ სრულებით უბრალო კაცი ბრალეულთ სკამზედ დაჯდებაო, ამ წარმოდგენამ, რასაკვირველია, თრთოლა მოჰგვარაო გულ-ჩჩვილს ქალსაო. ოსკარი აშკა-

რად ხედავდა, რომ იმას ძლიერ უნდა ამ საიდუმლო საქმის შეტყობა და განაგრძო:

— ეს გამოძიება ჩემთვის მეტად დიდი რამ არის. ჯერ რომ პირველი საქმეა, რომელიც მე მომანდვეს და მეორე — აქ პოლიტიკაც გარეულია.

— დიახ, მეც მითხრეს ეგა.

— ქაღალდებია თურმე დაპარული, იმისთანა ქაღალდები, რომელნიც ერთს ელჩს ვერაფრად ეჭაშნიკებათ. ფრიად საჭიროა ნამდვილი დამნაშავე ვიპოვოთ. ის ვინც ჩვენ ეხლა ხელში გვყავს მისი თანაშემწე ყოფილა, ეს ცხადად დამტკიცებულია, ხოლო მკვლელი კი ეგ არ არის.

— რა ძნელი უნდა იყოს მაგისთანა დაფარულს საქმეში რაიმეს პოვნა. უჰ, რა რიგად მინდა რომ გამოძიებაში მეც დავესწრა!... ახლა რაო, ყველგან დაეძებთ რაღა?

— სუ ყველგან.

— ახლა ხომ გეში უნდა რამე გქონდეთ.

— რა კი გეშია, თვითონ დამნაშავესაც მალე ვიპოვით ხოლმე. მაგრამ რა? ათიოდე გეშიც გვქონდა, მაგრამ არა გამოდის რა. მაინც და მაინც იმედს არა ვკარგავ და დარწმუნებული ვარ, რომ დღეს იქნება თუ ხვალე ქალის მკვლელს ხელში ჩავიგდებთ.

— ყმაწვილი კაცი რომ დაგიჭერიათ, უარზედ დგას.

— დიდს უარზედ, როგორც ყველა ბრალეული. ის ბრალი, რომელსაც მას ჰსწამებენ, ისეთი საშინელია და მისი წარსული ცხოვრება და ყოფა-ქცევა ისე ცხადად ღაღადებს მის უბრალოებას, რომ პასუხსაც არ იძლევა. როცა ვეუბნებით, რომ შენი ნაყიდიაო ის საგნები, რაც ქალის ოთახში ვნახეთო, ის მხრებს იჭიმავს და ხმას კი არ იღებს. როცა ვკითხავთ, რას შვრებოდიო იმ უბედურების ღამესაო, ის მარტო ამას იძახის: მე სირცხვილად მიმაჩნიაო ამისთანა სამარცხვინო ცილის-წამებაში თავი ვიმართლოო.

— მაშ ჰფიცავს, რომ ლეა მედანს არ იცნობდიო.

— ამბობს, თავის დღეშიაც არ მინახავსო და თუმცა მის პირ-და-პირ ვიდექით, მაგრამ არც კი გამიგია მოკლეს ვინმე თუ არაო.

— ახალ ძიებას რომ შეუდგებით, თქვენის სიტყვით, ახალი გეში იპოვეთ რამე, თუ არა? მიამბეთ, რა აღმოაჩინეთ. თქვენ, იცნება, ჩემი ცნობის-მოყვარეობა გიკვირთ, მაგრამ როცა სასისხლო საქმის რომანებს ვკითხულობ, ყველაზედ მეტად იპყრობს ხოლმე ჩემს ყურადღებას ჯაჭვი საბუთებისა, რომლის რგოლებსაც ერთს მეორეზედ ჰკინძავს ჩუმად-მაძიებელი პოლიციის მოხელე.

— ჯერ ერთი რომ ჩვენ გვაქვს ნუმრები მოპარულის ბანკის-ბილეთებისა, რომლებზედაც ყადაღა დავადეთ კიდეთ.

— მაგით მითამ რაო? კარგა ხანს არ გამოაჩენს და ისე შენახული ექნება.

— უეჭველია, ეგრე მოიქცევა. ჩვენ ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, რომ დაჭერილს ყმაწვილ-კაცს გამოვათქმევინებთ, ვინ იყო მისი ამხანაგი. რადგანაც საპოლიტიკო ქაღალდები, რომელიც მოიპარეს, მეტად საჭირონი არიან ზოგიერთებისათვის, ამიტომაც ჩვენ თვალ-გაფაციცებით თვალ-ყურს ავადევნებთ იმ ზოგიერთებს... ესეა თუ ისე, ქალის მკვლელის დაჭერა ადვილია, ამას მარტო დრო უნდა.

— ვჰსთქვათ; იმ უბედურს ქალს იმისთანა გეში ხომ არა დარჩენია რა, რომ მკვლელის კვალში ჩავაყენოთ?

— სრულიად არაფერი.

— და თქვენ მაინც დარწმუნებული ხართ, რომ სხვას იპოვით და აღმოაჩენთ ნამდვილ მკვლელსათ?

— დიაღ.

— ბატონო ჟერმიმონ, გინდათ, თუ არა ყველა ქალზედ უბედნიერესი მყოთ ამ ქვეყანაზედ?

— მაგაზედ განა ეჭვიც უნდა გქონდეთ?

— მე იმედი მაქვს, რომ ეხლა, როცა გაგიცანით, გაუწყვეტლად ივლით ჩემთან ხუთშაბათობით.

— მე დიდის სიამოვნებით აღვასრულებ თქვენს გულ-კეთილს თხოვნასა.

— მაშ ყოველთვის მაცნობეთ ხოლმე თქვენის გამოძიების მსვლელობა, რომ გულში გამოვისახო მართლ-მსაჯულება როგორ ასრულებს თავის მაღალს მნიშვნელობას და როგორ პოულობს ხოლმე ბოროტ-მოქმედს, რომელიც მართლ-მსაჯულებას ემალება.

— ყოველს ხუთშაბადს ჩემი მოხსენება მოგერთმევათ ჩემგან.

— გმადლობთ. რა გზით იპოვეთ თქვენი პყრობილი?

— იმ ოთახში, საცა ქალი მოეკლათ, ორი შამპანსკის ბოთლი ვნახეთ და შაქრის პურები... ჩუმად-მაძიებელნი დაივაცურდნენ მაშინვე რომ შეეტყოთ, სად და ვისგან იყო ესენი ნაყიდი, რადგანაც ვიცოდით რომ ლეა მედანი ქვევითად მოსულიყო შინ და თან არა მოეტანა რა... ბოლოს ვიპოვეთ მედუქნეები, რომელთაც შამპანსკი და შაქრის პურები გაეყიდნათ.

— იმათგან შეიტყეთ, რომ შამპანსკი და შაქრის პურები იმ უმაწვილ-კაცს უყიდნია, რომელიც დაჭერილი გყავთ?

— დიაღ, ნიშნები გვითხრეს. იმათ აღიარეს რომ შამპანსკი და შაქრის პურები მათგან არის გაყიდული და როცა პირის-პირ დავუყენეთ, თვითონ უმაწვილი კაციც იცნეს. თვითონაც კი იძულებულ იქმნა გატეხილიყო, რომ სწორედ იმათგან ეყიდნა ღვინოცა და შაქრის პურიცა.

— რაო, მაშ თვითონვე გატყდა?

— ამაში თვითონვე.

— მაშ ეხლა რაღას ამბობს?

— პასუხს არ იძლევა. აი ხომ ხედავთ, რომ ეს დიდი საბუთია, მაგრამ მე მაინც იმას ვამბობ, რომ ეგ მონაწილეა და არა მკვლელი.

— რაზედ აფუძნებთ მაგ აზრს?

— ღმერთო ჩემო! თქვენ ვერაფერზედ უარს ვერ მოგახსენებთ და ეგ კი რასაც მკითხამთ სათქმელად მეტად მეთაკილება.

— კარგი ერთი, უპასუხა იზამ და ქმურად: მე ისე მელაპარაკეთ როგორც ამხანაგს. გასათხოვარი ქალი ხომ არა ვარ... მე ქვრივი ვარ.

— ხომ გეხსომებათ რა გარემოებაში აღმოჩნდა ეგ დანაშაულობა.

— ძალიან კარგად. ეგ ისტორია ისეთი უწმაწური ამბავია, რომ მაშინვე ყურადღება მიიქცია ყველასი, ნამეტნავად ქალებისა. მე არა მჯეროდა რომ სხვის ხელით არის მკვდარი, მე მეგონა, რომ თითონ მოუკლავს თავი იმედ-გადაწყვეტილი ვნებათ-ღელვაში.

— ხომ გეხსომებათ რომ ქალი წოლილა თავის საყვარელთან ქვეშაგებში. წოლის ნიშნები აჩნდა ქვეშაგებს და ორს ბალიშს სხვადასხვა სურნელების სუნი უდიოდა, ერთს ბალიშზედ, სახელდობრ იმაზედ, რომელზედაც კაცსა ჰსდებია თავი, ბოლოს რამდენიმე თმაც ვიპოვეთ.

იზა გულ-მოდგინებით ყურს უგდებდა და წყნარად განიმეორა:

— თმა იპოვეთ!... კარგია!...

— ის, ვინც ჩვენ დღეს ხელში გვყავს და ვისაც მკვლელობას ვწამებთ, მორის ოვერნი ქერაა, ჰსთქვა გამომძიებელმა: ის თმა კი, რომელიც ბალიშის სადაფის ღილს მოეწყვიტა, ძალიან შავია. თვითონ ქალიც ქერაა.

-- აა... წაიჩურჩულა იზამ და გაფითრდა.

— კიდევ ვიტყვი, დამწყვდევული ყმაწვილი-კაცი მონაწილეა და ამას უკისრნია ყველაფრის ყიდვა და საწამლავის მომზადება; ხოლო ის უბედური ქალი კი სხვას მოუწამლავს. ჩვენ ვიპოვით მომწამვლელს, მორისს ვათქმევინებთ იმის ვინაობას.

— სხვა არაფერი გეში არა გაქვთ იმ უცნობის ავაზაკისა?

— არაფერი, მაგრამ მორისს გავტეხთ.

— იმედი ვიქონიოთ, ჰსთქვა იზამ და წამოდგა ისე აღელვებული, რომ ოსკარმა ჰკითხა:

— რა დაგემართათ?

— არაფერი... აქ მეტად ცხელა, სული ვერ მომიბრუნებია და თქვენმა ნაამბობმაც ამრია ცოტად. ხელი მომეცით, ბატონო ვერშე-მონ და წავიდეთ ბაღში.

— როგორც გნებოთ.

ორნივე ხელი-ხელ გაყრილნი ჩავიდნენ კიბეზედ და შევიდნენ ხეივანში. ოსკარი ჰგრძნობდა, რომ იმას ხელი უთრთოდა.

„ყველა ქალი ერთისა და იმავე თვისებისანი არიან, იფიქრა ოს-კარმა: კაცის კვლის ამბავი ყველას აშინებს და გულს უხეთქს, მაგ-რამ მაინც კიდევ ნატრულობენ ამ გვარის ამბების გაგონებას.“

## თავი III

### ციუსტო ძალიან გახარებულია.

ქალის მოკვლა ლაკუეს ქუჩაში, თუმცა უცნაურის საიდუმლოე-ბით გარემოცული იყო, მაგრამ საზოგადოების ყურადღებას ძალიან არ იზიდავდა. გაზეთებში თითქმის არასა ჰსწერდნენ; ბევრმა, რო-მელთაც წაეკითხათ ამის ამბავი, არც კი დაიჯერა ეს ამბავი და ამ-ბობდნენ ტყუილი იქნება მეგაზეთესაგან მოგონილიო, რომ რითიმე შეემსო გაზეთიო. გამოძიებას ისე საიდუმლოდ აწარმოებდნენ, თით-ქო საქმეში იმისთანა გარემოება ერიოს, რომ არ უნდათ გამოამ-ჟღავნონო საქვეყნოდ, რადგანაც ზოგიერთ დიდ-კაცებისათვის სათა-კილოაო. როცა დაიჭირეს ქალის მკვლელობაში შეწამებული კაცი, მხოლოდ ორიოდე გაზეთში გამოაცხადეს ეს ამბავი, ისიც გაკვრით და მოკლედ. არც სახელი, არც ბინა შეწამებულისა არ იყო ნახსენები. აშკარაა, მწერლებისათვის პირში ბურთი ჩაედოთ „ძლიერთა ამა ქვეყ-ნისათა“ და რადგანაც საზოგადოების ყურს ამ საქმისა აღარავისაგან არა ესმოდა რა, ეს ამბავი ცოტ-ცოტად დავიწყებას მიეცა და თვით შეწამებულის დაჭერამაც ისე უბრალოდ და უყურადღებოდ ჩაიარა. თითქმის მარეს უბანშიაც მარისის ნაცნობებმა და მეგობრებმა არა-

იცოდნენ რა, არც მორისის დაჭერის თაობაზედ და არც იმ ბრალ-ზედ, რასაც მორისს ჰსწამებდნენ.

ტიუსსოს სახლში სესილას ქორწინების დღის მერმედ საწყალი მორისი არც კი ვისმეს უხსენებია. მაინც, აქ არც არავინ იცოდა რა მოხდა ლაკუეს ქუჩაში, რადგანაც ეს ამბავი სწორედ სესილას წყალ-ში ჩავარდნის დროს იყო და აბა ტიუსსოს სახლში ვიღას ექნებოდა ხა-ლისი სხვის საქმეების გამოძიებისა და გამოკითხვისა. ამ სახით, კლოდისა, ადელისა, გუდარისა და სესილასათვის მორისი, ავად-მყო-ფობისაგან განთავისუფლებული და პარიჟში დაბრუნებული, თითქო არც კი არსებობდა. მორისი სხვა უბანში მუშაობდა, წყევა-კრულვით იხსენიებდა და ცდილობდა სრულად გულიდამაც ამოეგდო ის, ვისაც ღალატობას ჰსწამებდა.

თითქმის ყოველ დღეს სესილი დედის სანახავად მოდიოდა. იგი უწინდელებ მამის ანგარიშების წიგნებს აწარმოებდა. როცა ამას გაათავებდა, დედა-შვილი მარტოკანი დაიწყობდნენ ხოლმე ლაპარაკს. ადელი ცდილობდა ნუგეში რამ ეცა შვილისათვის, რომელსაც ჰქენ-ჯნიდა სინიდისის გამხილება და ნუგეშსაც იმითი სცემდა, რომ მალე დაქვრივდებიო და ისევ მორის შეეყრებიო. გუდარის სიკვდილზედ ისე გულ-დაღინჯებით და გულ-გრილად ლაპარაკობდნენ, თითქო ეს ამბავი ისეთი უბრალო რამ არისო, რომ უეჭველად დღეს თუ ხვალე თა-ვის რიგზედ და კვალობაზედ უნდა მოხდესო. თვითონ გუდარს კი არც კი ახსენებდნენ და გუდარიც ძალიან ძვირად მოდიოდა ტიუს-სოს სახლობის სანახავად.

სამს დღეს შემდეგ ქორწინების მერმედ, გუდარი მოვიდა ტიუს-სოსთან, წაიყვანა კანტორაში, მოუჯდა გვერდით და უთხრა:

— ეხლა ყველაფერი გაგვითავდა, დავიწყოთ ლაპარაკი ჩვენს საქ-მეებზედ რამდენი ფულია საჭირო, რომ ქარხანა ფეხზედ დავაყე-ნოთ?

— ღმერთო ჩემო! დაიძახა ტიუსსომ, სირცხვილისა გამო წა-მოწითლდა და არ იცოდა სრული მართალი როგორ გაუბედოს სი-

მესა: აი რა მინდა გითხრა. შენ ხომ გისესხებია ჩემთვის ხუთას თუმნამდე, ერთი ათას-ორასიც თუმანიც რომ მომაშველო, სწორედ ნახევარ წელში ჩამიდგები და მაშინ თვე და თვე შენა და შენი ცოლი ორმოცს თუმანს შემოსავალს მიიღებთ ჩემგან უდავიდარაბოდ.

ამას რომ ამბობდა, ტიუსსო პირ-და-პირ თვალებში შესცქეროდა თავის სიძეს, უნდოდა მის თვალებში ამოეკითხნა როგორ გასჭრა ჩემმა სიტყვამაო და ეშინოდა კიდეც, უარი არ მითხრასო. მაგრამ გუდარმა დინჯათ უპასუხა:

— წინად რაც ფული მომიცია, იმას ნუღარ ახსენებ, ის წიგნებშია ჩაწერილი და ვიცით. ხოლო შენ ცარიელი დახლი უნდა რითიმე შეამსო, განა?

— რასაკვირველია.

— ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა, ცოტა ჰსჯობს და რიგიანი. მე შენი სიძე ვარ, შენ ერთად ერთი ქალი გყავს, ქარხანა მე და შენია, შენს შემდეგ, აშკარაა, მთელი ქარხანა ჩემს სახელზედ გადმოვა. რასაც გამძლევ ფულს, სულ ჩემად დაინიშნება. საქმე ის არის, რომ ქარხანა კარგად და საფუძვლიანად ვაწარმოვოთ. მე მაქვს ორი ათასი თუმნის ბანკის ბილეთები, რომელნიც ას-ორმოც-და-ათს თუმანს სარგებელს მაძლევენ, ხოლო თუ ქარხანაში გავაბამ ამ ფულებს, ერთი-ორად მომემატება სარგებელი.

— ერთი-ორადაო! წამოიძახა ტიუსსომ გახარებულმა, რომ ამოდენა ფული ხელში ჩაუვარდება: ერთი-ორად კი არა, ერთი ოთხად მოგემატება.

— ძალიანაც ნუ გავაზვიადებთ. ათას ორას თუმნით შეგიძლიან საქმე რიგიანს გზაზედ დააყენო?

— მაგის ნახევარიც სამყოფია. არ დაივიწყო, რომ ჩვენ ერთი გროშიც აღარავისი გვმართებს. ვისიც რა გვმართოა, ყველას დავუბრუნე იმ ფულიდამ, რომელიც შენ მასესხე.

— სჯობს მეტი იყოს, ვიდრე ნაკლები.

— რასაკვირველია.

— ჩემი ბილეთები კაი ღირსებისა და სანდონიც არიან, არ მინდოდა გამეცა, მაგრამ რასა იქ.

— თუ გაცემა არ გინდათ, დავაგირაოთ, დაასწრო ტიუსსომ.

— მეც მაგას ვფიქრობ. მაგრამ მე სხვა მრავალსავით ისეთი სულელი არა ვარ, რომ მივიტანო ზარაფთან, ბილეთები მივცე გირაოდ, ორიოდე გროში გამოვართვა და მერე ერთს მშვენიერს დილას შევიტყო, რომ ჩვენი ბატონი ზარაფი სადღაც გაპარულა.

— აბა მაგას რა თქმა უნდა, რომ დიდი სიბრიყვე იქნებოდა! უპასუხა ტიუსსომ სიცილით.

— აი რა უნდა ვქნათ. მე, როგორც გითხარი, ორი ათასის თუმნის ბილეთები მაქვს. მე ვისესხებ ათას ხუთას თუმანს და ბილეთებს დავუგირავებ და სარგებელსაც მივცემ, რასაკვირველია იმ პირობით კი, რომ ჩემი ბილეთები იმასა ჰქონდეს და კუპონებით კი თვითონ მე მივიღებ კუთვნილს სარგებელს ბილეთებისას. ხომ იცი, ბევრს მოხელეებს ვიცნობ, იმათ სულ მე ვუნახვივართ, რომ მე ვიღებდი კუპონების ფულს და არ მინდა ეხლა ვაფიქრებინო, რომ მე ბილეთები გამიყიდნია, ანუ აღარა მაქვს. ამ სახით ჩემი ქონება ისევ ისე ხელ-უხლებლად შემენახება, როგორც ჩემს საკუთარს ხელში.

— ეგ ძალიან კარგად გიფიქრია. მაგრამ ჭირი ეს არის, რომ მაგ გვარს საქმეს მარტო მეგობართან თუ დაიჭერს კაცი, სხვა ვინ იყაბულებს?

— იქნება შენ იცოდე ვინმე იმისთანა.

ტიუსსო დაფიქრდა. გუდარი ხმა-ამოუღებლივ უყურებდა ტიუსსოს და ულვაშს იგრეხდა.

— საქმე დამშია! დაიძახა ტიუსსომ ბოლოს: ერთი დედა-კაცის ადელის მეგობარი ანუ უკეთ ვსთქვათ, ძველი მეგობარი დედი ჩემისა; ზოგჯერ გამომართმია ხელი იმისაგან, ფული მისესხნია. იმას წარსულ კვირაში სახლი გაუყიდნია. უნდა თურმე ბილეთები იყიდოს და უდავიდარაბოდ სარგებლით იცხოვროს. შენც იცნობ აი ბებერი პალიარის ქვრივი, შენს ქორწილში რომ იყო უწინდებურ შალითა.

— მახსოვს.

— აი იმას მიეც შენი ბილეთში ორი ათასის თუმნისა გირაოდ და ის გასესხებს ათას ხუთას თუმანსა. ჩვენ კამლით რვა სარგებელი იმ პირობით, რომ კუპონებს ხელი არ ახლოს, მე თვითონ მოვჭრი, როცა დროა.

— ძალიან კარგი.

— აბა, საყვარელო ანდრე, წადი მოიტა ბილეთები და მე ადელს გავგზავნი, რომ მოილაპარაკოს.

— ბილეთები? თანა მაქვს.

ამ სიტყვაზედ გუდარმა ამოიღო ჯიბიდამ ერთი დიდი შეკვრული ქაღალდი და მიჰსცა ტიუსსოს.

იმავ საღამოს საქმე გარიგებული იყო. ბებერი პალიარის ქვრივი სადილად ეწვია ტიუსსოს და მოიტანა თან ათას ხუთასი თუმანი და სამაგიეროდ შინ წაიღო ბილეთები გუდარისა, ქაღალდში შეკრული და ბეჭედ-დასმული თვითონ გუდარისაგან, რომ დედა კაცმა ხელი არ ახლოს.

მიღებულ ფულიდამ გუდარმა სამასი თუმანი თვითონ აიღო და ათას ორასი მიჰსცა ტიუსსოს. ამ დღის შემდეგ რომ ვისმე გაებედნა ამის სიძეზედ ცუდი რამ ეთქვა, ტიუსსო სწორედ ზედ შეაკვდებოდა. ტიუსსოს ქარხანა ფეხზედ დადგა და ძლიერ კარგად გაიმართა.

თვითონ ტიუსსოს სულ სხვა კაცათ შეიცვალა. რა ნატვრაც ჰქონდა, ყველა აუსრულდა. გაკეთებული ქარხანა, რომელსაც ესტიზარი გატეხილი ჰქონდა, ცარიელი დუქანი და კაინაპრობით მიმავალი მუშაობა, ერთბაშად გამოცოცხლდა. სიმღერა მუშებისა, კვერის ცემის ხმა, ქლიბის ფხაკუნი და სხვა იარაღების ხმაურობა ამხიარულებდა ქარხანას, რომელიც უშველებელის სანათურით სწორედ გაჩაღებული იყო. თაროები დუქნისა ჭედით იყო გატენილი ბრონზის ნივთეულობითა და ყველა ეს ელოდდა მყიდველსა.

ტიუსსო იჯდა თავის კანტორაში და ელაპარაკებოდა ვაჭრებს,

რომელთაგანაც ქარხანისათვის საჭირო მასალებს ყიდულობდა, იყდა მხიარული, კმაყოფილი და ბედნიერი. ყოველს შემთხვევაში ტიუსსოს პირიდამ მარტო ეს ამოდიოდა:

— მე უნდა ნაკლებ ფასად მომცეთ, სულ ნაღდ ფულზედ ვყიდულობო.

როცა მუშტრები ეწვეოდნენ კანტორაში, იმათ თვალ-წინ გააღებდა დახლს და ჰსთვლიდა ფულებს, ოქროს, ვერცხლს და ბილეთებსა.

იმოდენა საქმე აუჩნდა ტიუსსოს ქარხანას, რომ ბოლოს ტიუსსო თაკილობდა კიდეც როცა წვრილმანს რასმეს შემოუკვეთდნენ.

— ამ წვრილმანმა საქმეებმა თავი წაიღეს, ამბობდა ხოლმე ტიუსსო: მადლობა ღმერთს, მოვრჩი, ეხლა დიდს საქმეს რასმეს მაინც შევუდგებიო.

ამ სახით ტიუსსოს ქსტიბარი ისევ ფეხზედ წამოდგა და ამის მტრებს ენა მუცელში ჩაუვარდათ. ისინიც კი, რომელნიც ტიუსსოს ჰკიცხავდნენ, ქალი გუდარს როგორ მიათხოვაო, ისინიც კი ეხლა მოდიოდნენ და ულოცავდნენ შვილის გათხოვებას.

ამასობაში, გუდარს ვერ მოუხდა სესილასათვის ის სირცხვილი ეჭმევია, რომელსაც გულში ქადულობდა ქორწინების ღამეს; არ ვიცით, ურჩია ვინმემ თუ თვითონ მოვიდა ჭკვაზედ, მერედ კი ველარ გაბედა სესილას წყენა. პირიქით, ყველას ეგონა, რომ ახლად ჯვარ დაწერილები ძალიან ბედნიერათ ცხოვრობენო.

ყველას ეგონა, რომ სესილი დაემორჩილა თავის ბედსაო და თავის ახალს ყოფასაო; რომ იგი მშვენიერი, ახალ-გაზდა ქალი ტკბილად ცხოვრებს ქმართანაო, რომელიც ისეთივე ახალ-გაზდაა, ლამაზია და პატივისმცემელიო. გუდარი ძვირად ეჩვენებოდა ხოლმე ხალხს თავის უბანში, ამიტომაც ვერავინ ვერც კი შეიტყო, რომ ამ დროს განმავალობაში გუდარი ორჯერ წავიდა სადღაც პარიჟიდამ და ისევ დაბრუნდა. სესილამ კი თუმცა იცოდა, მაგრამ არავის არა უთხრა რა.

მარტო სესილას დედამ იცოდა ამათი ცოლ-ქმრობის ამბავი.

საწყალი სესილი დედის გულზედ ჰღვრიდა ხოლმე ცრემლს თავისის უბედურებისას და დედის კალთაში ეძიებდა ნუგეშსა. როცა საბრალო სესილას სასოწარკვეთილება და უიმედობა უბზარავდა გულს, ადელს ისე ებრალებოდა თავისი ქალი, ისე ჰქენჯნიდა სინიდისი რომ ეტყოდა ხოლმე: გინდა, შვილო, მორისი და შენ ერთმანეთს განახვოთო, მაგრამ ახალ-გაზდა ქალი კდემა მოსილ მედიდურობით უპასუხებდა ხოლმე:

— განა მე ვინა გგონივართ?

სესილი სიამოვნებით ლაპარაკობდა წარსულ დღეებზედ, მორისზედ, მის დაზედ; შესაძლოდ ხადიდა გუდარის სიკვდილსაცა და მას შემდეგ მორისის შერთვასა, ხოლო მინამ ქმარი ცოცხალი ჰყვანდა, უნდოდა ჩირქ მოუცხებელი ყოფილიყო. გულის სიღრმეში თავ-მოწონებულ სიხარულით აღიარებდა, რომ თუმცა ქმარი ჰყავს, მაგრამ მაინც ერთგულია საყვარელის კაცისა, რომელიც მაინც კიდევ ღალატობას ჰსწამობდა.

მარტო ტიუსსოს ეგონა, რომ ამის ქალს ქმარი უყვარს და ქმარი კიდევ როგორც ღმერთსა ისე თაყვანს ჰსცემს ამის ქალსა.

ერთხელ ტიუსსომ სესილასთან სადილის ჭამა მოიწადინა, ამბობდა, გუდარი დიდი ხანია არ მინახავსო. სესილმა დედას შეხედა. ადელი მიხვდა და უთხრა ქმარს: მე არ წამოვალო.

სადილზედ სესილი ძალიან თავ-დაჭერილად და დინჯად იყო, როგორც ყოველთვის და მამას არც გაჰკვირვებია ეს ამბავი. გუდარი ძალიან მხიარულად იყო და ლაპარაკის ქეიფზედა. ტიუსსოს სიხარულს ბოლო არა ჰქონდა, შეჰხაროდა თავის შვილის ბედნიერებას და როცა სესილი უეცრად გუნებ-ნაქცევსავით ავ გუნებათ გახდა, ტიუსსომ ყურიც არ ათხოვა და დაიწყო კილოიანი ოხუჯობა თავის სიძეზედ. გუდარი გაბოროტებისაგან გამწვანდა და სესილი კი ჩუმად და მწარედ იცინოდა უყურებდა რა ქმარს. სადილს უკან გუდარმა

ჩამოაცილა კიბეზედ თავისი სიმამრი და ხელახლად მოისმინა მისგან უგემური ოხუჯობა.

შემობრუნდა ოთახში ძალიან გაჯავრებული, საშინლად იგინებოდა და იწყევლებოდა. სესილმა ხმა არ გაჰსცა და დააპირა თავის ოთახში წასვლა, გუდარმა გზა გადუჭრა და არ გაუშვა.

— კმარა, ეს ოხერი, კმარა ამისთანა ჯოჯოხეთური სიცოცხლე!

— უკაცრავად, ბატონო გუდარ, მაგ ჯოჯოხეთს ბოლო არ ექმნება.

— სუ, ტყუილია! ერთხელ გათავება ჰსჯობია. რაც გინდა ჰქნა, შენ ჩემი ნამდვილი ცოლი იქმნები, დაიძახა გუდარმა და მიჰსწვდა სესილს.

უნდოდა სესილისათვის ხელი წაევლო, მაგრამ ქალი მარდად გამოეცალა ხელიდამ, მივარდა სტოლს, წამოავლო დანა და გულ-დინჯად უთხრა:

— ერთი ფეხის წინ წამოდგმა და შენი სიკვდილი ერთი იქნება.

გუდარმა თვალებში შეატყო, რომ სესილი აასრულებს მუქარას, ერთი საშინლად დაიწყევლა და გზა მისცა სესილს. სესილი შევიდა თავის ოთახში და ჩაიკეტა კარი კლიტით.

— რა საძაგელი რამა ვარ, რომ ყოველთვის ვუთმობ ხოლმე! წამოიძახა გუდარმა გულ აშფოთებით.

## თავი IV

### მორისს ვერა გაუგია რა.

როცა მორისი დაიჭირეს სახლში, ამელი მივარდა პოლიციის მოხელეებს წივილ კივილით:

— ვერა, ვერა, თქვენ ჩემს ძმას ვერ წაიყვანთ.

მორისმა აკოცა თავის დას და ნაზად ხელი შეახო და უკან მიაყენა.

— ნუ ცხარობ, მელი. აქ რაღაც შეცდომა უნდა იყოს. არაფერში დანაშაულობა არა მაქვს და რად დამიჭერენ. მე გავყევი ამ ბატონებს და ისევ მალე დავბრუნდები შინ... საუზმე მომამზადე.

მორისი თუმცა ცდილობდა არა შეიმჩნიოს რა, მაგრამ გულში მეტად ჰსწუხდა, ხმამ კანკალი დაუწყო.

— რასა ჰსწამებთ? ჰკითხა ცრემლ მორეულმა ამელიმ პოლიციის კამმისარსა.

— მე მარტო ბძანებას ვასრულებ და არ ვიცი რა მიზეზით იჭერენ თქვენს ძმას, უპასუხა კამმისარმა გულჩანატკენმა ახალგაზრდა ქალის ქვითინისაგან: თუ აქ შეცდომაა რამე, როგორც თქვენი ძმა მოგახსენებთ, პოლიციაში ორ წუთში ყველა გამოცხადდება. ნურას შიშობთ, გამოუშვით თქვენი ძმა.

— ნება მომეცით მე თან გამოგყვეთ.

— არ შეიძლება. აი ესენი (დაანახვა ჩუმად მაძიებელნი), რომელნიც ჩვენთან აქ მოსულნი არიან, აქ უნდა დარჩნენ და მოსჩხრიკონ აქაურობა და რასაკვირველია თქვენი აქ ყოფნა საჭირო იქმნება ამათთვის.

— მოსაჩხრეკი რა არის აქ! დაიძახა გაოცებულმა მორისმა.

— კმარა, ჩაიცვით ჩქარა, დროა წასვლისა, უთხრა კამმისარმა მკვახედ და ბძანებლობითა.

ამ ამბისაგან ელდა ცემული მორისი შევიდა თავის ოთახში და ორი ჩუმად მაძიებელნიც თან შეჰყვნენ. კამმისარმა იხმო კიბედამ კიდევ სამი პოლიციელი.

— აი იმისი და, უთხრა მან.

ამოდენა ხალხის მნახველი ამელი სირცხვილით გაწითლდა, დაპირა წასვლა რომ ჩაეცვა რამე, მაგრამ ერთმა მოხელემ ხელი მოჰკიდა და არ გაუშვა.

— საით, ჰკითხა მან ბრიყვულად.

— ნება მომეცით ტანთ ჩავიცვა, უპასუხა ამელიმ და გაოცებულმა თვალები დააჭყიტა.

— მაგას მერეც მოესწრობით. ჯერ აქა ბძანდებოდეთ.

მერე ჩუმად მამიებელმა ანიშნა ამხანაგებს და დაუმატა:

— წადით და სწრაფად მოსჩხრიკეთ აქაურობა.

ამხანაგები დაემორჩილნენ და წავიდნენ. თვითონ კი დააპირა გამოეკითხა ამელისა, მაგრამ გამმისარმა გააჩერა და უთხრა:

— ჯერ მოიცათ, როცა ჩვენ წავალთ, მერე

ქლდა ცემული ამელი მიჯდა კუთხეში და ხმა ამოუღებლივ ტიროდა ცალკე სირცხვილისა და ცალკე შიშისაგან. მარტო ერთი იუბკის ანაბარას იყო და ცდილობდა ხელთ სახოცით მაინც დაეფარა შიშველი გულ-მკერდი. რამდენსამე წუთს შემდეგ მორისი გამოვიდა თავის ოთახიდამ ტანჩაცმული. ორი მოხელე თან მოსდევდა. და მივარდა ძმას და გადეხვია.

— შენი ჭირიმე, მალე მოდი, მალე, დუდუნებდა საწყალი ტირილითა და გადიხარა რომ ყურში რაღაც წასჩურჩულოს, მაგრამ გამმისარმა პოლიციელებს ანიშნა და ერთმა და მოაშორა ძმას და მეორემ კიდევ ხელი წავალო მორისს და სწრაფად გაიყვანა გარედ.

საწყალი უმაწვილი კაცი ძლივსღა მიდიოდა, მუხლთ ეკეცებოდა და მთელი ტანი უთრთოდა. ეხლა და აქ არა ჰყვანდა და აღარ მალავდა თავის მწუხარებას. ჩასვეს ეტლში და ისე წაიყვანეს. გამმისარი გვერდთ ჩაუჯდა და ორი ჩუმად მამიებელნი წინ სკამზედ ჩამოუჯდნენ. მორისს თქმა რიღასისაც უნდოდა, მაგრამ ენა ველარ გაანძრია. პოლიციელები, რომელნიც შინ რბილად ექცეოდნენ, ეხლა წარბ-შეკრულნი იყვნენ და მკვახედ გამოიყურებოდნენ. შეწუხებული მორისი აქედ-იქით შტერსავით იყურებოდა და მუშებს რომ დაინახავდა, ჰკითხავდა თავის-თავსა, ამ ამბავს რომ შეიტყობენ ჩემი ამხანაგები, რას იტყვიანო? ბოლოს ღონე მოიკრიბა და ჰკითხა გამმისარს:

— ჩემს დას მოერიდენით და არა ჰსთქვით მიზეზი ჩემის დაჭერისა: ეხლა კი გთხოვთ მიბძანოთ, რად დამიჭირეთ?

— მე რა უნდა გითხრათ, თქვენ თვითონაც კარგად იცით.

## განცხადება.

ამ დღეებში მივიღეთ ჩვენ სხვა-და-სხვა ქართული წიგნები გამოცემულნი და დაბეჭდილნი სტამბოლში. ამ წიგნთა შორის არის აგრეთვე ერთი, რომელიც დაბეჭდილია საფრანგეთში, ქ. მანთობანს. ამასთანავე მოგვივიდა წერილი, რომლითაც გვთხოვენ, ქალაქს მანთობანს მყოფთა კათოლიკე მღვდელ-მონაზონთა მაგიერ, დავბეჭდოთ ქვემოხსენებული სია წიგნებისა და აგრეთვე „სიტყვა წამკითხველისადმი." სიამოვნებით ვასრულებთ ამა თხოვნას.

## სიტყვა წამკითხველისადმი

### სასოფლო შკოლებისათვის სახელ-მძღვანელო ქართული წიგნების გამოცემასა ზედა.

დიდი ხნის აქეთ მწუხარე გულით ვხედავდით, რომ არ იპოვებოდნენ ქართულს ენაზედ დასტამბულნი სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები, და ამითი ყოვლითურთ მოკლებული იყო სწავლის საშუალობისაგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი იგი რომელმანც ქართული ენის მეტი სხვა ენა არ იცის.

ეს წიგნების უქონელობა უფრო შესამჩნევი და გულ-დასაწყველი იყო მიხედვით საქართველოს სასოფლო სკოლების მდგომარეობისა, ამიტომ რომ სოფლის გლახაკი საზოგადოება, თუმცა აკეთებდა თავის ოჯალობას და აძლევდა ფულს სკოლების აშენებისა და მასწავლებლების ჯამაგირის მიცემისათვის, რათა გახსნებოდა სწავლის კარი თავის შვილებსა და უწინდელივით არღარ აღზრდილ იყვნენ ბოვშები ყოვლითურთ უსწავლელად და უმეცრად. მაგრამ სკოლებისათვის საჭირო სახელ-მძღვანელო წიგნები კი არსად არ იყვნენ, რომლებითაც

შესძლებოდათ მასწავლებელთა გაკვეთილის მიცემა ყრმათათვის და ყრმათაცა სწავლა რამისა. აღაშენე და განამრავლე რამდენათაც გინდა სკოლები, განაწესე იმათში რამდენათაც გინდა მეცნიერნი მასწავლებელნი, აღავსე სკოლები ბოვშებით, რა სარგებლობა წარმოსდგება ამათგან თუ რომ არ იქნებიან თანვე დასტამბული წიგნები უხვად, რომლებზედაც შეიძლებოდეს გაკვეთილის მიცემა და სწავლება ყრმათა? ამ ფერი წიგნების ნაკლულევანებისაგან იბადებოდნენ ეს შემაწუხებელნი მოხდენილობანიცა, რომ არა თუ სასოფლო სკოლების საქმე წინ ვერ მიდიოდა კარგად, არამედ ვითარცა ხანდისხან ეწერა სასოფლო გაზეთში ზოგი მათგანი ბოლოს გაუქმებული კიდეკაც დაიკეტებოდა ხოლმე, ამიტომ რომ სოფლის სკოლებში მოსწავლე უმაწვილებმა ქართული ენის მეტი სხვა ენა რომ არ იციან, და ქართულ ენაზედაც სკოლისათვის საჭირო და სახელ-მძღვანელო წიგნები რომ არ იპოებიან, უამისოდ ვერც მასწავლებელს შეუძლიან ასწავლოს რაიმე ყრმათა და ვერცაღა იმათ შეუძლიანთ ისწავლონ რამე. სასოფლო სკოლების ამ შესაბრალისს მდგომარეობას აცხადებდა, კვალად ის სტატიაცა, რომელიც დიდი ხანი არ არის ეწერა „დროებას“ გაზეთში, რომლითაც სამართლიერად სწუხდა ერთი სკოლის მასწავლებელი და ამბობდა რომ: ერთი „ბუნების კარი“ იყო, ისიც ეგება ხუთჯერ დავახელმძღვრებინე უმაწვილებსა, ამის გარდა სხვა სახელ-მძღვანელო წიგნი რომ არ არის ქართულებ, ამას იქით რაღაზე უნდა ვკითხო უმაწვილებსაო? ამასთანავე არცაღა ჩამდა სიდგანმე ერთი საფუძვლიანი და სანუგეშო ნიშანი, რომლისაგან იმედი ყოფილი იყო რომ საქართველოს საზოგადოებას მოუშველებოდნენ დროით ეს გამოსადეგი წიგნები და მით წამალი დაედებოდა მის ამფერს დიდს საჭიროებას. ამ ზემოდ თქმულს უიმედობასაც აცხადებს ავტორი „ბუნების კარისა“ წინა სიტყვაობაში, სადაც ამბობს: „ბევრს უმაწვილ კაცს სურს და ცოდნაც ნებას აძლევს რომ სხვა და სხვა მეცნიერებაზედ წიგნები შეადგინოს, მაგრამ კითხვა: ვინ მოითხოვს და ვინ მოიპოებს? იმას ხელიდამ კალამს აგდებინებს სამუდამოდო“ აი ამფერნი სამწუხარო

გარემოებანი იყვნენ, რომელთაც აღგვძრეს ჩვენ რათა მოყვასის სიყვარულის თანამდებობის შესასრულებლად, რაოდენიც შეგვეძლო გვეშრომა გულსმოდგინებით ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. ამ მძიმე და ძნელი საქმის თავზედ აღებაზედ შეგვაგულიანა ჩვენ იმანაც რომ ამ ნაირი მოყვასის სიყვარულის საქმის აღსრულება ჩვენი სამონაზონო საზოგადოების წესდებულებისაც თანახმა იყო, რადგან სხვა არაფრისთვის არის შედგენილი ეს ჩვენი მონასტრებრივი ერთობა (Congrégation) თუ არ მხოლოდ ამ ორი რამისათვის: ა. რათა ქვეყნიური გართხმულობისაგან მოცილებით, და მონაზონებრივს მყუდრო მდგომარეობაში ყოფნით, შევიძლოთ უფრო კეთილად მსახურება ღვთისა საცხონებლად სულისა ჩვენისა. და მეორედ, რათა დიდებისათვის ღვთისა, რაც შეგვიძლია ვიშრომოთ სასიკეთოდ მოყვასისა, მაგალითად: რათა ქართული ენის მოუბართ რომის კათოლიკეთ და სომხის კათოლიკეთ საეკკლესიო გინა საბაროხო სკოლებში მასწავლებლობის ქმნით, ვასწავლოთ კათოლიკე ყრმათა კითხვა, წერა, კათეხიზი, არითმეტიკა, და სხვა ამ ნაირი სასწავლო რამეები; და უფროსი ერთი ვასწავლოთ მათ ღვთის შიში და ერთ-გულობა ხელმწიფისა, ჩასხვდენით მათი თუ ვითარ დიდი ვალია კაცისათვის სამსახური ღვთისა და ერთ-გული ქვეშევრდომობა ხელმწიფისა, ვითარცა ჩვენს დასტამბულს წიგნებშიაც ბევრს ადგილს გვილაპარაკნია ამათზედ. ესრეთვე რათა სხვა საჭირო სულიერი შემწეობანიც მივცეთ ხოლმე კათოლიკე ერსა შველით მათი სულებისა. ეს არის მხოლოდი მიზანი ჩვენი მონასტრებრივი და მონაზონებრივი სულიერი ძმობისა და წესდებულობისა. ამისთვის ვიკისრეთ ყოველი სიძნელე, რათა დათარგმნილ იყვნენ სხვა-და-სხვა ენებისაგან ქართულს ენასა ზედა და გამოცემულ იყვნენ მაინც რავდენიმე საჭირო და გამოსადეგი წიგნები, ზემორედ თქმული აღსასრულისა და დანიშნულობისათვის. ღმერთმანცა თავისი გამოუთქმელი მოწყალებით წარგვიმართა საქმე ესე, და დაისტამბნენ ქართულს ენაზედ თერთმეტ ნაირი შემდეგი წიგნები.

ა. წინამძღვარი ზეცისა. ბ. გზა ცხოვრებისა. გ. სიბრძნე კაცერივი. დ. ბრძენი კაცი. ე. ქართული გრამატიკა. ვ. მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველობა. ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება. ჱ. გეოგრაფია. თ. მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა. ი. გვირგვინი მოწამეთა წმინდა ქსტატე, (პოეზია ათას შვიდი მუხლი.) ია. ყვავილების კონა ყრმათა გინა რჩეული ლექსები.

ამათ გარდა დაიბეჭდა საქართველოს რომის კათოლიკეთათვისაც შემდეგი ოთხი წიგნი. ა. თან-სატარებელი ლოცვის წიგნი. ბ. წალკოტი ლოცვათა, გ. პატარა სქრისტიანო მოძღვრება. დ. მოზდილი სქრისტიანო მოძღვრება გინა კათეხიზი.

ყმაწვილის პირველი საიმედო სკოლა, თუ ზნეობის კერძოდ და თუ სწავლის კერძოდ, თვისივე დედ-მამის სახლია და იმისი პირველნი მასწავლებელნიცა თავისივე მშობელნი არიან; რადგან რასაც რომ პატარობისას მაგალითს ნახამს იგი და რასაც ისწავლის იმათგან სიკდილამდისინ გაჰყვებიან მას.

ამის გამო რაოდენათაც ფრიად დიდი ვალი აქვსთ მშობლებს თავიანთი შვილების კეთილად აღზრდისათვის, ეგოდნათაც ესაჭიროებისთ იმათ მრავალნი საშვალობანი, რათა მათ მიერ, თავიანთი სურვილისა დაგვარად, კეთილად აღზარდონ შვილები, და ამასთანავე მოამზადონ იგინი შემდგომში ადვილად და კარგად წინ წარსვლისათვის სწავლაში. რათა რომ მივცეთ მშობლებისათვის ესე ვითარი საშუალობანი, დავსტამბეთ ზემოდ ხსენებული წიგნები ამ აზრით რათა ამ წიგნების კითხვით და სწავლით გონიერ მშობლებს ერთის მხრით თვითონ გონება გაუნათლდესთ და გაუმდიდრდესთ ცოდნითა, და მეორე მხრით ამავე წიგნებით ან თვითონ და ანუ მასწავლებელნის საშუალებითა ასწავლონ თავიანთ შვილებს, კითხვა-წერის შემდგომ, მაინც ქართული გრამატიკა, მოკლე გეოგრაფია, საზოგადო ისტორიის დასაწყისები, და სხვაც ამისთანა საგნები. ამით ყმაწვილს თვისს დედა ენაზედ, რომელიც საკმაოდ ესმის, გონებას სულ მალე გაუხსნება,

და ის ადვილად მიხვდება და ხალისით შეისწავლის სამეცნიერო დასაწყისებსა, რომლით არა მარტო სწავლა თითქმის ნახევრად მიღებული ექმნება მას, არამედ დედ-მამის სახლში ამგვარად მომზადებული უმაწვილი ოდეს გარდავა რუსულს კლასში გინა გიმნაზიაში, რადგან თავისი დედა ენის გრამატიკის, გეოგრაფიის, მოკლე საყოვლიერო ისტორიის, და ცოტაც სხვა სამეცნიერო პრინციპების ცოდნა ექმნება, რუსულს გრამატიკას და სხვა მეცნიერების საგნებს სრულ ადვილად და ცოტა ხანში წმინდათ შეისწავლის იგი. ამ ჩვენს აზრს ამტკიცებს „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში ავტორის ნათქვამი სიტყვებიცა, სადაც სწერს: „თუ უმაწვილს გონება თავის დედა ენაზედ გახსნილი არ აქვს, უცხო ენის სწავლაში მეტად ბევრს ეწვალება, დროსაც ბევრს დაჰკარგავს და გვარიანათაც ვერ შეისწავლის... ბავშვს თუ თავისი ენის კანონების ცოდნა არ აქვს, უცხო ენის გრამატიკა უაზრო საგნათ ეჩვენება, და რავდენსამე წელიწადს ეწვალება, მანამ მიხვდებოდეს, თუ რა მეცნიერებაა გრამატიკა... სულ რომ ცოტა ვსთქვათ, სამჯერ ჩქარა შეისწავლის რუსულ გრამატიკას ის უმაწვილი, რომელმანც ქართული გრამატიკა იცის, მანამ ისა, რომელმაც არ იცის... თვალ-ყურ მგდებელ მასწავლებლებს შეუნიშნავსთ, რომ უმაწვილები, რომლებიც გონიერ მშობლებს შინ კარგა მოუმზადებიათ ქართულს ენაში, რუსულ ენას და საზოგადო საგნებს ადვილად სწავლობენ და უკეთეს მოწაფეებათ ითვლებიანო.“

ხოლო აქ საჭიროა გავახსენოთ ეს ფრიად საჭირო რამეც იმ გონიერ და კეთილ მშობლებს, რომელნიც დიდის სურვილით ნატრობენ მეცნიერებით გაბედნიერებას თავიანთი შვილებისასა, რომ ყოველი სწავლისა და სიბრძნის დასაწყისი ღვთის შიშია, ვითარცა ამბობს სული წმიდა ღმერთი იგავთა საკითხავში: დასაბამი სიბრძნისა, შიში უფლისა“ თუ სწავლას ღვთის შიში არ ჰმართავს, ის მეცნიერება უთუოდ მავნებელი გახდება; ამიტომ რომ სწავლა ემსგავსება მახვილსა, და რაც მახვილისთვის ჭკუა არის, ის მეცნიერებისათვის ღვთის შიშია; თუ მახვილმა გონიერი, ჭკვიანი და კეთილი ვინმეს

ხელში გაიარა, უეჭველად გამოიყენებს მას კეთილზე ჭკუით დასაცველად და სასარგებლოდ თავისი თავისა და სხვებისაცა ხოლო თუ მახვილი ერთი უგუნური, სულელი ანუ მთვრალი კაცის ხელში ჩავარდა, ის კი, რადგან ჭკუა ზედ არა აქვს, არ მოიხმარებს მას თუ არ სავნოდ თავისი თავისა და სხვებისაცა. ამგვე ნაირად როგორც ჭკვიანი ხმას ისე ღვთის მოშიში მეცნიერებას იხმარებს მუდამ სიმართლით და გამოიყენებს კეთილი და სასარგებლო აღსასრულისთვის, რომელსაც აგონებს მას თვით იგივე შიში ღვთისა, ე. ი. ღვთის საშინელი და უცვალებელი სიმართლე, რომელიც მიაგებს ყოველს ვისმეს კეთილისათვის კეთილსა, და ბოროტისა და ავობისათვის პატიჟსა და რისხვასა. ამის წინააღმდეგად, სიმეცნიერებით, განათლებული პირი რომელსაც ღვთის შიში არა აქვს, უამისოდ იმ თავის ცოდნას სხვა-არაფერზედ არ მოიხმარამს თუ არ უსამართლობაზედ, რათა სხვებს მახე მიუდგას, რაც შეუძლია ზიანი მისცეს, და სხვაც. ამასთან თვით თავის თავსაცა ავი ზნეობით ყოვლითურთ გააუბედურებს იგი. საუბედუროდ ამ საუკუნებაში იშვიათი არ არიან ამისთანა სწავლის ბოროტზე მოხმარების სამწუხარო მაგალითნი და შემთხვევანი ვითარცა ვხედავთ ზოგიერთ ნასწავლს პირებში, რომელთაც რადგან პატარობითგანვე არა ჰქონიათ შეთვისებული ღვთის შიში, და კეთილი ცხოვრების სიტკბოება, შემდგომ როდესაც სწავლა შეუძენიათ მათ, უამისოთ შექმნილან იგინი არა მხოლოდ სატანჯველნი და მწუხარებანი თავიანთი მშობლებისა, არამედ მავნებელნი თავიანთი თავისა და საზოგადოებისაცა. ამისთვის ფრიად საჭიროა რომ მშობელთა სწავლასთან ერთად გონებაში დაუნერგონ თავიანთ შვილებს თანვე ღვთის შიში, ეგრეთ რომ ის ყმაწვილობითგანვე მიმხვდარი იყოს ამას, თუ რაოდენად ფრიად ბოროტია ცოდვა, და რაოდნად მავნებელი, მოსამულებელი, კაცის გამაუბედურებელი და სამუდამოდ სულით თუ ხორცით დამღუპავია ავი ზნე და ბოროტი სიცოცხლე. და ამის წინაღმდეგად თუ რაოდნად სასარგებლო, და კაცის გამაბედნიერებელია კეთილი სიცოცხლე, კეთილი ზნეობა, სათნოება და ღვაწლი, რომელიც

მისწევს კაცს ჭეშმარიტს ბედნიერებასა და ყოველ ნაირს სიკეთესა სულიერად თუ ხორციელად.

რათა მშობელთა თავიანთი შვილები ამ ბოლო ბედნიერებისას მისწიონ, და თავიანთი ნატვრის დაგვარ კეთილი და ღვთის მოშიში შვილები გამოუყვიდესთ, უნდა რომ ამ აღსასრულისათვის საჭირო საშვალებაც მოჰძებნონ და იხმარონ ხოლმე. ამ საჭირო საშვალის და ამ აღსასრულის უებარ წამალსაც იპოვნიან ისინი იმ ზემორედ ნათქვამ ჩვენს დასტამბულს წიგნებში, რომელნიც არიან: ა. წინამძღვარი ზეცისა. ბ. გზა ცხოვრებისა. ხოლო კეთილი ზნეობისა და სიბრძნის სწავლისათვისაც არიან საჭირო ეს ორნი წიგნნი, ვითამც: სიბრძნე კაცობრივი, და ბრძენი კაცი. ამისთვის როგორც მშობელთა, ეგრეთვე სკოლების იმ კეთილთ ზედამხედველთა და მასწავლებელთა, რომელნიც ცდილობენ რათა გახდნენ მეორედ აღმომშობელნი ყრმათა განწურთვნით და აღმოშობით მათი სწავლაში და კეთილ ზნეობაში, დღეში საკმაო დროება უნდა განდებული ჰქონდესთ ამ საჭირო საქმისათვის, უნდა შემოჰკრიბონ ყმაწვილები ან იმათვე წააკითხონ და ანუ თვითონ წაიკითხონ ამ წიგნებისაგან, და იმ წაკითხულის განმარტება ყმაწვილებს დაჰკითხონ და თუ კარგათ ვერ გაუგონიათ, თვითონ აუხსნან მათ იგინი. აი ამ საშუალებით დანერგებენ მათ გონებაში ღვთის შიშსა, ჭეშმარიტი სიბრძნის გზა კვალსა, და კეთილი ზნეობის კანონებსა. ყმაწვილობიდამვე ესრედ აღზრდილი ყმაწვილი, უეჭველია რომ ბოლოს დასრულებს რა სწავლას, გამოვა ერთი თითით საჩვენებელი პატიოსანი პირი, მადიდებელი ღვთისა, ერთგული ხელმწიფისა, მახიამოვნებელი დედ-მამისა, სიქადული თავის ოჯახობისა, გამაპატიოსნებელი თვისი ნათესავებისა და მრთელი საზოგადოებისაც ფრიად სასარგებლო სახსამი

ერთის სიტყვით, ვისაც უნდა რომ გაატაროს სიცოცხლე კეთილი ქრისტიანივით თავისი სულის სასარგებლოდ, ხელიდამ არ დასტოვებს და იკითხავს ხშირად ამ ორს წიგნსა, ვითამც „წინამძღვარსა ზეცისასა“ და „გზასა ცხოვრებისასა“ და შეიტანს პრა-

ტიკაში (საქმეში) იმ სწავლათა და დარიგებათა რომელთაც ასწავლიან ესენი; რადგან ჩვენი პირველი და ყოვლად საჭირო საქმე არის ჩვენი სულის ცხონება, ამიტომ რომ თუ ცოდვას არ მოვშორდებით. კეთილად არ ვიცოცხლებთ, და მით ჩვენს სულს ვერ ვაცხონებთ, მაშინ სხვა ყოველივე ტყუილი და ფუჭი არის ჩვენთვის. როგორც ამბობს უფალი იესო ქრისტე: „რამეთუ რა სარგებელი ეყოს კაცსა. უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს, და სული თვისი იზღვიოს. ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა, რამეთუ მოსვლად არს ძე კაცისა დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოზთა მისთა თანა, და მაშინ მიაგოს კაცად კაცადსა საქმეთა მათთაებრ“. მათეს ივ. 29. 27. კვლავ ვისაც უნდა შეიქმნას ბრძენი, გამოცდილი და დახელოვნებული პირი თავის გარეულს საქმე ყოფაში და იყოს შემკული ზნეობითა და მოქალაქობითა, იკითხავს ხშირად ისიც ამ ორს წიგნსა, ვითამც, „სიბრძნესა კაცობრივსა“ და „ბრძენს კაცსა“ და შეუდგება ამათს სწავლასა და დარიგებასა. ესრეთვე ვისაც უნდა რომ იყვნენ საკმაოდ მცოდინე პირნი თვით და თვისი შვილები, ისწავლის და ასწავლებინებს თავის შვილებსაც ზემოხსენებულს შემოკლებულს ხუთს წიგნსა, ვითამც გრამმატიკას, რეტორიკას, ფილოსოფიას, გეოგრაფიას, და ძველსა და ახალს ისტორიასა, რომლით ისრე კარგათ მოამზადებს თანვე თავის შვილებს გიმნაზიაში გარდაყვანისათვის, რომ როცა გარდავლენ იქ სრულ ადვილად, სწრაფად და საფუძვლიანად შეისწავლიან ისინი რუსულს ენასა და სხვა ყოველს სამეცნიერო საგნებს და გამოვლენ მეცნიერნი პირნი.

ეს ზემოხსენებული წიგნები თუმც ჩვენი ნატვრის დაგვარ კიდევ ვერ უპასუხებენ საქართველოს საზოგადოების ყოველს მოთხოვნილებასა, და შეამჩნევს საზოგადოება იგი ამათში სხვა და სხვა იმ სახის ნაკლებულობათაცა, რომელნიც საზოგადოდ მოხვდებიან ხოლმე წიგნების პირველს გამოცემაში, და შენიშნავს საშვალ ლექსითა თხზულებისაცა ზოგიერთ ურიგობათა, რომელნიც მოხდნენ ქართული ენის შეუმუშავებლობის გამო რომლის გრამმატიკული ფორმები ჯერედ

დამდგარნი არ არიან; მაგრამ იმედი გვაქვს ამ გზობად მოგვიტევებს საზოგადოება იგი ამჟამ უნებურს ნაკლებულობაებს, რადგან ახლა მრავალი სიძნელეობის გამო, შეუძლებელი იყო უკეთესი ნაირობით გამოცემა მათი და ვპირდებით რომ ამ წიგნების მეორე გამოცემაებში შევასწოროთ გულს მოდგინებით ყოველნი ნაკლებულობანი და დავაკმაყოფილოთ იგი ყოველ ნაირად და ვითარცა, თუ კაცს მადა აქვს, არ დაიწუნებს თიხის ტალერქით მოურთმევიათ მისთვის საჭმელი, თუ ვერცხლის ტალერქით, ეგრეთვე საქართველოს მომავალი ახალი თაობაც, რადგან საჭიროებს ამისთანა კეთილს და სასარგებლო წიგნებს დაწინაურებისათვის სწავლაში, არ დაიწუნებს ამათ, თუმცა ჰპოვოს რაიმე ნაკლებულობანი ქართული ენის თვისების გინა ხასიათის შესახებ, არამედ მხოლოდ ისარგებლებს სწავლით იმ მშვენიერი სასარგებლო და სამეცნიერო საგნებისა, რომელნიც არიან შეცულნი ამ წიგნებში.

ჩვენ უმჯობესად შევრაცხეთ შემოკლებული წიგნების გამოცემა სახელმძღვანელოდ, ვიდრემც ფართო მოლაპარაკე და დიდრონი ტომების გამოცემისა, არა მარტო მისთვის რათა შევსდგომოდით მცნებას იმ ბრძენი და სახელოვანი პირისასა, რომელიც ამბობს: «Quid-quid præcipies, esto brevis». (Horace.) რაც ასწავლო, მოკლედ იყოს გამოთქმული ორატიო; არამედ თანვე ამ განზრახვით რომ სასოფლო შკოლების ყრმათა საზოგადოთ ცოტა დრო აქვსთ სწავლისა, რადგან მშობელთაგან ზოგთა სიგლახაკის გამო საჭიროა შემწეობა მათი თავიანთ შრომაში და ამისთვის ძალიან დიდხანს ვერ დასტოვებენ მათ სწავლაში, და ზოგთაცა უნდათ მალე გარდაიყვანონ შვილები გიმნაზიაში, ამისთვის საჭირო იყვნენ მათთვის ჯმევრი შემოკლებული წიგნები, რათა ცოტა ხანში, პირველად ასწავლონ საკმაოდ სამეცნიერო პრინციპები და პირველ დასაჭირნი საგანნი გამოსადეგნი კაცობრივს ცხოვრებასა შინა და მეორეთაც შესძლებოდათ მათით კარგად განმზადება გიმნაზიაში გარდასვლისათვის. ეს წიგნები, თუმც შემოკლებულნი არიან, მაგრამ არიან ამასთანავე საკმარისად გამო-

წურვილნი სახელოვანი სამეცნიერო ტომებისაგან, და მით შეტანილნი არიან ამათშიდ მთავარნი და საჭირო საგანნი მეცნიერებისა. ამისთვის თუ გულს ხმიერებით იკითხამს უმაწვილი ამ მოკლე სახელმძღვანელოებით უფრო ისწავლის, ვირემც დიდროანი ტომების კითხვით, რადგან ბევრჯერ ცოტა დრო ქმნება სწავლისა უმაწვილს, სასწავლო რამებიც, რადგან ძრიელ ბევრნი არიან, (მეტადრე ამ დროს, რომელში ევროპიული სხვა და სხვა ენების სწავლაც საჭიროდ გვიხდება) ამისთვის, რათა მოასწროს განსაზღვრილ დროში სწავლის გათავება, საჭირო გაუხდება მას რომ ჩქარა და პირპირ გარდაკრთხვით გარდიაროს ის ტომები, რომლით ველარასოერს ჩახვდება; და ანუ ცოტა ტალანტი და ცოტა ნიჭიერება ქმნება და სირამდი დიდი ტომის ბოლოში გარდვიდოდეს, წინად ნასწავლი რამები ერთიან გარდაავიწყდება, და დამტკიცდება ბრძენი ფონთენის სიტყვა, რომ qui trop embrasse mal etreint. „ვინც ბევრს გამოეკიდება, ცოტასაგანაც ცარიელი დარჩება.

ბოლოს, რადგან (ვითარცა გვჴგონებთ) დღედმდე არ იყვნენ ქართულს ენაზედ დაბეჭდილნი მეცნიერების სწავლისათვის საჭირო ხელთსამძღვანებელი წიგნები, რომლებისაგანაც შესაძლებელი ყოფილიყო ზოგიერთი ტეხნიკური ლექსების ამოკრეფა, ამისთვის ყოველი ღონისძიებით ვეცადეთ, რათა გვეპოვნა იმ ნაირი ლექსები, რომელნიც ყოფილიყვნენ ქართული ენის თვისებისანი, და ზოგნიცა ვსთარგმნეთ ფრანციცულიდგან. მაგრამ რადგან ამ ლექსთაგან ზოგიერთი პირველში ძნელი მისახვდენია, ვიდრემდის კაცი კარგად შეეჩვეოდეს იმათ, ამის გასაადვილებლადაც ბევრს ადგილს გვერდითვე მიუწერეთ ის ფრანციცული ლექსები, რომელთაგანაც გამოითარგმნენ ისინი, საცნობელად თუ რომელი ფრანციცული ლექსის მაგიერათ გვიხმარია ჩვენ ის ქართული ტეხნიკური ლექსი.

ამ წიგნების ნათლად გამოყვანას და გამოცემას თუმცალა დიდი ხნის თავგაწირული შრომა და დიდი წარსაგები დასჭირდა, მაგრამ

რადგან დიდათ გვიყვარდა და შიგვაჩნდა საქართველო, და გვქონდა ნატვრა მისდამი სამსახურის ჩვენებისა, ყოველ ნაირი მძიმე შრომანი და წარსაგების მსხვერპლნი თავზედ ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა წარმატებისა სწავლაში, და იმის მომავალ ახალთაობასაცა საშუალობა მეცნიერებაში დაწინაურებისა. ამისთვის იმედი გვაქვს რომ საზოგადოებაცა ესე თვისი ჩვეულებრივი გულკეთილობითა მისცემს შესაფერს და შემაგულიანებელს ღირსებასა ამ ჩვენს შრომას, მიიღებს პატივდებაში ამ დასტამბულს წიგნებსა და გამოიყენებს ამათ საჭიროებისათვის თვისი სასოფლო შკოლებისა, რომლითი უქმათ არ ჩაივლის თავგასწირული მოღვაწეობაცა ესე ჩვენი, რომელი თავს ვისხით დიდებისათვის ღვთისა, პატივისათვის ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელი ქალწული მარიამისა დედოფლისა ჩვენისა, და სასარგებლოდ ივერიისა ერთგული ქვეშევრდომისა მისის იმპერატორებითი დიდებულებისა ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ნიკოლოზის ძისა, თვით მპყრობელისა მრთელისა რუსეთისა, და სხვაც, და სხვაც, და სხვაც.

გამომცემელნი ზემოთ ხსენებულთა წიგნთა მონთობანში მყოფნი კათოლიკე მღვდელ მონაზონნი მონაზონებრივი საზოგადოებისაგან უმანკოდ შთასახებული ღვთის მშობელი ქალწული მარიამისა.

1877 ქალაქსა მონთობანს (ფრანცია) მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო შთასახებისათა.

ქართული წიგნები, რომელნიც ისყიდებიან ფრანციაში ქალაქს მონთოპანს მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო შთასახებისათა (Rue du cimetière catholipue;) და ესრეთვე კოსტანტანე-პოლს ჩინილი ხანში ჭოქოციანის მაღაზიაში ნუმერო 5; დაკალათას სელბოს ხანში მხითარისტების წიგნის მაღაზიაში ნუმერო 4.

ფასი ბროშურისა . . . . . . . . . . კაპეიკი.

ა. წინამძღვარი ზეცისა გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი, შედგენილი ალემანურად თავადის შვილი მღვდელი ალექსანდრე ჭოკნელოესაგან . . . . . . . . 40.

ბ. გზა ცხოვრებისა გინა განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა სახმარნი მღვდელთა თვის საქადაგებლად და ერის კაცთათვის საკითხავ წიგნად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად შედგენილი ნეტარელისა ალფონსო ლიგორისაგან . . . 50.

გ. სიბრძნე კაცებრივი რომელიც ასწავლის კაცს ჭკუვის რიგიან ხმარებასა, სრულს კაცს ჰხდის და მისწევს სიმდიდრესა შემკობილი ცხოველი მაგალითებითა და სახელოვანი პირების და ბრძენი ფილოსოფოსების სიტყვებითა . . . . . . . 70.

დ. ბრძენი კაცი გინა რომელიმე ძველი ფილოსოფოსის მიერ მოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა და ზნეობასა ზედა . . . . . . . . . . . . . . . . 40.

ე. მოკლე ქართული გრამმატიკა სასოფლო შკოლების ყრმათათვის ახლად შედგენილი . . . . . . . . . . 30.

ვ. ხელად სახმარი მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება ყმაწვილ-კაცთათვის . . . . . . . . . . . 40.

ზ. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ზნეობას, და სამღვთო მართლმსაჯულებას მაღალს სწავლაში გარდასასვლელთ ყმაწვილ კაცთათვის . . . . . . . . . . . . . . . 40.

ფასი ბროშურისა . . . . . . . . . . კაპეიკი.

ჱ. ფიზიკურივი მოქალაქებრივი და ისტორიებრივი მოკლე გეოგრაფია სასოფლო შკოლებისათვის . . . . . . . . 35.

თ. მოკლე მსოფლიო გინა საყოველთაო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა და შემთხვევათა მომხდენილთა კაცობრიობასა შინა, დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, განყოფილი ექვს ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცავს თავისში სამღრთო ისტორიასა ძველისა და ახალის აღთქმისასა. მეორე ნაწილი შეიცავს ისტორიასა ძველთა ნათესავთა, ვითამც ეგვიპტელთა, ასურთა, მიდთა, სპარსთა, ბერძენთა და მაკედონელთა. მესამე ნაწილი შეიცავს ისტორიასა ქარტაგინელთა, რომაელთა და ქართველთა. მეოთხე ნამილი შეიცავს ქრონიკებრივს ისტორიასა საშუალო საუკუნისასა. მეხუთე ნაწილი შეიცავს ახალს ისტორიასა საზოგადოდ. ხოლო მეექვსე ნაწილი შეიცავს ისტორიასა ევროპიის ნათესავთა თვითოეულად, ვითამც ისტორიასა რუსეთისას, ფრანგისტანისას, ანგლიისას, ისპანიისას, პორტუგალიისას, დანიისას, შვეციისას, გოლანდიისას, გერმანიისას, შვეიცარიისას, იტალიისას და სხვათა. სასოფლო შკოლების ყრმათათვის . . . . . . . . . . 60.

ი. გვირგვინი წამებულთა წმიდათა ევსტატი ანუ ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმიდისა ევსტატესი; პოემა ჩზ. მუხლი (შაირი) . . . . . . . . . . . . . 50.

ია. ყვავილების კონა ყრმათა გინა რჩეული ლექსები, განყოფილი ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შეიცავს თავისში ღვთის მსახურებრივს სასულიერო ლექსებსა, ხოლო მეორე ნაწილი ქვეყნიურს ლექსებსა . . . . . . . . . . . . . 40.

ამათ გარდა ისყიდებიან ზემოხსენებულს ადგილებში შემდეგი წიგნებიცა, რომელნიც დაიბეჭდნენ საქართველოს რომისა და სომხის კათოლიკეთათვის.

ფასი ბროშურისა : . . . . . . . . . . კოპეიკი.

ა. თან სატარებელი ლოცვის წიგნი, რომელი იპყრობს თვის შორის საყოველდღეო სხვა და სხვა მშვენიერ ლოცვებს . 60.

ბ. წალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თავისში მრავალთა სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა . 60.

გ. საქრისტიანო მოძღვრება გინა კათეხიზი . . . . 25.

დ. პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანით წვრილ ყრმათათვის . . . . . . . . . . . .

ესკონტი ასში ათი არის მხოლოდ იმ პირისათვის ვინც ზემოდ ხსენებული სხვა და სხვა ნაირი წიგნისაგან არჩევით იყიდის ასს კოპიოსა, და ანუ მაინც ერთი რომელიმე მათგანისაგან ოც-და-ათს ანუ ნამეტარს კოპიოს ერთიანად.

ამ ზემოხსენებული წიგნების გამოწერა შეიძლება მიმერით და წარგზავნით საყიდელი წიგნების ფასისა გამსყიდველთადმი წიგნთა ამათ ანუ მონთობანში და ანუ სტამბოლში შემდეგი ადრესებითა, მაგალითად:

უფალს რუბენ აღა ჭოქოციან გამსყიდველს ქართული წიგნებისას კოსტანტინე-პოლს ჩინილიხანში მაღაზია ნუმერო 5.

უფალს ალექსანდრე სტეფანიანს გამსყიდველს ქართული წიგნებისას მონასტერში მონაზონთა ერთობისაგან მონათა უმანკო ჩასახებისათა ქალაქს მონთობანს (FRANCE) Montauban Rue du Cimetière catholique Tarn-et Garonne.

a 383
1879